

**DEUTSCH-GEORGISCHES
PHRASEOLOGISCHES WÖRTERBUCH**

გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური
ლექსიკონი

N. Stambolischvili
ნ. სტამბოლიშვილი

DEUTSCH-GEORGISCHES
PHRASEOLOGISCHES WÖRTERBUCH

გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური
ლექსიკონი

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორები: ა. აბუსერიძე, მ. ფალავა (რედაქტორები);

წევრები: დ. ფანჯიკიძე (რეცენზენტი), ნ. ბოლქვაძე, რ. ფარცვანია,
ნ. სურგულაძე, მ. სიორიძე, ი. გომხეთელიანი, მ. გიორგაძე

**Durchgesehen von den Professoren: Dr. A. Abuseridze , Dr. M.Pagava (Redakteure),
Mitglieder: Dr. D. Panjigidze (Rezensentin), Dr. N. Bolkvadze, Dr. R. Parzvania,
Dr. N. Surguladze, Dr .M.Sioridze, Dr. I. Goschcheteliani, Dr. M. Giorgadze**

ტექნიკური უზრუნველყოფა: ნინო კორტავა

გუბდენი ჩემი ძმის ნათელ ხსოვნას

Vorwort

Die Deutsche Sprache besitzt eine große Anzahl viel benutzter Phraseologismen (idiomatischer Redensarten), die einen wesentlichen Teil der Alltagssprache ausmachen. Jeder Ausländer, der die deutsche Sprache lernt, sollte bestrebt sein, sich diese Phraseologismen anzueignen und sie zu einem festen Bestandteil seines aktiven Wortschatzes zu machen. Aber auch für den Deutschen, der seinen Stil verbessern und lebendiges Deutsch sprechen will, ist die exakte Kenntnis der Anwendungsmöglichkeiten von Phraseologismen sehr wichtig.

Das vorliegende Wörterbuch von Phraseologismen ist für Georgier doppelter Hinsicht wichtig. Es bietet nicht nur die gebräuchlichsten und bildkräftigsten idiomatischen Redensarten der deutschen und georgischen Sprache, sondern auch solche georgischen Phraseologismen, die keine häufige Anwendung in der Alltagssprache finden, aber im mentalen Lexikon von Georgien aufbewahrt sind und die Möglichkeit bieten, zu einem aktiven Bestandteil der Kommunikation zu werden.

Eine genauere Definition des Begriffs Phraseologismus und eine Differenzierung der einzelnen Arten desselben wurde erstmalig von Prof. W. W. Winogradow gegeben. Die von ihm aufgestellte Klassifikation der Phraseologismen der russischen Sprache ist dann auch von den anderen Germanisten in Bezug auf die deutsche Sprache angewandt worden.

Der Sprachforscher teilt die Phraseologismen in drei Gruppen ein: phraseologische Zusammenbildungen, phraseologische Einheiten und phraseologische Fügungen (Wortverbindungen).

Ich halte es für zweckmässig (in Übereinstimmung mit einer Reihe Germanisten), sämtliche Phraseologismen in zwei Typen zu teilen und zwar: 1.) Idiome (zu denen sowohl „die Zusammenbildungen,“ als auch „die Einheiten“ gehören) und 2.) phraseologische Fügungen.

Zu den Idiomen werden alle bildlichen Ausdrücke gezählt, deren übertragene Bedeutung mehr oder weniger klar, oder absolut verschleiert ist.

Phraseologische Wortverbindungen (Fügungen) gehören nicht zu den Idiomen. Ihre Bedeutung geht ohne weiteres aus den Komponenten hervor und sie stellen in den meisten Fällen die Umschreibung eines Verbuns dar.

Das Wörterbuch aber umfasst auch eine Anzahl von diesen, denn sie haben ein volles Recht, in den Reihen von Phraseologismen zu bleiben.

Jedem Phraseologismus folgen eine Definition – ein georgisches Äquivalent und ein Anwendungsbeispiel. Manche Phraseologismen sind durch zwei oder mehrere Beispiele illustriert, und zwar in den Fällen, wo der deutsche Phraseologismus verschiedene Bedeutungen oder Konnotationen aufweist und je nach dem Inhalt durch verschiedene georgische Äquivalente ausgedrückt werden muss.

Die Beispiele stammen meistens aus Werken der schöngeistigen Literatur. Ein Teil derselben ist phraseologischen Wörterbüchern entnommen und ein anderer sind Neubildungen und im Kontext ins Georgische übertragen.

Die durch die Rechtschreibreform eingetretenen Änderungen in den Beispielen aus Werken der schöngeistigen Literatur, die vor der Neuregelung geschaffen sind, sind im Wörterbuch nicht berücksichtigt worden.

Nach der neuen Regel wurde ein Teil aus phraseologischen Wörterbüchern entnommen und einen anderer Teil stellen Neubildungen dar.

Alle Phraseologismen sind alphabetisch nach dem Grundwort geordnet. Am Ende des Wörterbuches gibt es ein alphabetisches Verzeichnis der Phraseologismen mit Angabe der Nummer, wodurch das Auffinden des betreffenden Ausdrucks im Wörterbuch erleichtert wird.

Am Ende des Buches findet sich außerdem ein Quellenverzeichnis. Das Buch soll den Lehrern der Mittel-und Hochschulen, den Studierenden und Lesern der deutschen Literatur eine Hilfe sein.

Jede Bemerkung, sowie jeder Wunsch wird mit Dankbarkeit aufgenommen.

წინასიტყვაობა

გერმანულ ენაში მოიპოვება ფრაზეოლოგიზმების (იდიომატურ გამოთქმათა) დიდი რაოდენობა, რომელნიც ყოველდღიური მეტყველების არსებით ნაწილს შეადგენენ. გერმანული ენის შემსწავლელი ყოველი უცხოელი უნდა ცდილობდეს დაეუფლოს ამ ფრაზეოლოგიზმებს და თავისი აქტიური ლექსიკის შემადგენელ ნაწილად აქციოს. ასევე გერმანელმაც, რომელსაც თავისი სამეტყველო სტილის გაუმჯობესება და ცოცხალი გერმანულით საუბარი სურს, ზუსტად უნდა იცოდეს ფრაზეოლოგიზმების გამოყენების შესაძლებლობები.

ფრაზეოლოგიზმების წინამდებარე ლექსიკონი ორმაგად მნიშვნელოვანია ქართველებისათვის. იგი გვთავაზობს არა მარტო გერმანული და ქართული ენების ხშირად ხმარებულ და ხატოვანებით გამორჩეულ იდიომატურ გამოთქმებს, არამედ ისეთ ქართულ ფრაზეოლოგიზმებსაც, რომელიც ხშირად არ გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, მაგრამ შემონახულია ქართველი კაცის ცნობიერებაში და მათი კომუნიკაციაში გააქტიურება სამეტყველო ნორმად ქცევის შესაძლებლობას იძლევა.

ცნება „ფრაზეოლოგიის“-ა და ფრაზეოლოგიური ერთეულების ცალკეული სახეების ცოტათი თუ ბევრად მკაფიო განსაზღვრა პირველად მოგვცა აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვმა, რომლის კლასიფიკაციაც შემდეგ გერმანისტებმაც გამოიყენეს.

მკვლევარი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს სამ ჯგუფად ჰყოფს: - ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური მთლიანობანი და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი.

ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ ფრაზეოლოგიური ერთეულების დაყოფას ორ ძირითად ტიპად: იდიომები (რომელნიც ერთ ჯგუფად აერთიანებს შენაზარდებსა და მთლიანობას) და ფრაზიოლოგიური შესიტყვებები.

ლექსიკონში იდიომებს მიეკუთვნება ყველა ხატოვანი გამოთქმა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მისი გადატანითი მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად დაჩრდილული თუ აბსოლუტურად ბუნდოვანი.

იდიომებს არ მიეკუთვნება ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, რადგან მათი აზრობრივი მნიშვნელობის გაგება სიძნელეს არ წარმოადგენს; ისინი შედგებიან არსებითი სახელისა და ზმნისაგან და არ არიან გადატანითი მნიშვნელობის მატარებელნი.

ლექსიკონში შევიტანეთ მხოლოდ მცირე ნაწილი ასეთი ფრაზეოლოგიური შესიტყვებებისა, მიუხედავად იმისა, რომ იდიომებს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ სრული უფლება აქვთ ფრაზეოლოგიზმების რიგში დარჩნენ. ცალკეული

ფრაზეოლოგიზმის შემდეგ მოცემულია მისი გერმანული განმარტება, ქართული ეკვივალენტი და კონტექსტი.

ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული ილუსტრირებულია რამდენიმე მაგალითით. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეული სხვადასხვა მნიშვნელობის ან ელფერის მქონეა, ან, სიტუაციის შესაბამისად, შეიძლება გადმოიცეს ნაირგვარი ქართული ეკვივალენტით.

ფრაზეოლოგიური ერთეულები კონტექსტში უმთავრესად ამოღებულია მხატვრული ლიტერატურიდან. ზოგიერთი ნაწილი ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან ან პერიოდული პრესიდანაა დამოწმებული. ცალკეულ შემთხვევებში კი ჩვენს მიერ არის შეთხზული და ქართულად ნათარგმნი.

მართლწერის რეფორმამდე გამოსული მხატვრული ნაწარმოებების კონტექსტში შენარჩუნებულია ძველი მართლწერის წესები.

მართლწერის ახალი წესები გავითვალისწინეთ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებიდან დამოწმებულ და ჩვენს მიერ შეთხზულ მაგალითებშიც.

ფრაზეოლოგიური ერთეულები დალაგებულია ანბანური წესით ძირითადი სიტყვის მიხედვით. ლექსიკონში მოცემულია ფრაზეოლოგიური ერთეულების ანბანური სია ნომრების მიხედვით, რომელიც აადვილებს გერმანული ფრაზეოლოგიური ერთეულების მოძებნას.

დასასრულს მოცემულია ძირითადი ლექსიკოგრაფიული წყაროების სია.

ლექსიკონის დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, მთარგმნელებს და გერმანული ლიტერატურის მკითხველებს.

ყველა საქმიან შენიშვნას მაღლიერებით მივიღებთ.

A

- 1 **A – von A bis Z** – Vom Anfang bis (zum) Ende – თავიდან ბოლომდე
Er hat mir die Geschichte von A bis Z erzählt
მან ამბავი თავიდან ბოლომდე მომიყვა
- 2 **ABBRUCH – Abbruch tun** – Schaden bereiten, Einbüßen erleiden – შებლაღავს, შელახავს, ზიანს მიაყენებს
„Aber so bedenke dich nur, daß ja nichts geschehen ist! ... Daß du deiner und unserer Würde durchaus keinen Abbruch tust, wenn du in aller Ruhe zu Permänder zurückkehrst“.
(Th. Mann - Buddenbrooks)
დაფიქრდი და დამეთანხმე, რომ არაფერი ისეთი არ მომხდარა! თუ შენ ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაუბრუნდები პერმენდერს, ამით შენ არც შენს და არც ჩვენს სახელს არ შებლაღავ.
- 3 **ABEND – Es ist noch nicht aller Tage Abend** = Es ist noch nicht alles verloren (gewonnen), es kann sich noch manches ändern - ჯერ არაფერი დამთავრებულა, ჯერ გვიანი არაა.
„O, Tony, Courage!“ – sagte der Senator. „Noch ist nicht aller Tage Abend“, noch ist er nicht verurteilt
(Th. Mann-Buddenbrooks)
„ტონი ყოჩაღად,-- თქვა სენატორმა – ჯერ ხომ ყველაფერი არ დამთავრებულა, ჯერ ხომ მისთვის არ მიუსჯიათ.
- 4 **ABFUHR – jmdm. eine Abfuhr erteilen** – jmdn. schroff abweisen; jmdm. eine Bitte nachdrücklich abschlagen - საკადრისი მიუზღო, მარჯვედ დაუხვედ
...Die empörten Versammlungsteilnehmer erteilten den Faschisten eine gehörige Abfuhr.
... აღშოთებულმა კრების მონაწილეებმა საკადრისი მიუზღვეს (მარჯვედ დაუხვედნენ, საკადრისი პასუხი გასცეს) ფაშისტებს.
- 5 **ABSCHEU – Abscheu erregen** – heftiger Widerwille, starke moralische Abneigung – ზიზღს იწვევს
Das erregt Abscheu bei (in) mir – ეს ჩემში ზიზღს იწვევს.
= **gegen jmdn. (etwas) Abscheu hegen** - vor jmdm. (etwas) Abscheu empfinden – ზიზღით განიმსჭვალა
Mit Abscheu wandte ich mich von ihm ab.
მე მას ზიზღით შევაქციე ზურგი.
...Alle Menschen gutes Willens hegen Abscheu gegen den Krieg.
ყველა კეთილი ნების ადამიანი ზიზღით არის გამსჭვალული ომისადმი.
- 7 **ABWEGE – auf Abwege geraten** – moralisch oder gedanklich falscher Weg, Irrweg – გზას აცდა, ცუდ გზას დაადგა (იხ. schief N1254)
...Der eine (von den Söhnen) – und gerade der Älteste ist vollkommen auf Abwege geraten.
(Bredel – Verwandte und Bekannte)
ერთი მათგანი, - და სწორედ უფროსი ვაჟი – სრულიად აცდა გზას.
- 8 **ACH – mit Ach und Krach** – unter großen Schwierigkeiten; mit viel Mühe, mit Knapper Not – ვაივაგლახით, რის ვაინაჩრობით, ძლივს
Er hat mit Ach und Krach die Prüfung bestanden.
მან ვაივაგლახით (ძლივს) ჩააბარა გამოცდა.
- 9 **ACHSEL - etw. auf die leichte Achsel nehmen** – etw. nicht ernst nehmen; die Schwierigkeit bzw. eine Gefahr unterschätzen – აინუნში არ აგდებს, ზერეულად ეკიდება, არაფრად აგდებს (იხ. Schulter №1346)
„Gut, sagte er, daß du es auf die leichte Achsel nimmst“.
(Goethe - Leiden des jungen Werters)
კარგია, რომ აინუნშიაც არ აგდებთ ამას.

- 10 = **jmdn. über die Achsel ansehen** – ზევიდან უცქერის, ამრეზით, ქედმაღლურად, მედიდურად უყურებს
„So oft hatten diese Männer ihn über die Achsel angesehen, weil er ihnen nicht klassisch genug nach der Regel malte ...

(L. Feuchtwanger - Goya)

„ძალიან ხშირად ადამიანები მას ზევიდან (ამრეზით) უყურებდნენ, რადგან მათი აზრით იგი არასაკმარისად კლასიკურად, ყველა წესების დაცვით არ ხატავდა“.

- 11 **ADER – eine leichte Ader haben** – leichtsinnig sein – ქარაფშუტაა
Es wundert mich gar nicht, dass der Junge auf Abwege geraten ist; er hatte schon immer eine leichte Ader.

სულაც არ მიკვირს, ბიჭი რომ გზას აცდა. იგი ყოველთვის ქარაფშუტა იყო.

- 12 = **jmdn. zur Ader lassen** (umg: auch scherz)-1. jmdm. Blut aus der Vene Abnehmen
– სისხლის გამოშვება (ვენიდან). 2. jmdm. Geld abgewinnen, Geld abnehmen; jmdn. zu einer Zahlung veranlassen – ფული გამოძალო

“Laßt zur Ader! Nur immer zur Ader lassen! Die Ärzte sagen, daß im August ein Aderlaß so gut ist, wie im Mai. Das rief allen Tätigen zu ein Herr de Tavannes ... “

(H. Mann - Henri Quatre Jugend)

“სისხლი გამოუშვით! გამოუშვით ვენიდან ცოტადენი სისხლი! ექიმები ამბობენ, რომ მაისში სისხლის გამოშვება ისევე სასარგებლოა, როგორც აგვისტოში. ამას გასძახოდა ყველას ვიღაც ბატონი დე ტავანი ...”.

..Unsere Jüngste versteht es großartig ihren Vater zur Ader lassen. Sie kriegt, soviel sie will.”
(MDtl).

“ჩვენი ყველაზე პატარა მარჯვე ოსტატია მამამისს ფული გამოსძალოს. ისიც აძლევს მას, რა თანხაც არ უნდა მოსთხოვოს.”

- 13 **AFFE – einen Affen an jmdm. fressen** – eine übertriebene Vorliebe für jmdn. bzw. etwas haben – სულში იძვრენს, თავს ევლებს, გაგიჟებით უყვარს
...Ich kann einfach nicht begreifen, dass du an diesem Menschen so einen Affen gefressen hast! Er ist doch ein leichtsinniger Bursche und verdient deine Zuneigung gar nicht.
უბრალოდ ვერ ვხვდები რამ გადაგრიდა ამ კაცისთვის. იგი ხომ ერთი ქარაფშუტა ვინმეა და შენს სიყვარულს სულაც არ იმსახურებს.

- 14 **AKTEN – zu den Akten legen** – etw. als erledigt ansehen, (betrachten) – არქივს ჩააბარა, მოაწესრიგა, დაივიწყა

“Wir haben nun wirklich lange genug über das Verstehen diskutiert, und Peter hat sich auch bei dir entschuldigt. Ich glaube, wir können die Sache nun endlich zu den Akten legen. einmal muss ja damit Schluss sein”.

“ჩვენ ძალიან დიდხანს ვიმსჯელებთ მომხდარის შესახებ და პეტერმაც ბოდიში მოიხადა შენს წინაშე. მე მგონია, რომ ჩვენ ეს საქმე ბოლოს და ბოლოს არქივს უნდა ჩავაბაროთ (უნდა დავივიწყოთ)”.

- 15 **ALARM – Alarm schlagen** (die öffente Aufmerksamkeit auf etw.. Bedrohliches, Gefährliches lenken; laut Hilfe fordern) – განგაშს ატეხს

Ohm Ernst trägt Adda auf, möglichst wenig über dia Sache zu sprechen und keinen Alarm zu schlagen

(Fr. Wolf-Menet)

ბოძია ერნსტი ურჩევს დას, რაც შეიძლება ნაკლებად ილაპარაკოს ამ საქმეზე და განგაში არ ატეხოს.

- 16 **ALLOTRIA – Allotria treiben** – abwegige Dinge, mit Lärm, Tumult o.ä. ausgeführter Unfung, dummes Zeug, Dummheiten, Albernheiten - ჩხირკედლაობს, ცუდუბრალოდ ლაქლაქებს, ბეჩოს ანიავებს, გიჟობს, ანცობს
Du sollst hier nicht umsonst sitzen und Allotria treiben, hilf besser deiner Mutter bei der Arbeit!

ტყუილებრადოდ ზიხარ და ბეჩოს ანიავებ (ლაქლაქებ), წადი უმჯობესია დედაშენს დაეხმარე!

...Und sie (die Chorknaben), die eben noch da draussen ... Allotria getrieben ... sangen nun ganz wunderschön.

(Th. Mann - Buddenbrooks)

...და ისინი (გუნდში მომღერალი ბიჭები), რომელნიც ეს არის ეზოში გიჟობდნენ (ანცობდნენ), ახლა შესანიშნავად მღეროდნენ.

- 17 **ANGEBUNDEN – kurz angebunden sein** (zu jmdm.)- jmdn. kurz angebunden behandeln, nicht freundlich sein – არცთუ თავაზიანია, სიტყვაძუნწია, სიტყვას მოკლედ მოგიჭრის

Er soll uns nicht böse sein, dass wir ihn vorhin so kurz angebunden behandelt haben.

არ ეწყინოს, რომ ჩვენ მას თავდაპირველად არცთუ თავაზიანად მოვექცით.

Opper war merkwürdigerweise nicht kurz angebunden.

(Brecht-Dreigroschenroman)

ოპერი იყო გასაოცრად სიტყვაძვირი (საკვირველად მოკლედ ჭრიდა სიტყვას/ პასუხს).

Wolfgang ließ nichts mehr von sich hören. Wenn man ihn anrief, war er am Telefon kurz angebunden.

ვოლფგანგი არაფერს იტყობინებოდა. როცა ტელეფონით ელაპარაკებოდნენ, ის მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე.

18. **ANGELEGEN – sich etwas angelegen sein lassen** – sich um etw. kümmern – საჭიროდ ცნობს, ცდილობს, ზრუნავს

Ich werde es mir angelegen sein lassen, diese Sache unauffällig wieder in Ordnung zu bringen.

ვიზრუნებ, რომ ეს საქმე თანდათან მოგვარდეს (მოწესრიგდეს).

- 19 **ANSCHREIBEN – bei jmdm. etw. anschreiben lassen** – eine Geldsumme, die . schuldig bleibt – სესხი აიღო, ვალში დარჩა

“... bei Hansemann aber mußte man anschreiben lassen, wenn in der zweiten Monatshälfte die Gage aufgebraucht und ein Vorschuß nicht genehmigt worden war”

(H. Mann - Mephisto)

თუ თვის მეორე ნახევარში ხელფასიდან არაფერი დარჩება და ავანსს არ მოგვცემენ, მოგვიწვეს ჰანსმანთან სესხის აღება.

- 20 **ANGESCHRIEBEN – bei jmdm. gut, schlecht angeschrieben sein** - bei jmdm. in gutem (schlechtem) Ansehen stehen (u. dadurch leicht / schwer etw. erreichen können) – კარგი / ცუდი სახელი (რეპუტაცია) აქვს

“Da er ... bei den Lehrern schlecht angeschrieben stand, so brachte er beständig die erbärmlichsten Zensuren nach Hause”.

(Th. Mann-Tonio Kröger)

რადგანაც მასწავლებლებში ცუდი სახელი ჰქონდა, (ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა), მუდამ ცუდი ნიშნები მიჰქონდა სახლში.

- 21 **ANSTOSS nehmen** (an etw.) Ärger, Unwillen über etw. empfinden – საძრახად მიაჩნია, ეწოთირება

“Da vorteilhafte Heiraten zwischen Geschwisterkindern in der Stadt nichts ungewöhnliches waren, so nahm niemand Anstoß daran”.

(Th. Mann – Buddenbrooks)

ხელსაყრელი ქორწინებები ბიძაშვილებს შორის ქალაქში უჩვეულო ამბავი არ იყო და არც არავის ეწოთირებოდა.

- 22 = **Anstoss erregen** - (jmds. Unwillen hervorrufen) – წყენას იწვევს

“Glaube mir, du erregst Anstoß mit deiner beständigen Protektion der Katholischen gegenüber den schwarzen Protestantischen”.

(Th. Mann –Buddenbrooks)

დამიჯერე, თომას, მაგ შენი კათოლიკე ნაცრისფერთავსაბურავებიანების მუდმივი მფარველობით ბევრი გაანაწყენე

23. **APFEL- in den sauren Apfel beißen** – etwas unangenehmes notgedrungen tun - მწარე აბი გადაყლაპა, ბედს შეურიგდა
...Ja, lieber Freund, wir werden wohl noch alle in den sauren Apfel beißen müssen, ob wir wollen oder nicht.

(Kellermann - Totentanz)

დიახ, ძვირფასო მეგობარო, ჩვენ ყველა იძულებული ვიქნებით გადაყლაპოთ მწარე აბი, გვსურს ეს თუ არა.

24. **APRIL – jmdn. in den April schicken** – jmdn. zum Narren halten, in dem man ihm etwas sagt, was wohl wahr sein könnte, in Augenblick aber nicht stimmt – გააცურა, ტყუილი უთხრა

“Ihr braucht euch keine Mühe zu geben. Mich könnt ihr nicht in den April schicken”.

ტყუილუბრალოდ ნუ ირჯებით, ვერ გამაცურებთ.

25. **ARM – jmdm. in den Arm fallen** – jmdn. hindern, etwas zu tun – აღკვეთს, მოსპობს, აღმოფხვრის, აღვირს ამოსდებს, ლაგამს ამოსდებს, ალაგმავს, ხელს შეუშლის

...Ich hätte ihm nicht in den Arm fallen sollen ... ich hätte ihn noch ermuntern sollen.

(A. Scharrer – Dorfgeschichten einmal anders)

მე მისთვის ხელი არ უნდა შემეშალა ... პირიქით, უნდა წამექეზებინა.

26. = **jmdn. auf den Arm nehmen** – jmdn. zum besten haben; jmdn. zum Narren halten; jmdn. veralbern, verspotten – დასცინის, ამასხარავენს, მასხრად იგდებს.(იხ. Besten№100, Schindluder №1266, Schippe .№1267)

“Na, diesmal wird sich Ihre Frau sicher freuen, wenn Sie nach Hause kommen und ihr das viel Geld aufzählen, wa?” Karl Berger sieht erstaunt auf “Wollen Sie mich auf den Arm nehmen? – Acht Mark und neunundsiebzig Pfennig darf ich mitnehmen!“

(H.I. Geyer - Am Anfang stand das Ende)

“მაშ ამჯერად თქვენი ცოლი ნამდვილად გაიხარებს ამდენ ფულს რომ მიუტან, არა? კარლ ბერგერი გაოცდა, თქვენ რა, დამცინით? მე ხომ მხოლოდ რვა მარკას და სამოცდაცხრამეტ ფენინგს მივიღებ?”

27. = **jmdm. in die Arme laufen**. -. jmdm. zufällig / unerwartet begegnen; in jmds. Gewalt geraten-გადააწყდება, გადაეყრება, შეეჩხება; ხელში ჩაუვარდება(ვინმეს), დაიჭერს (ვინმე)

Seinem Vater möchte er nicht in den Arme laufen.

(H. und S. Schumacher - Sonneninsel)

მას არ უნდოდა მამამისს გადაეყრდა.

Die Polizei sucht mich! Vielleicht mit Hunden! durchzuchte es Martin. Er stürzte zum Fenster. Wenn ich türme, laufe ich denen genau in die Arme.

(B. Kühl - Martin oder zwei linke Hände”).

პოლიცია დამეძებს! შესაძლოა ძაღლებითაც! გაუელვა თავში მარტინს და ფანჯარას ეცა. რომ გავიქცე, პირდაპირ ხელში ჩაუვარდები.

28. = **jmdn. in die Arme nehmen / schließen** – jmdn. umarmen – ხელს მოხვევს, გულში ჩაიკრავს , გადაეხვევა, მოეხვევა, ჩაიხუტებს

“Haben Sie geglaubt, man würde uns voll Freude in die Arme schließen?” fragte Nehring ironisch.

(G. Springer - Treffpunkt Bern)

“იქნებ გგონია, სიხარულით გულში ჩაგვიკრავდნენ?” – ჰკითხა ნერინგმა ირონიულად.

29. = **jmdm. unter die Arme greifen** – jmdm. helfen (meistens finanziell) – მხარში ამოუდგება, ხელს გაუმართავს

- “Ich weiß nicht, ob ich mein Studium hätte durchhalten können, wenn mir nicht mein Onkel unter die Arme gegriffen hätte”.
- არ ვიცი, სწავლას შეეძლებდი თუ არა, ბიძახემი რომ არ დამხმარებოდა.
- 30 = **mit verschränkten Armen** -zusehen, dabeistehen u.a. - untätig (zusehen, dabeistehen u.a.)
– გულხელდაკრეფილი დგას (უყურებს), უსაქმოდ დგას და უყურებს
“Fritz hätte den Rasen mähen können? Denkste! Mit verschränkten Armen hat er zugesehen, wie wir geschuftet haben”.
- (MDtl)
- ფრიცსაც შეეძლო გაზონის გაკრეჭა? თქვენც არ მომიკვდეთ! გულხელდაკრეფილი გვიყურებდა, როგორ ვწყდებოდი ველში.
- 31 = **jmdn. mit offenen Armen empfangen** / aufnehmen – jmdn. freundlich / herzlich aufnehmen – მეგობრულად, გულთბილად, გულითადად მიიღებს
“Pat hat sie mit offenen Armen aufgenommen”.
- (E.M. Remarque - Drei Kammeraden).
- პატმა ისინი მეგობრულად მიიღო.
- 32 = **jmdn. etw. in den Armen (in der Hand) halten** – jmdn in Besitz haben – ხელში უჭირავს, მფლობელობაში აქვს
“Sie sind glücklich! Sie haben das Glück in den Armen”.
- (Th. Mann - Buddenbrooks).
- თქვენ ბედნიერი ხართ! ბედნიერება ხელში გიჭირავთ.
- 33 **A TEM** – **jmdn. in Atem halten-** jmdn. nicht zur Ruhe kommen lassen – სული არ მოათქმევინა, სულის ამოთქმის საშუალება არ მისცა
Diese lebhaften Kinder halten ihre Mutter den ganzen Tag in Atem.
ეს სიცოცხლით სავსე (მხიარული) ბავშვები დედას მთელი დღე სულს არ ათქმევინებენ (სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ).
- 34 = **nach Atem ringen** – sich angestrengt, unter Einsatz aller Kräfte bemühen zu atmen – სულს ძლივს ითქვამს
Er rang nach Atem.
იგი ძლივს ითქვამდა სულს.
- 35 **AUFBINDEN** – **jmdm. etw. aufbinden-** jmdm. etw. unwahres erzählen, weismachen – გაასულელა, ზღაპრები მოუყვა (იხ. Bären№60,Nase№1003)
“Wie war er überhaupt dazu gekommen, diese ausgefallene Geschichte dem Kriegsgericht aufzubinden?”
- (Bredel – Der Sonderführer)
- საერთოდ როგორ გაბედა მან ამ უაზრო ზღაპრით სამხედრო სასამართლო გაესულელებინა?
36. **AUGE** – **mit einem blauen Auge davonkommen** – glimpflich, ohne großen Schaden davonkommen, sich leicht retten – ხიფათს იოლად გადაურჩა, უმნიშვნელოდ დაზარალდა, იოლად გადარჩა
Er ist beim Stutz mit einem blauen Auge davongekommen.
დაცემისას ის იოლად გადარჩა.
- 37 = **jmdn. (etw.) ins Auge fassen** - jmdn. (etw. aufmerksam) genau betrachten – თვალებში მიაშტერდე, დაჟინებით უცქირო – თვალს შეაველებს, გადახედავს, შეათვალიერებს
Margot neigte sich vor, um Jeanne dringend ins Auge zu fassen”.
- (H. Mann - Henri IV, Jugend).
- მარგო წინ გადაიხარა, რათა ჟანა გულდასმით შეეთვალიერებინა.
- 38 **ein Aug(e) haben auf jmdn. / auf etw.** 1. auf jmdn., etw. achtgeben
– თვალი უჭირავს (თვალს ადევნებს) 2. an jmdm.. (etw.) Gefallen finden
თვალი უჭირავს (მოსწონს)
„Du bist ein heimlicher Katholik ... auf dich habe ich schon längst ein Auge ...”
- (H. Mann - Henri Quatre, Jugend).

შენ ჩუმი კათოლიკი უნდა იყო. შენზე დიდი ხანია თვალი მიჭირავს (შენ დიდი ხანია თვალს გადავწყნებ)

„Dero Herr Sohn haben ein Aug auf meine Tochter“.

(Fr. Schiller - Kabale und Liebe).

თქვენს ვაჟს ჩემს ქალზე თვალი უჭირავს.

- 39 = **etw. im Auge haben** – an etw. Bestimmtes denken, etw. berücksichtigen; im Sinn haben, vorhaben – მხედველობაში ექნება, ანგარიშს გაუწევს, გაითვალისწინებს
“Liebe Tony”, sagte die Konsulin. “Du kannst sicher sein, daß deine Eltern nur dein Bestes im Auge haben”.

(Th. Mann - Buddenbrooks)

“ძვირფასო ტონი, თქვა კონსულის მეუღლემ, ... შენ დარწმუნებული უნდა იყო, რომ შენს მშობლებს მხოლოდ შენი სიკეთე აქვთ მხედველობაში”.

- 40 = **ein Auge werfen auf jmdn.** (etw.) – sich für jmdn. etw. zu interessieren beginnen – თვალში მოუვიდა, ნიშანში ამოიღო, დაინტერესდა
“Er erkundigte sich zuerst nach den Preisen von zehn anderen Dingen, aber der Händler merkte gleich ,daß es der Stich war, auf den er sein Auge geworfen hatte”.

(L. Feuchtwanger - Erfolg)

მან გამოიკითხა ჯერ ათეული სხვა ნივთის ფასი, მაგრამ გამყიდველმა მაშინვე შეამჩნია, რომ მას სწორედ გრავიურა მოუვიდა თვალში (მან სწორედ გრავიურა ამოიღო ნიშანში).

- 41 = **ein Aug, beide Augen zudrücken** – nachsichtig sein, etw. nicht bemerken wollen – თვალი დახუჭო, თვალებზე ხელი მიიფარო; თვალს დახუჭავს – განგებ არ დაინახავს (არ შეამჩნევს რაიმეს, წაიყრუებს).

“Und dann glaube mir, Luise, die “Gesellschaft”, wenn Sie will, kann auch ein Auge zudrücken”.

(Th. Fontane - Effi Briest)

“მერწმუნე, ლუიზა, “საზოგადოებასაც” შეუძლია ბევრ რამეზე თვალი დახუჭოს, თუკი მოისურვებს”.

- 42 = **unter vier Augen** – zu zweit, ohne Zeugen – პირდაპირ, პირადად, უშუალოდ, მოწმის გარეშე

“Er mag sehen, wie weit er es unter vier Augen mit ihr bringt”.

(Th. Mann - Buddenbrooks)

მან ახლა დაინახოს, როგორ შორს შეტოპავს მასთან პირისპირ დარჩენილი (ორ თვალს შუა).

- 43 = **die Augen aufreißen** - (große) Augen machen – staunen – თვალებს დააჭყეტს, (ძალიან გაიკვირვებს, გაიოცებს)

“Er (Marcel) war bleich geworden und hatte die Augen aufgerissen.

(Bredel-Sansculotten.)

ის (მარსელი) გაფითრდა და თვალები დააჭყიტა (თვალები გაუფართოვდა).

- 44 = **mit scheelen Augen ansehen** – jmdn. etw. mit anderen (neuen) Augen (an)sehen – აღმაცერად უყურებს, უბღვერს

“Die Kellnerin sah Vrenchen mit scheelen Augen an”.

(G. Keller – Romeo und Julia auf dem Dorf).

კელნერი ქალი აღმაცერად უყურებდა (უბღვერდა) ფრენსენს.

- 45 = **die Augen gehen einem über** – jmd. ist durch einen Anblick überwältigt; jmd. beginnt zu weinen – თვალში ცრემლი მოერია

“Die Augen gingen ihm über, so oft er trank daraus (aus diesem Becher).

(Goethe - Es war ein König...)

თვალში ცრემლი მოერეოდა ხოლმე (თვალებზე ცრემლი აღვებოდა), როცა ამ თასიდან სვამდა.

46 = **in die Augen fallen (springen)** – etw. fällt, zieht die Aufmerksamkeit auf sich – თვალში საცემია, თვალში მოსახვედრია, თვალში ეცემა, თვალში მოხვდება (კაცს) – ყურადღებას მიიპყრობს, აშკარაა
“Es sprang in die Augen, wie schamlos er ganz allein darauf spekuliert hatte”.

(Th. Mann - Buddenbrooks)

აშკარა იყო, ბანკირი უსირცხვილოდ სპეკულიანობდა.

Das Bild des Feldmarschalls sprang einem beim Eintritt in die Augen.

ფელდმარშალის პორტრეტი შესვლისთანავე გვეცემოდათ თვალში.

47 = **die Augen fallen jmdm. zu** – jmd. will schlafen – თვალები ელულება

Ich war so müde, dass mir die Augen zufielen.

ისე ვიყავი დაღლილი, რომ თვალები მესუჭებოდა (მელულებოდა), თვალს ძლივს ვახელებდი.

48 = **ein Aug für jmdn. (etw.) haben** – das richtige Verständnis, ein Urteilsvermögen für etw. haben – თვალის არეში ჰყავს, მხოლოდ ერთს ამჩნევს

..Sie sprach anfangs kaum ein Wort und hatte nur Augen für ihren Freund den schweigsamen Adjutanten Frey ...

(Kellermann – Totentanz)

თავდაპირველად ქალი თითქმის არ ერეოდა ლაპარაკში და თავის მეგობრის, სიტყვაძვირადიუტანტ ფრაის გარდა ვერავის ამჩნევდა”.

49 = **aus den Augen lassen, verlieren** – nichts mehr von ihm hören – მხედველობიდან გამორჩება, ამბავს ვეღარ შეიტყობს, თვალთაგან დაკარგავს, ასავალ-დასავალს დაკარგავს

Man hat diesen wichtigen Umstand aus den Augen gelassen.

ეს მნიშვნელოვანი გარემოება მათ მხედველობიდან გამორჩათ.

...Sie hatten sich später im Krieg an verschiedenen Fronten aus den Augen verloren.

(A. Seghers – Die Toten bleiben jung)

ომის დროს ისინი სხვადასხვა ფრონტზე მოხვდნენ და ერთმანეთი

თვალთაგან დაეკარგათ (ერთმანეთის ასავალ-დასავალი დაკარგეს).

50 = **jmdm. Sand in die Augen streuen** – jmdn. täuschen, in dem man eine Sache in günstigerem Licht darstellt, als sie wirklich ist – თვალებში ნაცარს შეაყრის – შეეცდება, რომ მოატყუოს/ გააცუროს (იხ. Bär№60 Nase№1003)

Warum versuchst du allen Sand in die Augen zu streuen?

რატომ ცდილობ, რომ ყველას თვალებში ნაცარი შეაყარო?

51 = **jmdm. ein Dorn im Auge sein** – jmdm. unerträglich ein Ärgernis sein, jmdm verhasst sein – თვალში ეკლად (ეკალივით) ესობა, ეკალივით ხედება, ეჯავრება, ვერ იტანს
Das Schneewitchen war der Stiefmutter ein Dorn im Auge.

ფიფქია დედინაცვალს თვალში ეკალივით ესობოდა.

B

52 **BAD – jmdm. das Bad segnen** - scharf zurechtweisen – გაჯორა, შეახურა, მიბერტყა (იხ. Pfanne№1083)

Sie haben ihm das Bad gesegnet.

იგი მიბერტყევს (გაჯორებს, შეახურებს)

„... Und mit der Axt hab’ ich ihm’s Bad gesegnet.

(Schiller – Wilhelm Tell)

„... და მას ცუდი ვხეთქე.

53 **BADEN – baden gehen** (salopp) – scheitern, keinen Erfolg haben – ხელმოცარული დარჩა, გეგმა ჩაეშალა, მშრალზე დარჩა

...Unsere ganze schönen Pläne gingen baden – ჩვენი გეგმები ჩაიშალა.

...mit dem Vorschlag wirst du wohl baden gehen – ეს შეთავაზება შენ არ გამოგივა

„Mann, sagte Maier, „wenn ihr hier noch lange zögert, versäumt ihr glatt den Anschluß - und geht garantiert baden ...“.

(H. H. Kirst - Aufstand der Soldaten).

„მომისმინეთ“, - თქვა მაიერმა, - თქვენ თუ ასე დიდხანს იყოფნებით, უკანასკნელ შანსსაც ხელიდან გაუშვებთ და ალბათ მშრალზეც დარჩებით...“

„Na, hat Bernd bei dem Wettbewerb einen Preis bekommen? Er war doch überzeugt, dass er diesmal mit ganz vorn sein würde“ – „Ach wo, er ist mit seinen drei Bildern kläglich baden gegangen. Nichts eins ist angenommen worden“.

„მიიღო ბერნდმა შეჯიბრებაზე ჯილდო? აკი დარწმუნებული იყო, რომ ამჟამად წინ წავიდოდა“ – „რას ამბობ, სამივე სურათითვე ხელმოცარული დარჩა. არცერთი არ მიიღეს“.

54 BAHNHOF – Bahnhof verstehen – (salopp) – nicht verstehen können bzw. wollen

ვერაფერს გაიგებს

„Gib’ dir keine Mühe! Es hat keinen Zweck, noch länger zu rufen. Und selbst wenn es einer hört auf diese Entfernung versteht er sowieso nur „Bahnhof“.

„ნუ ირჯები! აზრი არ აქვს ძახილს, რომც გაიგონოს, ამ სიშორიდან მაინც ვერაფერს გაიგებს“.

55 = es gibt einen großen Bahnhof (für jmdn. – umg.) – jmd. wird mit großem Auswand bzw. sehr feierlich empfangen – დიდი ამბავია, აღიაქოთია, დიდი ზარ-ზეიმია

„Fährst du morgen mit zum Flughafen zum Empfang unserer Nationalmannschaft? Da gibt’s bestimmt einen großen Bahnhof“.

„წამომყვები ხვალ აეროპორტში ჩვენი ეროვნული გუნდის დასახვედრად? იქ დიდი ამბავია (დიდი ზარ-ზეიმია) ალბათ“.

56 BÄNDE – das spricht Bände – das lässt sehr viel erkennen; daraus kann man genug folgen – ბევრის მოქმედია, ყველაფერზე მეტყველებს

„Ich habe die beiden jetzt schon mehrmals zusammen wegfahren sehen. Das spricht doch Bände, findest du nicht?“

ორივე უკვე ბევრჯერ დავინახე ერთად გასული. ეს უკვე ბევრის მოქმედია (ყველაფერზე მეტყველებს). შენც ასე არ ფიქრობ?.

„Es ist ... erfreulich, daß du dich plötzlich besser fühlst. Aber darauf allein kommt es nicht an. Du siehst dich nicht, meine Teure. Dein Aussehen spricht Bände.

(Weiskopf – Inmitten des Stroms)

ძალიან სასიამოვნოა, რომ უეცრად უკეთ გრძნობ თავს, მაგრამ ეს არ კმარა. შენ ვერ ხედავ საკუთარ თავს, ძვირფასო. შენი გარეგნობა ბევრის მოქმედია (მეტყველებს ყველაფერზე).

57 BANK – auf die lange Bank schieben (fam) - etwas lange hinauszögern, lange verzögern; etw. lange Zeit nicht erledigen – გადადებს, გააჭიანურებს

„Bitte, schieben Sie diesen Besuch nicht auf die lange Bank! Er ist wichtig für Sie“.

გთხოვთ, დიდხანს არ გადადოთ ეს ვიზიტი. იგი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„... Ich sage, Herr Ambrust, Sie werden es bereuen, wenn Sie es auf die lange Bank schieben“.

(Bredel. – Die Enkel).

„... გეუბნებით, ბატონო ამბრუსტ, ინანებთ, თუ გადადებთ (გააჭიანურებთ) საქმეს.

58 = durch die Bank (fam) – alle ohne Ausnahme – ყველა უკლებლივ

„ja, Wallychen, etwas von seinen Grobssprungkeit haben wir Reithers alle von ihm geerbt ... Alle durch die Bank“.

(Weiskopf – Inmitten des Stroms)

„დიახ, ვალიხენ, ჩვენ რაიტერებს, ყველას დაგვყვა მემკვიდრეობით მისი ქედმაღლობის ზოგი ნიშანი, ყველას უკლებლივ“.

- „... Ich habe die Bücher, die dieses Thema behandeln, durchgesehen, für meine Zwecke sind sie durch die Bank unbrauchbar“.
- მე ყველა წიგნი გადავათვალიერე, რომელიც ამ თემას ეხება. ჩემი მიზნებისათვის უკლებლივ ყველა (ყველა ისინი) გამოუსადეგარია.
- 59 BAR – etwas für bare Münze nehmen** – etwas, was im Scherz oder nur aus Höflichkeit gesagt worden ist, für Ernst nehmen; etwas leichtfertig glauben, was man hört – ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნით, ადვილად დაიჯერო
- ... Wenn jemand zu uns sagt: „Bitte, betrachten Sie mein Haus als das Ihre“, so ist das zwar sehr freundlich gemeint, doch dürfen wir es nicht für bare Münze nehmen.
- თუ ვინმე გვეუბნება: „საკუთრად ჩათვალეთ ჩემი სახლი“, ეს კაცმა რომ თქვას, თავაზიანი წინადადებაა, მაგრამ იგი ხალას ჭეშმარიტებად არ შეიძლება მივიჩნიოთ.
- 60 BÄR – jmdm. einen Bären aufbinden** (umg) – jmdn. etwas glauben machen; jmdm. (zum Spaß) etw. Unwahres sagen, Unwahrscheinliches erzählen – გააცურებს, ზღაპრებს მოუყვება (იხ. Nase №1003 Sand №50)
- „Willst du mir da auch keinen Bären aufbinden?“ fragte Leroux ungläublig.
(J. Lafitte – Rose France)
- „ხომ არ გინდა გამაცურო?“ (ზღაპრებს მიყვები?) – იკითხა ლერუმ დაეჭვებით.
- „... Wolfgang hat seit gestern ein Auto, ich bin sogar ein Stück mitgefahren“. – „Da hat er dir aber einen (schönen) Bären aufgebunden! Der wagen gehört doch seinem Onkel“.
- ვოლფგანგს გუშინს აქეთ მანქანა ჰყავს. მე გამატარა კიდევ ცოტაოდენი. “ჰო, კარგა ღაზათიანადაც გაგაცურა. მანქანა ხომ ბიძამისისაა”.
- 61 BÄRENHAUT – auf der Bärenhaut liegen** – nicht arbeiten; faulenzten – მხარ-თეძოზეა წამოწოლილი, უსაქმურადაა, კოდალას უსტვენს (იხ. Haut № 587, Ohr №1043)
- Den ganzen Winter über lag er auf der Bärenhaut.
- მთელი ზამთარი იგი მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი.
- „In der letzten Zeit, wo hier der Herr gefehlt hat, da hat mancher von euch vielleicht gedacht, er kann sich auf die Bärenhaut legen“.
- (H. Mann – Der Untertan).
- ამ ბოლო ხანს (ქარხნის) პატრონის აქ არყოფნაში, ალბათ, ზოგიერთმა თქვენთაგანმა იფიქრა, რომ შეიძლება კოდალას უსტვენოს (უსაქმურად იყოს).
- 62 BART – jmdm. um den Bart gehen** (fam) – jmdm. schmeicheln; jmdm. schöntun – მოთაფლავს, გულს მოუგებს, ეპირფერება
- „Aber Oberst Malz, dem hieß es noch mehr um den Bart gehen“.
- (Bredel – Der Sonderführer)
- პოლკოვნიკი მალცი, აი, ვისი მოთაფლვა (გულის მოგება, მომადლიერება) იყო უფრო მეტად საჭირო.
- 63 = einen Bart haben** (stärker fam) – längst bekannt sein, veraltet sein – მოძველებული ამბავია, ძველი ჰანგებია
- ... Das ist doch kein neuer Witz, der hat ja schon so einen Bart.
- ეს ხომ ახალი ხუმრობა არ არის, იგი დიდი ხანია ცნობილია, უკვე მოძველებულია (ძველი ჰანგებია).
- 64 = um des Kaisers Bart** – etw. hat keinen Sinn; etw. ist vergebens – ჩალის ფასი აქვს, უაზროა
- Das war ein Streit um des Kaisers Bart.
- ამ დავას ჩალის ფასიც არ ჰქონდა (ეს იყო უაზრო დავა).
- 65 = der Bart ist ab** (stärker fam) – es ist nichts mehr zu machen; (hier ist an den Bart des Schlüssels zu denken) – ვერაფერს გახდები, მორჩა
- ... Wenn dieser Versuch nicht gelingt, dann ist der Bart ab, und alle Arbeit ist vergebens.
- თუ ეს ცდა არ გამოვიდა, ველარაფერს გახდები. მთელი ნამუშევარი ტყუილ-უბრალო გამოდგება.

- 66 **BAU – vom Bau sein (umg)** – mit einer Tätigkeit zum Bau gehören; vertraut sein; sich einer Sache auskennen – საქმესთან ახლოს დგას, საქმის ავან-ჩაგანი იცის
 „Über diese Arbeit kann ich mich nicht äußern, weil ich nicht vom Bau bin. Da müsst ihr jemanden fragen, der schon so etwas gemacht hat“.
 ამ საკითხის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვდგავარ ახლოს ამ საქმესთან (არ ვიცნობ ამ საქმეს). ვილაცას უნდა ჰკითხოთ, ვინც ასეთი რამ უკვე გააკეთა (ასეთ საკითხში გამოცდილება აქვს).
 „Papke hatte vergessen, daß Carl Brenten ja einmal zum Bau gehört hatte“.
 (Bredel – Die Söhne).
 პაპკეს დაავიწყდა, რომ ბრენტანიც ოდესღაც ამ საქმესთან ახლოს იდგა (ამ საქმის ავან-ჩაგანი იცოდა).
- 67 **BAUCH – sich vor Lachen den Bauch halten** - sehr lachen müssen – სიცილისგან დაიხოცნენ, სიცილით მოკვდნენ, მუცლები ეკავათ
 Als er dann auch noch zu tanzen anfing, haben wir uns den Bauch gehalten (vor Lachen).
 (MDtl).
 როცა მან ცეკვა დაიწყო, სიცილისაგან დავიხოცეთ (მუცლები გვეკავა, რომ სიცილისაგან არ დავხოცდიყავით).
- 68 **BAUM – er sieht den Wald vor lauter Bäumen nicht** – er sieht viele Einzelheiten, aber nicht das Wichtigste – რიყეზე ქვას ვერ ხედავს, კაცი ცხენზე ზის და ცხენს ეძებსო; ცხვირწინ უდევს და ვერ ხედავს; იმასაც ვერ ხედავს, რაც მის თვალწინ ხდება (იხ. Wald №1719)
 Wie will er denn ohne Mitarbeiter weitermachen? aber er sieht den Wald vor lauter Bäumen nicht.
 როგორ გაძლებს თანამშრომლების გარეშე? ის ხომ იმასაც ვერ ხედავს, რაც მის თვალწინ (ცხვირწინ) ხდება.
 Wo ist denn mein Füllfederhalter? Ich suche ihn schon seit gestern. – Aber hier auf dem Schreibtisch liegt er ja. Du siehst den Wald vor lauter Bäumen nicht.
 სად არის ჩემი საწერკალამი? გუშინს აქეთ ვეძებ. – აგერ არის საწერ მაგიდაზე. შენ ხომ ცხვირწინ გიდევს და ვერ ხედავ (კაცი ცხენზე ზის და ცხენს ეძებსო ისეა შენი საქმე).
- 69 = **zwischen Baum und Borke (sitzen, stecken, stehen)** – in einem schweren Dilemma, in einer Zwickmühle sein: (nach der Situation eines Beils, das sich beim Behauen eines Baumes verklemmt hat) – მუხრუჭში ჩაჭერილია (მუხრუჭმოჭერილია, მარწუხმოჭერილია)
 „Man konnte nicht mehr in Ruhe leben. Ewig gehetzt, ewig zwischen Baum und Borke“.
 (J. Lafitte – Rose France)
 შეუძლებელი გახდა მშვიდად ცხოვრება, მუდამ დევნილი, მუდამ მუხრუჭში ჩაჭერილი (მუხრუჭმოჭერილი, მარწუხმოჭერილი).
- 70 **BAUSCH – in Bausch und Bogen** –1. im ganzen, insgesamt, ganz u. gar, ohne das einzelne zu berücksichtigen- ხელალებით, განურჩევლად, ერთად, მთლიანად 2. alles in allem, en bloc – მთლიანად, ბითუმად, ერთად
 „Die Umwelt in Bausch und Bogen abzulehnen, damit ist es nicht getan“.
 (H. J. Wille – Feuer im Wind)
 მხოლოდ გარემო პირობების ხელალებით (განურჩეველი გმობით) ვერაფერს მიაღწევ.
 Er kaufte ihm alles in Bausch und Bogen ab.
 მან მისგან ყველაფერი ერთად (ბითუმად, მთლიანად) იყიდა.
- 71 **BEIN – sich (Dat) die Beine / die Füße nach etw. ablaufen** – lange nach etw. suchend herumlaufen – ფეხები დააწყდება (რაიმეს ძებნაში) – ფეხები მეტისმეტად დაეღლება, დაექანცება (რაიმეს ძებნაში)
 Was hab ich mir die Beine nach diesem alten Lexikon abgelaufen; es war nirgends aufzutreiben. (Mdtl).
 ამ ძველი ლექსიკონის ძებნაში ფეხები დამაწყდა; მაინც ვერსად ვიშოვე.

- 72 = **mit beiden Beinen im Leben stehen** – fest im Leben stehen, praktisch und realistisch denken und handeln – მტკიცედ დგას ფეხზე, რეალურად აზროვნებს და მოქმედებს
 Um meinen Freund ist mir nicht bange. Er steht mit beiden Beinen im Leben und wird sich immer zu helfen wissen.
 ჩემი მეგობრის გამო არ მეშინია. იგი მტკიცედ დგას ფეხზე (რეალურად აზროვნებს) და იცის, თავს როგორ დაეხმაროს.
- 73 = **mit einem Beine (oder Fuß) im Zuchthaus (im Gefängnis) stehen** – etw. was hart an der Grenze des Erlaubnis ist, getan haben; tun, etw. was vor dem Gesetz nicht richtig ist; einen risikoreichen Beruf haben, bei dem eine Unachtsamkeit o.ä. schwerwiegende Folgen hat, die einem eine Gefängnisstrafe einbringen kann – ცალი ფეხი ციხეში აქვს
 Wer heute eine Steuererklärung abgeben muss, der steht fast immer mit einem Bein im Zuchthaus
 ვინც გადასახადების გადახდას თავს არიდებს, ცალი ფეხი ციხეში აქვს.
- 74 = **sich ein (kein) Bein ausreißen** – ugs.; sich bei der Arbeit nicht besonders anstrengen – თავს (არ) იკლავს, წელებზე ფეხს (არ) იდგამს
 ... Er machte zwar täglich seine Schulaufgaben, riss sich aber dabei kein Bein aus.
 ის, მართალია, ყოველდღე ასრულებდა თავის სასკოლო დავალებებს, მაგრამ მაინც მუშაობას თავს არ აკლავდა.
 „Reißen Sie sich nur kein Bein aus!“
 (H. Mann – Der Untertan).
 „ამის გულისათვის თავს ნუ იკლავთ!“ (წელებზე ფეხს ნუ იდგამთ!)
- 75 = **jmdm. ein Bein stellen** – jmdm. absichtlich Schaden zufügen – ფეხს გამოსდებს, კვანტს გამოსდებს- შეაფერხებს, დააბრკოლებს, ზიანს მიაყენებს
 „Dem „Affen“ werden wir ein Bein stellen, verlassen Sie sich darauf“.
 (H. Mann – Der Untertan).
 არხეინად იყავით, მაგ „მაიმუნებს“ ფეხს გამოვდებთ.
- 76 = **auf die Beine helfen, bringen** – 1. jmdn. wieder gesund machen -ფეხზე დააყენებს (გამოაჯანმრთელებს, განკურნავს) 2..etwas hochbringen, jmdm. neuen Schwung geben; jmds.Lage verbessern .კვლავ ფეხზე დააყენებს(გააძლიერებს, ეკონომიურ მდგმარეობას გამოუსწორებს).
 Die vier Wochen an der See haben ihm erst richtig auf die Beine geholfen.
 ზღვაზე გატარებულმა ოთხმა კვირამ ის საბოლოოდ გამოაკეთა.
 „Vielleicht,“ meinte sein Kollege, „hilft ihm gerade das noch einmal auf die Beine“.
 „შესაძლოა,“ თქვა მისმა კოლეგამ, „სწორედ ამან ის ერთხელ კიდევ დააყენოს ფეხზე“.
- 77 = **wieder auf die Beine kommen** – 1. sich aufrichten, aufstehen, gesund werden – კვლავ ფეხზე დადგე (გამოაჯანმრთელდე); 2. wirtschaftlich wieder hoch kommen, festen Fuß fassen – ფეხზე დადგე (ეკონომიურად მომძლავრდე)
 „Sie (Frau Beate) will mir helfen, wieder auf die Beine zu kommen, die gute Seele,“ dachte er“.
 (Kellermann – Totentanz)
 „ამ კეთილ ადამიანს (ფრაუ ბეატეს), სურს დამეხმაროს, რომ კვლავ ფეხზე დადგე“, გაიფიქრა მან“.
- 78 = **jmdm. Beine machen (fam)** – jmdn. antreiben, jmdn. fortjagen – რაღაც ძალას აძლევს, ერეკება, მართავს
 Angst machte ihm Beine - შიში ერეკებოდა მას.
- 79 = **sich auf die Beine machen (fam)** – (weg)gehen, aufbrechen; sich auf den Weg machen – გზას გაუდგე
 „Dann machte sich der eine von ihnen auf die Beine und verschwand im Geschwindschritt“.
 (Th. Mann – Der Weg zum Friedhof)

შემდეგ ერთი მათგანი გზას გაუდგა და ჩქარი ნაბიჯით მიმავალი თვალს მიეფარა.

„Es ist schon spät genug, wir müssen uns jetzt auf die Beine machen“.

უკვე საკმაოდ გვიანია, ჩქარა უნდა გავუდგეთ გზას.

- 80 = **die Beine unter den Arm (in die Hand) nehmen** – sich beeilen, schnell laufen, rennen – მოკურცხლავს, უკანმოუხედავად, თავქუდმოგლეჯით, თავ-პირისმტკრევით, კისრისტეხით გაიქცევა, თავდაუზოგავად გაიქცევა
“Als der Gärtner die Kinder unter den Kirschbäumen überraschte, nahmen sie die Beine unter den Arm und verschwanden über den Zaun”.

(H. Buscha, J. Buscha „Deutsches Übungsbuch“).

როცა მეზადემ ბავშვებს აღუბლებქვეშ წაასწრო, ისინი კისრისტეხით გაიქცნენ, მესერს გადაეველნენ და გაუჩინარდნენ.

- 81 = **sich die Beine in den Bauch (in den Leib) stehen, warten** – ugs.; lange stehen u. auf etw. warten müssen – მუხლები ჩაეკეცა ლოდინით
„... Sie (die Abgeordneten) warteten. Sie warteten sehr lange. „Gut, so machten sie sich die Beine in den Bauch warten“.

ისინი (დელეგატები) იცდიდნენ, იცდიდნენ დიდხანს ... „დეე, იცადონ, სანამ მუხლები არ ჩაეკეცებათ ...“

- 82 = **der Klapperstorch / der Storch hat sie / ihr ins Beine gebissen** (scherzh.) – sie ist schwanger – ფეხმძიმეა, ორსულაა.

Die Nachbarstochter hat sich vor kurzem verheiratet und schon hat sie der Storch ins Bein gebissen.

მეზობლის ქალიშვილი ამასწინათ გათხოვდა და უკვე ფეხმძიმეა.

- 83 = **jmdm. ein Klotz am Bein sein** – eine Behinderung, ein Hemmnis für jmdn. sein – ზედმეტი ბარგია, უსარგებლო და დამამძიმებელი რამეა /ვინმეა/, აბრკოლებს, ხელ-ფეხს უბორკავს
„Meinst du, ich hätte nicht gewußt, daß ich auch ein Klotz am Bein war...“

(H. Kant – Die Aula)

გგონია არ ვიცოდი, რომ მეც ზედმეტი ბარგი ვიყავი.

Seine Krankheit ist ihm ein Klotz am Bein.

მისი ავადმყოფობა მას აბრკოლებს, ხელ-ფეხს უბორკავს.

- 84 = **auf den Beinen sein** – 1. auf sein – ზეზეა, ამდგარია; 2. tätig sein – ფუსფუსებს, ტრიალებს; 3. unterwegs sein - გზაშია; 4. gesund sein – ჯანმრთელაა, ჯანზეა
Jacques arbeitete bis spät in die nacht hinein und war um sechs Uhr morgens wieder auf den Beinen“.

(B. Kellermann – Die Stadt Anatol).

უაკი გვიან ღამემდე მუშაობდა და დილის ექვს საათზე უკვე ფეხზე იყო.

„Allein Maud konnte nicht sofort einschlafen. Sie war seit dem frühen Morgen auf den Beinen gewesen und übermüdet“.

(B. Kellermann – Der Tunnel)

მაგრამ მოღმა მაშინვე ვერ დაიძინა. იგი დილიდანვე ფუსფუსებდა და დაღლილი იყო.

Sie sind schon seit drei Stunden auf den Beinen, haben aber immer noch ihr Ziel nicht erreicht.

ისინი სამი საათია გზაში არიან, მაგრამ თავიანთ მიზანს ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს.

Er hat eine schwere Krankheit überstanden, jetzt aber ist er gottlob wieder auf den Beinen.

მან მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, ახლა კი, მადლობა ღმერთს, კვლავ ჯანმრთელაა.

- 85 = **jmdm. einen Knüppel zwischen die Beine werfen** – jmdm. absichtlich Schwierigkeiten bereiten, um ihn zu verhindern – სარმა გამოდო, ვერაგობა, მზაკერობა გაუკეთო, ხრიკები მოუწყო (იხ. Knüppel №759)
 „Der alte Hinrich hat Großvater und Vater schikaniert und, wenn Hermann dir noch keinen Knüppel zwischen die Beine geworfen hat, so geschah es, weil sich ihm noch keine Gelegenheit dazu bot...“
 (Th. Mann – Buddenbrooks)
 „მოხუცი ჰინრიხი ბაბუას და მამას ძირს უთხრიდა და, თუ ჰერმანს ჯერ სარმა არ გამოუდვია, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელსაყრელი შემთხვევა არ მისცემია“.
- 86 = **mit dem linken Bein (zuerst) aufgestanden sein (umg)** – schlecht gelaunt sein – მარცხენა ფეხზეა ამდგარი
 „Trag ihm dein Anliegen jetzt lieber nicht vor. Er scheint heute mit dem linken Bein (zuerst) aufgestanden zu sein und könnte dir deine Bitte rundweg abschlagen“.
 „ნუ განუცხადებ დღეს მას შენს სურვილს (სათხოვარს). ეტყობა მარცხენა ფეხზეა ამდგარი და შეიძლება უარი გაჯახოს“.
- 87 **BEIßEN – nichts (nicht viel) zu beißen und zu brechen/reißen haben** – (wenig) nichts zu essen haben; Hunger leiden - ლუკმა-პურიც არ აქვს, ლუკმა-პური ენატრება, საჭმელი არ აქვს
 Er gab Tage, wo sie nichts zu beißen, und zu brechen hatten.
 იყო დღეები, როდესაც მათ ლუკმა-პურიც კი არ ჰქონდათ (ლუკმა-პურიც კი ენატრებოდათ).
 Wenn sie auch nichts mehr zu beißen haben, zu trinken haben sie doch noch.
 (H. Fallada – Jeder stirbt für sich allein)
 თუ საჭმელი აღარაფერი გააჩნიათ, სასმელი ხომ აქვთ.
- 88 **BERG – über den Berg sein** – das Schlimmste überstanden haben – სიძნელე გადალახულია, გაჭირვება დაძლეულია
 „Du brauchst keine Angst mehr um mich zu haben, ich bin über den Berg, ich brauche dir nicht mehr leid zu tun“.
 (F. Wolf – Menetekel)
 „ჩემი დარდი ნუ გექნება, აღარაფერი დამემართება, ყველაზე დიდი სიძნელე გადალახულია, მეტს ნულარ შემიბრალე“.
 „Du mußt dich verpflichten, in die Raten zu zahlen; dann sind wir zunächst mal über den Berg“.
 (Seghers – Die Toten bleiben jung)
 „შენ უნდა იკისრო ვალის გასტუმრება სამ ვადაში; ეს ჩვენ რამდენიმე ხნით გვისხნის გაჭირვებისაგან“.
- 89 = **über alle Berg sein** – nicht mehr zu erreichen sein – ცხრა მთას იქითაა
 ... Als man sich nach dem Mann zu erkundigen begann, war er schon längst über alle Berge.
 როდესაც ის კაცი მოიკითხეს, ის უკვე ცხრა მთას იქით იყო.
- 90 = **hinterm Berg halten (mit) (fam)** – seine Meinung nicht sagen – დაფარო, საიდუმლოდ შეინახო
 Der Professor war sehr ärgerlich, und er hielt auch mit seiner Meinung nicht hinterm Berg.
 პროფესორი ძალიან გაბრაზებული იყო და მისი აზრი ამის შესახებ არც დაუფარავს.
- 91 = **jmdm. stehen die Haare zu Berge (fam)** - jmdm. sträuben sich die Haare (vor Schreck, Entsetzen, Furcht) – თმები ყალყზე უდვას
 ... Erzählen Sie doch nicht so schauerliche Geschichten! Da stehen einem ja die Haare zu Berge.
 ნულარ ჰყვები ასეთ საშინელ ამბებს! ადამიანს თმები ყალყზე დაუდგება.
- 92 = **goldene Berge versprechen** – sehr viel versprechen, was man meist nicht halten kann – ოქროს მთებს დაჰპირდე, ოქროს კოშკები აუგო

„... Es sind ja nichts als Schwindler, die mir goldene Berge versprochen und mir das Geld aus der Tasche stahlen“.

(B. Kellermann – Totentanz)

ნამდვილი თაღლითები არიან, სხვა არაფერი, ტქროს მთებს მპირდებოდნენ (ტქროს კოშკებს მიგებდნენ) და ამასობაში ჯიბიდან ფულს მაცლიდნენ.

Er hatte mir goldene Berge versprochen, damit ich diese Stelle annehmen sollte. Nie hätte er diese Versprechen halten können?

ტქროს კოშკების აგებას მპირდებოდა ამ ადგილის აგებაში. უნდა მეფიქრა, რომ ვერასოდეს შეძლებდა ამ დაპირების შესრულებას.

93 = **Berge versetzen** (bibl.) – Wunder vollbringen, unmöglich Scheinendes schaffen – მთები შეძრა, მთების გადაადგილო (სასწაული მოახდინო)

Der Glaube versetzt Berge – რწმენა სასწაულებს ახდენს

„...Wie hartnäckig Sie sind“, sagte Grinspan betrübt, „Sie leistenes sich immer wieder, Wunschträume zu haben. Mehr noch: Sie wollen Berge versetzen und Flüsse umleiten“.

(H. Kirst – Die Wölfe)

... რა ჯიუტი ხართ – სევდიანად თქვა გრინშპანმა – სულ ილუზიებს თხზავთ – უფრო მეტიც, გინდათ მთები გადაადგილოთ და მდინარეს კალაპოტი შეუცვალოთ.

94 **BESCHLAGEN – beschlagen sein in etw.** – in etw. erfahren, sich auskennend – გაწაფულია, კარგად ერკვევა (რაიმე სფეროში, დარგში, საქმეში)

„Dagestan – ich kenne das Klima nicht, ... ich bin da nicht so beschlagen“.

(Th. Mann – Der Zauberberg)

დაღესტანი – არ ვიცი რა ჰავაა იქ, ამაში არ ვარ მაინცდამაინც გარკვეული. „Timm war besonders gut auf militärischen und wirtschaftspolitischem Gebiet beschlagen“.

(Bredel – Die Söhne)

ტიმი განსაკუთრებით კარგად იყო მომზადებული (გაწაფული) სამხედრო და ეკონომიურ საკითხებში.

95 **BESCHLUSS – einen Beschluss fassen** – entscheiden, einschließen, beschließen – გადაწყვეტილების მიღება

... Das Ministerkabinett fasste den Beschluss über Wiederaufbau und Rekonstruktion der alten Gebäude.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ძველი შენობების აღდგენისა და რეკონსტრუქციის შესახებ.

96 **BESITZ – Besitz ergreifen** – (etw. besitzen) – დაეუფლა, რაღაცამ მოიცვა

„Dunkelheit, Kälte und Hunger ... diese drei Gespenster ergriffen Besitz von Berlin“.

(Kellermann – Der 9. November)

წყვდიადი, სიცივე და შიმშილი – ეს სამი აჩრდილი დაეუფლა ბერლინს.

Traurigkeit, ein Gefühl der Leere ergriff Besitz von ihm.

მწუხარებამ, სიცარიელის გრძნობამ მოიცვა იგი (სიცარიელის გრძნობა დაეუფლა მას).

97 **BESEN – ich fresse einen Besen** – ich bin sicher (ich bin überzeugt), dass ... ; es wäre ein Wunder, wenn ... თავს დავდებ, თუ ...; კისერს მოვიჭრი, თუ ...

„Klaus hat zwar gesagt, er bringt den Wagen bis heute abend zurück, aber ich fresse einen Besen, dass ihr ihn unter einer Woche nicht mehr zu sehen bekommt (wenn ihr ihn unter einer Woche noch einmal zu sehen bekommt).“

კლაუსმა კი თქვა დღეს საღამომდე მანქანას უკან მოიყვანდა, მაგრამ თავს დავდებ, თუ (კისერს მოვიჭრი, (იხ. Arm №26 Besen №98, Schindluder №1266, Schippe №1267) თუ) თქვენ მას ერთ კვირაზე ადრე ნახავთ (თუ იგი ერთ კვირაზე ადრე გამოჩნდება).

98 = **jmdn. auf den Besen laden** – jmdn. veralbern, nasführen; jmdn. zum Narren halten – გაასულელა, მოატყუა

(იხ. Arm №26, Besten №100, Schindluder №1266, Schippe №1267)

„Thomas hat mir erzählt, dass ihr euer Auto bekommen habt, gratuliere!“ – „Von wegen Auto! Da hat er dich ganz schön auf den Besen geladen“.

თომასი მომიყვა, რომ თქვენ მანქანა მიიღეთ, მომილოცავს! – რა მანქანა! მან გაგასულელათ (მოგატყუილათ).

- 99 **BESSERES – sich eines Besseren besinnen** – seinen Entschluss ändern – გადაიფიქრო
...Sie erfaßte mit den Händen die Armlehnen des Stuhles, um aufzustellen; aber sie besann sich eines Besseren und ließ sich wieder zurücksinken ...

(Th. Mann – Buddenbrooks)

მან ხელი ჩასჭიდა სავარძლის სახელურებს, რომ წამომდგარიყო, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ჩაეშვა სავარძელში ...

- 100 **BESTEN – jmdn. zum besten haben (halten)** – jmdn. foppen, necken – jmdn. nasführen; jmdn. zum Narren halten; jmdn. zur Zielscheibe des Witzes (Spottes) machen – დასცინო, გაამასხარაო (იხ. Arm №26, Besen №98, Schindluder №1266, Schippe №1267)

...Er wird über und über rot. Wollen Sie mich eigentlich zum besten haben, Fräulein Buddenbrook? – fragte er zwischen Lachen und Ärger.

ემაწვილ კაცს სახეზე აღმური მოედო – დამცინით ფროილან ბუდენბროკ? – სიცილით უსაყვედურა მან ტონის.

- 101 = **auf jmdn. nicht zum besten zu sprechen** – keine gute Vorstellung vor jmdm. haben – გულზე არ გეხატებოდეს, კარგს არ ამბობდე
„Die Sache war die, daß der alte Herr auf Ida Jungmann nicht zum besten zu sprechen war“.

(Th. Mann – Buddenbrooks)

ცოდვა გამხელილი ჯობია და, მოხუც ბატონს იდა იუნგმანი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა.

- 102 = **etw. zum besten geben** – 1. mit etw. zur Unterhaltung beitragen - ჩამოფრქვა, ჩამორაკრაკა-2. etw. ausgeben, spendieren-რაიმეთი თავი მოიწონო, გასცე, გაფლანგო (იხ. geben №391)

Dies war der Tatbestand, den Peter Döhlmann am selben Abend im „Klub“ zum besten gab, der mit ungeheurer Schnelligkeit in der Stadt bekannt wurde und sogar dem Schuldirektor zu Ohren kam.

(Th. Mann-Buddenbrooks)

 ...Der Mann ist auf Draht; man kann ihm den wichtigen Posten ruhig anvertrauen.
 ეს კაცი ჩახმახივით შემართულია (კარგად მობილიზებულია), მას შეიძლება ვანდოთ მნიშვნელოვანი წერილები.
 „...Leroux erklärt: „Bei uns gibt’s keine Verräter. Die Jungen sind auf Draht.“
 (J. Lafitte – Rose France)
 ლერუმ განაცხადა: „ჩვენ შორის მოღალატენი არიან. ჩვენი ბიჭები ჩახმახივით შემართულნი არიან.“
- 211 **DRAUF – drauf und dran sein, etw. zu tun** – fast soweit sein, etw. (Negatives) zu tun – საცაა მიაღწევს, ცოტადა აკლია

...Das ehemalige rückständige Rußland war drauf und dran, durch die Durchführung seiner Pläne alle anderen Länder einzuholen und zu überflügeln.

ოდესღაც ჩამორჩენილი რუსეთი საცაა მიაღწევს იმას, რომ თავისი გეგმების განხორციელებით დაეწევა და გაასწრებს ყველა დანარჩენ ქვეყანას.

„... Der Dorfschullehrer war schon drauf und dran den Sozialdemokraten ins Netz zu gehen.“

(Seghers – Die Toten bleiben jung)

სოფლის მასწავლებელი საცაა გაებმებოდა სოციალ-დემოკრატების მიერ დაგებულ მახეში (მახეში გაბმას ცოტადა აკლდა).

- 212 **DRECK – Dreck am Stecken haben** (salopp; abwert) – nicht frei von Schuld sein; ein Unrecht begangen haben, nicht ganz integer sein, sich etw. haben zuschulden kommen lassen - ვალებში იხრჩობა

...Der Müller soll wegen einer solchen Kleinigkeit nicht so viel Aufhebens machen, sondern sich lieber um seinen Bruder kümmern; denn der hat genug Dreck am Stecken.

მიუღერმა ასეთი წვრილმანების გამო ამდენი აურზაური კი არ უნდა ატეხოს (აღიაქოთი არ უნდა ატეხოს), არამედ უმჯობესია მის ძმაზე იხრუნოს, რომელიც ვალებში იხრჩობა.

- 213 **DREH – den Dreh heraushaben** (salopp) - (den richtigen) Dreh raushaben, weghaben – etw. richtig beherrschen; seine Sache verstehen – საქმის საიდუმლო იცის, ხერხი იცის, საქმეს ალღო აუღო

„Arbeite am Anfang nur schön langsam! Es dauert eine ganze Weile, ehe man den Dreh heraus hat; dann aber geht es wie am Schnürchen.“

თავდაპირველად ნელა იმუშავე! საკმაო დრო უნდა გავიდეს, ვიდრე საქმის საიდუმლოს ჩაწვდები (საქმეს ალღოს აუღებ). შემდეგ კი ყველაფერი საათივით აეწეობა.

...Mein Bruder hat den Dreh raus, wie man aus einer Euro fünf Euro macht.

ჩემმა ძმამ ხერხი იცის, როგორ აქციოს ერთი ევრო ხუთ ევროდ.

...Er hat wirklich den Dreh weg, die Aufmerksamkeit aller auf sich zu lenken.

იგი მართლაც რაღაც ხერხს ფლობს, ყველას ყურადღება მიიქცის (მიიპყროს).

- 214 **DREIER – auf jeden Dreier sehen** – kleingeld zählen sehr sparsam leben – გროშებს ითვლის

„Ich weiß nicht, ob sie ganz ehrlich sind, aber Gott sei Dank brauche ich ja nicht auf jeden Dreier zu sehen! Kurz, es ist alles, wie es unserem Namen zukommt.“

(Th. Mann – Buddenbrooks)

არ ვიცი, მთლიანად პატიოსნები არიან თუ არა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გროშების დათვლა არ მჭირდება; მოკლედ, ოჯახი ისე მაქვს მოწეობილი, ჩვენს გვარს რომ შეეფერება.

- 215 **DRUCK – jmdn. unter Druck setzen** - einen Druck (auf jmdn.) ausüben; jmdn. bedrängen; jmdn. mit Drohung zu beeinflussen suchen – გავლენას (ზეგავლენას) ახდენს, აიძულებს

„...Das Ministerium, von zwei verschiedenen Seiten unter Druck gesetzt, hielt sich an die uralte habsburgische Regierungsmaxime, niemals einer Partei völlig recht zu geben und keinen Streit völlig beizulegen.“

(F. Weiskopf – Inmitten des Stroms)

სამინისტრო, რომელზეც ორი მოპირდაპირე მხარე ახდენდა გავლენას, მისდევდა ჰაბსბურგების მართვის ძველისძველ პრინციპს: მთლიანად არასოდეს მიმხრობოდა ერთ-ერთ მოდავეს და არ გადაეწევიტა მთლიანად ერც ერთი დავა.

„Der Lehning, an den er sich in der Angelegenheit der Übersetzungen gewandt hatte, war beobachtet worden und gab, unter Druck gesetzt, den Sachverhalt bekannt.“

(St. Hermlin – Die erste Reihe)

მოწაფე, რომელსაც მან თარგმნის გამო მიმართა, მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მას აიძულებდნენ, საქმის ვითარება გაეცა.

„Hat er versucht, Sie in seinem Sinne zu beeinflussen?“ – „Er hat niemals einen Druck auf mich ausgeübt.“

იგი ცდილობდა თქვენზე ზეგავლენის მოხდენას? – არა, იგი მე არასოდეს არაფერს მაძალებდა (არასოდეს მაიძულებდა რაიმე გამეკეთებინა).

„...Ich kann als Vorsitzender des Arbeiterrats einen Druck auf den Major ausüben,“ sagte Lindner.“

(L. Renn – Krieg, Nachkrieg)

“როგორც მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს, მე შემიძლია ზეგავლენა მოვახდინო მაიორზე,” თქვა ლინდერმა.

216 DRÜCKEN – er weiß, wo mich der Schuh drückt (fam) - er weiß, woran es mir fehlt – ჩემი ტკივილი იცის; იცის, რა მაწუხებს, რა მიჭირს, რა მჭირს

...Du bist seit einigen Tag immer so niedergeschlagen; willst du mir nicht sagen, wo dich der Schuh drückt.

რამდენიმე დღეა კვლავ დათრთუნული ხარ; იქნებ მითხრა, რა გაწუხებს (იქნებ გამიმხილო შენი სატკივარი).

217 = sich drücken (fam) – einer Sache aus dem Wege gehen – საქმე თავიდან აიცილო, საქმეს გვერდი აუარო

...Er drückt sich von jeder Arbeit, die ihm unangenehm ist. Die kommende Wahl wird die Zukunft unseres Volkes bestimmen. Niemand darf sich von dieser wichtigen Entscheidung drücken.

იგი ყველა საქმეს თავიდან იცილებს, რომელიც მას არ სიამოვნებს. მომავალი არჩევნები ჩვენი ხალხის მომავალს განსაზღვრავს. ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას (საქმეს) არავინ არ უნდა აუაროს გვერდი.

218 = jmdn. an die Wand drücken (fam) – jmdn. rücksichtslos übergehen und dadurch benachteiligen – ზიანს მიაყენებს, დაჩაგრავს, კედელზე მიასრესს (მიაჭყლებს)

...Schon seit langem war ihm diese Stelle versprochen; nun soll sie von einem anderen besetzt werden. Er hat völlig recht, wenn er sich darüber beschwert und sich nicht an die Wand drücken lassen will.

დიდი ხანია მას ამ ადგილს პირდებოდნენ, ახლა კი იგი სხვამ დაიკავა. მას სრული უფლება აქვს გაასაჩივროს და თავისი ინტერესები დაიცვას (არ დაუშვას, რომ ზიანი მიაყენონ (დაჩაგრონ)).

219 DRUM – das Drum und Dran - alles/ das, was dazu gehört – ყველაფერი, რაც ამ საქმესთანაა დაკავშირებული, მრავალი გარემოება

„Brentan ließ sich tagsüber kaum sehen. Mit den Handwerkern und allem Drum und Dran fertig zu werden, war ihre Sache.“

(Bredel – Die Söhne)

ბრენტანი მთელი დღის განმავლობაში თითქმის არ გამოჩენილა, ხელოსნების-სათვის ხელმძღვანელობის გაწვევა და ყველაფრის მოგვარება, რაც ამ საქმესთან იყო დაკავშირებული, - ეს ცოლის საქმე იყო.

...Er hätte die Sache längst erledigt, wenn das ganze Drum und Dran nicht gewesen wäre.

იგი დიდი ხანია მოავგარებდა ამ საქმეს, სხვა მრავალი გარემოება რომ არ ახლდეს თან.

220 DRUNTER – drunter und drüber gehen – (es) alles geht planlos, ohne eine bestimmte Ordnung vor sich – არეულ-დარეულია, ყველაფერი თავდაყირა დგას, ეშმაკიც ფეხს მოიტეხს

...Seit unser Direktor im Krankenhaus ist, geht es in unserer Schule drunter und drüber.

მას შემდეგ, რაც ჩვენი დირექტორი საავადმყოფოშია, სკოლაში ყველაფერი თავდაყირა დგას.

„Du hast ja gesehen, ohne uns geht alles drunter und drüber.“

(Seghers – Die Toten bleiben jung)

- შენ ხომ ნახე, უჩვენოდ აქ სრული არეულ-დარეულობაა (ყველაფერი თავდაყირა დგას, ეშმაკიც კი მოიტყვის ფეხს).
- 221 **DU – auf du und du stehen** – vertraut mit jmdm. sein – ძმაბიჭური დამოკიდებულება აქვს
 „Er steht mit den ... Allerhöchsten Herrschaften auf du und du.“
 (Fontane – Der Stechlin)
 ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებთან მას ძმაბიჭური დამოკიდებულება ჰქონდა.
- 222 **DUMM – jmdn. für dumm verkaufen** (sich für dumm verkaufen lassen) – jmdn. für dumm halten – თავი არ გაასულელებიო, არ გაგაცურონ
 „Ich lasse mich nicht gern für dumm verkaufen.“
 (Seghers – Die Toten bleiben jung)
 მე არ მინდა, რომ გამაცურონ (თავს არავის გავასულელებინებ).
 ...Er hat mir erzählt, dass er an der Ware nichts verdient; Ich lasse mich aber von dem nicht für dumm verkaufen.
 მან მომიყვა, რომ საქონელში ვერაფერს ღებულობს (არაფერი არ იყიდება და გასამრჯელოს ვერ იღებს). იგი მე ასე ადვილად ვერ გამაცურობს.
- 223 **DUNKEL – im Dunkeln tappen, im Ungewissen sein** – nichts Genaueres wissen – წყვედიადშია, გაურკვეველობაშია, ბურუსითაა მოცული, საქმე წყვედიადით (ბნელეთით) არის მოფენილი
 ...Herr Müller will seine Stelle verlassen. Über die Gründe für seinen Entschluss tappe ich völlig im Dunkeln.
 ბატონ მიულერს თავისი ადგილის დატოვება უნდა. მისი გადაწყვეტილების მიზეზები ჩემთვის სრულიად გაურკვეველია (ბურუსით არის მოცული).
 „...Ist schon bekannt, wie das Feuer entstanden ist?“ - „Nein, bis jetzt tappen wir noch völlig im Dunkeln, aber die Untersuchungen sind ja auch noch nicht abgeschlossen.“
 უკვე ცნობილია, როგორ წარმოიქმნა ცეცხლი? (როგორ გაჩნდა ცეცხლი) არა, დღემდე ბურუსით არის ეს საქმე ჩვენთვის მოცული, მაგრამ გამოძიებები ჯერ არ დამთავრებულა.
- 224 = **jmdn. im Dunkeln lassen** – jmdn. in Ungewißheit oder im unklaren lassen – გაურკვეველ მდგომარეობაშია, საქმის არსს არ იცნობს, საქმეში არ ახედებს
 ...Ich weiß wirklich nicht, was er vorhat. Er lässt uns über seine Pläne völlig im Dunkeln.
 ნამდვილად არაფერი ვიცი მისი ზრახვების შესახებ. იგი ჩვენ თავის გვეგმებს (საქმის არსს) არ გვაცნობს (საქმეში არ გვახედებს).
- 225 = **dunkle Geschäfte** – unehrliche Geschäfte – შავბნელი საქმეები
 ...Der Mann soll seinen Reichtum durch dunkle Geschäfte erworben haben.
 ამ კაცს თავისი სიმდიდრე შავბნელი საქმეებით უნდა ჰქონდეს ნაშოონი (არა პატიოსანი გზით მოპოვებული).
- 226 = **der dunkle Punkt** – ein unangenehmes Ereignis, von dem man nicht gern spricht – შავი წერტილი, ლაქა (უსიამოვნო წარსული, რომელზეც არ ლაპარაკობენ)
 ...Kein Mensch wird zugeben, dass es in seiner Vergangenheit einen dunklen Punkt gibt.
 არავის შეუძლია თქვას, რომ მის წარსულში რამე შავი ლაქა (წერტილი) არსებობს.
- 227 **DUNST – jmdm. blauen Dunst vormachen** (ugs).- jmdm. etw. vorgaukeln; jmdm. etw. vorspiegeln – ზღაპრებს ავრცელებს, ასულელებს, თვალს უხვევს (იხ.Nase№1003,vormachen№1705, Wind№1781)
 „Überhaupt hat dieser Taubenhaus der Stadt blauen Dunst vorgemacht.“
 (Kellermann – Totentanz)
 საერთოდ ეს ტაუბენჰაუსი მთელ ქალაქში ათასგვარ ზღაპრებს ავრცელებს (ამ ტაუბენჰაუსმა მთელ ქალაქს თვალი აუხვია).
 „Erzähle kurz und bündig, was sich zugetragen hat, und laß dir nicht einfallen, mir (irgendwelchen) blauen Dunst vorzumachen.“

მოკლედ და გარკვევით მოყვი, რა მოხდა, არ გეგონოს, რომ მოახერხებ ჩემთვის თვალის ახვევას (არ გეგონოს, გამოგონილ ზღაპრებს დავიჯერებ).

228 DURCH – etw. geht durch und durch – etw. spricht sehr stark das Gefühl an – რბილში მატანს, მბურძღლავს, ტვინს მიბურღავს

„Ich habe gestern einen Verkehrsunfall miterlebt; es war furchtbar. Ich bin heute noch völlig durcheinander. Eine Fußgängerin ist unter die Straßenbahn gekommen und ... „.....“ Hör bitte auf, mir geht so etwas auch durch und durch, das weißt du doch!“

გუშინ უბედური შემთხვევის მოწმე შევიქმენი. საშინელება იყო. ქვეითად მოსიარულე ტრამვაის ქვეშ მოჰყვა და ... „.....“ შეწყვიტე გთხოვ, ასეთი რამეები ძვალსა და რბილში მატანს (ტანში მბურძღლავს, ტვინს მიბურღავს).

E

- 229 **ECKE – jmdn. um die Ecke bringen** – jmdn. umbringen – სიცოცხლე მოუსწრაფო, წუთისოფელს გამოასაღმო
...Jetzt hatte der Hundsfott Nicolas ihren (Madame Levasseurs) Schwiegersohn für nichts und wieder nichts um die Ecke gebracht.
(Feuchtwanger - Narrenweisheit)
...ახლა ამ არამზადა ნიკოლასმა სულ ტყუილუბრალოდ წუთისოფელს გამოასაღმა მისი სიძე (სიცოცხლე მოუსწრაფა მის სიძეს, მოუსავლეთში გაგზავნა მისი სიძე).
- 230 = **um die Ecke sein** – sterben, Hingang, Ableben, aufhören zu leben – საიქიოს გაემგზავრა
„Hauptsache ist, daß der Mensch um die Ecke ist.“
(H. Mann – Der Untertan)
„მთავარი ის არის, რომ ეს ადამიანი საიქიოს გაემგზავრა.“
- 231 = **um / über sieben Ecken verwandt sein** (mit jmdm.) – mit jmdm. weitläufig verwandt sein – შორეულ ნათესავად ეკუთვნის
...Mit ihm bin ich über sieben Ecken verwandt.
იგი შორეულ ნათესავად მეკუთვნის.
- 232 **EFFEFF – etwas aus dem Effeft verstehen / beherrschen können** – etwas hervorragend beherrschen / können/ verstehen – დახელთავებული აქვს, დახელოვნებულია
...Zudem versteht er technisch seine Sache aus dem Effeft.
(Fr. Wolf - Meneteck)
ამასთანავე, რაც შეეხება საქმის ტექნიკურ მხარეს, ეს მას დახელთავებული ჰქონდა (ამაში ის დახელოვნებული იყო).
...Albert verstand die Kunst des Wurstmachens aus dem Effeft.
(A.Zweig –Das Beil von Wandsbeck)
ძევის დამზადების ხელოვნებაში ალბერტი დაოსტატებული იყო.
- 233 **EHE – eine Ehe eingehen, schließen** – sich verheiraten - დაქორწინება
„...indem ich diese zweite Ehe eingehe, mache ich nur meine erste Ehe wieder gut, denn das ist meine Pflicht unserem Namen gegenüber.“
(Th. Mann - Buddenbrooks)
„ამ მეორე ქორწინებით მე მხოლოდ ვასწორებ პირველი ქორწინების შეცდომას, და ეს ჩემი მოვალეობაა ჩვენი ოჯახის სახელის წინაშე.“
- 234 **EHRE – es gereicht jmdm. zur Ehre** – jmdm. Ehre, Hochachtung erweist – პატივს დასდებს, პატივს მიაგებს
...Dennoch war es ... Frau Antonies heißester Wunsch, daß ihre Tochter ... Heirat machen möge, welche ...der Familie zur Ehre gereichen würde.
(Th. Mann - Buddenbrooks)
ფრაუ ანტონიას ყველაზე სანუკვარი სურვილი მაინც ის იყო, რომ მისი ქალიშვილის ქორწინებას პატივი დაედო ბუდენბროკების ოჯახისათვის.
- 235 = **mit etwas Ehre einlegen** – etwas so gut machen, dass es gelobt wird – ქება დაიმსახურო
...Mit dieser Arbeit kannst du keine Ehre einlegen, du hast so viele Fehler gemacht.
ამ ნამუშევართი ქებას არ იმსახურებ! რამდენი შეცდომა დაგიშვია.
- 236 **EI – wie aus dem Ei geschält, gepellt** (fam) – geflegt, gut und sorgfältig gekleidet – კონტად გამოწყობილია, გამოწკიპულია
...Das hatte soeben der breitschultige, wie aus dem Ei geschälte Offizier ... verkündet ...
(Kellermann - Totentanz)
... ეს სწორედ ახლახან გამოაცხადა მხარბეჭიანმა, კონტად გამოწყობილმა (გამოწკიპულმა) ოფიცერმა.
... Die Kinder sahen immer aus wie aus dem Ei gepellt.

- ბავშვები ყოველთვის კოხტად გამოწყობილნი არიან.
- 237 = **wie ein rohes Ei behandeln** (fam) – mit großer Vorsicht behandeln – სათუთად მოექცე, რუდუნებით დატრიალებდე თავს
 ...Er ist ein sehr empfindlicher Mensch. Wenn man ihn nicht wie ein rohes Ei behandel, ist er beleidigt und fühlt sich zurückgesetzt.
 ...იგი ძალიან მგრძობიარე ადამიანია. მას თუ სათუთად არ მოექცე, შეურაცხყოფილად და დათრგუნვილი გრძობს თავს.
- 238 **EID – den Eid ablegen, leisten** – feierliche Bekräftigung einer Aussage vor einer zuständigen Instanz – ფიცს დადებს
 ...Vornächst leisteten alle widerstandslos den verlangten Eid der Treue und des Gehorsams.
 (Feuchtwanger – Die häßliche Herzogin)
 ჯერჯერობით ყველამ წინააღმდეგობის გაუწევლად დადო ერთგულებისა და მორჩილების ფიცი.
 ... Er (Joachim) sprach mit begeistertem Lächeln von dem Fahneneid, den er nun baldigst ablegen würde.
 ... იგი (ოახიმი) აღფრთოვანებული ღიმილით ლაპარაკობდა იმ ფიცზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა დაედო.
- 239 = **den Eid abnehmen** – jmdn. in Eid und Pflicht nehmen, jmdn. vereiden – ფიცი დაადებინო, ფიცი ჩამოართვა
 ...Den jungen Soldaten wurde der Eid abgenommen.
 ახალგაზრდა ჯარისკაცებს ფიცი დაადებინეს.
- 240 = **den Eid brechen** – Nichteinhaltung eines Eides – ფიცი გატეხო
 ...Er wusste, dass er durch seine unüberlegte Tat den Eid gebrochen hatte.
 მან იცოდა, რომ თავისი მოუფიქრებელი საქციელით ფიცი გატეხა.
- 241 **EINBROCKEN – sich etwas einbrocken und auslöffeln** – sich etwas Schönes oder eine schöne Suppe einbrocken (fam) – etwas tun, was unangenehme Folgen hat – ძალი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოს
 „...Wenn man sich sowas eingebrockt hat, muß man’s auch auslöffeln.“
 (F. Weiskopf – Inmitten des Stroms)
ძალი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოს.
- 242 **EINFLUSS – Einfluss ausüben** (auf jmdn.) – jmdn. beeinflussen – გავლენა იქონია, გავლენა მოახდინა
 ...Die Werke Tolstois übten auf Thomas Mann einen äußerst starken Einfluss aus.
 ტოლსტოის ნაწარმოებებმა უაღრესად ძლიერი გავლენა იქონია თომას მანზე.
- 243 **EINHALT – Einhalt gebieten tun** (jmdm.) – durch energisches Entgegenreten jmdn. dazu veranlassen, etwas nicht weiterzuführen, etwas schädliches, störendes abstellen – დააცხრო, შეაჩერა, აღკვეთა
 ...Die Besatzung der Städte war zu gering, um ihnen (den Landsknechten) Einhalt zu tun.
 (Hauff - Lichtenstein)
 ქალაქების მეციხოვნეთა ძალები მეტად მცირე იყო, რომ შეეჩერებინათ (აღკვეთათ) ლანდსკნესტების მოქმედება.
 ...das sozialistische Weltsystem und die auf dem ganzen Erdball mobilisierten Friedenskräfte können den Kriegstreibern Einhalt gebieten.
 მსოფლიო სოციალისტურ სისტემას და მთელ დედამიწაზე მობილიზებულ მშვიდობის ძალებს შეუძლიათ შეაჩერონ (აღკვეთონ) ომის გამწალებლების მოქმედება.
 „Du wirst dich mühen, dem Zorn des Volkes Einhalt zu tun. Aber wer kann das?“
 (Feuchtwanger – Die Jüdin von Toledo)
- 244 **EINKLANG – im Einklang stehen** – als richtig angebracht, wohltuend empfundene Übereinstimmung, Harmonie – შესამებულია, შეთანადებულია
 ...Die Kraft des Wortes stand mit der Tiefe der Gedanken im schönsten Einklang.

(G. Parthey – Das Haus in der Brüderstraße)

სიტყვის ძალა საუცხოოდ იყო აზრის სიღრმესთან შესამეზობელი.

- 245 **EINSICHT – etwas verschließt sich der Einsicht** – etwas ist schwer zu begreifen – გონება ვერ სწვდება, ძნელი გასაგებია
...Das waren Dinge, der sich der Einsicht verschlossen.

(Th. Mann – Der Zauberberg)

ეს ისეთი რამ იყო, რომ გონება ვერ სწვდებოდა.

- 246 = **Einsicht / Einblick haben, nehmen** (in etwas) – jmdm. Einsicht in die Unterlagen (Akten) gewähren – etwas prüfend, suchend durchsehen / durchlesen; jmdm. erlauben unklaren, nicht durchschauten Sachverhalt zu klären – გაეცნო, ჩაუკვირდე; მასალების, საქმის ვითარების გაცნობის შესაძლებლობა მისცე
...Haben Sie Einsicht in die Akten genommen? Möchte ich die Leute fragen.

(Becher – Abschied)

... მსურდა მეკითხა ადამიანებისათვის: გაეცანიო (ჩაუკვირდიო) ამ საქმის მასალებს?

...Sie hatten die Möglichkeit, in viele Dinge Einblick zu nehmen.

მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მრავალ საგანს გაცნობოდნენ.

...Wenn Sie mir Einsicht in die Akten gewähren, kann ich vielleicht Sachverhalt besser klären (schildern).

თუ მასალების გაცნობის შესაძლებლობას მომცემთ, ალბათ შევძლებ საქმის ვითარების ახსნას (წარმოდგენას).

- 247 **EINTRICHTERN– jmdm. etwas einrichtern** (fam) – 1. jmdn. etwas mit sehr großer Mühe lehren- დააზუთხვინა (wie man mit dem Trichter Flüssigkeit in eine enge Flasche eingießt; „Nürnberger Trichter“); –2. jmdm. etwas (zu essen oder zu trinken) aufnötigen – ძალით აჭამა, შეასვა, ჭამა-სმით გახეთქა, ჩაახეთქა

...Vieles von dem, was man den Kindern einrichtert, haben sie bald wieder vergessen.

...ბევრ რამეს, რასაც ბავშვებს აზუთხვინებენ, მათ მალე ისევ ავიწყდებათ.

..Bei der Geburtstagsfeier haben meine Kollegen mir so viel Wein und Schnaps eingetrichtet, dass mir ganz übel wurde.

დაბადების დღის საღამოზე მეგობრებმა იმდენი ღვინო და არაყი დამალევივნეს (ჩამახეთქეს), რომ ცუდად გავხდი.

- 248 **EINTRÄNKEN – es jmdm. eintränken etwas / es jmdm. eintränken** (ugs;) jmdm. etwas heimzahlen – სამაგიერო გადაუხადა, სამაგიერო მიუხლო, შური იძია, შავი ღლე აყარა

„Aber jetzt hat er’s hinter sich, und gut ist’s gegangen. eingetränkt hat er’s ihnen.“

(Feuchtwanger - Erfolg)

„მაგრამ ახლა საქმე უკვე გაკეთებულია, და ყველაფერი მოგვარდა. მან სამაგიერო გადაუხადა (მაგიერი მიუხლო, შური იძია).“

„Adieu, mein Bester,“ sagte Madame Levasseur. „Adieu auch im Namen meiner Theresa. Und wenn ich Sie noch ein einziges Mal mit ihr zusammen erwische, dann tränke ich es Ihnen ein.“

(Feuchtwanger - Narrenweisheit)

„მწვიდობით, ჩემო ძვირფასო,“ თქვა ქმა ლევასერმა. „მწვიდობით ჩემი ტერეზას, იცოდეთ, ვერ გადამირჩებით (შავ ღლეს დაგათენებთ).“

- 249 **EINZUG – Einzug halten** – einziehen – შეხვიდე, შებრძანდე

...und es währte nicht lange, so hielt der Kaiser Napoleon seinen Einzug in Berlin.

(G. Parthey – Das Haus in der Brüderstraße)

...ცოტა ხნის შემდეგ იმპერატორი ნაპოლეონი ბერლინში შევიდა.

- 250 **EIS – aufs Eis (Glatteis) führen** (jmdn.) – nicht auf den richtigen Weg bringen, irrenführen – ყინულზე გაგაცურონ, სამძიმო მდგომარეობაში ჩაგაგდონ

„Verzeihen Sie, wenn ich skeptisch bin. Ich fürchte, Sie lassen sich aufs Glatteis führen.“

(Pettlitz – Unterwegs nach Deutschland)

- „მაპატიეთ, რომ ამას ასე სკეპტიკურად ვეკიდები. თქვენ საშუალებას აძლევთ ყინულზე გაგაცურონ (სამძიმო მდგომარეობაში ჩაგაყენონ).“
- 251 EISEN – (jmdn.) zum alten Eisen werfen** (fam) – jmdn. als verbraucht und veraltet ansehen – არქივს ჩაბარდა, მოძველდა
 ...Diese Hypothese ist schon längst zum alten Eisen geworfen.
 ეს ჰიპოთეზა უკვე დიდი ხანია არქივს ჩაბარდა (მოძველდა).
 ...Der alte Herr wollte nach seiner Pensionierung noch nicht zum alten Eisen geworfen werden und arbeitete in dem Geschäft seines Sohnes weiter.
 მოსუცს არ უნდოდა პენსიაზე გასვლის შემდეგ არქივში ჩაბარებულ (მოძველებულ) ადამიანად ეგრძნო თავი და მისი ვაჟიშვილის მაღაზიაში კვლავ განაგრძობდა მუშაობას.
- 252 = mehrere Eisen im Feuer haben** (fam) – sich nach mehreren Seiten sichern – თავდასაძვრენი გქონდეს, თავდასაძვრენი საშუალება გამოიხატოს
 ...Agathe ... sagte weich: „Ich denke, es ist in diesen Zeiten das beste, so viele Eisen wie nur möglich im Feuer zu haben.“
 (F. Weiskopf – Inmitten des Stroms)
 აგათემ ... ალერსიანად თქვა: „მე მგონია, ასეთ დროს უმჯობესია რაც შეიძლება მეტი თავდასაძვრენი გქონდეს.“
 ...Wenn ich bei dieser Firma keine Stellung finde, ist das nicht so schlimm; ich habe mehrere Eisen im Feuer.
 ...თუ ამ ფირმაში ადგილს ვერ ვნახავ, არაფერია საგანგაშო. მე რადაცას გამოვინახავ (რადაცას მოვინახერხებ, თავდასაძვრენს (თავის გატანის საშუალებას) გამოვინახავ).
- 253 ELEMENT – in seinen Element sein** (fam) – sich wohl fühlen, sich sicher fühlen (wie z. B. der Fisch im Wasser) – თავის სტიქიაშია, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში
 ...Als man auf die Technik zu sprechen kam, fühlte sich der Ingenieur in seinem Element.
 როგორც კი ლაპარაკი ტექნიკაზე ჩამოვარდებოდა, ინჟინერი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.
 ...Rumpf zündete sich eine Zigarette an und lachte schallend. Nun war er in seinem Element.
 (Kellermann - Totentanz)
 რუმპფმა სიგარეტს მოუკიდა და ხმამაღლა გადაიხარხარა. ახლა ის თავის სტიქიაში იყო.
- 254 ENDE – mit seinem Latein (seiner Weisheit) zu Ende sein** (fam) – nicht mehr weiter wissen – მეტი არ გაეგება, მისი ცოდნის დონე ამოწურულია
 ...Sein Hausarzt hatte ihm geraten, wegen der Schmerzen einen Facharzt aufzusuchen; er selber sei mit seinem Latein zu Ende.
 ოჯახის ექიმმა ურჩია მას, ტკივილების გამო ექიმ-სპეციალისტი ენახა. მისი დონე ამ საკითხში ამოწურდა (მას მეტი არ გაეგებოდა).
- 255 = das Ende vom Lied** (fam) – der (unangenehme) enttäuschende Ausgang einer Sache – საქმის დასასრული, საქმის ბოლო, აი, რით დაბოლოვდა საქმე
 ...Das war das Ende vom Lied – verkürzte Arbeitszeit, verkürzter Arbeitslohn, Streikverbot.
 (Seghers – Die Toten bleiben jung)
 აი, რითი დაბოლოვდა საქმე: არასრული სამუშაო დღე, შემცირებული ხელფასი, გაფიცვების აკრძალვა
 ...während der ersten Tage meiner Reise habe ich zu viel Geld ausgegeben; das Ende vom Lied war, dass ich früher nach Hause fahren musste.
 ჩემი მოგზაურობის პირველ დღეებში ძალიან ბევრი ფული დავხარჯე. საქმე იმით დამთავრდა, რომ იძულებული ვიყავი დროზე ადრე დაებრუნებულიყავი შინ.
- 256 = das dicke Ende kommt nach** (fam) – das Unangenehme kommt zum Schluss – ყველაზე არასასურველი (არასასიამოვნო) ჯერ კიდევ წინ არის (ჯერ კიდევ გველის)

- ...Wenn der Vater auch heute nichts sagt – das dicke Ende kommt nach ...
(J. Luk – Schuberts Lebensjahre)
თუმცა მამა დღეს ხმას არ იღებს, ყველაზე არასასიამოვნო ჯერ კიდევ წინ არის (ჯერ კიდევ გველის).
- 257 = **kein Ende nehmen** – sich nicht beenden , nicht aufhören – ბოლო არ უზანს, ბოლო არ მიეცა, საშველი არ დაადგა.
...Die Trinkssprüche wollen kein Ende nehmen.
(Kellermann - Totentanz)
სადღეგრძელოებს ბოლო არ უზანდა (საშველი არ დაადგა).
- 258 **ENGE - jmdn. in die Enge treiben** – jmdn. jede Möglichkeiten zu entrinnen nehmen – ჩიხში მიიმწყვდია, გასაქანი არ მისცა
...Die Lehrerin geriet in Verlegenheit, als sei sie in die Enge getrieben und müsse sich herausreden.
(Th. Mann – Der Zauberberg)
მასწავლებელი ქალი შეკრთა, თითქოს ჩიხში მიიმწყვდიეს და იძულებულია თავი იმართლოსო.
...Durch seine geschickten Fragen trieb der Richter den Angeklagten so in die Enge, dass dieser schließlich seine Schuld zugeben musste.
მისი მარჯვე შეკითხვებით მოსამართლემ ბრალდებული ისე მიიმწყვდია ჩიხში, რომ იგი იძულებული იყო ბოლოს თავისი დანაშაული ელიარებინა.
- 259 **ENTSCHLUSS – einen Entschluss fassen** – eine Entscheidung treffen – etwas entscheiden – გარკვეული გადაწყვეტილება მიიღო
...Jedenfalls wird es höchste Zeit, einen klaren Entschluß zu fassen.
(Kellermann - Totentanz)
ყოველ შემთხვევაში უკვე დროა მივიღოთ გარკვეული გადაწყვეტილება.
- 260 **ERBE – jmdn. zum Erben einsetzen** – jmdn. als Inhaber(in) großes Vermögens, Eigentums nach dem Tode anerkennen – მემკვიდრედ გამოაცხადო
...Er hatte Gilberte zu seiner Universalerbin eingesetzt.
მთელი თავისი ქონების ერთადერთ მემკვიდრედ მან უილბერტი გამოაცხადა.
- 261 **ERFOLG – von Erfolg gekrönt sein** – Erfolg erzielen, Erfolg erreichen- წარმატებით დაგვირგვინდება
...Aber diese Bemühungen wurden von keinem Erfolg gekrönt.
(Th. Mann – Der Weg zum Friedhof)
მაგრამ ეს გულმოდგინება წარმატებით არ დაგვირგვინდა.
- 262 **ERKUNDIGUNG – Erkundigung einziehen** – um Auskunft bitten, durch Fragen etwas zu erfahren suchen, nachfragen – ცნობები შეკრიბო
„Sie, mein Freund, werden in der Stadt Erkundigungen einziehen.“
(Kellermann - Totentanz)
„თქვენ, ჩემო მეგობარო, ცნობებს შეკრებთ ქალაქში.“
- 263 **ERLAUBNIS – die Erlaubnis erwirken** – Genehmigung, Zustimmung, Bestätigung, dass man etwas zu tun darf – ნებართვა მიიღო
„Es wäre also nichts anderes zu tun, als mir bei Doktor Sandkuhl diese Erlaubnis zu erwirken.“
(Kellermann - Totentanz)
ერთადერთი, რაც იყო გასაკეთებელი – ეს გახლდათ ექიმ ზანდკულისაგან ჩემთვის ნებართვის მიღება.“
- 264 **ERNST – jmdn. etwas ernst nehmen** – jmdn. für vollwertig betrachten – სერიოზულად ჩათვალო, სერიოზულად მოეკიდო
...Der (Paul) spielte auch gern den Politiker und Strategen. Aber ernst nahm er das alles nicht.
(Bredel – Die Enkel)

- მას (პავლეს) უყვარდა პოლიტიკაში და სტრატეგიაში კარგად გარკვეულ კაცად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ ყოველივე ამას ის სერიოზულად არ ეკიდებოდა.
- ... Dieser Mensch sagt heute dies und morgen genau das Gegenteil; man kann ihn doch nicht ernst nehmen.
- ეს ადამიანი დღეს ამას ამბობს, ხვალ კი სრულიად საპირისპიროს. მას სერიოზულად ვერ ჩათვლი კაცი (მასზე სერიოზული დაყრდნობა არ შეიძლება).
- 265** = **mit etwas Ernst machen** – etwas in die Tat umsetzen – etwas wirklich tun – ნამდვილად ჩამდენია, საქმის გამკეთებელია
 ...Sie glaubten, dass ihr Gegner nur droht. Aber was werden sie unternehmen, wenn er wirklich Ernst macht?
 მათ სჯერათ, რომ მათი მოწინააღმდეგე მხოლოდ იმუქრება. მაგრამ რას გააწყოებენ (რას მოიმოქმედებენ), თუ ის ამას ყოველივეს ნამდვილად ჩაიდენს. (თუ იგი ამის ნამდვილად ჩამდენია, ამის გამკეთებელია).
- 266** = **der Ernst des Lebens** – die Schwierigkeiten des Lebens – ცხოვრების აე-კარგი, ცხოვრების ჭირ-ვარამი, სირთულეებით სავსე ცხოვრება
 ..Nach der Schulzeit beginnt für alle der Ernst des Lebens.
 სკოლის დამთავრების შემდეგ ყველასთვის სირთულეებით სავსე ცხოვრება იწყება (დრო დგება, ცხოვრების აე-კარგ გამოცდა).
- 267** **ERSTAUNEN – in Erstaunen geraten** – sich wundern – განცვიფრდა, გაიკვირვა
 ...Als man ihm das erzählte, geriet er in Erstaunen.
 როდესაც ეს უამბეს, ის განცვიფრდა.
- 268** = **in Erstaunen (ver)setzen** – jmdn. bewundern, erstaunen – in stauen Verwunderung setzen – გააოცო, გააკვირო
 ...Wäre Christa in diesem Augenblick eingetreten, es hätte ihn nicht in Erstaunen versetzt.
 (Kellermann - Totentanz)
 კრისტა რომ შემოსულიყო ამ წუთში, მას ეს სრულეებით არ გაუკვირებოდა (არ გააოცებდა).
 ...Er setzte alle Welt in Erstaunen durch Unternehmungen, die etwas ... Phantastisches hatten.
 (Th. Mann – Friedrich II)
 ის აკვირვებდა ყველას თავისი წამოწყებებით, რომელსაც რაღაც ფანტასტიკური იერი დაჰკრავდა.
- 269** **ERSTE – der (die, das) erste beste** – der (die, das) zunächst sich anbietende – პირველსავე მოხონელი, პირველად შემხვედრი
 „Das Mädchen heiratete aus Ärger den ersten besten Mann ...“
 (Heine)
 „გულნატკენი ქალიშვილი პირველსავე მოხონელს გაჰყვა ცოლად.“
- 270** **ESSIG – es ist Essig damit** (ugs.) – es ist vorbei (aus mit etwas) – es wird nichts mehr aus etwas; etwas kommt nicht mehr Zustande – ჩაიშალა, ჩაიფუშა, აღარაფერი გამოვა (ამ საქმიდან)
 ... Er setzte Therese auseinander, leider habe Maistre Gibert recht ... Mit der Hochzeit sei es Essig.
 (Feuchtwanger - Narrenweisheit)
 მან განუმარტა ტერეზას, რომ ბ-ნი უიბერი, სამწუხაროდ, მართალია ... ქორწილი ჩაიშალა (ჩაიფუშა).
- 271** **EULE – Eulen nach Athen tragen** – etwas Überflüssiges tun – ზედმეტია, გადაჭარბებულია
 ... Meine Freundin hat ein Hutgeschäft. Ihr einen Hut zu schenken, heiße Eulen nach Athen tragen.
 ...ჩემს მეგობარს ქუდების მაღაზია აქვს. მას ქუდი აჩუქო, ზედმეტად მიმაჩნია.

F

- 272 **FADEN - den Faden verlieren** – vom Thema abkommen, nicht mehr wissen; nicht im logischen Zusammenhang fortfahren können – აზრები დაეხნა, საუბრის კვანძი გაუწყდა
 Die Rede war sehr schlecht, immer wieder verlor der Redner den Faden und musste in seinem Manuskript nachlesen.
 მისი გამოსვლა ძალიან ცუდი იყო, აზრები ებნეოდა და იძულებული შეიქმნა თავის ხელნაწერში წაეკითხა.
- 273 = **die Fäden in der Hand halten** – eine Sache allein leiten – (Hergeleitet von den Fäden der Marionetten beim Puppenspiel) – მართვის სადავეები ხელთ უპყრია, ერთპიროვნულად მართავს
 Der Ministerpräsident hielt die Fäden der Politik in seiner Hand.
 პრემიერ-მინისტრს პოლიტიკის სადავეები ხელთ ეპყრა.
- 274 = **an einem (seidenen) Faden hängen** – in größter Gefahr sein – ბეწვზე ჰკიდია
 Der Patient genas, doch sein Leben hatte nur an einem seidenen Faden gehangen.
 პაციენტი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მისი სიცოცხლე მაინც ბეწვზე ეკიდა.
- 275 **FAHREN – mit etwas gut (schlecht) fahren (bei einer Sache)** - mit etwas gute (schlechte) Erfahrungen machen – ჭკუას (არ) წააგებ, არაფერს წააგებ
 Wenn Sie diesen Radioapparat kaufen, werden Sie damit nicht schlecht fahren.
 თუ ამ რადიომიმღებს იყიდით, ჭკუას არ წააგებთ (არაფერს წააგებთ).
- 276 **FAHRT – in Fahrt kommen (umg.):** - in Stimmung kommen; in Wut geraten – თავი აიშვა, აიწყვიტა, ხასიათზე მოვიდა; გაბრაზდა, აფეთქდა
 Nach dem zweiten Glas Wein kam er richtig in Fahrt und unterhielt die ganze Gesellschaft allein.
 მეორე ჭიქა ღვინის შემდეგ იგი მან აიწყვიტა (ხასიათზე მოვიდა) და მთელი საზოგადოება გაართო.
 Lass dich nicht mit dem Mahler ein, der kommt leicht in Fahrt.
 მოეშვი მაღერს, ხომ იცი, რომ იგი ადვილად ბრაზდება.
- 277 **FALLE – in die Falle gehen** – 1. die lüstige Verlockung nicht erkennen, sich überlisten lassen – ხაფანგში მოემწყვდა, მახეში გაება; 2. (fam) ins Bett gehen – დასაძინებლად წავიდა
 Der Angeklagte ging in die Falle, die ihm der Richter gestellt hatte.
 ბრალდებული მოსამართლის მიერ დაგებული ხაფანგში გაება.
 Ich bin heute todmüde und werde zeitig in die Falle gehen.
 დღეს ძალიან დაღლილი ვარ და დროზე დავწვები დასაძინებლად.
- 278 = **jmdm. eine Falle stellen** – jmdm. in eine Falle locken – მახე დაუგო, ხაფანგში მოიმწყვდიო
 Der Vater des entführten Kindes wollte dem Erpresser eine Falle stellen.
 გატაცებული ბავშვის მამას უნდოდა მოძალადე ხაფანგში მოემწყვდიოდა.
- 279 **FALLEN – immer auf die Füße fallen** – auch in kritischen Situationen immer Glück haben (wie eine Katze, die bei einem Fall meist keinen Schaden nimmt) – მოხერხებულად გამოძვრე, (შევ. კატა ზურგით არ დაეცემა)
 Man braucht um ihn keine Angst zu haben, er fällt immer auf die Füße.
 მის გამო ნუ გეშინიათ, იგი ყოველთვის მოხერხებულად გამოძვრება.
- 280 = **aus dem Rahmen fallen** – ungewöhnlich sein – ყოველად უჩვეულო რამაა, არასტანდარტულია, ჩარჩოში არ ზის, განსხვავებულია, ჩვეულებრივის ფარგლებს სცილდება
 Fast alle in dieser Ausstellung gezeigten Plastiken waren Durchschnitt. Nur zwei Werke des Bildhauers B. fielen aus dem Rahmen.
 თითქმის ყველა ამ გამოფენაზე წარმოდგენილი სკულპტურული ნაწარმოები საშუალო დონის იყო. ყოველად უჩვეულო რამ იყო (განსაკუთრებული

- ...ყოფილი გამოეჩინა)მხოლოდ მოქანდაკე B-ს მიერ წარმოდგენილი ორი ქმნილება.
- 281** = **aus der Rolle fallen** – gegen gutes Benehmen verstoßen (Rolle - das, was ein Schauspieler in einem Theaterstück zu sagen hat) – უხერხულობაში ჩავარდე
Mit seinen schlechten Witzen fällt er dauernd aus der Rolle.
მისი ცუდი ხუმრობის გამო იგი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება.
- 282** = **jmdm. in die Hände fallen** - in die Gewalt oder den Besitz eines Menschen geraten – მფლობელობაში მოექცე, გავლენაში მოექცე, ხელში ჩაუვარდე
Er glaubte ein besonders gutes Geschäft zu machen; Leider musste er später feststellen, dass er Betrügern in die Hände gefallen war.
მას ეგონა, რომ განსაკუთრებულად კარგ საქმეს მოკიდა ხელი; სამწუხაროდ გვიან დაადგინა, რომ მატყუარების გავლენის ქვეშ მოექცა.(გაიძვერებს ჩაუვარდა ხელში).
Bei dem gestrigen Villeneinbruch fielen den Dieben wertvolle Schmuckgegenstände in die Hände.
გუშინდელი ვილაში შეჭრით ქურდებს ძვირფასი განძი ჩაუვარდათ ხელში.
- 283** = **mir fällt ein Stein vom Herzen** – eine große Sorge ist mir genommen – გულზე მომეშვა, გულიდან ლოდი ჩამომიგორდა
Als der Professor mir sagte, dass er mit meiner Arbeit sehr zufrieden sei, fiel mir ein Stein vom Herzen.
გულზე მომეშვა (გულიდან ლოდი ჩამომიგორდა), როცა პროფესორმა მითხრა, რომ ჩემი ნაშრომით კმაყოფილია.
- 284** = **mit der Tür ins Haus fallen** (fam) – etwas unvermittelt oder unvorbereitet vorbringen, direkt aufs Ziel losgehen – სახლში ძალით შეუვარდე, ჯიქურ მიეძალო, პირდაპირ შეტევაზე გადახვიდე, გაცხარდე
Bei Verhandlungen mit Herrn B. muss man vorsichtig und geschickt vorgehen. Auf keinen Fall darf man mit der Tür ins Haus fallen.
ბატონ ბ. მოლაპარაკების დროს ფრთხილად და მოქნილად უნდა მოექცეთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჯიქურ მიეძალება.
...Nur nicht gleich mit der Tür ins Haus! Wie du doch Augenblick in Feuer und Flammen stehst. (Schiller-Kabale und Liebe)
რისთვის ცხარობ, დამშვიდდი! უცებ აინთები ხოლმე.
- 285** **FALSCH** – **an den Falschen kommen** – in die Falsche geraten – ანგარიშში მოტყუვდა, ნახტომი შეეშალა
“Er wollte ihn mit einem Blick einschüchtern, ... da kam er aber an den Falschen”.
(Hauff - Der Mann im Mond)
მას უნდოდა ის ერთი შეხედვით დაემინებინა, ... მაგრამ სხვა ბიჭი დახვდა (ანგარიშში მოტყუვდა), ნახტომი შეეშალა.
- 286** **FANG** – **einen guten Fang machen** (einen guten fetten Fang machen, tun (etw. Gutes finden) – einen unerwarteten Erfolg haben – იღბლიანი შენაძენი გააკეთა, ბედმა გაუღიმა
...Das ist etwas für ihn, ein Coup, ein guter Fang. Damit kann er manche Scharte auswerten und den Leuten zeigen, daß bis heute die Firma J. Buddenbrook noch nicht gänzlich von Glück verlassen ist.
(Thomas Mann ‚Buddenbrooks‘)
ვიფიქრე: ეს საქმე ტომისთვის მისწრება იქნება. სწორედ ბედი უღიმის-მეთქი. ამით შეიძლება ზარალი აინაზღაუროს და ხალხსაც დაანახოს ფირმა „იოჰან ბუდენბროკს“ ბედი ისევ წყალობსო.
...Bei der Razzia im Bahnhof wurden zwei Männer festgenommen, weil sie keine Ausweise bei sich trugen. Die Polizei hatte einen guten Fang gemacht, den der eine von ihnen war ein lange gesuchter Einbrecher.

რაციის მეშვეობით სადგურში ორი კაცი დააკავეს პირადობის მოწმობის უქონლობის გამო. პოლიციას ამით გაუმართლდა, რადგან ერთ-ერთი მათგანი ხანგრძლივ ძებნაში მეოფი დამნაშავე იყო.

287 FARBE – Farbe bekennen (umg) – 1. sich bindend äußern; sich endlich entscheiden – აშკარად იმოქმედო, კარტი გაშალო; 2. den wahren Sachverhalt zugeben – ფაქტი აღიარო (კარტი გაშალო); 3. eine bestimmte Fähigkeit bzw. Leistung nachweisen – უნარი წარმოაჩინო, საკუთარი შესაძლებლობა აჩვენო

“Nun hat uns Horst aber lange genug mit der Reparatur hingehalten. Am Montag treffe ich ihn wieder, da muß er endlich Farbe bekennen. Ich will jetzt wirklich wissen, ob er das Auto in Ordnung bringt oder ich in die Werkstatt fahren muß”.

პორსტმა გადაგვაყოლა ამ შეკეთების საქმეს. ორშაბათს მე მას კვლავ შევხვდები და ბოლოს და ბოლოს აშკარად უნდა თქვას. ნამდვილად მინდა ვიცოდე, იგი მოიყვანს ავტომანქანას წესრიგში თუ მე უნდა წავიდე სახელოსნოში.

“Hör mal, Bürschen, ich habe dich hier in unserer Wohnung angetroffen und will wissen, was du hier suchst. Ich garantiere dir, dass du hier nicht eher herauskommst, als bis du Farbe bekannt hast”.

მომისმინე ყმაწვილო, მე შენ აქ ჩვენს ბინაში შევხვდი და მინდა ვიცოდე, რას ეძებ. მე გაძლევ შენ გარანტიას, რომ აქ შენ ვერაფერს გაარკვევ, ვიდრე ფაქტს არ აღიარებ (კარტს არ გაშლი).

„... Zeit genug für seine Vorbereitung hat er gehabt. Nächste Woche ist Prüfung, da muß er Farbe bekennen. Wir wollen schließlich wissen, ob er die vielen Wochen auch richtig genutzt hat”.

საკმაო დრო ჰქონდა მომზადებისათვის. შემდეგ კვირაში გამოცდა აქვს და უნდა დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობა (აჩვენოს თავისი უნარი,) ბოლოს და ბოლოს უნდა ვიცოდეთ, რამდენად ნაყოფიერად გამოიყენა მან ამდენი კვირა.

288 = Farbe halten – eigene Meinung nicht leicht ändern – აზრი არ შეიცვალა, მედგრად დადგე, სიმტკიცე გამოიხიხო

...Man war überzeugt, dass er unter allen Umständen Farben halten würde.

დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოველგვარ ვითარებაში იგი სიმტკიცეს (ერთგულებას) გამოიხიხნდა. (მედგრად დადგებოდა, აზრს არ შეიცვლიდა

289 = die Farbe wechseln – 1. blass u. wieder rot werden - ფერი იცვალა, ნირი შეეშალა, ნირი წაუხდა 2. seine (politische) Überzeugung ändern, zu einer anderen Partei, Vereinigung u.a. übergehen - აზრი, მრწამსი იცვალა

“Kaum hatte er den Brief überlesen, als er die Farbe wechselte”.

(H. Kleist - Der Zweikampf).

“წერილს გადაავლო თვალი თუ არა, ნირი შეეშალა (ნირი შეეცვალა, ფერი შეეცვალა).

Talleyrand hat ein paarmal in seinem Leben die Farbe gewechselt.

ტალეირანმა თავის ცხოვრებაში რამდენჯერ შეიცვალა თავისი პოლიტიკური მრწამსი.

290 FASS – das schlägt dem Fass den Boden aus – jetzt ist es aber genug; mehr kann man sich nicht gefallen lassen; das ist der Gipfel – საესეა მოთმინების ფიალა

“Und daß „oben“ alle umgeschwenkt sind, das hat dem Faß den Boden ausgeschlagen”, sagte Klaus”.

(Scharrer - Vaterlandslose Gesellen)

“ყველა “სათავეში მდგომის” უკანდახევამ აავსო მოთმინების ფიალა”, თქვა კლაუსმა.

291 = wie ein Fass trinken (sauften) – er trinkt, säuft wie ein Fass – trinkt unmäßig viel – ბევრს სვამს, ღლთობს, კასრით სვამს, ხარივით სვამს

“Wie oft hat man von ihm erzählt, dass er wie ein Fass trinkt”.

- რამდენჯერ თქვენს მასზე, რომ ძალიან ბევრს სვამდა.
- 292 FASSEN – etwas fest ins Auge fassen** – ein Ziel planmässig und unbeirrt verfolgen – მიზანი დაისახა, ტვინში ჩაიდო
Wer sein Ziel fest ins Auge fasst und sich nicht davon abringen lässt, wird auch im Leben Erfolg haben.
ვინც მიზანს დაისახავს (ტვინში ჩაიდებს რაიმეს) და არ მოეშვება (არ გადაუხვევს მას), წარმატებასაც მიაღწევს ცხოვრებაში.
- 293 = etwas scharf ins Auge fassen** – etwas kritisch betrachten – სერიოზულად მიუდგე, კრიტიკულად განიხილო
...Die Abgeordneten im Parlament fassten die neue Gesetzesvorlage scharf ins Auge.
დეპუტატებმა პარლამენტში ახალი კანონპროექტი კრიტიკულად (ძალიან სერიოზული მიდგომით) განიხილეს.
- 294 = die Gelegenheit beim Schopf fassen** oder **packen** - die Gelegenheit ausnützen – შემთხვევით ისარგებლო
Heute morgen traf ich den Direktor in der Straßenbahn, ich fasste die günstige Gelegenheit beim Schopf und besprach einige Dinge mit ihm, für die im Büro immer keine Zeit bleibt.
დღეს დილით დირექტორს ტრამვაიში შევხვდი, შემთხვევით ვისარგებლე და მასთან ის საკითხები შევათანხმე, რომლისთვისაც ბიუროში დრო არასდროს მრჩებოდა.
- 295 FASSUNG – jmdn. aus der Fassung bringen** - jmdn. aus der Ruhe bringen – მოთმინებიდან გამოიყვანა, განარისხა
“Sie finden, im Vergleich damit, Beejthoven rein, klar und natürlich. Aber bedenken Sie, wie Beethoven seine nach alter Weise gebildeten Zeitgenossen aus der Fassung gebracht hat... und Bach selbst, mein Gott, man warf ihm Mangel an Wohlklang und Klarheit vor”.
(Th.Mann-Buddenbrooks)
თქვენი აზრით, ამასთან შედარებით, ბეთჰოვენი ნათელი და ბუნებრივია. მაგრამ აბა გაიხსენეთ, როგორ ანრისხებდა იგი ძველ ყაიდაზე გამოზრდილ თანამედროვეებს? ღმერთო ჩემო, ბახსაც კი საყვედურობდნენ, ტკბილხმოვანება და სიცხადე გააკლიაო.
Und doch soll es Ihnen nicht gelingen, mich aus der Fassung zu bringen.
(Hauff-Der Mann...)
და თქვენ მაინც ვერ შეძლებთ მოთმინებიდან გამოიყვანოთ.
- 296 FÄUSTCHEN – sich ins Fäustchen lachen** (fam.), voll heimlicher Schadenfreude od. Genugtuung sein, schadenfroh sein, aus heimlicher Schadenfreude lachen – ნიშნის მოგებით ხითხითებს, უღვაშებში ეცინება
Wenn der Lehrer einen Fehler macht, lachen sich die Schüler ins Fäustchen.
როცა მასწავლებელი შეცდომას უშვებს, მოსწავლეები ნიშნის მოგებით იცინიან.
Seine Feinde lachen sich jetzt ins Fäustchen.
მისი მტრები ახლა ნიშნის მოგებით ხითხითებენ (უღვაშებში იცინიან).
- 297 FAUSTDICK – es faustdick (knüppeldick) hinter den Ohren haben** - schlaue gerissen, auch schalkhaft u. schlagfertig sein (bei harmlosem Aussehen), schlaue und listig sein, ohne dass es zunächst bemerkbar ist – სურვილი ჰკლავს გაიგოს, ეშმაკია, გაქნილი ვინმეა
Stille Wasser waren oft tief. Mancher hatte es faustdick hinter den Ohren.
(Th. Mann -Buddenbrooks)
იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობსო, - ირწმუნებოდნენ ისინი. ბევრს ჰკლავდა სურვილი, მათი ამბავი როგორმე გაეგო და მეტი სცოდნოდა.
Seien sie vorsichtig bei den Verhandlungen. Herr X. ist zwar sehr liebeswürdig, aber er hat es faustdick hinter den Ohren.

- მოლაპარაკების დროს ფრთხილად იყავით. ბატონი X. ძალიან თავაზიანია, მაგრამ დიდი გაქნილი ვინმეცაა.
- 298 FEDERLESENS – nicht viel Federlesens mit jmdm. (etw.) machen – mit jmdm. (etwas) energisch verfahren - ohne große Umstände zu machen od. Rücksichten zu nehmen – უბოდიშოდ მოექცე, დიდი ცერემონიები არ გაუბა, მობოდიშებით თავი არ შეიწუხო**
 Offenbar hat die Sanitätswache nicht viel Federlesens mit ihm gemacht.
 აშკარაა, სანიტარული დაცვა უბოდიშოდ მოექცა მას (სანიტარულ დაცვას არ გაუბამს მასთან დიდი ცერემონიები, თავი არ შეუწუხებია მობოდიშებით).
- 299 FEHDEHANDSCHUH – jmdm. den Fehdehandschuh hinwerfen - (ins Gesicht schleudern, werfen, vor die Füße werfen), jmdn. zu Kampf, Streit herausfordern – ხმალში (ბრძოლაში) გამოიწვია**
 Anderhalb Milliarden Menschen haben auf der Kairoer Konferenz den Kolonialmächten den Fehdehandschuh Asiens und Afrikas hingeworfen.
 კაიროს კონფერენციაზე მილიარდნახევარმა ადამიანმა აზიისა და აფრიკის სახელთ ხმალში (ბრძოლაში) გამოიწვია კოლონიზატორები.
- 300 FEHLER – ein Fehler ist unterlaufen – vom Richtigen abweichen – შეცდომა მოუვიდათ**
 “Es ist ja bekannt, daß auch bei ihnen die größten Fehler unterlaufen”.
 (Kellermann - Totentanz)
 ხომ ცნობილია, რომ მათაც მოსდით მეტად უხეში შეცდომები”.
- 301 FEILE – die letzte Feile anlegen - letzte Verbesserungen anbringen – საბოლოოდ გააშალაშინო, გამოჩარხო (იხ. Hand №558)**
 Seine Dissertation war fertig; er wollte nur noch die letzte Feile anlegen.
 მისი დისერტაცია მზად იყო; მას მხოლოდ საბოლოოდ გააშალაშინება (გაჩარხვა) უნდოდა.
- 302 FELD – ins Feld führen – etw. als Argument anführen – მიმართა, მოიშველია**
 ... Er führte gegen den Volkentscheid drei wesentliche Gründe ins Feld.
 მან ხალხის გადაწყვეტილების საპირისპიროდ სამი არსებითი მიზეზი მოიშველია.
- 303 = das Feld räumen – seine Stellung aufgeben, weichen, sich absetzen – ადგილიდან აიბარგა, ადგილს გაეცალა**
 “Schnapphahnski ist wieder in Berlin. Man wird über die Keckheit unseres Helden lachen, wenn man bedenkt, wie schmachlich er das dortige Feld eins räumen mußte...”
 (G. Weerth – Schnapphahnski)
 შნაპჰანსკი კვლავ ბერლინშია. სასაცილოა ჩვენი გმირის კადნიერება, თუ გაიხსენებთ, რა სამარცხვინოდ მოუხდა მას ერთხელ ამ ადგილიდან აბარგება (როგორ აიძულეს იგი სამარცხვინოდ გასცლოდა ამ ადგილს).
- 304 = ins Feld rücken, ziehen (gegen, für jmdn. etw. kämpfen) – სალაშქროდ წავიდა, ფრონტზე წავიდა**
 “Sein Vater hatte ihn damals auf das Land gebracht, denn Antoine von Bourbon zog wieder einmal ins Feld”.
 (H. Mann - Henri Quatre. Jugend)
 მამამისმა იგი ამ დღეებში სოფლად წაიყვანა, რადგან ანტუან ბურბონი კვლავ სალაშქროდ წავიდა.
 “Hauptmann Frey sollte in dieser Nacht noch ins Feld rücken”.
 (Kellermann - Totentanz)
- 305 = jmdn. aus dem Feld(e) schlagen (gehö:) jmdn. besiegen – მოერია, აჯობა**
 Er hat alle seine Gegner aus dem Felde geschlagen.
 იგი ყველა თავის მოწინააღმდეგეს მოერიდა (მან ყველა თავის მოწინააღმდეგეს აჯობა).

- 306 **FELL – jmdm. (jmdn.) juckt das Fell** – (salopp;-) jmd. ist so übermütig verhält sich, so provoziierend, dass ihm jeden Moment eine Tracht Prügel droht - გვერდები ექავება (იხ. Leder № 858)
 „...Juckt dich zum dritten Mal das Fell?“
 (Goethe - Faust)
 “შენ რა, მესამედ ხომ არ გექავება გვერდები?”
- 307 = **ein dickes Fell haben** – unempfindlich, abgehärtet sein, seine Ruhe nicht verlieren – უღრძოა, კამეჩის ტყავი აქვს.
 Den Paul kannst du ausschimpfen, soviel du willst. Der hat ein dickes Fell.
 (MDtl.)
 პაული რაც უნდა ლანძლო, ვერაფერს გახდები. უღრძო ვინმეა (კამეჩის ტყავი აქვს).
- 308 = **sich ein dickes Fell anschaffen** – sich seelisch unempfindlich machen, abhärten – რეაქციას არ გამოხატავს, ნაკლებად რეაგირებს (ფამილიარულად – კამეჩის ტყავი გამოიბა).
 Junge, Junge, du darfst dir nicht alles so zu Herzen nehmen. Weich sein ist gut, aber du über-treibst es. schaff dir bloss ein dickeres Fell an.
 ყველაფერი ასე ახლო ნუ მიგაქვს გულთან, ყმაწვილო! გულჩვილობა კარგია, მაგრამ ზედმეტი არას გარგებს. შეეცადე, ნაკლები რეაქცია გამოხატო.
- 309 = **jmdm. das Fell über die Ohren ziehen** (stärker fam)- jmdn. bei einem Handel betrügen – ცხრა პირტყავს აძრობს
 „... Der Händler, der mir den Stoff verkaufte, hat mir aber gehörig das Fell über die Ohren gezogen.“
 ვაჭარმა, რომელმაც საქონელი მომიყიდა, ასე ვთქვათ, ცხრა პირტყავი გამაძრო. (ძალიან ძვირი გადაამახდევინა)
- 310 **das Fell versaufen** –(salopp)-im Anschluss an eine Beerdigung einen Umtrunk veranstalten – ჭიქა წავუქციოთ
 Gehen wir heute zur Beerdigung und nachdem wollen wir auch das Fell versaufen.
 წავიდეთ დღეს დასაფლავებაზე და შემდეგ ჭიქაც წავუქციოთ მიცვალებულის მოსაგონებლად.
- 311 = **alle Felle schwimmen jmdm. weg** (davon) – ihm ist alle Felle weggeschwommen, jmds. Hoffnungen zerrinnen – ყველა იმედი დაემსხვრა, ყველაფერი წყალში ჩაუცვივდა
 Prinz Xavier, dem alle Felle wegschwammen, wütete und schrieb giftige Verse.
 (L. Feuchtwanger - Die Füchse im Walde)
 პრინცი ქსავიე, რომელსაც ყველა იმედი ემსხვრეოდა (ელუპებოდა, წყალში უცვიოდა), მძვინვარებდა და გესლიან ლექსებს წერდა.
- 312 **FERSE – jmdm. auf den Fersen sein** – jmdn. verfolgen – კვალზე ადგია,
 კვალდაკვალ მისდევს
 Die Polizei war dem Dieb auf den Fersen.
 პოლიცია ქურდს კვალზე ადგა (კვალდაკვალ მისდევდა).
- 313 **FERSENGELD – Fersengeld geben** (scherz.) fliehen, davonlaufen – მოკურცხლა, მოუსვა
 Die anderen mochten Fersengeld geben, er trat dem Riesen tapfer entgegen.
 დაე სხვებმა მოუსვან, იგი მზად არის დევს მარტო შეებრძოლოს.
- 314 **FERTIGMACHEN – jmdn. fertigmachen** (stärker fam)
 1. jmdn. (körperlich oder moralisch) stark schwächen, erschöpfen, zugrunde richten – ქანცი გაუწყიბა, გადაღალა 2.jmdn. umbringen, töten-დაასამარა, მოკლა, ბოლო მოუღო 3. jmdn. betrunken machen – დაათრო 4. jmdn. so sehr schelten, zurechtweisen, dass er nichts mehr darauf erwidern kann-მწარედ გაკიცხა 5. so lange jmdn. einreden bis er zustimmt (auch salopp:) sexuell befriedigen, zum Orgasmus bringen– ძალით დაიყოლია

...Die Vorbereitungen zur Prüfung haben mich ganz fertiggemacht.

გამოცდებისათვის მზადებამ ძალიან გადამძალა (ქანცი გამიწყვიტა).

...Bevor er seine Drohung, sie zu verraten, wahrmachen konnte, haben die Bandenmitglieder ihn fertiggemacht.

ვიდრე იგი მის მუქარას სისრულეში მოიყვანდა, რომ მას გასცემდა, ბანდის წევრებმა მას ბოლო მოუღეს.

...Seine Kollegen hatten sich vorgenommen, ihn auf dem Betriebsfest richtig fertigzumachen.

კოლეგებმა გადაწყვიტეს წარმოებაში გამართულ ზეიმზე იგი კარგა მაგრად დაეთროთ.

...Durch seine Unachtsamkeit wurde die termingemäße Fertigstellung in Frage gestellt, und der Chef hat ihn dafür ordentlich fertiggemacht.

მისი უყურადღებობის შედეგად დაისვა საკითხი სამუშაოს დროზე ჩაბარების შესახებ და უფროსმა იგი ამის გამო მწარედ გააკიცხა.

...Otto will zur Herrenpartie nicht mitkommen? Lass nur, ich werde ihn schon fertigmachen.

არ წამოვა ოტო საღამოზე, სადაც კაცები ვიკრიბებით? დამაცადე, მე მას ძალით დავიყვლიებ.

315 FETT – das macht den Kohl (das Kraut) nicht fett (fam) - das nützt nichts – საქმეს არ წაადგება, ვერაფერს შემატებს, დიდ სარგებლობას არ მოიტანს, არ გაამდიდრებს

Lass nur dein Geld stecken, die paar Tetri machen den Kohl nicht fett.

იყოს შენი ფული. შეინახე. რამოდენიმე თეთრი საქმეს არაფერს შემატებს. (დიდ სარგებლობას არ მოიტანს, არ გაამდიდრებს).

316 = das Fett abschöpfen (den Rahm abschöpfen) (ugs);- sich selbst den größten Vorteil, das Beste verschaffen -ქონი მოხადო, ნაღები მოხადო (უკეთესი შენთვის დაიტოვო). (იხ.Rahm№1130)

Nach dem Kriege schöpften Schwarzhändler und Spekulanten den Rahm (das Fett) ab, während das Volk Hunger litt.

ომის შემდეგ (შავ ბაზარზე გადამყიდველები), მოვაჭრენი და სპეკულიანტები ყველაფერს ნაღებს ახდიდნენ (ყველაფერს საუკეთესოს თავისთვის იტოვებდნენ), მაშინ, როცა ხალხი შიმშილობდა.

317 FETTNÄPFCHEN – ins Fettnäpfchen (bei jmdm.) treten (fam) - sich durch eine taktlose Bemerkung unbeliebt machen; bei jmdm. Verärgerung hervorrufen durch eine unbedachte, unkluge Äußerung o. ä; jmds. Unwillen erregen; einen Fauxpas begehen; jmdm. etw. sagen, was er nicht gern hört – გაანაწყენო, უთხრა რაიმე, რაც არ სიამოვნებს, მტკივნეულ ადგილს შეეხო, მტკივნეულ ადგილზე/ მაზოლზე ფეხი დააბიჯო (იხ. Hühnerauge № 660 Schlips № 1296).

“Lass dich vorläufig bloß nicht bei Tante Gerda sehen. Bei der bist du gestern mit deinem albernen Scherz gehörig ins Fettnäpfchen getreten”.

ჯერჯერობით უმჯობესია დეიდა ჰერდას არ დაენახო! გუშინ შენი სულელური ხუმრობით იგი ძალიან გაანაწყენე (მას მტკივნეულ ადგილზე/ მაზოლზე დააბიჯე ფეხი).

318 FEUER – die Hand für jmdn. (etwas) ins Feuer legen – für jmdn. (etwas) garantieren – თავს დადებს

Das Dienstmädchen ist ehrlich; für sie lege ich meine Hand ins Feuer.

მსახური გოგო პატიოსანია; თავს დავდებ მისთვის.

319 = für jmdn. durchs Feuer gehen – Bereit sein, alles für jmdn. zu tun – ცეცხლში გადაეშება, ცეცხლში ჩავარდება (ვინმეს გულისთვის)

Die Angestellten dieser Firma gehen für ihren Chef durch Feuer.

- ამ ფორმის თანამშრომლები თავიანთი უფროსის გულისათვის ცეცხლში გადაეშვებიან.
- 320** = **Feuer fangen** für etwas – sich für etwas begeistern, sich verlieben, schnell begeistert sein – ცეცხლი მოედო, ვნებით აინთო, ინტერესი გაუჩნდა, აღფრთოვანდა, ენთუზიაზმით აივსო.
Die Synagoge brannte lichterloh. Sie hatte urplötzlich Feuer gefangen.
(Kellermann - Totentanz)
- სინაგოგა აღში იყო გახვეული. მას უეცრად მოედო (წაეკიდა) ცეცხლი.
...Kaum hatte er das Mädchen zum erstemal gesehen, hatte er auch schon Feuer gefangen.
დაინახა თუ არა გოგო, ვნებით აინთო მის მიმართ (მაშინვე ინტერესი გაუჩნდა მის მიმართ).
- 321** = **Feuer und Flamme** für etw. **sein** (fam) - für etwas sehr begeistert sein – მთელი გულით და არსებით უნდა, მოწყურებულია, აგზნებულია, სიყვარულით იწვის, განსაკუთრებით უყვარს, სულს ლევს
Sie (Franziska) war Feuer und Flamme für das Theater und gründete einen Theaterverein”.
(Kellermann - Die Stadt Anatol)
- იგი (ფრანცისკა) თეატრის სიყვარულით იყო აგზნებული (თეატრის სიყვარულით იწვოდა) და თეატრალური საზოგადოება დააარსა.
- 322** = **zwischen zwei Feuer geraten, kommen** – von zwei seiten gleichzeitig bedrängt werden, in zwei Unannehmlichkeiten geraten – ორ ცეცხლს შუა ჩავარდე, ორივე მხრიდან არასასიამოვნო რამეს გადაეყარო
Da er weder mit dem Standpunkt der einen, noch der anderen einverstanden war, geriet er zwischen zwei Feuer.
იგი ორ ცეცხლს შუა ჩავარდა, რადგან არც ერთის და არც მეორის მოსაზრებას არ იზიარებდა.
- 323** = **mit dem Feuer spielen** -leichtsinnig eine Gefahr mißachten, heraufbeschwören – ცეცხლს ეთამაშება
Vor hundert Jahren konnte einer noch sagen, der Krieg sei die Fortsetzung der Politik. Wer heute mit dem Feuer spielt, riskiert den Untergang der ganzen Welt.
(MDtl)
- ასი წლის წინათ კიდევ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, მაგრამ ჩვენს დროში ვინც ცეცხლთან თამაშს არ ეშვება, მთელი სამყაროს დაღუპვას ცდილობს.
- 324** = **etw. mit Feuer und Schwert ausrotten** – etw.verwüsten, zerstören – ცეცხლითა და მახვილით აღმოფხვრის
“Und doch hatte Spanien mit Feuer und Schwert den alten Glauben der Mexikaner zerstört”.
(H. Heine - Norderney)
- და მაინც ესპანეთმა ცეცხლითა და მახვილით აღმოფხვრა მექსიკელებში ძველი სარწმუნოება.
- 325** **FF - etwas aus dem ff können oder verstehen** (fam) - etwas sehr gründlich und gut können – ეხერხება, ემარჯვება
Klavierspielen kann er aus dem ff.
იგი კარგად უკრავს ფორტეპიანოზე.(ფორტეპიანოზე დაკვრა ემარჯვება.ეხერხება)
- 326** **FINDEN** – **das wird sich finden** – für etwas wird eine Lösung gefunden werden, es wird in Ordnung kommen – ყველაფერი მოგვარდება, კარგად აეწყობა, თავისი გზით წავა, ყველაფერი კარგად იქნება
Wenn meine Kinder nur gesund wieder zurückkommen, wird sich schon alles finden.
ჩემი შვილები თუ (ღვთის შეწევნით) საღსალამათი დამიბრუნდებიან, ყველაფერი კარგად იქნება.
- 327** = **ein gefundenes Fressen** (stärker fam); eine sehr günstige Gelegenheit – საკბილოს იშოვნის

- Der Bankrott seines Konkurrenten war für ihn ein gefundenes Fressen.
კონკურენტის გაკოტრება მისთვის კარგი საკბილო შეიქმნა (ძალიან ხელსაყრელი გამოდგა მისთვის).
- 328 FINGER – jmdn. zwischen (in) die Finger bekommen / kriegen** - jmdn. zu fassen kriegen – ხელში ჩაუვარდა
Der Bauer erzählte, wie er die kleinen Apfeldiebe zwischen die Finger bekommen hatte.
გლეხმა გვიამბო, თუ როგორ ჩაუვარდა (ჩაუკვივდა) მას ხელში ვაშლის პატარა ქურდები.
- 329 = jmdm./jmdn. jucken die Finger (nach etwas) – jmd. möchte etwas sehr gerne haben – ხელები ექავება**
Als er mir das sagte, juckte es mir in den Fingern, ihm eine runterzuhauen.
(MDtl)
როცა მან ეს თქვა, ხელებმა დამიწყო ქავილი, კარგა ლაზათიანად შემე-თავაზებია სახეში.
- 330 = die Finger davon lassen / von etw. lassen (ugs; sich nicht mit etw. abgeben): von einer riskanten Sache die Finger lassen – ხელი აიღო, განზე გასდგე**
“Hermann hatte ihm noch einmal eingeprägt, seine Finger von Georgs Sache zu lassen”.
(Seghers - Die Toten bleiben jung).
ჰერმანმა მას კიდევ ერთხელ ჩააგონა, ხელი აეღო გეორგის საქმეში ჩარევაზე (გეორგის საქმეს) განზე გასდგომოდა.
- 331 = die Finger von etwas lassen – sich mit etwas nicht befassen, mit etwas nichts zu tun haben wollen – მოეშვა, თავი დაანებო**
Lass deine Finger vom Spiel und vom Alkohol!
მოეშვი (თავი დაანებე) თამაშს და ალკოჰოლს.
- 332 = seine Finger überall drin haben (fam- 1.sich um Dinge kümmern, die einen eigentlich nicht angehen-ყველაფერში ეჩრება, ყველაფერში ცხვირს ყოფს, – ყველაფერში ეჩრება, ყველაფერში ხელს ურევს; 2. sehr einflußreich sein- გაველენა აქვს, ზემოქმედება შეუძლია, ზეგავლენის მოხდენა შეუძლია**
...Er ist sehr ehrgeizig; er kümmert sich nicht nur um sein Referat, überall will er seine Finger drin haben.
იგი ძალიან პატივმოყვარეა. მარტო საკუთარი რეფერატი კი არ აინტერესებს, ყველაფერში უნდა თავისი ხელი ერიოს. (ყველაფერში ცხვირს ყოფს).
...Seien Sie Vorsichtig, wenn Sie dem Präsidenten Ihre Meinung über die Geschäftsführung der Firma X. sagen; man weiß nicht, wo er überall seine Finger drin hat.
ყურადღებით იყავით, როდესაც პრეზიდენტს ფირმის X საქმის წარმოების შესახებ თქვენს აზრს მოახსენებთ; იგი გავლენიანი კაცია და ვინ იცის რაში ჩაერევა?
- 333 = lange (krumme) Finger machen – stehlen – ხელმრუდია, ხელცივია, ხელწამკრაგია, არაა წმინდა წყლის დამლევი**
Lassen Sie ihr Geld nicht so herumliegen. Es könnte leicht einer lange Finger machen.
ფულს უყურადღებოდ ნუ მიაგდებ. იგი ცოტა არ იყოს ხელწამკრაგია. (ხელმრუდეა).
- 334 = keinen Finger rühren / krümmen – nichts tun, sich nicht anstrengen – ხელი (თითი) არ გაანძრიო**
Ich habe bei meinen Eltern nicht nötig gehabt, einen Finger zu rühren.
(Th. Mann - Buddenbrooks)
ჩემს მშობლებთან მე თითის განძრევაც არ მჭირდებოდა.
- 335 = sich etw. aus dem Finger (aus den Fingern) saugen – ist aus den Fingern gesogen - etwas frei erfinden – თითებიდან გამოწოვილია, შეთხზულია, მოჩმასხულია**

Aber irgend etwas muss doch an seinen Worten sein. Er kann sich das doch nicht aus den Fingern gesogen haben .

მაგრამ რაღაც სიმართლე უნდა იყოს მის სიტყვებში. ყველაფერს თითოდან ხომ არ გამოწოვდა (ყველაფერს ხომ არ გამოიგონებდა).

“Es war ja alles übertrieben, was der “Scheinwerfer” schrieb, und vieles war ganz einfach aus den Fingern gesogen.”

(Kellermann - Die Stadt Anatol).

Diese Neugier hast du dir aus den Fingern gesogen. ეს ამბავი თითოდან გამოწოვილია, (თავიდან ბოლომდე გამოიგონილია, შეთხზულია).

- 336 = **sich etw. an den fünf Fingern abzählen** /ausrechnen- etw. voraussehen, sich etw. ausrechnen können – ხუთი თითივით ნათელია, მყისვე მიხვდები, აშკარაა
„Daß sie nämlich noch lange nicht zu Ende waren, das konnte man sich an den Fünf Finger abzählen“.

(F. Weißkopf - Inmitten des Stroms).

მათ რომ საქმის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდათ, ამას მყისვე (ხელად) მიხვდებოდი.

- 337 = **sich in den Finger geschnitten haben** (fam) – sich geirrt haben – ცდებოდე
Wenn du glaubst, dass Fritz das Geld bald zurückzahlen wird, hast du dich aber gehörig in den Finger geschnitten.

თუ გგონია, რომ ფრიცი ჩქარა დაგიბრუნებს ფულს, ძალიან ცდები.

- 338 = **jmdn. um den (kleinen) Finger wickeln können** (fam) – jmdn. leicht lenken können – ადვილად დაიყოლიო, თითზე დაიხვიო

Das Kind wickelt seine Großeltern um den (kleinen) Finger, sie tun alles, was es will.

ბავშვს ბებია და ბაბუა თითზე ჰყავს დახვეული. ისინი მას ყველაფრის გაკეთების ნებას აძლევენ.

- 339 = **sich die (alle) zehn Finger nach etwas lecken** (fam). – etwas sehnhlichst wünschen, etwas sehr gern haben wollen – სანუკვარია, სული მისდის
Warum bist du mit deiner Stellung nicht zufrieden? Andere würden sich die oder alle zehn Finger danach lecken.

შენი ადგილით რატომ არ ხარ კმაყოფილი? სხვებისთვის იგი სანუკვარი იქნებოდა (სხვებს სული მისდის ამ ადგილისთვის).

- 340 = **jmdm. auf die Finger sehen** (fam). – jmdn. beobachten, kontrollieren – სულ თვალი გეჭიროს, თვალი არ მოაშორო, ხელეებში უყურო
„Aber der Herr Buck mag sich hüten! Wir werden ihm auf die Finger sehen müssen“.

(H. Mann - Der Untertan)

მაგრამ გვიფრთხილდეს ბატონი ბუკი! ჩვენ სულ თვალი უნდა გვეჭიროს მასზე (თვალი არ უნდა მოვაშოროთ).

- 341 = **durch die Finger sehen** – თვალს ხუჭავს, გულგრილად უყურებს, წაუყურებს
„Freilich sieht er (Egmont) einem auch einmal durch die Finger. Doch hielt ich’s besser, wenn er strenger wäre...“

(Goethe - Egmont)

მართალია, ის (ეგმონტი) ხანდახან ზოგ რამეზე თვალს ხუჭავს (ზოგ რამეს გულგრილად უყურებს, წაუყურებს, ვითომ ვერ ამჩნევს), მაგრამ მე კი ვამჯობინებდი, მეტი სიმკაცრე გამოეჩინა.

- 342 **FISCH – weder Fisch noch Fleisch sein** - nichts Halbes und nichts Ganzes; nicht Fisch noch Fleisch (ugs.)- nicht zu bestimmen einzuordnen sein; nichts Richtiges sein – არც წყალია და არც ღვინო (არც ხორცია და არც კაკნატელა, არც ფლავია, არც ჩლავი)

Man sagt von ihm, dass er nicht Fisch und noch Fleisch sei.

მის შესახებ ამბობენ, რომ იგი არც წყალია და არც ღვინო.

- 343 **FISCHEN – im trüben fischen** (ugs;)- unklare Zustände zum eigenen Vorteil ausnutzen – ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირო (გაურკვეველი ვითარება შენს სასარგებლოდ გამოიყენო)
„Ich soll im trüben fischen? Einen Menschen brutal ausbeuten.“
(Th. Mann - Buddenbrooks)
ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირო? კაცს ტყავი გავადრო?
- 344 **FISCHFANG – Fischfang ist alle Tage, aber nicht alle Tage Fangtag-** auf Fischfang kann man jeden Tag gehen, aber nicht jeden Tag kann man Fisch fangen – ანკესს ყოველთვის დღავი არ ამოჰყვება
„Indessen andererseits ... es bleibt ein Risiko, und, um wieder kaufmännisch zu reden, Fischfang ist alle Tage, aber nicht alle Tage Fangtag“.
(Th. Mann-Buddenbrook)
მეგრამ, მეორე მხრივ, მოცდა რისკის საქმეცაა და კვლავ ვაჭრების ენაზე რომ ვთქვათ, ანკესს ყოველთვის დღავი არ ამოჰყვება.
- 345 **FISIMATENTEN – Fisimatenten machen** – Versuche, einer unangenehmen Sache ausweichen – მიედ-მოედო, მიქარო
„... machen Sie keine Fisimatenten, sondern verhalten Sie sich ruhig ..., sonst kriegen Sie es mit mir zu tun“.
(Spielhagen – Die schöne Amerikanerin)
„... ნუ მიქარავთ (ნუ მიედ-მოედებით) და თავი წყნარად გეჭიროთ ..., თორემ ჩემთან მოგიწევთ საქმის დაჭერა“.
- 346 **FITTICH – jmdn. unter seine Fittiche nehmen** – jmdn. beschützen, für jmdn. sorgen – მფარველობაში აიყვანო, პატრონობა გაუწიო
Der berühmte Komponist nahm den jungen Musiker unter seine Fittich.
ცნობილმა კომპოზიტორმა ახალგაზრდა მუსიკოსი თავის მფარველობაში აიყვანა.
- 347 **FIX – fix und fertig** (fam) – 1. vollständig fertig -მზად 2. völlig erschöpft – გადაქანცულია, მოთავებულია, გადაღლილია
Wie lang soll ich noch auf dich warten? Ich bin schon seit zehn Minuten fix und fertig.
რამდენ ხანს უნდა გიცადო? 10 წუთია უკვე მზად ვარ.
Den ganzen Tag habe ich im Garten gearbeitet. Jetzt bin ich aber fix und fertig.
მთელი დღე ბაღში ვმუშაობდი და ძალიან გადავიღალე.
- 348 **FLECK – das Herz auf dem rechten Fleck haben** – ein verständnisvoller, mutiger, mitfühlender Mensch sein – კაცური კაცია (იხ. Herz №627)
Fritz ist zwar nicht außergewöhnlich begabt, aber er hat das Herz auf dem rechten Fleck und wird sicher seinen Weg nehmen.
ფრიცი მართალია ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული არაა, მაგრამ კაცური კაცია და იმედია, თავის გზას იპოვის.
- 349 = **vom Fleck weg** – sofort, auf der Stelle – მაშინვე, ადგილზევე, შემთხვევის ადგილზე
Die Polizei hat den Dieb vom Fleck weg verhaftet.
პოლიციამ ქურდი შემთხვევის ადგილზე დააკავა.
- 350 = **nicht vom Fleck kommen** – nicht vorwärtskommen – წინ ვერ წახვიდე, წინ ვერ წაიწიო
In der letzten Woche bin ich nicht mit meiner Arbeit gar nicht recht vom Fleck gekommen.
ბოლო კვირაში ჩემი საქმე წინ ვერ წავწიე
- 351 **FLEISCH- jmdm.in Fleisch und Blut übergehen-**zur Gewohnheit werden- ჩვეულებად გექცეს, ძვალ-რბილში გაგიჯდეს
Man muss die Kinder schon sehr bald an Ordnung gewöhnen; sie muss ihnen in Fleisch und Blut übergehen.
ბავშვები თავიდანვე უნდა მიაჩვიო წესრიგს. წესრიგი მათ ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეთ გამჯდარი.

- 352 = **sich ins eigene Fleisch schneiden** (fam). – sich selbst schaden – თავს მტრობა გაუწიო, საკუთარი თავის მტერი იყო
 „Würde er sich so ins eigene Fleisch geschnitten haben?“
 (A. Zweig - Das Beil von Wandsbek)
 ნუთუ ის თავის თავს ასეთ მტრობას გაუწევდა? (თავისი თავის მტერი იქნებოდა?)
 Mit diesem unüberlegten Brief hast du dir ins eigene Fleisch geschnitten.
 ამ მოუფიქრებელი წერილით შენ საკუთარ თავს გაუწიე მტრობა.
- 353 **FLICKEN – jmdm. etwas am Zeuge flicken** (fam); jmdm. etw. Nachteiliges nachsagen; bei jmdm. Fehler suchen und kritisieren – ყველაფერში წუნს ხედავს, აძახებს
 „Der Chef sieht nicht, welche Mühe sich der Lehrling gibt, um alles richtig zu machen. Ich glaube, er kann ihn nicht leiden, denn dauernd sucht er ihm etwas am Zeuge zu flicken“.
 შეფი ვერ ამჩნევს, თუ როგორ ცდილობს შეგირდი ყველაფერი ზუსტად გააკეთოს. მე ვფიქრობ, რომ იგი ვერ იტანს მას, რადგანაც მის საქმიანობაში მხოლოდ წუნს ხედავს.
- 354 **FLIEGE – in der Not frisst der Teufel Fliegen** (Sprichwort) – wenn man nichts Besseres hat, begnügt man sich mit Geringere – გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, მცირედიც შეიწირების, თუ საჭიროა, მცირედსაც უნდა დასჯერდე
 Ich habe für Goethes „Faust“ nur noch einen Platz im zweiten Rang bekommen können. In der Not frisst der Teufel Fliegen.
 გოეთეს „ფაუსტზე“ მხოლოდ მეორე იარუსზე შევძელი კიდევ ერთი ადგილის შოვნა. რას იზამ: „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განვენებო“ – ნათქვამია.
- 355 = **zwei Fliegen mit einer Klappe schlagen** (fam) – ორი კურდღელი ერთი გასროლით მოკლა, ორი საზამთრო ცალი ხელით დაიჭირო, ორი საქმე ერთდროულად მოაგვარო
 „Mit meiner Reise nach Nürnberg will ich zwei Fliegen mit einer Klappe schlagen. Zuerst schließe ich bei einer Firma ein Geschäft ab, und dann besuche ich meinen Freund, den ich schon lange nicht mehr gesehen habe“.
 ნიურნბერგში მოგზაურობით ორ საქმეს ერთად მოვაგვარებ (ორ კურდღელს ერთი გასროლით მოვკლავ). ჯერ ფირმასთან ხელშეკრულებას გავაფორმებ, შემდეგ ჩემს მეგობარს ვესტუმრები, რომელიც დიდი ხანია არ მინახავს.
- 356 **FLINTE – die Flinte ins Korn werfen** (fam) - sich entmutigen lassen – ფარ-ხმალი დაყარო, სულით დაეცე (იხ. Streitaxt №1537)
 Er hat keine große Ausdauer. Bei der ersten Schwierigkeit wirft er schon die Flinte ins Korn. იგი დიდი გამძლეობით არ გამოირჩევა. ოდნავი შეჭირვება და იგი უკვე ფარ-ხმალს ერის (სულით ეცემა).
 „Achselzuckend ließen sie sich loben, weil sie die Flinte nicht ins Korn geworfen hatten ...“
 (A. Zweig - Das Beil von Wandsbek)
 მხრების აჩეჩვით ისმენდნენ თავიანთ ქებას იმისათვის, რომ სულით არ დაეცნენ (ფარ-ხმალი არ დაყარეს).
- 357 **FLOH – jmdm. einen Floh ins Ohr setzen** – jmdm. einen Gedanken eingeben, der ihm keine Ruhe lässt – ეჭვი აღუძრა, ყურში ეჭვი ჩააწვეთო, შემფოთება გამოიწვია (იხ. Ohr №1040)
 „... Joachim schalt auf das verdammte Frauenzimmer, die mit ihrer ... Frage ihm einen Floh ins Ohr gesetzt ...“
 (Th. Mann - Der Zauberberg)
 იოახიმი ლანძღავდა ამ დაწყვეტილ დედაკაცს, რომელმაც, მისი სიტყვით, თავის შეკითხვით მას ეჭვი აღუძრა (მისი შემფოთება გამოიწვია, მას ეჭვი ჩააწვეთა, შეაშფოთა იგი).
- 358 = **die Flöhe husten hören** – das Neueste immer zuerst wissen – ყურს არაფერი გამოეპარება, არაარსებული ელანდება (იხ. Gras №480)
 „Die Advokaten habe ich nie leiden können ... Sie hören die Flöhe husten“.

(G. Weerth – Humoristische Skizzen)

მე ვერასოდეს ვერ ვიტანდი ვეჭილებს ... მათ ყურს არაფერი გამოეპარება (ბალახის ჩურჩულიც კი ესმით, მათ ელანდებათ ის, რაც არ არსებობს).

- 359 **FLÖTEN – Flöten gehen** – verlorengelassen, abhanden kommen, entzweigen – ოხრად დარჩა, წყალში ჩაიყარა, ჩაიფუშა, შეიწირა, დაიშხვრა
Mein ganzes Geld ist bei einer Aktienspekulation flötengegangen.
მთელი ჩემი ფული აქციების სპეკულაციის შედეგად წყალში ჩაიყარა, ოხრად დარჩა(აქციების სპეკულაციამ შეიწირა)

Schon wieder sind zwei Teller flötengegangen.

ორი თეფში კვლავ დაიშხვრა.

- 360 **FLUCH – Fluch lastet auf jmdm.** – Fluch liegt auf jmdm. – წყევლა სულს უმძიმებს
„ ... Und er gesteht ihr den Fluch, der auf ihm lastet“.

(Heine – Schnabel)

... და მან გაანდო ქალს იმ წყევლის საიდუმლოება, რომელიც სულს უმძიმებდა.

- 361 = **Fluche ausstoßen gegen** – jmdn. fluchen – წყევლა-კრულვას ანთხევს

Er stieß Flüche gegen seinen Feind aus.

ის წყევლა-კრულვას ანთხევდა თავისი მტრის წინააღმდეგ.

- 362 **FOLTER – jmdn. auf die Folter spannen** – jmdn. in Spannung halten, jmdn. quälen – გატანჯო, ჯვარს აცვა, გული გაუწყალო

Nun erzähle mir doch schon, was geschehen ist, und spann mich nicht auf die Folter!

იქნებ მომიყვე, რაც მოხდა. ნუღარ დამტანჯე. (ნუ მაცვი ჯვარს).

- 363 **FREIERSFÜßE – auf Freiersfüßen gehen** (scherz.) - eine Ehefrau suchen; bald heiraten wollen – ქალის თხოვა განიზრახა (დააპირა), ცოლს ეძებს
„ ...Als Goethe ... die große Wohnung am Frauenplan einrichtete, vermuteten die Leute, daß er auf Freiersfüßen gehe ...“

(W. Bode – Goethes Leben)

როდესაც გოეთე „ფრაუნპლანზე“ დიდი ბინის გამართვა-მოწყობას შეუდგა, ყველამ იფიქრა, რომ ის ცოლის შერთვას აპირებდა (ქალის თხოვნა განიზრახდა).

- 364 **FRESSEN – ein gefundenes Fressen für jmdn. sein** - jmdm. sehr willkommen sein; jmds. Wünsche sehr entgegenkommen – ზეციურ მანანადაა მოვლენილი, ციდან ჩამოვარდნილია, გამოწერილია

„... Ich lernte diesen Bericht fast wörtlich auswendig, denn er war für mich ein gefundenes Fressen“.

(Putlitz – Unterwegs nach Deutschland)

„ ... ეს მოხსენება თითქმის სიტყვა-სიტყვით გავიზეპირე, რადგან ის ჩემთვის ციდან ჩამოვარდნილს გავდა (ზეციურ მანანად მომეგვლინა, გამოწერილივით იყო).“

- 365 **FRIEDENSPIEGEL – mit jmdm. Friedenspfeife rauchen** (scherz.) - sich mit jmdm. versöhnen – შერიგების პური ჭამო

Wenn werdet ihr beide endlich die Friedenspfeife rauchen?

დაბოლოს, როდის სჭამთ შერიგების პურს?

- 366 **FUCHS – dem Fuchs beichten** – dem Feind das sagen, was er nicht hören soll – მტერს საიდუმლო გაუმჟღავნა, მტერს საიდუმლო გაანდო

Warum hast du ihm das erzählt? Weißt du den richt, dass du dem Fuchs gebeichtet hast?

რატომ უამბე ეს მას? ნუთუ არ იცი, რომ ამით მტერს საიდუმლოება გაუმჟღავნე?

- 367 = **wo sich Fuchs und Hase gute Nacht sagen** (fam) - in einer einsamen, verlassenem Gegend – მიყრუებულ ადგილზე, განმარტოებულ ვითარებაში
In diesem Jahr möchte ich meinen Urlaub dort verbringen, wo sich Fuchs und Hase gute Nacht sagen und ich nichts von der Welt sehe und höre.
წელს შვებულება მიყრუებულ ადგილზე (განმარტოებულად) მინდა გავატარო, სადაც არც არაფერს დავინახავ და გავიგონებ, რაც სამყაროში ხდება.
- 368 **FÜNF – fünf gerade sein lassen** (fam) - es nicht so genau nehmen (fünf ist keine gerade Zahl) – წერილმანებზე თვალი დახუჭო, გულარხეინად უყურებდე
„Der beurlaubte Professor ... war ... ein fahrlässiger und mattsinniger Herr gewesen, der fünf gerade sein lassen“.
(Th. Mann. – Königliche Hoheit)
შვებულებაში მყოფი პროფესორი ზარმაცი და დუნე ვაჟბატონი იყო, რომელიც ყველაფერს გულარხეინად უყურებდა (დიდ შემწყნარებლობას იჩენდა).
- 369 **Fuss– Fuß fassen** – ფეხი მტკიცედ მოიკიდა (იხ. Platz№1105)
“Der Ritter (Schnapphahnski) wird wieder “möglich”, er faßte Fuß und muß geduldet werden”.
(G. Weerth. – Schnapphahnski)
ჩვენს რაინდს (შნაპჰანსკის) შეუძლია კვლავ გამოჩნდეს საზოგადოებაში, ის მტკიცედ იკიდებს (იდგამს) ფეხს და ყველა იძულებულია შეურიგდეს ამას.
- 370 = **auf grossem Fuß leben** – luxuriös leben – ხელგაშლილად ცხოვრებს
„Die Konsulin sagte: „ ... Du kämest nach Hamburg in ausgezeichnete Verhältnisse und wärdest auf großem Fuße leben“.
(Th. Mann – Buddenbrooks)
კონსულის მეუღლემ სთქვა: „... ჰამბურგში შენ საუკეთესო პირობებში მოხვდებოდი და ხელგაშლილადაც იცხოვრებდი“.
- 371 = **auf gespanntem Fuß mit jmdm. leben, stehen** - sich mit jmdm. gar nicht vertragen, nicht freundschaftlich miteinander verkehren – დაჭიმული (დაძაბული) ურთიერთობა აქვს
„... Und man kam es zu einer sehr derben Auseinandersetzung zwischen uns ... seit diesem Tag leben wir auf gespanntem Fuß“.
(F. Rehbein – Gesinde und Gesindel)
მაშინ ჩვენ მეტად მკვასე ლაპარაკი მოგვივიდა ... ამ დღიდან ერთმანეთთან დაჭიმული (დაძაბული) ურთიერთობა გვაქვს.
- 372 = **auf freundschaftlichem Fuß(e) stehen, leben** – mit jmdm. in einem freundschaftlichen Verhältnis leben – გულთბილი (მეგობრული) ურთიერთობა აქვს
„Mit seiner Schwägerin Gerda stand er auf freundschaftlichem Fuße“.
(Th. Mann – Buddenbrooks)
ჰერდასთან, თავის რძალთან მას ყოველთვის გულთბილი (მეგობრული) დამოკიდებულება ჰქონდა.
- 373 = **auf freiem Fuß sein** – nicht mehr in Haft, im Gefängnis sein – ციხიდან გამოუშვეს
„Man sprach ... über das, was geschehen würde, wenn Hugo Weinschenk wieder auf freiem Fuß wäre“.
(Th. Mann – Buddenbrooks)
ლაპარაკობდნენ იმაზე, ... თუ რა მოხდებოდა, როდესაც ჰუგო ვაინშენკი ისევ მოიპოვებდა თავისუფლებას (ჰუგო ვაინშენკს კვლავ გამოუშვებდნენ ციხიდან).
- 374 = **jmdn. auf freiem Fuß setzen** – jmdn. freilassen – die Fessel vom Fuß /Gelenk/ nehmen – პატიმრობიდან გამოუშვა, გაათავისუფლო
„Wir werden wieder zu Mutter ziehen, wenn sie es erlaubt, bis er wieder auf freiem Fuß ist“.
(Th. Mann – Buddenbrooks)
ჩვენ ისევ დედასთან გადავალთ, თუ დედა ნებას დაგვრთავს, სანამ იგი ციხიდან გამოვა.

„Zu Beginn des Jahres 1873 ... war der ehemalige Direktor ein halbes Jahr vor Ablauf der Strafzeit auf freien Fuß gesetzt“.

(Th. Mann – Buddenbrooks)

1873 წლის დასაწყისისათვის ... ყოფილი დირექტორი სასჯელის ვადის მოხდამდე ნახევარი წლით ადრე გაათავისუფლეს (პატიმრობიდან გამოუშვეს).

375 = **den Fuß ins Grab setzen** – sterben – სანამ სამარეში ჩავალ, სანამ სული მიდვას „Bis ich den Fuß ins Grab setze, weißt du, werde ich mich mit Freunden an die Sommerwochen erinnern“.

(Th. Mann – Buddenbrooks)

სანამ სული მიდვას, იქ გატარებული ზაფხული ყოველთვის სიხარულით მომაგონდება.

376 = **jmdm. zu Füßen liegen** - jmdn. über die Maßen verehren – მის წინაშე ფერხთაა გართხმული

„Mokieren Sie sich immer nur über die Leute, die zu Ihren Füßen liegen?“.

(Th. Mann – Buddenbrooks)

ყოველთვის დასცინით იმათ, ვინც თქვენს ფერხთაა გართხმული?

377 = **stehenden Fußes** – sofort – მაშინვე, დაუყოვნებლივ

„Ich gehe mit Ihnen, ich begleite Sie in das Geschäft, und stehenden Fußes erweben wir miteinander diese ... Utensilien“.

(Th. Mann – Der Zauberberg)

„მე წამოვალ თქვენთან, მიგაცილებთ მაღაზიაში და ჩვენ მაშინვე (დაუყოვნებლივ) ვიყიდით ამ მოწყობილობას“.

378 **FUßTAPFEN** – **in jmds. Fußtapfen wandeln, treten** – ნაკვალევს მისდევდე, კვალზე დადიოდე.

„Dein Sprößling tritt in deine Fußtapfen“.

(Bredel – Die Söhne).

„შენი ნაშიერი შენს ნაკვალევს მისდევს (შენ მოგყვება კვალდაკვალ, შენს კვალზე დადის)“.

G

- 379 **GALA – sich in Gala werfen** – sich elegante Kleidung anziehen, die man bei besonderen festlichen Veranstaltungen trägt – მოირთო-მოიკაზმო, გამოიპრანჭო
Er (Fabian) brauchte fast eine Stunde, um sich für die Feier in Gala werfen.
(Kellermann - Totentanz)
მას (ფაბიანს) თითქმის ერთი საათი დაჭირდა, რომ სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულიყო.
- 380 **GALLE – mir läuft die Galle über** (fam) – ich werde sehr zornig – ნალველი მიღულს, გულზე ცეცხლი მეკიდება, ბრაზით ვსკდები, გულზე ვსკდები
... Wenn ich höre, wie häßlich er über seinen Bekannten in dessen Abwesenheit spricht und wie freundlich er ist, wenn er ihm begegnet, läuft mir die Galle über.
როცა მესმის, რა სიძულვილით ლაპარაკობს იგი თავის ნაცნობზე მის პირს უკან (როცა მას არ ესმის) და რა თავზიანია მის მიმართ, როცა შეხვდება, გულზე ვსკდები (გულზე ცეცხლი მეკიდება).
... Auch der Frau war nunmehr die Galle übergelaufen, um so mehr, als sie glaubte, ihre Schuldigkeit getan zu haben.
ახლა უკვე ქალსაც აუღულდა ნალველი (გულზე ცეცხლი მოეკიდა), მით უფრო, რომ ფიქრობდა, ყველაფერი გავაკეთე, რაც კი მევალებოდა.
- 381 = **Gift und Galle speien**(fam.) **spucken** (stärker fam) – sehr zornig sein – ნალველს ანთხევს, განრისხებულია
Mit diesem Herrn kann man nicht verhandeln. Wenn ihm etwas nicht passt, spuckt er gleich Gift und Galle.
ამ კაცთან ვერ დაილაპარაკებ. თუ მას რაიმე არ აწეობს, მაშინვე განრისხდება (ნალველს ანთხევს სიბრაზისგან).
- 382 **GANG – gang und gäbe sein** – gebräuchlich, üblich sein – etw. ist allgemein üblich – ჩვეულებრივი ამბავია, ჩვეულებრივი მოვლენაა
„In Bayern ist es gang und gäbe, sich gegenseitig mit „Grüß Gott“ zu begrüßen.“
ბავარიისში ჩვეულებრივი ამბავია ერთმანეთს „Grüß Gott“-ით მიესალმონ.
“Schmiegelder waren auf jedem Amt, in jeder Behörde gang und gäbe.“
(Bredel – Die Enkel)
ქრთამი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ყოველ დაწესებულებასა და უწყებაში.
- 383 **GÄNGELBAND – jmdn. am Gängelband haben, halten oder führen** – jmdn. nicht selbständig handeln lassen – კალთაზე გყავდეს გამობმული, ბაწარი (საბელი) ყელზე შეაბა
Ein erwachsener Mensch verträgt es nicht, immer am Gängelband geführt zu werden.
ზრდასრული კაცი ვერ აიტანს, რომ ყოველთვის კალთაზე იყოს გამობმული.
„aber trotz ...Benonis Vaterwürde behandelte er (Jakob) den Jüngeren immer noch wie ein ein Kind, hielt ihn am Gängelband wie einen Unmündigen ...“
(Th. Mann – Josef und seine Brüder)
მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბენონი უკვე მამა გახდა, იაკობი თავის უმცროს ვაჟს ისე ექცეოდა, როგორც ბავშვს, მცირეწლოვანივით კალთაზე ჰყავდა გამობმული (საბმელი, ბაწარი შეაბა ყელზე, თავს, საითაც უნდოდა, იქით უზამდა)...
- 384 **GÄNSEHAUT – eine Gänsehaut bekommen** (fam) - vor Kälte, Aufregung oder Furcht schauen – ჟრუანტელმა დაგვიაროს, დაგზურბგლოს (გერმანულიდან სიტყვა-სიტყვით- ბატის კანი გაგისდეს)
Wir müssen besser heizen; wenn man länger in diesem Zimmer sitzt, bekommt man ja eine Gänsehaut.
ჩვენ უკეთესად უნდა გავათბოდ. როცა უფრო დიდხანს ხარ ამ ოთახში, ჟრუანტელი გივლის.

- 385 **GANZE – aufs Ganze gehen** – entschlossen, mutig für etw. kämpfen od. alles riskieren, um ein bestimmtes Ziel erreichen – შუაზე არ შეჩერდე, შენი გაიტანო, კომპრომისზე არ წახვიდე
... Sie (Gilberte) verstand Fernand, verstand, daß er immer aufs Ganze ging und auf dem geratesten Weg.

(Feuchtwanger - Narrenweisheit)

მას (ჟილბერტას) ესმოდა ფერნანდოს, ესმოდა, რომ ფერნანდო შუა გზაზე არ ჩერდებოდა (ცდილობდა თავისი გაეტანა, კომპრომისზე არ მიდიოდა) და თანაც ყველაზე პირდაპირი გზით მიდიოდა.

- 386 **GARAUS – jmdm. den Garaus machen** – einer Sache ein Ende machen – ბოლო მოუღო, მოკლა, მოახსო
„Was wäre da wohl leichter als des Saladins sich zu bemächtigen? Den Garaus ihm zu machen.“

(Lessing – Nathan der Weise)

რა უნდა იყოს, სალადინის ხელში ჩაგდებაზე ბოლო საქმე? მისი მოკვლა?

- 387 **GARDINEN – hinter schwedischen Gardinen** (sitzen) (fam) - im Gefängnis sitzen, in eine Strafenstalt einsitzen - ვირის აბანოში იჯდე, საპყრობილეში იყო
„Die großen Möglichkeiten, schnell reich werden, halten ihn unbesonnen gemacht. Er sah hinter schwedischen Gardinen.“

(Bredel – Die Söhne)

სწრაფი გამდიდრების ფართო შესაძლებლობამ იგი უგუნურ ადამიანად აქცია. ასე ის საპყრობილეში (ვირის აბანოში) იჯდა.

Wer wiederholt mehrere Jahre hinter schwedischen Gardinen verbracht hat, wird kaum mehr den Weg ins bürgerliche Leben zurückfinden.

ვინც რამოდენიმე წელი საპყრობილეში გაატარა, სამოქალაქო ცხოვრებაში გზას ვეღარც პოუვებს.

- 388 **GARN – ins Garn gehen** – sich von jmdm. hereinlegen lassen; von jmdm. überlistet werden – მახეში გაება, ანკესს წამოეგო
„Doktor Philipp war wutschnaubend davongerannt ... Narr, der er gewesen war, dreimal verwünschter Narr! Diesem Teufelsweib so ins Garn zu gehen!“

(G. Harkenthal – Das Hochgericht)

დოქტორი ფილიპი ცოფმორეული გაგარდა. ეს რა ბრიყვი ყოფილა? წყეული ბრიყვი! ასე როგორ გაება ამ ალქაჯი დედაკაცის მახეში (ასე როგორ წამოეგო ანკესს)!

- 389 = **jmdn. ins Garn locken** (fam) - jmdn. überlisten – მახეში გააბა, ანკესზე წამოაგო
Er sah, dass man ihn mit allen Mitteln ins Garn locken wollte.
იგი ხედავდა, რომ ყოველნაირად ცდილობდნენ გაებათ იგი მახეში.
Er ist ein sehr tüchtiger Geschäftsmann und lässt sich nicht so leicht ins Garn locken.
იგი გაქნილი საქმოსანია და ასე ადვილად არ გაებმება მახეში (ანკესზე არ წამოეგება).

- 390 **GEBEN – etwas auf eine Person (Sache) geben** - eine gute Meinung von einer Person (Sache) haben – კარგი აზრი შეიქმნა, მნიშვნელობა მიანიჭო
Er gibt viel auf das, was in der Zeitung steht.
იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას, რაც გაზეთში იბეჭდება.

- 391 = **zum besten geben** – 1. spendieren (für andere) bezahlen – თავი მოიწონა და ჯიბეზე ხელი გაიკრა, გაუმასპინძლდა; 2. vortragen, erzählen – მოყოლით თავი ისახელა (მოიწონა), თავი გამოიჩინა, ენამზეობდა
... Gestern abend besuchten mich meine Freunde, und ich musste eine Flasche Wein zum besten geben.

გუშინ საღამოს მეგობრები მესტუმრნენ და მეც ერთი ბოთლი ღვინოთი გაუმასპინძლდი.

- Die Unterhaltung wurde sehr angeregt, jeder von uns gab einen Witz zum besten.
საუბარი ძალიან ცხოველყოფილი გამოვიდა. თითოეულმა ჩვენგანმა თავი
ოსახელა (თავი გამოიჩინა) სახუმარო ამბების მოყოლით.
- 392** = **seinen Segen geben** (fam) – (nach längerem Zögern) seine Zustimmung geben, einverstanden sein – კურთხევა მისცე, თანხმობა განაცხადო
Zuerst wollte er den Plan nicht zustimmen, aber dann gab er doch seinen Segen dazu.
ჯერ მას არ უნდოდა ამ გეგმაზე დათანხმება, შემდეგ კი, როგორც იქნა, თანხმობა განაცხადა.
- 393** = **seinen Senf dazugeben** (stärker fam) – seine unwichtige Meinung sagen – აზრის გამოთქმით სიტუაცია ჩაამყავო
Er kann keinen Augenblick still sein und sich die Meinung der anderen anhören. Immer muss er seinen Senf dazugeben.
მას ერთი წუთითაც არ შეუძლია წყნარად იყოს და სხვის აზრს მოუსმინოს. ყოველთვის მისი აზრებით უნდა ჩაამყავოს.
- 394** **GEBET – jmdn. ins Gebet nehmen** (fam) – jmdm. ins Gewissen reden, eindringlich und ermahnend mit jmdm. sprechen – შეახურო, დატუქსო
„Sag ihr, sie soll die Kleine tüchtig ins Gebet nehmen.“
(W. Raabe – Die Leute aus dem Walde)
უთხარი მას, რომ ქალიშვილი კარგად შეახუროს (დატუქსოს).
„Nach dem der Sohn die Prüfung wieder nicht bestanden hatte, nahm ihn sein Vater gehörig ins Gebet.“
მას შემდეგ, რაც ბიჭმა გამოცდა კვლავ ვერ ჩააბარა, მამამისმა იგი კარგა ღაზითიანად დატუქსა.
- 395** **GEBOT – etw. steht jmdm. zu Gebote** – etw. steht jmdm. zur Verfügung – ფლობს, განკარგულებაში აქვს
„Es bedurfte dort (auf der Bühne) anderer, grellerer Mittel, die ihm nicht zu Gebote standen.“
(Feuchtwanger – Die Füchse im Weinberg)
იქ (სცენაზე) მას სჭირდებოდა სხვა, უფრო გამომეტყველებელი საშუალებები, რომლებსაც იგი არ ფლობდა (რომლებიც მას არ გააჩნდა).
Ihm standen nur geringe finanzielle Mittel zu Gebote.
მის განკარგულებაში იყო მხოლოდ მცირე ფინანსური საშუალებები.
- 396** **GEDANKE – auf einen Gedanken kommen, verfallen** - bedenken, überlegen, etw. tun, was nützlich ist – აზრად მოუვიდა, მოიფიქრა
Wie war er überhaupt auf diesen Gedanken gekommen?
საერთოდ როგორ მოუვიდა მას ეს აზრად?
- 397** = **sich Gedanken machen über etw.** – sich Sorgen machen, über etw. länger nachdenken – იფიქრო, იზრუნო, შეწუხდე
„Er hatte sich bisher nicht viele Gedanken gemacht über seine Zukunft...“
(Feuchtwanger – Narrenweisheit)
აქამდე მას თავის მომავალზე მაინცდამაინც არ უფიქრია.
Mach dir doch keine Gedanken darüber, wenn ich einmal später nach Hause komme, was soll mir denn schon passieren?
არ იფიქრო (არ შეწუხდე) იმაზე, თუ ერთხელაც უფრო გვიან მოვალ შინ, რა უნდა მომივიდეს?
- 398** = **sich Gedanken machen um jmdn.** – sich Gedanken machen über jmdn. (etw.) – sich über jmdn./etw. Meinung bilden, um jmdn./etw. sorgen – თავი შეიწუხო (ვინმეზე)
„...Machen Sie sich keine Gedanken um mich, Herr Klemm!“
(Seghers – Die Toten bleiben jung)
თავს ნუ იწუხებთ (თავს ნუ იტკივებთ) ჩემთვის, ბატონო კლემ!
- 399** = **seine Gedanken beisammen haben** (fam) – sich konzentrieren – კონცენტრირებულია, ჭკუადაამჯდარია, გონებრივად მობილიზებულია

- Ein Autofahrer muss seine Gedanken beisammen haben, sonst kann er zu leicht einen Unfall verursachen.
 მძღოლი ჭკუადაძმადარი (გონებრივად მობილიზებული) უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ადვილად მოახდენს ავარიას.
- 400 = **Gedanken nachhängen** – sich mit etw. im Geiste anhaltend beschäftigen – თავი ფიქრებს მისცე
 Er war froh, daß sein Begleiter ihn verließ, da er seinen Gedanken ungestört nachhängen konnte.
 (Kellermann – Totentanz)
 მოხარული იყო, რომ თანამგზავრი ჩამოსცილდა და ახლა გულმშვიდად შეეძლო თავის ფიქრებს მისცემოდა.
- 401 **GEDEIH – auf Gedeih und Verderb** – für gute und schlechte Zeiten, im Glück oder Unglück - ჭირსა და ლხინში, ლხინსა და ჭირში, ბედნიერებაში და გასაჭირში
 Bevor man sich entschließt zu heiraten, muss man sich darüber klar sein, dass man mit seinem Partner auf Gedeih und Verderb verbunden ist.
 სანამ ადამიანი დაქორწინებას გადაწყვეტს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის პარტნიორთან ლხინსა და ჭირს გაიზიარებს (ჭირსა და ლხინში ერთად იქნება).
- 402 **GEDULD – mir reißt die Geduld** (jmdm. reißt die Geduld) – Meine Geduld ist zu Ende
 – მოთმინების ფიალა აივსო, მოთმინება დაეკარგე
 Lange habe ich diesem Schwätzer zugehört, dann riss mir aber die Geduld, und ich sagte ihm gehörig meine Meinung.
 დიღხანს ვუსმინე იმ მოლაყბეს, მაგრამ შემდეგ მოთმინების ფიალა ამევსო და მას ჩემი აზრი მოვახსენე.
 Die Unternehmer sperrten 2500 Mann aus. Den Arbeitern riss die Geduld: im Mai traten sie in den Streik.
 მეწარმეებმა დაითხოვეს 2500 კაცი. მუშებს მოთმინება დაეკარგათ (ავესოთ მოთმინების ფიალა). მაისში ისინი გაიფიცნენ.
- 403 **GEFAHREN – was ist in dich gefahren?** – was ist mit ihm los? – რამ წამოუარა? რა ბზიკმა უკბინა?
Was, bei allen Teufeln, war in ihn gefahren. Er kannte sich selbst nicht mehr.
 (Kellermann – Totentanz)
რა ღმერთი გაუწყრა, რამ წამოუარა? (რა ბზიკი შეუჯდა?) იგი საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა.
- 404 **GEFALLEN – das lasse ich mir gefallen** (fam) – so gut möchte ich es auch haben – ძალიან მომწონს, ნამდვილად ვისურვებდი
 ...Erika hat einen herrlichen Pelzmantel von ihrem Mann zum Geburtstag bekommen, das lasse ich mir gefallen.
 ერიკამ დაბადების დღეზე მისი ქმრისაგან საუცხოო ბეწვის ქურქი მიიღო საჩუქრად. აი, ასეთ რამეს კი ვისურვებდი (აი, ასეთი რამე კი მომწონს).
- 405 **GEFASST – sich auf etwas gefasst machen (auch gefasst)** – mit etwas sehr Unangenehmem rechnen – რაღაც არასასიამოვნოსათვის მოემზადო
 Wenn Sie morgen wieder zu spät ins Geschäft kommen, können Sie sich aber auf einen Krach mit unserem Chef gefasst machen.
 თუ თქვენ ხვალ კვლავ დააგვიანებთ მაღაზიაში მოსვლას, მზად უნდა იყოთ ჩვენს შეფთან არასასიამოვნო საუბრისთვის.
 „Steh auf,“ sagte sie, „und mache dich auf etwas Unangenehmes gefasst.“
 (Goethe – Dichtung und Wahrheit)
- 406 **GEHEIMNIS – in ein Geheimnis einweihen** – jmdm. ein Geheimnis anvertrauen, offenbaren – საიდუმლოებას გაანდობს, საიდუმლოებას გაუმჟღავნებს
 Er wollte niemanden in sein Geheimnis einweihen

- მას არ უნდოდა ვინმესთვის თავისი საიდუმლოების განდობა (გამჟღავნება).
- 407 = **hinter ein Geheimnis kommen** – ein Geheimnis erfahren – საიდუმლოს ჩასწვდა, საიდუმლო ახსნა
Er vermochte nie hinter dieses Geheimnis zu kommen, so sehr er sich auch Mühe gab.
(Kellermann - Totentanz)
- ბევრს ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ ჩასწვდა ამ საიდუმლოს (ვერ ახსნა ეს საიდუმლო).
- 408 = **ein Geheimnis lüften** – kein geheimnis aus etw. machen, offen aussprechen – საიდუმლოს ფარდა ახადა, საიდუმლო გაამჟღავნა
Er versprach, sein Geheimnis nach kurzer Zeit zu lüften.
იგი შეეპირდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გამჟღავნებდა თავის საიდუმლოებას.
- 409 = **ein Geheimnis verraten** – kein Geheimnis aus etw. machen – საიდუმლოს გამხელა
Wer hat dieses Geheimnis verraten?
ვინ გამხილა ეს საიდუმლოება?
- 410 **GEHEN – es geht um ...** etwas – es handelt sich um etw. – საქმე ეხება ... საქმის ვითარებაა
Dieser traurige Narr begriff ja nicht einmal, worum es ging.
(Feuchtwanger – Die Brüder Lautensack)
- ამ საცოდავმა ტაკიმასხარამ არც კი იცოდა საქმის ვითარება (თუ რა იყო სასწორზე დადებული)
- 411 = **drunter und drüber gehen** – großes Durcheinander sein – თავდაყირაა, არეულ-დარეულია
Bitte besuchen Sie mich heute nicht. Wir sind gerade erst umgezogen, und in unserer Wohnung geht noch alles drunter und drüber.
გთხოვთ, დღეს არ მესტუმროთ. ჩვენ ახლახან გადავედით და ჩვენს ბინაში ჯერ კიდევ ყველაფერი თავდაყირაა (არეულ-დარეულია).
- 412 = **in sich gehen** – sich moralisch bessern, etw. bereuen – საკუთარ საქციელზე დაფიქრდეს, მოინანიო
Noch einmal bezahlte der Vater die Schulden seines Sohnes, und er riet ihm, in sich zu gehen und ein ordentliches Leben zu beginnen.
მამამ კიდევ ერთხელ გადაიხადა თავისი ვაჟიშვილის ვალები და ურჩია მას თავის საქციელზე დაფიქრებულიყო და წესიერ ცხოვრებას შედგომოდა.
- 413 = **sich gehen lassen** – nachlässig sein, sich nicht unter Kontrolle haben – მოშვებულია, გულგრილია (ჩაცმა-დახურვის მიმართ და მისთ.).
Sie sollte sich besser anziehen und mehr auf ihr äußeres achten. Wenn man im Beruf steht, darf man sich nicht so gehen lassen.
იგი უკეთესად უნდა იცვამდეს და მეტ ყურადღებას აქცევდეს საკუთარ გარეგნობას. ადამიანი როცა მუშაობ (სამსახურში ხარ), ასე მოშვებული არ უნდა იყო.
- 414 = **jmdm. an den Kragen (ans Leben) gehen (fam)** - in große Gefahr (Lebensgefahr) kommen, in eine sehr unangenehme Situation geraten – შავი დღე დაადგება, სიკვდილის პირას მივა, თავს წააცლიან
Wenn die Polizei jetzt den Dieb erwischt, geht es ihm aber an den Kragen. – Auch die Mutigsten werden schwach, wenn es ihnen ans Leben gehen.
თუ ახლა პოლიცია ქურდს შეიპყრობს, მას კარგი დღე არ დაადგება (შავი დღე დაადგება). ყველაზე მამაცნიც კი სუსტები ხდებიან, როცა სიკვდილ სიცოცხლის პირისპირ დგებიან -.
„Wie kann da lustig sein, wenn’s einem an den Kragen geht.“
(Gebr. Grimm - Die Bremer Stadtmusikanten)
- გაბედე და იყავი მხიარული, როცა სიკვდილ-სიცოცხლის რისკზე მიდიხარ.

- 415 = **wie man geht und steht** (fam) – so, wie man im Augenblick (angezogen) ist – დედიშობილა, როგორც ღმერთმა გააჩინა
 ...Frau X war gerade in der Waschküche, als sie auf der Straße ein lautes Geschrei hörte. Wie sie ging und stand, lief sie hinaus, um zu sehen, was los ist.
 ქალბატონი X აბაზანაში იყო, როცა ქუჩიდან ხმამაღალი ყვირილი შემოესმა, ისე როგორც იყო(დედაშობილა) გავარდა ქუჩაში, იმის გასაგებად, თუ რა მოხდა.
- 416 = **jmdm. gegen den Strich gehen** (fam) – gegen jmds. Überzeugung sein, gegen jmds. Natur sein, jmdm. sehr unangenehm sein – ჩვეულებად არ გქონდეს, შენს ბუნებაში არ იყოს
 ...Es geht mir gegen den Strich, meinen Vorgesetzten zu schmeicheln.
 ჩემს ბუნებაში არაა უფროსებთან პირმოთნეობა (ლაქუცი).
- 417 **GEHÖR – jmdm. Gehör schenken** – jmdm. Aufmerksamkeit schenken – ყურს ათხოვებს, ყურს უგდებს, უსმენს
 „Man schenkte ihm um früherer Verdienste willen Gehör, aber man nahm ihn nicht ernst.“
 (Feuchtwanger – Narrenweisheit)
 წინანდელ დამსახურებათა პატივსაცემად ყურს ათხოვებდნენ ხოლმე, მაგრამ სერიოზულად არ ეპყრობოდნენ მას.
- 418 **GEHUPFT, GEHÜPFT – gehupft (gehüpft) wie gesprungen** = das ist gehüpft wie gesprungen (fam) – ganz gleich, das ist völlig gleich; da ist das eine so, wie das andere – სულერთია
 ...Man kann mit dem Zug oder mit dem Autobus von München nach Garmisch fahren, das ist gehupft wie gesprungen.
სულერთია, მატარებლით წახვალ თუ ავტობუსით მიუნხენიდან გარმიშისაკენ.
 ...Ob du in diesem Falle diese oder jene Methode anwendest, das ist gehüpft wie gesprungen.
სულერთია, რომელ მეთოდს გამოიყენებ, ამას თუ იმას.
- 419 **GEIGE – die erste Geige spielen** (fam.) – die wichtigste Persönlichkeit sein – წამყვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, პირველობას იჩემებს, წამყვანი ხმა აქვს
 ...Er wittert schon, wie wirklich bei uns die erste Geige spielt, die Industriekapitäne oder wir.
 (A. Zweig – Das Beil von Wandsbek)
 ის უკვე გრძნობს, თუ ვინ ასრულებს სინამდვილეში წამყვან როლს (ვის ეკუთვნის პირველი ხმა), მრეწველობის მაგნატები თუ ჩვენ.
 ...Es ist schwer, mit ihm zusammenzuarbeiten. Er will immer die erste Geige spielen und sich in den Vordergrund drängen.
 ძნელია, მასთან მუშაობა. ყოველთვის უნდა პირველ ადგილზე იყოს (წამყვანი ადგილი ეკავოს) და სულ წინ იქაჩება.
- 420 = **nach jmds. Geige tanzen** – immer tun und sagen, was der andere will – სხვის დუღუკზე უკრავს, სხვის ჭკუაზე დადის
 Er ist gewöhnt, dass alle nach seiner Geige tanzen.
 იგი დაჩვეულია, რომ ყველამ მის დუღუკზე იცეკვოს (მის ჭკუაზე იაროს).
- 421 **GEIST – wes Geistes Kind?** – ich weiß, wes Geistes Kind er ist – ich kenne seine Geisteshaltung; ich weiß, was ich von ihm zu erwarten habe – ვიცი, რას წარმოადგენს, რა შვილია,
 „Ich stelle fest, daß ich all seinen lästerlichen Unfug nur angehört habe, um mich darüber zu unterrichten, wes Geistes Kind er ist.“
 (H. Mann – Der Untertan)
 მე ვაცხადებ, რომ მთელ მის შემბილწველ საზიზღრობას მხოლოდ იმისთვის მოუხსმინე, რათა გამომერკვია, თუ რას წარმოადგენდა ის.
 Der Direktor unterhält sich lange mit jedem Bewerber um zu erkunden, wes Geistes Kind er ist.
 იგი თითოეულ კანდიდატთან დიდხანს საუბრობს, რომ გაარკვიოს, ვინ რას წარმოადგენს (ვინ რა შვილია).

422 = **von allen guten Geistern verlassen sein** (fam.) – alle Vernunft verloren haben – რა ღმერთი გაუწყრა, ავი სული შეუჯდა გვერდებში, ჭკუიდან გადავიდა? ჭკუაზე არაა...

„Du lieber Gott!“ rief Frieda Brentan entsetzt. „Treibt ihr auch schon Politik? Ihr Bengels seid wohl von allen guten Geistern verlassen!“

(H. Bredel – Die Enkel)

ღმერთო დიდებულო! „დაიძახა შეძრწუნებულმა ფრიდა ბრენტანმა, „თქვენც უკვე პოლიტიკით ხართ გატაცებული? თქვე ლაწირაკებო, რა ღმერთი გაგიწყრათ! (ავი სული ხომ არ შეგიჯდათ გვერდებში! ჭკუიდან ხომ არ გადასულხართ).“

...Als er diesen Vertrag unterschrieb war er von allen guten Geitern verlassen.

როცა ის ამ ხელშეკრულებას ხელს აწერდა, სრულ ჭკუაზე არ იყო.

423 **GELÄCHTER – in ein Gelächter ausbrechen** – ein Gelächter anstimmer – laut lachen – ხარხარებს, სიცილი აუტყდა

„Der Angeredete brach wieder in ein Gelächter aus.“

(Bredel – Verwandte und Bekannte)

მან, რომელსაც სიტყვით მიმართეს, ისევ გადაიხარხარა (სიცილი აუტყდა)

424 **GELADEN – geladen sein** (stärker fam.) – sehr ärgerlich sein (so dass man bei dem geringsten Anlass aufbraust):

Heute bin ich aber geladen; schon wieder hat er mich über eine halbe Stunde warten lassen.

დღეს კი უკვე გიჟივით ვარ (კინაღამ გავცოფდი); მან კვლავ მთელი ნახევარი საათი მალოდინა.

425 **GELD – es geht (oder) läuft ins Geld** (fam) – es wird auf die Dauer teuer – ძვირად დაუჯდება, გაიყიდება, დაისეტყვება

Wenn ich täglich auch nur 80 Tetri für Fahrgeld ausgeben muss, so geht das doch ins Geld.

ყოველდღიურ მგზავრობისთვის მხოლოდ 80 თეთრიც რომ გადავიხადო, ძალიან ძვირი დამიჯდება (გავიყიდები)

„Denn das (das Trinken) wollte er sich doch nicht angewöhnen – es lief ins Geld.“

(A. Zweig – Das Beil von Wandsbek)

მას მაინც არ უნდოდა შესჩვეოდა მას – ეს ძვირად დაუჯდებოდა (დაისეტყვებოდა, გაიყიდებოდა)

426 = **ein Stück, eine Stange Geld kosten** – sehr teuer, sehr viel bezahlen – მამასისხლად დაუჯდა

Marie Antoinette musterte sachverständig die Gala-Robe der Braut - Sie meinte lächelnd: „Das muß Sie ein Stück Geld gekostet haben, meine Teure.“

(Feuchtwanger – Narrenweisheit)

მარია-ანტუანეტა მცოდნის თვალით ათვალაიერებდა პატარძლის სადარბაზო მორთულობას ... მან ღიმილით თქვა: “ეს თქვენ, ჩემო ძვირფასო, ალბათ, მამასისხლად დაგიჯდებოდათ (ალბათ დაისეტყვეთ, გაიყიდეთ).”

427 = **mit Geld um sich werfen** (fam) oder schmeißen (stärker fam), das Geld mit vollen Händen ausgeben – Verschwinderisch sein – ფულებს აქეთ-იქით ყრის, მფლანგველია

...Seitdem er in der Lotterie gewonnen hat, wirft er mit dem Geld nur so um sich.

რაც ლატარეა მოიგო, ფულებს აქეთ-იქით ყრის (ფულს ფლანგავს).

428 **GELEGENHEIT – die Gelegenheit beim Schopf nehmen, packen** – Gelegenheit ausnutzen – შემთხვევით ისარგებლა, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა

„Wenn wir schon zu zweit zurückgeblieben sind, wollen wir die Gelegenheit beim Schopfe nehmen und uns mal menschlich nähertreten.“

(Fr. Weiskopf – Inmitten des Stroms)

„რადგან ორნი დავრჩით, ვისარგებლოთ შემთხვევით (შემთხვევას ნუ გავუშვებთ ხელიდან) რომ ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ.“

- 429 = **die Gelegenheit verpassen** – die Gelegenheit nicht rechtzeitig ausnutzen – შემთხვევა ხელიდან გაუშვა
 „Das ist gar kein Zweifel. Die Gelegenheit wird er nicht verpassen.“
 (Th. Mann – Buddenbrooks)
 ეჭვი არ არის, ამ შემთხვევას იგი არ გაუშვებს ხელიდან
- 430 **GENICK – jmdm. das Genick brechen** (fam) 1. jmdn. umbringen, jmdn. töten – მოკლა, წუთისოფელს გამოასალმა, ტვინი ანთხმევინა 2. jmdn. Zugrunde richten, ruinieren, jmdm. seine Stellung, seinen Ruf nehmen – მიწასთან გაასწორა, დაღუპა, ადგილი წაართვა, სახელი გაუტეხა
 „Wenn du nicht aufhörst, derartige Lügengeschichten über mich zu verbreiten, breche ich dir doch noch mal das Genick.“
 თუ არ შეწყვეტ ჩემს შესახებ ასეთი შეთხზული ისტორიების გავრცელებას, ერთხელაც იქნება ტვინს განთხმევინებ (მოგკლავ).
 „Ich glaube nicht, dass X, in unserer Firma weiterbeschäftigt wird. Seine Unzuverlässigkeit hat ihm wohl doch das Genick gebrochen.“
 არ მგონია, რომ X. ჩვენს ფირმაში კვლავ დასაქმდეს. მისმა არასაიმედოობამ მას ხომ სახელი გაუტეხა (იგი დაღუპა, მიწასთან გაასწორა).
- 431 **GERATEWOHL – aufs Geratewohl** – ohne bestimmten Plan, ohne vorhergehende genaue Überlegung – ალაღბედზე, დაუფიქრებლად (იხ.Glück№469)
 „Aufs Geratewohl schlug ich eine Seite auf.“
 (W. Raabe – Chronik der Sperlingstraße)
ალაღბედზე გადავშალე წიგნი.
 „In den kommenden Ferien wollen wir aufs Geratewohl nach Italien fahren.“
 მომავალ არდადეგებზე დაუფიქრებლად წავალ იტალიაში.
- 432 **GERECHT – einer Sache gerecht werden** – etwas so erledigen, wie es sein muss – სათანადოდ გაართვა თავი, სათანადოდ მოაგვარო
 ...Der neue Direktor wird seiner Aufgabe nicht gerecht; er hat überall Schwierigkeiten.
 ჩვენი ახალი დირექტორი საქმეს თავს ვერ ართმევს. ყველგან სირთულეები აქვს.
- 433 = **in allen Sätteln gerecht sein** (fam) – jede Lage meistern können – მარჯვეა, ყველაფერს აგვარებს, ყველაფერს აკვარახტინებს
 „Jede Aufgabe, die man ihm überträgt, führt er zur größten Zufriedenheit aus, die Arbeit am Schreibtisch erledigt er ebenso gut wie die Verhandlungen mit Geschäftsleuten. Er ist in allen Sätteln gerecht.“
 ყველა დავალებას, რასაც მას აკისრებენ, იგი დიდი კმაყოფილებით უძღვება. საწერ მაგიდასთან მუშაობას იგი ისევე კარგად ართმევს თავს, როგორც საქმოსნებთან მოლაპარაკებებს. იგი ყველაფერში მარჯვეა.
- 434 **GERECHTIGKEIT – jmdm. Gerechtigkeit wiederfahren lassen** – jmdm. nicht absprechen, was er wirklich kann -სათანადოდ დააფასო, სამართლიანად შეაფასო
 ... Da Klein...den feinen Weinen an meines Vaters Tisch die vollste Gerechtigkeit wiederfahren ließ, so mochte ihn mein Vater sehr gut leiden*.
 (G. Parthey- Das Haus in der Brüderstraße)
 რადგან კლავინი სათანადოდ აფასებდა მამაჩემის სუფრაზე მოტანილ მშვენიერ ღვინოებს, მამა დიდი სიმპათიით იყო მისდამი განწყობილი.
 ...Man muss ihm Gerechtigkeit wiederfahren lassen: in diesem Falle hat er seine Sache gut gemacht.
სამართლიანობა მოითხოვს ითქვას (იგი სათანადოდ უნდა დაფასდეს), რომ ამ შემთხვევაში მან საქმეს კარგად გაართვა თავი.
- 435 **GERN – er kann mich gern haben** (stärker fam) – ich will nichts mehr mit ihm zu tun haben – მისი დანახვა (მოსმენაც) აღარ მინდა, კარგად იყოს

- ...Heute ist er wieder nicht gekommen, seit drei Tagen lässt er mich warten! Nun kann er mich aber gern haben...
- იგი დღესაც არ მოსულა. სამი დღეა მაცდევინებს! მისი დანახვა (მოსმენაც) აღარ მინდა, კარგად იყოს ...
- 436 **GESCHICHTE - eine schöne Geschichte** (fam) – nichts Gutes, etwas recht Unangenehmes – კარგი ამბავია ჩემმა (შენმა) მზემ
Wie konntest du nur deinen Schlüssel vergessen? Jetzt kannst du nicht ins Haus. Das ist ja eine schöne Geschichte.
როგორ შეგეძლო გასაღების დავიწყება. ესლა სახლში ვეღარ შეხვალ. კარგი ამბავია ჩემმა (შენმა) მზემ.
- 437 = **Geschichten machen** (fam) – Umstände, Schwierigkeiten machen – ცერემონიობს, თავს იწუხებს
...Wenn sie Gäste eingeladen hat, steht sie den ganzen Tag in der Küche; sie sollte nicht so viele Geschichten machen.
თუ დაპატიჟა სტუმრები, მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებს. რა საჭირო იყო ამდენი ცერემონიები (რა საჭირო იყო ასე თავის შეწუხება, ამდენი ამბავი).
- 438 **GESCHMACK** – an etwas **Geschmack finden** (fam) – an etwas Gefallen finden – გემო გაუგო, მულამი გაუგო
...Zuerst hat mir die Arbeit hier gar nicht gefallen. Allmählich habe ich aber doch Geschmack daran gefunden.
ჯერ არ მომწონდა ჩემი სამუშაო. თანდათან კი გემო გავუგე.
- 439 **GESCHREI** – in ein **Geschrei ausbrechen** – lautes Jammern u. Klagen wegen einer unwichtigen Sache – წივილ-კივილი ატეხვა, ალიაქოთის ატეხვა
...Mach doch deswegen nicht so ein Geschrei.
ამისთვის ნუ ატეხე ალიაქოთი.
...Die Weiber brachen in ein Geschrei aus.
ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს.
- 440 = **ins Geschrei kommen** – ins Gerede (Klatsch) kommen – სახელს გაიფუჭებს
...Meine Tochter kommt mit dem Baron ins Geschrei.
(Schiller – Kabale und Liebe)
- ბარონთან ურთიერთობა ჩემს ქალიშვილს სახელს გაუფუჭებს.
- 441 **GESCHÜTZ** – **schweres Geschütz auffahren** – zu starke Argumente gebrauchen, eine zu starke Gegenaktion einleiten – მძიმე (საფუძვლიანი) მტკიცებულებები წამოაყენო, მკაცრად გააკრიტიკო
...Wegen eines harmlosen Zwischenrufes wurde er von der Versammlung ausgeschlossen. So ein schweres Geschütz hätte man nicht aufzufahren brauchen.
უმნიშვნელო (უწყინარი) წამოძახილების გამო იგი კრებიდან დაითხოვეს. არ იყო საჭირო ასეთი მკაცრი გაკრიტიკება (ასეთი მკაცრი ზომების მიღება).
- 442 **GESICHT** – **jmdm. etwas ins Gesicht sagen (schleudern)** – jmdm. etwas Unangenehmes direkt sagen, jmdm. unverblümt die Wahrheit sagen – პირში მიახალა, დაუფარავად უთხრა ყველაფერი
...Sie war so gekränkt, dass sie ihm alle möglichen Beleidigungen ins Gesicht sagte.
იგი ისეთი გულნატკენი იყო, რომ ყველა შესაძლებელი შეურაცხყოფელი სიტყვები მას პირში მიახალა.
- 443 = **zu Gesicht bekommen** – zu Gesicht kriegen / sehen – თვალით იხილა, თვალით ნახა
...Dona Raquel hatte den König noch nie zu Gesicht bekommen.
(Feuchtwanger – Die Jüdin von Toledo)
- დონა რაქელს თვალით არ ენახა მეფე.
- 444 = **das Gesicht wahren** – den äußeren Schein wahren, behalten – იტყობარს არ იტყვს, იერ-სახეს ინარჩუნებს
(იხ. Spiel №1426)

...Er ist in große finanzielle Schwierigkeiten geraten; trotzdem fährt er immer noch seinen großen Mercedes. Es will unter allen Umständen sein Gesicht wahren.

ის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. მიუხედავად ამისა, დიდ მერსედესზე სიარულს არ იშლის. იგი ყველა გარემოებაში თავის იერ-სახეს ინარჩუნებს (იხტიბარს არ იტყვის).

445 GESPENST – Gespenster sehen – Schwierigkeiten sehen, wo keine sind – ყველგან საშინელება ელანდება, მოლანდებები აქვს, აჩრდილებს ხედავს

...Er wollte nicht mit dem Auto in Urlaub fahren; denn er fürchtete, krank zu werden und dann nicht nach Hause zurückfahren zu können. Überall sieht er Gespenster.

...მას შეეპულეების დროს მანქანით წასვლა არ უნდოდა; რადგან ეშინოდა, ავად გაეხდები და სახლში ვეღარ დაებრუნდებო. მას ხომ ყველგან საშინელება ელანდება (მას მოლანდებები აქვს, იგი ყველგან აჩრდილებს ხედავს).

446 GESTERN – nicht von gestern sein (stärker fam) – klug, erfahren sein – გუშინდელი ბავშვი არაა

...Ich weiß schon, wie man mit diesen Problemen fertig wird. Ich bin doch nicht von gestern.

მე უკვე ვიცი, როგორ გავართვა თავი პრობლემებს (როგორ მოვაგვარო პრობლემები). (გუშინდელი) ბავშვი ხომ არ ვარ.

447 GESUND – sich gesund machen (fam) oder **stoßen** (stärker fam) – einen guten Gewinn erzielen, seinen Geldmangel abhelfen – მოგება ნახა, სარფა ნახა, ფინანსური მდგომარეობა გამოისწორა

...Bei seinen Handel mit Rohproduktion hat er sich ganz schön gesund gestoßen.

ნედლეულით ვაჭრობამ მას კარგი მოგება მოუტანა (ნედლეულით ვაჭრობით მან სარფა ნახა).

Durch seine Heirat mit der Tochter seines Konkurrenten hat er sich gesund gemacht.

თავისი კონკურენტის ქალიშვილთან ქორწინებამ მას დიდი ფინანსური მოგება ანახა (მისი ფინანსური მდგომარეობა გამოასწორა).

448 GEWALT – in jmds. Gewalt stehen – von jmdm. abhängen – უფლებამოსილებაშია, კომპეტენციაში შედის, დამოკიდებულია

...Herr P. bat den Bürovorsteher um Lohnerrhöhung. Dieser erklärte, das stehe nicht in seiner Gewalt, und verwies ihn an den Direktor.

ბატონმა P. ბიუროს ხელმძღვანელს ხელფასის მომატება სთხოვა. მან აუხსნა, რომ ეს მის უფლებამოსილებაში არ შედიოდა და დირექტორისკენ მიუთითა (დირექტორთან გაგზავნა).

449 = sich in der Gewalt haben – sich beherrschen – თავი შეიკავა, თავი ხელში აიყვანა
...Die Nachricht hat mich sehr erschreckt, aber ich hatte mich in der Gewalt und ließ mir nichts anmerken.

ამ ცნობამ ძალიან შემაშინა, მაგრამ თავი შევიკავე და არაფერი შევიმჩნიე.

450 GEWICHT – ins Gewicht fallen – sehr wichtig sein, den Ausschlag geben – წონა აქვს, გამოხმაურებას ჰპოვებს, ფრთებს შეისხამს, აზრს შეიძენს, მხედველობაში მიიღებს, მნიშვნელობა აქვს

...Ich könnte noch manches zu dieser Sache sagen. Doch sind die Beschlüsse darüber schon gefasst, so dass meine Meinung nicht mehr ins Gewicht fällt.

მე კიდევ შემეძლო რაღაც მეტყვა ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ გადაწყვეტილება ამის შესახებ უკვე მიღებულია. ასე რომ, ჩემს აზრს მნიშვნელობა აღარ აქვს.

„...Die Beschwerden der Landesbewohner fallen wenig ins Gewicht, weil sie selbstverständlich übertreiben,“ erwiderte Perl.

(A. Zweig – Einsetzung eines Königs)

„ადგილობრივი მცხოვრებლების საჩივრებს არა აქვს დიდი წონა (მნიშვნელობა), რადგან ისინი, ცხადია, აჭარბებენ,“ მიუგო პერლმა.

- 451 **GEWISSEN – jmdn. (etwas) auf dem Gewissen haben** – Schuld haben (an dem großen Unglück, Untergang, Misserfolg einer Sache, auch dem Tod eines Menschen) – (ვინმეს) სინდისზე
 ...Rittmeister Möhn ... hatte sie (Klara) auf dem Gewissen, wie er schon viele auf dem Gewissen hatte.
 (Kellermann - Totentanz)
 იგი (კლარა), ისევე როგორც მრავალი სხვა ქალიშვილი, როტმისტრ მიონის სინდისზე იყო.
- 452 = **sich kein Gewissen daraus machen** – sich keine ernsthaften Gedanken darüber machen, etwas nicht als schlecht empfinden – სინდისი არ შეაწუხებს, სინდისი ხელს არ შეუშლის
 ...Viele Schüler machen sich kein Gewissen daraus, von ihrem Nachbarn abzuschreiben.
 ბევრ მოსწავლეს სინდისი არ შეაწუხებს (სინდისი ხელს არ შეუშლის) მეზობელ-თანაკლასელებისაგან რომ გადაიწეროს.
- 453 = **jmdn. ins Gewissen reden** – jmdn. eindringlich ermahnen und versuchen, ihn zu einer Änderung zu bewegen – სინდისიერებისაკენ მოუწოდებს, სინდისში აგდებს
 „Siehst du denn nicht, wer es mit dir gut meint,“ hatte der Vater mir schon oft ins Gewissen geredet.
 (Becher - Abschied)
 „ნუთუ ვერ ხედავ, შენთვის კარგი ვის უნდა,“ ხშირად სინდისიერებისაკენ მომიწოდებდა (სინდისში მაგდებდა) მამაჩემი.
- 454 = **das Gewissen schlägt (jmdm.)** – etwas als schlecht empfinden – სინდისის ქენჯნას განიცდის
 „...Herr Kriegsgerichtsrat! Schlägt Ihnen Ihr Gewissen nicht?“
 (Bredel – Der Sonderführer)
 „...ბატონო სამხედრო მრჩეველო! სინდისი არ გქენჯნით?“
- 455 **GIEßEN – es gießt (mit Kannen (fam) oder in Strömen)** – es regnet sehr stark – თავსხმაა, კოკისპირულია
 ...Bei unserem Ausflug goss es in Strömen.
 ჩვენი ექსკურსიის დროს კოკისპირულად წვიმდა.
- 456 **GIFT – darauf kannst du Gift nehmen (fam)** – darauf kannst du dich unbedingt verlassen – შეგიძლია თავი გამოიღო, შეიძლება ხატზე დაიფიცო
 „... Bei uns (in Hamburg) wären die Nazis nicht hochgekommen. Da können Sie Gift drauf nehmen.“
 (A.Zweig – Das Beil von Wandsbek)
 „ჩვენთან (ჰამბურგში) ნაცისტები ვერ გაიმარჯვებენ, ამაზე შეიძლება თავი გამოიღოთ (შეიძლება ხატზე დაიფიცოთ).“
- 457 **GLÄNZEN – durch Abwesenheit glänzen (ironisch, fam)** – Abwesend sein – მისი ყოფნით არ გვანებივრებს, არ ბრძანდება
 „...Nun, sind alle Teilnehmer da?“ „Nein, Erika glänzt natürlich wieder einmal durch Abwesenheit.“
 „აბა, ყველა მონაწილე ადგილზეა?“ „არა, ერიკა კვლავ არ გვანებივრებს მისი ყოფნით.“
- 458 **GLAS – zu tief ins Glas gucken / schauen (fam)** – zuviel trinken – მაგრად სვამს
 ...Herr W. ist ein recht fleißiger Mensch. Aber wenn er einmal zu tief ins Glas geguckt hat, kann man nichts mit ihm anfangen.
 ...ბატონი W. მართლაც შრომისმოყვარე ადამიანია, მაგრამ თუ ერთხელაც მაგრად დალია, მასთან ველარაფერს გახდები.
- 459 **GLATTEIS – jmdn. aufs Glatteis führen (figürlich)** – jmdn. irreführen – ნიადაგი მოუსინჯა, გამოცადა, ყინულზე გააცურა
 ...Der Professor fragte den Studenten, wie viele Haare ein Pferd habe. Er wusste es natürlich selbst nicht und wollte den Studenten nur aufs Glatteis führen.

პროფესორმა სტუდენტს ჰკითხა, რამდენი თმა შეიძლება ჰქონდეს ცხენსო. მან, რა თქმა უნდა, თვითონაც არ იცოდა. (ნიადაგი მოუსინჯა, აბა, რას იტყვისო).

460 GLAUBEN – auf Treu und Glauben – im Vertrauen auf die Anständigkeit des anderen – პატიოსნებაზე და სინდისზე იყოს (ნდობით და რწმენით)

...Ich brauche keinen Schuldschein von dir, ich leihe dir das Geld auf Treu und Glauben.

... არ მჭირდება შენგან არავითარი სესხის დამადასტურებელი მოწმობა (მინდობილობა). მე შენი პატიოსნებისა და სინდისის რწმენით გასესხებ ფულს.

461 = dran (daran) glauben müssen (fam) – sterben müssen – der Benachteiligte sein – სიცოცხლეს გამოესალმება, უბედურება არ ასცდება, დაიღუპება

...Der wird nun auch dran glauben müssen.

მას არ ასცდება ეს დიდი უბედურება.

...Bevor mich die Kanaillen erwischen, müssen noch etliche dran glauben.

(Bredel – Die Söhne)

სანამ ეს გარეწარნი ხელში ჩამიგდებდნენ, ზოგიერთი მათგანი სიცოცხლეს გამოესალმება.

...Er schrieb tags darauf seiner Mutter, ... sein liebster Freund hätte dran glauben müssen.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

... მეორე დღეს მან თავის დედას მისწერა, რომ ყველაზე საყვარელი მეგობარი დაეღუპა.

462 GLEICH – Gleiches mit Gleichem vergelten oder **jmdm. mit gleicher Münze heimzahlen** – jmdm. das Gleiche (Gute oder Schlechte) tun, was er einem getan hat – ავს ავით გადაუხდის, სამაგიეროს გადაუხდის

„Mich jammert Carls Unglück! Ich werde ... nicht Gleiches mit Gleichem vergelten.“

(Bredel – Die Söhne)

„მაწუხებს კარლის უბედურება. მე... სამაგიეროს (ავს ავით) არ გადაუხდის.“

...Selbst seinem größten Feind sollte man nicht mit gleicher Münze heimzahlen.

შენს ყველაზე დიდ მტერსაც არ უნდა გადაუხადო სამაგიერო.

463 GLEIS – etwas wieder ins Gleis bringen – etwas wieder in Ordnung bringen - გაასწორა, წესრიგში მოიყვანა

... Die Abrechnung stimmt nicht. Ich brauche fast eine ganze Nacht, um sie wieder ins Gleis zu bringen.

ანგარიში არ ემთხვევა. თითქმის მთელი ღამე დამჭირდება, იგი რომ კვლავ გაავასწორო (წესრიგში მოვიყვანო).

463 = im alten Gleis – wie früher, wie gewohnt – ჩვეულებისამებრ, ძველებურად

...Jeder hatte gehofft, dass die neue Regierung vieles besser machen würde, aber nach einigen fehlgeschlagenen Versuchen lief bald alles wieder im alten Gleis.

ყველას ჰქონდა იმედი, რომ ახალი მთავრობა ბევრ რამეს უკეთესად გააკეთებდა, მაგრამ რამდენიმე ჩაშლილი მცდელობის შემდეგ მალე ყველაფერი კვლავ ძველებურად (ჩვეულებისამებრ, კვლავინდებურად) წავიდა.

465 GLIED – der Schreck fuhr ihm in alle Glied – er war sehr erschrocken – შიშმა აიტანა, ძრწოლამ აიტანა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა

...Nach dem Zusammenstoss konnte der Autofahrer kein Wort herausbringen; der Schreck war ihm in alle Glieder gefahren.

შეჯახების შემდეგ ავტომძღოლმა ენა ვერ ამოიღო. მას მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა (იგი შიშმა აიტანა).

466 GLOCKE – etwas an die große Glocke hängen (fam) – etwas allgemein bekannt machen , etwas eigentlich privat oder geheim ist – vielen Leuten erzählen – ქვეყანას მოსდებს, შარაზე გაიტანს

...An die große Glocke hängt er es nicht, das brauchen sie nicht zu fürchten.

(H. Mann – Der Untertan)

- დარდი ნუ გაქვთ, ამ ამბავს ის ქვეყანას არ მოსდებს (შარაზე არ გაიტანს).
- 467 = **an die große Glocke kommen** (fam) – etwas allgemein bekannt werden – ფართოდ გახმაურდეს, საჯაროდ გამჟღავნდეს
 ...zunächst wollen wir beide sondieren, ehe der Fall an die große Glocke kommt.
 (G. Harkenthal - Hochgericht)
 ...თავდაპირველად ორივემ ნიადაგი უნდა მოვსინჯოთ, ვიდრე საქმე ფართოდ გახმაურდებოდეს (საჯაროდ გამჟღავნდებოდეს).
- 468 **GLÜCK – sein Glück machen** – Reich werden, Erfolg haben – წარმატება ჰპოვა, გამდიდრდა
 ...In Europa konnte er keine richtige Arbeit finden. Er wanderte nach Amerika aus und machte dort sein Glück.
 ევროპაში მან ვერ ნახა ნორმალური სამუშაო. იგი გადასახლდა ამერიკაში და წარმატებაც მოიპოვა (კიდევ გამდიდრდა).
- 469 = **etwas auf gut Glück tun** – etwas ohne Plan machen - ალაღბედზე
 ... Auf gut Glück sind wir diese Straße entlanggegangen, und tatsächlich war es der richtige Weg.
 ალაღბედზე გადავკვეთეთ ქუჩა და ფაქტიურად იგი სწორი გზა აღმოჩნდა.
- 470 = **mehr Glück als Verstand** – außergewöhnliches Glück, unverdienter Erfolg – უფრო იღბალი წყალობს, ვიდრე ჭკუა ერჩის
 ...Wenn Fritz in dieser Prüfung nicht durchfällt, hat er aber mehr Glück als Verstand gehabt.
 თუ ფრიცი ამ გამოცდაში არ ჩაიჭრა, ვიტყვი, რომ იღბალი უფრო წყალობს, ვიდრე ჭკუა ერჩის.
- 471 **GLÜCKLICH – sie hat eine glückliche Hand** – ihr gelingt alles, sie ist sehr geschickt – მარჯვება, ხელიდან გამოდის, ხელზე ასდის, კარგი ხელი აქვს
 ...Meine Tante hat für Blumen eine glückliche Hand.
 დეიდაჩემს ყვავილების მოვლა-გაშენება ხელზე ასდის.
- 472 **GNADE – auf Gnade und Ungnade** – Bedingungslos – სხვის წყალობაზეა
 ...Seitdem sie ihr Vermögen verloren hat, ist sie auf Gnade und Ungnade von ihrem Bruder abhängig.
 მას შემდეგ, რაც მან ქონება დაკარგა, ძმის წყალობაზე ცხოვრობს (ძმაზეა დამოკიდებული).
- 473 = **aus Gnade und Barmherzigkeit** – ohne einen Lohn zu erwarten – მოწყალებით, გულმოწყალებით და სათნოებით, სამადლოდ
 ... Aus Gnade und Barmherzigkeit gab sie dem Bettler in der Küche einen Teller Suppe.
გულმოწყალებით და სათნოებით (სამადლოდ) მიაართვა მან მათხოვარს სამზარეულოში ერთი თევში წვნიანი.
- 474 = **Gnade für Recht ergehen lassen** – Nachsicht üben, jmdm. eine Strafe, die er eigentlich verdient hätte, erlassen – რისხვა წყალობით შეუცვალაო
 „Und erst wenn der Herr nach Monaten ganz klein geworden ist ... und Besserung gelobt, läßt man Gnade für Recht ergehen.“
 (A. Zweig – Eisetzung eines Königs)
 „მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ვაჟბატონი რამდენიმე თვის შემდეგ სავსებით მოიკუნტება ... და პირობას მოგვცემს, რომ გამოსწორდება, შეიძლება რისხვა წყალობით შევუცვალაო.“
- 475 **GOLDWAAGE – jedes Wort auf die Goldwaage legen** – jedes Wort sehr genau nehmen, sehr empfindlich sein – თითოეულ სიტყვას ოქროს სასწორზე წონის
 ...Du darfst nicht jedes Wort auf die Goldwaage legen. Sagst du nicht auch einmal etwas schärfer, als du es eigentlich meinst?
თითოეული სიტყვის სასწორზე აწონვა არაა საჭირო (თითოეულ სიტყვას ნუ ჩაეკირკიმალეხები). შენ ჯერაც არ წამოგცდენია უფრო მძაფრად რაიმე, ვიდრე სინამდვილეში გულისხმობ?

- 476 **GOTT – du bist wohl ganz von Gott verlassen** (fam) (Ausruf des Einsetzens) – Du bist wohl dumm geworden! – Wie kannst du nur so etwas tun! – მგონი უფაღმა შენზე ხელი აიღო, მგონი სულ გაგიჟდი, როგორ შეგიძლია ასეთი რამ გააკეთო?
... Wie kannst du denn nur eine so dumme Bemerkung machen? Du bist wohl ganz von Gott verlassen?
როგორ შეგიძლია ასეთი სულელური შენიშვნის მიცემა? ღმერთმა მგონი სულ აგაღო ხელი (მგონი სულ გაგიჟდი, ასეთი უღმერთო როგორ ხარ)
- 477 = **wie Gott in Frankreich leben** (fam) – ein schönes Leben haben, bes. weil man gut zu essen hat – უზრუნველად ცხოვრობს, სამოთხეში ცხოვრობს, სმა-ჭამა თავზე საყარი აქვს
...Auf dieser Insel ist es herrlich zu leben. Man hat ein gutes Unterkommen, ausgezeichnetes Essen, nicht zu hohe Preise, man lebt wirklich wie Gott in Frankreich.
მშვენიერია კუნძულზე ცხოვრება. კარგი შემოსავალი, საუცხოო საჭმელები, არც თუ ისე დიდი ფასები. ნამდვილი სამოთხეა. (სამოთხეში ცხოვრობ, განცხრომაში ხარ ადამიანი).
- 478 **GRAS – ins Gras beißen** – sterben – წუთისოფელს გამოესაღმა, საიქიოს წავა, ამ სოფელს გამოეთხოვება
„Es wird wohl mancher ins Gras beißen, bis Ihr Eure Rosse im Necker trinkt.“
(Hauff - Lichtenstein)
„კიდევ ბევრი გამოესაღმება წუთისოფელს (წავა საიქიოს), სანამ თქვენ რაშებს მდინარე ნეკარის წყალს დააღვინებდეთ.“
- 479 = **es ist Gras darüber gewachsen** (fam) – es ist vergessen – საქმე დავიწყებას მიეცემა, საქმეს დავიწყების ფერფლი წაეყარა
...Wir waren froh, dass Gras über die Sache gewachsen würde.
... ჩვენ მოხარულები ვიყავით, რომ საქმეს დავიწყების ფერფლი წაეყარებოდა (საქმე დავიწყებას მიეცემოდა).
- 480 = **das Gras wachsen hören** (fam) – allzu klug sein wollen (wört)lich: sehr gut hören) – ეურს არაფერი გამოეპარება, ბალახის ჩურჩულუც კი ესმით, ელანდება ის, რაც არ არსებობს (იხ. Floh №358)
Ein Direktorder Firma X. hat eingehend unsere Fabrik besichtigt, und Fritz meint, dass die Firma X. die Fabrik übernehmen will. Da hat er wohl wieder einmal das Gras wachsen hören.
ერთ-ერთი ფირმის დირექტორი ხშირად მოდიოდა ჩვენს ფაბრიკაში. ფრიცს კი ეგონა, რომ ამ ფირმას ფაბრიკის დაპატრონება უნდაო. მას ხომ ყველგან და ყოველთვის არ არსებული ელანდება.
- 481 **GRAU – grau in grau** – alles pessimistisch beurteilen, darstellen – მუქ ფერებში (პესიმისტური)
...Dieser dicke Tintenkuili beurteilte die Lage grau in grau.
... ამ სქელ დაქირავებულ კალმოსანს მდგომარეობა მუქ ფერებში ჰქონდა წარმოდგენილი.
- 482 **GREIFEN – etwas aus der Luft greifen** – etwas frei erfinden – მოგონილია, ჰაერში დაჭერილია, არგუმენტაციას მოკლებულია
...Alles, was er gegen seinen Konkurrenten vorbrachte, war völlig aus der Luft gegriffen.
...ყველაფერი, რაც მან მის მოწინააღმდეგეებზე წარმოადგინა (კონკურენტების საწინააღმდეგოდ მოიტანა), მთლიანად გამოგონილი იყო (ჰაერში დაჭერილი, არგუმენტაციას მოკლებული იყო).
- 483 **GRIFF – einen guten Griff tun** – eine gute Wahl treffen – კარგი არჩევანი გააკეთო
...Mit der Einstellung von Herrn W. haben wir einen guten Griff getan.
ბატონი W. დანიშნით კარგი არჩევანი გავაკეთეთ.
- 484 = **etwas im Griff haben** – etwas gefühlsmäßig richtig machen – ზედმიწევნით სწორად
...Wenn man eine Arbeit erst einmal im Griff hat, kann man sie schnell und gut ausführen.

- ... როცა საქმეს თავიდანვე ხედმიწევნით გულმოდგინედ აკეთებ, მალეც მორჩები და კარგადაც გააკეთებ.
- 485 GRILLEN – Grillen haben** – sonderbarer, schrulliger Gedanken – უცნაური აზრები აქვს
 ... Mein Bruder ist ein etwas eigenartiger Mensch. Manchmal hat er nur Grillen im Kopf, und dann wieder überrascht er uns mit einem zarten, romantischen Gedicht.
 (MDtl)
 ჩემი ძმა ცოცხალი თავისებური ადამიანია. ზოგჯერ მხოლოდ უცნაური აზრები მოდის თავში, შემდეგ კი კვლავ გვანცვიფრებს რაღაც ნაზი, რომანტიკული ლექსით.
 ...Er hat Grillen im Kopf.
 მას თავში ოფოფები აქვს.
- 486 = Grillen fangen** – trüben Gedanken nachhängen – ჭირვეულობს, უინიანობს
 ...Dieser Müßiggänger kann stundenlang dasitzen und Grillen fangen.
 ამ უქნარას შეუძლია საათობით ერთ ადგილზე იჯდეს და ჭირვეულობდეს (უინიანობდეს).
- 487 = sich die Grillen in den Kopf setzen** – sich (Dat.) die Dummheit in dem Kopf setzen – თავი სისულელეებით გამოიჭედო, თავში ჩაიდო ათასგვარი სისულელე, ათასგვარი შიში, ფანტასტიკური იდეები
 ...Wenn Sie sich etwa die Hoffnung hingeben, meiner Frau Grillen in den Kopf gesetzt zu haben, so befinden sie sich auf dem Holzweg.
 (Th. Mann - Tristan)
 თუ თავს იიმედობთ იმით, რომ შესძელით ჩემი ცოლისათვის რაღაც ფანტასტიკური იდეების ჩაგონება, მაშინ თქვენ, ბატონო ჩემო, ძალიან ცდებით.
- 488 GROSCHEN – der Groschen ist gefallen** (fam) – er, sie hat es verstanden – წილი ნაყარია, როგორც იქნა მიხვდა, ჩასწვდა აზრს
 ...Alle lachte über den Witz, nur Fritz blieb ernst. Plötzlich fing auch er an zu lachen; endlich war der Groschen gefallen.
 ყველამ გაიცინა ანეკდოტზე, მხოლოდ ფრიცი იღვა სერიოზულად. უცებ მანც დაიწყო სიცილი, როგორც იქნა, ჩასწვდა ნათქვამის აზრს.
- 489 GRÜN – jmdm. nicht grün sein** – jmdm. nicht wohlgesinnt sein – jmdn. nicht leiden können – ათვალწუნებული ჰყავს
 ...Sie, die Lehmken, war ihr ja nie grün gewesen, Stine wußte er sehr wohl.
 (A.Zweig –Das Beil von Wandsbek)
 ფრაუ ლემკენს იგი ყოველთვის ათვალწუნებული ჰყავდა, სტინემ ეს კარგად იცოდა.
- 490 = vom grünen Tisch aus** – von der Theorie, vom Schreibtisch, nicht von der Praxis ausgehend (hergeleitet von dem mit grünen Stoff bespannten Verhandlungstisch) - ბიოროკრატიულად
 ...Vieles, was vom grünen Tisch aus beschlossen wurde, erwies sich in der Praxis als undurchführbar.
 ... ყველაფერი, რაც ბიოროკრატიულად (პრაქტიკას მოწყვეტით) იქნა გადაწყვეტილი, პრაქტიკაში გამოუსადეგარი (განუხორციელებელი) აღმოჩნდა.
- 491 = auf keinen grünen Zweig kommen** (fam) – keinen Erfolg haben, im Leben nicht vorwärtskommen – (იხ. Zweig№1885)
- 492 GRÜTZE – Grützes, Grips haben** – klug sein – ჭკუის პატრონია, ჭკუა უჭრის, საზრიანია
 ...Er hat Grütze im Kopf.
 მას ჭკუა უჭრის (თავიანია, გამჭრიახია).
 ...Er hat viel weniger Grütze als du. Er hat aber viel mehr Macht als du.

ის შენზე გაცილებით ნაკლები ჭკუის პატრონია. მაგრამ გაცილებით მეტი ძალაუფლების მქონეა.

..Das ist so leicht, dass es jeder verstehen kann, der auch nur etwas Grütze im Kopf hat.

ეს ისე ადვილია, რომ ამას ყველა გაიგებს, ვისაც ცოტაოდენი ჭკუა მაინც შერჩენია თავში.

493 GUT – gut dran sein – Glück haben - გაუმართლდა

...Ich muss mir das Geld für mein Studium selbst verdienen; ich bin nich so gut dran wie mein Freund, der von seinen Eltern unterstützt wird.

ჩემი სწავლის ფული თვითონვე უნდა მოვიპოვო. ჩემი მეგობარივით როდი მიმართლებს. მას მშობლები ესმარებიან.

494 = lass es gut sein! – gib dich damit zufrieden! – lass die Sache vergessen sein! - დაივიწყე

...Ich bitte Sie vielmals um Entschuldigung. Die Sache ist mir sehr unangenehm. Lassen Sie es gut sein! Ich weiß schon, dass Sie es nicht böse gemeint haben.

კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას. ეს საკითხი ძალიან არ მსიამოვნებს. დაივიწყეთ! მე ვიცი, რომ თქვენ განზრახ (ბოროტი განზრახვით) არ გაგიფიქრებიათ (არ ჩაგიდენიათ).

H

- 495 HAAR – sich die Haare (aus) raufen / ausreißen(umg)** – verzweifelt sein , sich über etw. sehr ärgern, aber es nicht ändern können – ლამის გაგიჟდე, ჭკუაზე შეიშლები, სიბრაზისაგან თმებს დაიგლეჯ
...Man könnte sich ja die Haare (aus) raufen, wenn man sieht, wieviel Fehler ihr wieder in dieser Übung gemacht habt.
ლამის გაგიჟდე (შეიშლები კაცე), როცა ნახავ, რამდენი შეცდომა დაუშვით კვლავ ამ სავარჯიშოში.
„...Hast du dich bei dem Spiel gegen Belgien auch so geärgert?“ – „Und wie: Ich habe mir die Haare (aus) gerauft, (hätte mir die Haare (aus) raufen können) bei den vielen ausgelassenen Torchancen.“
ბელგიის წინააღმდეგ თამაშის დროსაც ასე გაცხარდი? – და მერე როგორ: თმები ლამის დავიგლეჯე თითოეული კარში გოლის გატანის შანსის ხელიდან გაშვებისათვის.
Tila rauft sich die Haare. In einer halben Stunde müßte sie am Treffpunkt sein. (R. Klein, „Die dicke Tilla“)
თილა თმებს იგლეჯს. ნახევარ საათში დათქმულ ადგილზე უნდა ყოფილიყო.
- 496 = jmdm. stehen (steigen) die Haare zu Berge** - jmdm. sträuben sich die Haare – თმა ყალყზე უღვას
...Nie vergesse ich das Hexengesicht ... Nase, Kinn, der Mund – alles grinste voll Hohn und Grimm, ich fühlte, wie das Haar mir zu Berge stand.
(Kellermann – Die Geisterseher)
არასოდეს დამავიწყდება ამ ალქაჯის სახე ... ცხვირი, ნიკაპი, პირი – ყველაფერი გესლიანად და ღვარძლიანად ეღრჩებოდა, ვგრძნობდი, რომ თმა ყალყზე მედგა.
- 497 = (bis) aufs Haar** – völlig, ganz genau – ზედმიწევნით, ზუსტად
...Meine Schwester weiß die Lebensdaten der einzelnen Schauspieler aufs Haar.
ჩემმა დამ ზედმიწევნით (ზუსტად) იცის თითოეული მსახიობის ბიოგრაფია.
...Die Lehrer hatten stets Schwierigkeiten, die Zwillinge zu unterscheiden, denn sie gleichen einander aufs Haar.
მასწავლებლებს ყოველთვის უჭირდათ ტყუილების გარჩევა, რადგან ისინი ზედმიწევნით ჰგავდნენ ერთმანეთს.
- 498 = um (auf) ein Haar** – Fast, beinahe – კინალამ, ლამის, ბევრი გაწყდა, ცოტას გაწყდა
...Um ein Haar hätte er die Prüfung nicht bestanden.
მან გამოცდა კინალამ (ცოტას გაწყდა) ვერ ჩააბარა.
...Um ein Haar wäre Martin freigekommen.
(Feuchtwanger - Erfolg)
მარტინი, ბევრი გაწყდა (ცოტას გაწყდა) კინალამ ციხიდან არ გაუშვეს.
- 499 = um kein Haar / nicht um ein Haar** – in keiner Weise, durchhaus nicht – იოტის ოდენაც კი არ – ოდნავადაც კი არ, სულაც არ
...Es ist von seinen Forderungen nicht um ein Haar abgegangen.
მას იოტის ოდენაც კი არ გადაუხვევია თავის მოთხოვნებისათვის.
...Er hat seinen Standpunkt auch diesmal nicht um ein Haar geändert.
მას ოდნავადაც კი არ შეუცვლია თავისი თვალსაზრისი.
- 500 = ein Haar / Haare in der Suppe finden** (fam) – die Nachteile einer Sache entdecken, an einer Sache etwas auszusetzen haben – აითვალწუნა, სულ შარზეა, ყველაფერში ნაკლს ნახულობს, ცხვირს იბზეკს
...Zuerst war er sehr begeistert von seiner neuen Stellung, aber schon bald hatte er ein Haar in der Suppe gefunden, und jetzt sucht er einen anderen Posten.

თავდაპირველად იგი აღფრთოვანებული იყო ახალი სამსახურით. მაგრამ მალე აითვალწუნა იგი და ახლა სხვა სამსახურს ეძებს.

...Er ist nicht zufriedenzustellen. Er findet immer wieder ein Haar in der Suppe.

მის გულს ვერაფრით ვერ მოიგებ, სულ შარხვა.(სულ ცხვირს იბზეკს)

501 = **mehr Schulden als Haare auf dem Kopf haben** – in Schulden stecken – sehr viele Schulden haben – ყელამდე ვალშია

... Wie macht er das nur, dass er so gut leben kann? Er hat doch mehr Schulden als Haare auf dem Kopf.

ნეტა როგორ ახერხებს ასე კარგად ცხოვრებას? ის ხომ ყელამდე ვალშია.

502 = **jmdm. kein Haar/Härchen krümmen** – jmdm. nicht das Geringste zuleide tun – ხელსაც ვერ ახლებს, ვერაფერს დაუშავებს, ბეწვიც არ დაცვივდება, ერთი ღერი თმაც კი არ ჩამოუვარდება, თითითაც არავინ შეეხება

„... Kein Haar darf man ihm krümmen. Er ist tschechoslowakischer Staatsbürger.“

(E.E. Kirsch – Landung in Australien)

მას ხელსაც ვერ ახლებენ, რადგან ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეა.

„...Keinem General, keinem Kapitalisten, keinem Junker war ein Haar gekrümmt worden, aber jeden Tag wurden Arbeiter ermordet.“

(Bredel – Die Söhne)

არც ერთ გენერალს, არც ერთ კაპიტალისტს, არც ერთ მსხვილ მიწათმფლობელს ბეწვიც არ დასცვენია (ერთი ღერი თმაც კი არ ჩამოვარდნია, თითიც არ დააკარეს, თითითაც არავინ შეეხებია), მუშებს კი ყოველდღე ხოცავდნენ.

503 = **Haare lassen (bei jener Sache)** – nur mit gewissen Einbußen etw. durchführen, - ein gestecktes Ziel erreichen können - Schaden erleiden, einen Verlust hinnehmen müssen – ოფლი ღვარო, ბღღვირი გადინონ, ძვირად დაგიჯდეს, ზარალი ნახო

„Ja, was wir aber durchgemacht haben! Wieviel Haare wir dabei gelassen haben.“

„რა არ გადაგვხვდა! სულ ბღღვირი გვადინეს (რა ძვირად დაგვიჯდა ყოველივე ეს)!“

In dieser Arbeit habe ich so viel Haare gelassen.

ამ საქმეში რამდენი ოფლი ვღვარე (რა შრომა არ გავწვიე ამ საქმისთვის).

504 = **kein gutes Haar an jmdm. lassen** – jmdm. stark kritisieren, über jmdm. sehr schlecht sprechen – ბღღვირი აღინო, ტყავი გააძრო, ოთხში ამოიღო, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარო, გააცამტვერო

„Dazu hat die Presse seinen guten Ruf völlig zerstört, sie hat kein gutes Haar an ihm gelassen.“

(Kellermann - Totentanz)

ამასთანავე, პრესამ მას აბრუ მთლად გაუტეხა, (ბღღვირი აღინა, გააცამტვერა, ტყავი გააძრო, ოთხში ამოიღო), კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

„Die Radikalen hingegen fingen nun an, öffentlich gegen mich loszuziehen, ... sie ließen kein gutes Haar an mir.“

(H. Heine – Ludwig Börne)

რადიკალებმა კი, პირიქით საჯაროდ შემომიტიეს, ... კრიტიკის ქარცეცხლში გამატარეს.

505 = **jmdm./einander aufs Haar gleichen** – jmdm./einander sehr ähnlich sein – გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, ორი წვეთი წყალივით ჰგავს, ზედგამოჭრილია (იხ. Zug№1866)

„Die Spuren an der Wohnungstür gleichen denen an der Ladentür – wie die Abdrücke ergaben – aufs Haar.“

(W. K. Schweinkert – Der Maun ist in der Kiste)

როგორც ექსპერტიზამ ცხადყო, ანაბეჭდები ბინისა და მაღაზიის კარებზე ორი წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს.

- 506 = **an einem Haar hängen** – sehr unsicher sein, gefährdet sein, bedroht sein – ბეწვზე ჰკიდია
 „Drei Tage hing sein Leben an einem Haar. Dann trat die Besserung ein.“
 (MDtl)
 მთელი სამი დღის განმავლობაში მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. შემდეგ კი უკეთესობა დაეტყო.
- 507 = **etwas an den Haaren herbeiziehen** (fam) – etwas ist an den / bei den Haaren herbeigezogen – etwas sagen, was nur bedingt zu einer Sache gehört und unwichtig oder sogar unrichtig ist – ყურით მოთრეულია, ნაძალადევია, შეუფერებელია (ფაქტი, საბუთი, მტკიცება), ძალით შეითხნილია
 ...Wie kann ich deinen Behauptungen glauben? Sie sind ja an den Haaren herbeigezogen. როგორ შეიძლება შენს მტკიცებას ვერწმუნო? ისინი ხომ ყურითაა მოთრეული.
 ...Dieser Vergleich ist an den Haaren herbeigezogen. ეს შედარება შეუფერებელია (ყურით მოთრეულია, ნაძალადევია, ძალით შეითხნილია).
- 508 = **einander / sich in die Haare geraten / kommen / fahren** – in Streit geraten – ერთმანეთს წაეკიდნენ, წაეჩხუბნენ
 „Herzog Wilhelm und Kurfürst Friedrich waren einander wegen ihres Besitzes in die Haare geraten, und ihre Untertanen mußten dafür bluten.“
 (H.R. Schröter – Der Altenburger Prinzenraub)
 ჰერცოგი ვილჰელმი და კურფიურსტი ფრიდრიხი თავიანთი სამფლობელოების გამო ერთმანეთს წაეკიდნენ, რაც მათ ქვეშევრდომებს სისხლის ფასად დაუჯდათ.
- 509 = **sich in den Haaren liegen** (fam) – sich heftig streiten – Streit haben – გამუდმებით ჩხუბობენ, თმებში წვედებიან, წეწვა-გლეჯა აქვთ
 ...Wegen einer Kleinigkeit liegen die beiden Familien sich schon seit Jahren in den Haaren. რაღაც წვრილმანის გამო ოჯახები რამდენიმე წელია გამუდმებით ჩხუბობენ (მუდმივ უთანხმოებაში არიან ერთმანეთთან, წეწვა-გლეჯა აქვთ).
 ...Den Hof ... nannte man ... das Wolfsnest, ...weil die drei Söhne, die vaterlos waren, sich von früher Jugend an in den Haaren lagen.
 (Sudermann – Das Wolfsnest)
 მათ სახლ-კარს ... „მგლების ბუნავს“ ... ეძახდნენ, ... რადგან უმამოდ დარჩენილ სამივე ძმას პატარაობიდანვე ერთმანეთში წეწვა-გლეჯა ჰქონდათ.
- 510 = **sich keine grauen Haare wachsen lassen** (umg) - sich keine Sorgen machen, keine Befürchtungen hegen – დიდად არ ინალვლო, გულთან ახლოს არ მიიტანო
 „Lass dir keine grauen Haare um das wachsen, was hinter dir liegt!“
 (W. Raabe – Die Leute aus dem Walde)
 ნუ ინალვლებ იმაზე (გულთან ახლო ნუ მიიტან იმას), რაც უკვე წარსულს ეკუთვნის.
- 511 = **Haare auf den Zähnen haben** (stärker fam) – sich mit Worten zu wehren wissen, streitsüchtig sein, von schroffer, herrschsüchtiger, Streitbar – aggressiver, rechthaberischer Wesensart sein (und sich auf diese Weise behaupten) – ენამოსწრებელია, ენაკვიმატია, ენაფხიანია, სიტყვისათვის ჯიბეში არ ჩაიყოფს ხელს
 „Er steht mit offenen Mund da und starrt ihr nach. Dann kratzt er sich am Hinterkopf und denkt: Teufel auch, die hat Haare auf den Zähnen.“
 (W. Bredel – Fünzig Tage)
 იგი შეჩერდა, პირი დააღო და დაუინებით გააყოლა მას თვალი. შემდეგ კეფა მოიფხანა და გაიფიქრა: „ეშმაკმა დალახვროს, რა ენაკვიმატია!“
 „Dann kennen Sie die Tutti nicht! Das ist doch ein Weib ... Die hat Haare auf den Zähnen ...“
 (H. Fallada – Jeder stirbt für sich allein)

...ესე იგი თქვენ ტუტის არ იცნობთ. იგი, მოგახსენებთ დედაკაცია, რომელიც სიტყვისათვის ჯიბეში არ ჩაიყოფს ხელს (პასუხი ყოველთვის მზად აქვს).

„Das war ja ausgezeichnet! Der junge Mann hatte Wahrhaftig Haare auf den Zähnen.“

(Th. Mann – Mario und der Zauberer)

ეს დიდებული რამ იყო! ეს ემაწვილი ჭეშმარიტად ენამოსწრებული (ენაკვიმატი, ენაფხიანი) იყო.

512 = **Haare spalten** – übergenu sein; spitzfindig argumentieren – წვრილმანებში იქექება, წვრილმანებს მისდევს, პედანტია
...Wir wollen hier keine Haare spalten.

წვრილმანებზე ნუ ვიდავებთ.

...Natürlich muss man bei wissenschaftlicher Arbeit genau sein, aber man braucht noch lange keine Haare spalten.

რასაკვირველია მეცნიერული მუშაობა სიზუსტეს მოითხოვს, მაგრამ პედანტობა სრულებითაც არ არის აუცილებელი.

513 = **jmdm. die Haare vom Kopf fressen** (ugs – scherz.) - auf jmds. Kosten sehr viel essen – kaum satt zu bekommen sein - გადაჭამო ყველაფერი, გააკოტრო ვინმე შენი მადით, ვერ ძღებოდე

...Mit dem Jungen kann ich in kein teures Lokal gehen, der frisst mir die Haare vom Kopf.

ჩემს ვაჟთან ერთად ძვირიან რესტორანში ველარ მივდივარ. მისი მადა გამაკოტრებს (მისი მადით გადამჭამა).

...Ich weiß nicht mehr, wie ich unsere acht Kinder weiter durchbringen soll; sie fressen uns langsam die Haare vom Kopf.

(MDtl)

უბრალოდ აღარ ვიცი, რა ვქნა რვა ბავშვით (როგორ გავიტანო თავი რვა ბავშვთან ერთად). მათ ვერაფრით ვაძლევ (მალე თავს გადამჭამენ).

514 **HABEN – sie ist noch zu haben** – sie ist noch nicht verheiratet – ledig sein, unverheiratet sein – hat keinen Bräutigam – გაუთხოვარია, საქმრო არ ჰყავს, საცოლვე არ ჰყავს, დაუქორწინებელია

„Schon ist die älteste bestimmt, ich weiß es; aber die zweite, wie die dritte sind noch zu haben.“

(Goethe – Herm. u. Dor.)

უფროსი (ქალიშვილი) უკვე დანიშნულია, მე ვიცი ეს; მეორე კი, ისევე როგორც მესამე, ჯერ გაუთხოვარნი არიან (საქმროები არ ჰყავთ).

515 = **etwas gegen jmdn. haben** – jmdn. nicht leiden können – ვერ იტანდე, ატანა არ გქონდეს (ვინმესი)

Ich weiß nicht, was sie gegen mich hat. Ich habe ihr doch nie etwas zuleide getan.

არ ვიცი, რას მერჩის (რატომ ვერ მიტანს). მე ხომ მისთვის არასდროს დამიშავებია რაიმე.

516 = **etwas für sich haben** – Vorteile, Vorzüge haben – უპირატესობა გააჩნია, პრესტიჟულია

... Es hat viel für sich, wenn man in der Stadt wohnt. Trotzdem ziehe ich es vor, auf dem Lande zu leben.

ქალაქში ცხოვრებას ბევრი უპირატესობა აქვს (ბევრად პრესტიჟულია). მიუხედავად ამისა, მე ვამჯობინებ ქალაქგარეთ ცხოვრებას.

517 = **es in sich haben** – sehr schwer, schwierig, anstrengend sein – ძნელია, შრომატევადია, დამღლელია

...Diese Arbeit hat es in sich, länger als drei Stunden hintereinander kann man sie gar nicht machen.

ძალიან შრომატევადი საქმეა. არაუგვიანეს სამი საათით მუშაობის გარეშე შეუძლებელია მისი დასრულება.

518 = **das hat nichts auf sich** – das ist unbedeutend, unwichtig – უმნიშვნელოა, ყურადღების ღირსადაც არ ღირს

...Wie geht es denn Ihrer Frau? Ich habe gehört, sie ist krank. – Nur eine kleine Erkältung, das hat nichts weiter auf sich.

როგორ არის თქვენი მეუღლე? – გავიგე, ავადაა – ცოტა გაცივებული იყო მხოლოდ (უმნიშვნელო გაცივება ჰქონდა).

519 = **für etwas nicht zu haben sein** – etwas nicht wollen – მოყვარული არ იყო, არ გინდოდა, რაღაცისათვის გამოუსადეგარი იყო

Herbert ist wirklich ein sehr hefter junger Mann, nur fürs Tanzen ist er gar nicht zu haben.

ჰერბერტი ჭეშმარიტად სასიამოვნო ყმაწვილია, მაგრამ ცეკვისათვის არ გამოდგება (ცეკვისათვის გამოუსადეგარია, ცეკვის მოყვარული არაა).

520 = **hab dich nur nicht so!** (fam) – sei doch nicht so albern, mach dich nicht so wichtig, ziere dich nicht so – ნუ სულელობ, ნუ იპრანჭები, ნუ იბერები, შეწყვიტე ისტერიკა

...Peter schrie aus Liebeskräften, weil er soeben hingefallen war. „Hab dich nur nicht so, dass kann ja gar nicht so weh tun,“ sagte die Mutter und hob ihn wieder auf.

პეტერი წაიქცა და მთელი ძაღლივით შეჰყვირა. „ნუ ატყებ ისტერიკა. არც არაფერი დაგშავებია“ – უთხრა დედამ და ისევ წამოაყენა.

521 **HAB – HAB und GUT** – alles, was jmd. besitzt - ავლადიდება

Er hat sein ganzes Hab und Gut verschenkt.

მან მთელი თავისი ავლადიდება გააჩუქა.

„Wirst du mich darum betrügen, Luise? Willst du dich mit dem Hab und Gut deines Vaters auf und davon machen?“

(Schiller-Kabale und Liebe)

ნუთუ ჩემი ლუიზა გამიცრუებს იმედს? ნუთუ მიიმალები და თან წაიღებ მამაშენის უკანასკნელ ავლადიდებას?

522 **HACKEN – die Hacken (nach etw. ablaufen / abrennen)** (fam) – einen weiteren Weg, (oft) viele Wege wegen etw. machen – sich eifrig um etw. bemühen – wegen einer Sache viel herumlaufen – ქუსლები გადაიგრიხა (რაღაცისათვის ძებნაში)

...Obwohl sich die Frau die Hecken nach einer Wohnung ablief, dauerte es doch sehr lange, bis sie eine gefunden hatte.

მიუხედავად იმისა, რომ ქალმა ქუსლები გადაიგრიხა ბინის შოვნისათვის, დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე იგი მას იპოვნდა.

523 **HAFER – jmdn. sticht der Hafer** – jmd. ist übermütig – კანში ვერ ეტყვა

„Der Hafer stach ihn wie gewöhnlich, und keine fünf Minuten verstrichen, da machte er schon einige ebenso kecke als boshafte Bemerkungen.“

(G. Weerth. – Schnapphahnski)

ის, ჩვეულებრივ, კანში ვერ ეტყოდა და არ გასულა ხუთიოდე წუთიც კი, რომ რამდენიმე თავხედური და გესლიანი შენიშვნა გააკეთა.

524 **HAHN – Hahn in Korb sein** (fam - oder der (einzige) Hahn im Korb sein – die Hauptperson in einer Gesellschaft sein – საერთო ნებიერა (ცენტრალური ფიგურა) იყო, ერთადერთი მამაკაცი იყო ქალთა საზოგადოებაში

„Die Herzen wendeten sich ihm sofort zu, besonders die weiblichen; von der ersten Minute an war er Hahn im Korbe.“

(J. Luk – Schuberts Lebensjahre)

მან ერთბაშად მიიზიდა ყველას გული, განსაკუთრებით ქალებისა; პირველივე წუთიდან საერთო ნებიერად (ცენტრალური ფიგურად) იქცა.

...Er war dort der einzige Hahn im Korbe.

იქ ის ერთადერთი მამაკაცი იყო ქალთა საზოგადოებაში.

525 = **kein Hahn kräht danach** (fam) – danach fragt niemand mehr – niemand kümmert sich darum – არავინ კითხულობს, საქმე დავიწყებულია, ყურსაც არავინ იბერტყავს, აინუნშიც არ აგდებს

„Er vermaß sich hoch und teuer, er werde den Freiherrn ermorden, und kein Hahn solle danach krähen.“

(Hoffmann – Das Majorat)

ის ყველა წმინდანს ფიცულობდა, რომ ბარონს ისე მოვკლავ კმბაკიც ვერაფერს გაიგებს (იმ საქმეს წყალი არ გაუვალ).

„Jetzt saßen sie in der Zelle in dicker Finsternis, und kein Hahn krächte nach Ihnen.“

(Feuchtwanger – Jud Süß)

ახლა ისინი ისხდნენ ბნელ საკანში და არავინ ყურსაც არ იბერტყავდა (თავს არ იწუხებდა) მათთვის.

...Wenn jemand reich ist, krächt kein Hahn mehr danach, woher das Geld gekommen ist.

თუ კაცი მდიდარია, არავინ კითხულობს (არავინ ანუნშიაც არ აგდებს, ყურსაც არავინ იბერტყავს), საიდან მოვიდა ფული.

526 **HAKEN – einen Haken haben** (fam) – eine Schwierigkeit haben – die Sache hat einen Haken – პრობლემაა, საქმე ვერაა რიგზე

...Ich hoffe, dass ich übermorgen nach Indien fliegen kann. Die Sache hat nur einen Hacken. Mein Pass ist noch nicht in Ordnung.

იმედი მაქვს ზეგ ინდოეთში გავფრინდები. მაგრამ ერთი პრობლემაა. ჩემი პასპორტი ჯერ არ არის წესრიგში.

”Aber dann fällt ihr (Petra) wieder ein ... daß die Sache irgendeinen Haken haben muß, und ihre Freude vergeht wieder.”

(H. Fallada – Wolf unter Wölfen)

მაგრამ შემდეგ მას (პეტრას) ისევ ეჭვი ებადება ... რომ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე არაა და სიხარულიც ისევ უქრება.

527 **HALS – Hals und Beinbruch** ugs; alles Gute! viel Glück; (Wunsch für jmdn. dem etw. Schwieriges od. Gefährliches bevorsteht) – ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჯვარი გეწეროს, წაღმა იარე

„Hals und Beinbruch!“ rief Frau Lukasch hinter Frau Beate her, als sie die Zelle verließ.“

(Kellermann – Totentanz)

„ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“ (ჯვარი გეწეროს, წაღმა იარე), მიაძახა ფრაუ ლუკაშმა საკნიდან გამავალ ფრაუ ბეატეს.“

„Hals und Beinbruch! wünscht man dem Freund, der zum Examen geht.“

„ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“ – უსურვებენ გამოცდაზე მიმავალ მეგობარს.

528 = **sich den Hals brechen** - tödlich verunglücken – კისერი მოიტეხა, სასიკვდილოდ დაშავდა

Fahr doch etwas vorsichtiger! Bei dem Tempo wirst du dir noch den Hals brechen.

ცოტა უფრო ფრთხილად იარე! ასეთი სიჩქარით კისერს მოიტეხს კაცი.

529 = **jmdm. um den Hals fallen** – jmdn. umarmen – კისერზე მოეხვიო

...Als er ihr das schöne Geschenk überreichte, fiel sie ihm vor Freude um den Hals.

როცა მან მას ლამაზი საჩუქარი გადასცა, იგი მას სიხარულისაგან კისერზე მოეხვია.

530 = **jmdm. den Hals abschneiden** (abdrehen) – jmdn. wirtschaftlich ruinieren (häufiger das Substantiv: Halsabschneider) - კისერი მოუგრიხო, დაახრხო (ეკონომიურად)

...Mit der Aufnahme eines Darlehns muss man äußerst vorsichtig sein, da einem durch überhöhte Zinsforderungen zu leicht der Hals abgeschnitten werden kann.

სესხის აღების დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც გადაჭარბებულმა პროცენტებმა კაცს შეიძლება კისერი მოუგრიხოს (ადამიანი შეიძლება დაახრხოს).

...Wie konnte ich mit einem Menschen ein Geschäft machen, dem ich nicht den Hals abbrechen kann?

როგორ შეიძლება ისეთ ადამიანთან საქმე წამოვიწყო, რომელსაც კისერს ვერ მოვუგრვებ? (თუ საჭირო იქნება).

531 = **etw. hängt (es hängt) jmdm. zum Halse heraus** (salopp.) – jmd. ist einer Sache in höchstem Grade überdrüssig – გულს უწყალებს

„Mir hängt, offen gesagt, dieses Wohnen im Hotel schon zum Halse heraus...“

(F. Weiskopf – Inmitten des Stroms)

მართალი გითხრა სასტუმროში ცხოვრებამ გული გამიწყალა.

„...Also zu Beate gehe ich nicht wieder mit, das steht fest. Das ständige Gerede von ihren vielen Krankheiten hängt mir nähmlich langsam zum Halse heraus!“

მაშასადამე, ბეატესთან აღარ მოგყვები. ეს უკვე გადაწყვეტილია. გაუთავებელმა საუბრებმა მისი უამრავი დაავადებების შესახებ გული გამიწყალა.

532 = **sich jmdm. an den Hals werfen** (fam) – sich jmdm. aufdrängen – თავი მიაძალო (ვინმეს), თავი შეაძლიო, კისერზე ჩამოეკიდო

...Sie hat sich ihm so an den Hals geworfen, dass er sie schließlich geheiratet hat.

იგი იმდენად მიეძადა ემაწვილს (კისერზე ჩამოეკიდა), რომ იგი იძულებული იყო მასზე დაქორწინებულიყო.

533 = **jmdm. jmd. an den Hals werfen** – jmdm. jmd. der unerwünscht ist, aufdrängen – ვინმეს ვინმე დააძალო

...Warum soll ich ihr einen Mann, denn sie nicht schmecken kann, aus purem klarem Eigensinn an den Hals werfen?

(Schiller – Kabale und Liebe)

რად უნდა გავჯიუტდე და ისეთი ქმარი დავაძალო, რომელიც არ მოწონს?

534 = **sich etwas (jmdn.) vom Halse schaffen** (fam) – sich von jmdm. (etw. befreien), etwas erledigen, was man schon lange hätte tun soll; dafür sorgen, dass man von jmdm. nicht mehr belästigt wird – საქმე თავიდან მოიცილო (მოაწესრიგო), აბეზრები თავიდან მოიცილო

...Die Schneiderin wird mein Kleid jetzt nicht machen. Sie sagte, sie könne nichts annehmen, bevor sie sich nicht die vorhandene Arbeit vom Hals geschafft hätte.

მკერავი ეხლა ვერ შემიკერავს კაბას. თქვა, რომ ვერაფერს ვერ მიიღებს, ვიდრე წინა სამოშაოებს თავიდან არ მოიცილებს (ვიდრე წინა სამუშაო კისერზე ადევს).

...Er versuchte mit allen Mitteln, sich den lästigen Bittsteller vom Halse zu schaffen.

იგი ყველა საშუალებით ცდილობდა მახეზარი მთხოვნელები თავიდან მოეცილებინა.

535 = **Hals über Kopf** (fam) – überstürzt, sehr eilig, ohne vorherige Planung – ohne Überlegung (über Hals und Kopf) – კისრისტეხით, თავ-პირისმტვრევით, თავქუდმოგლეჯილი, ნაჩქარევად, ნაუცბათევად, ფაცაფუცით, მთელი სისწრაფით (იხ. Stock № 1537) ...Als er von dem Erdbeben in seiner Heimatstadt hörte, hat er seine Reise Hals über Kopf abgebrochen, und ist nach Hause gefahren.

როცა მან მის მშობლიურ ქალაქში მიწისძვრის მოხდომის შესახებ გაიგო, ნაჩქარევად შეწყვიტა მოგზაურობა და შინ გაემგზავრა.

„Man bringt mich über Hals und Kopf in die Kutsche und in aller Karriere nach Hause.“

(Schiller – Kabale und Liebe)

შემიტანეს ეტლში და მთელი სისწრაფით (კისრისტეხით) შინისაკენ გამაქანეს.

„...Ich hab ... schon Sorge, was ich mit all dem Porzellan anfangen, wenn ich über Hals und Kopf abreisen sollte.“

(Heine – Die Bäder...)

მე უკვე ის მადარდებს, რა ვუყოთ მთელ ამ ფაიფურს, თუ ნაჩქარევად (ნაუცბათევად, ფაცაფუცით) მომიხდება გამგზავრება.

...Er froh Hals über Kopf nach Ausland.

იგი კისრისტეხით (თავქუდმოგლეჯილი) გაიქცა საზღვარგარეთ.

Sie hat sich Hals über Kopf in ihn verliebt.

მას იგი მაშინვე (უკანმოუხედავად) მთელი ძალით შეუყვარდა.

536 = **den Hals wetten** – eine Wette abschließen mit jmdm. um etw. (wovon man fest überzeugt ist) - darauf wette ich meinen Hals (auch Kopf) – თავს სასიკვდილოდ დავდებ (ირწმუნება), კისერს მოვიჭრი თუ ...

„Er hätte den Hals gewettet, dass sie (die Nachbarn) hinter ihnen her spotteten.“

(Marchwitza – Die Kumjaks)

ის თუნდაც თავს სასიკვდილოდ დასდებდა, ისინი (მეზობლები) ზურგს უკან დაგვეცინიანო.

537 = **bis zum Halse in Schulden stecken** – sehr viel Schulden haben – ყელამდე ვალებშია ჩაფლული

„Der war inzwischen wie Berendis nach Potsdam gegangen und dort auf Abwege geraten. Er steckte bis zum Halse in Schulden.“

(Jutte Hecker – Traum der ewigen Schönheit)

ამასობაში იგი ბერენდისივით პოცდამში წავიდა. იქ გზას აცლა და ყელამდე ვალებში ჩაეფლო.

538 = **der Strick um den Hals liegen** (das Messer steht an der Kehle) – დანა ყელზე გქონდეს მობჯენილი

„Schon vor vier Jahren, als uns schon einmal das Messer an den Kehle stand ... der Strick um den Hals lag ... wie wir das plötzlich die Verlobung mit Mademoiselle Buddenbrooks an der Börse ausschreien ließen.“

(Th. Mann – Buddenbrooks)

...ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, როცა დანა ყელზე გვექონდა მობჯენილი, ბირჟაზე ქვეყნის გასაგონად გამოვაცხადეთ მადმაზელ ბუდენბროკთან გრიუნლიხის ჯვრისწერის ამბავი.

539 **HALTEN – sich nicht halten können** (beruflich, geschäftlich) nicht bestehen können – თავს ვერ გაიტანენ, ვერ იარსებებენ, ვერ გაუძლებენ

...Heute ist die Konkurrenz so groß, dass sich kleine Ladengeschäfte kaum mehr halten können.

დღეს კონკურენცია ისე დიდია, რომ პატარა ტიპის მაღაზიები ვეღარ იარსებებენ (თავს ვერ გაიტანენ).

540 = **viel von etwas (jmdm.) halten** – sich von einer Sache großen Erfolg versprechen, jmdm. viel zutrauen, eine gute Meinung von etw. (jmdm.) haben – იმედი გქონდეს, იმედს ამყარებდე, კარგი წარმოდგენისა იყო (რაიმეზე ან ვინმეზე).

...Paul ist ganz begeistert von dem Plan, ich dagegen halte nicht viel davon.

პაული აღფრთოვანებულია გეგმით. მე პირიქით, დიდ იმედს არ ვამყარებ მასზე

Unser Hausmädchen ist schon jahrelang bei uns, und meine Eltern haben immer viel von ihr gehalten.

ჩვენი მოსამსახურე გოგონა წლებია ჩვენთან არის და ჩემი მშობლები ყოველთვის დიდი წარმოდგენისა იყვნენ მასზე.

541 **HAMMELBEINE – jmdn. scharf zurechtweisen, langziehen** (salopp) – მკაცრად მიუთითო, ყური აუწიო, საყვედური უთხრა

...Wolfgang hat gestern abend wieder die Tür offenstehen lassen. Ich glaube, es ist wirklich nötig, dass du ihm mal die Hammelbeine langziehst, sonst hört der Zank mit den Nachbarn überhaupt nicht mehr auf.

ვოლფგანგმა გუშინ საღამოს კარი კვლავ ღიად დატოვა. მეონია, ნამდვილად საჭიროა, ერთი კარგა მაგრად აუწიო ყური (მკაცრად მიუთითო, საყვედური უთხრა), თორემ მეზობლებთან ჩხუბს ბოლო არ ექნება.

542 **HAND – unter der Hand** – heimlich – ფარულად, მალულად

...Er hatte unter der Hand manches getan, was niemand ihm zugetraut hätte.

მან ფარულად (მალულად) ბევრი რამ ისეთი გააკეთა, რასაც მისგან არავინ მოელოდა.

543 = **eine feste Hand** – feste Führung, Strenge – მაგარი, მტკიცე ხელი

...Der verwöhnte Junge gehorchte der Mutter nicht. Ihn zu bändigen, war eine feste Hand nötig.

- განებივრებული ყმაწვილი დედას არ ემორჩილებოდა. მის მოსათოკად მაგარი ხელი იყო საჭირო.
- 544** = **eine hohle Hand haben** – bestechlich sein – მექრთამეა, ქრთამს იღებს
 ...Er erfuhr, dass sein Chef eine hohle Hand hatte.
 მან შეიტყო, რომ მისი უფროსი მექრთამე იყო.
- 545** = **eine offene Hand haben** – freigebig sein, gern geben – ხელგამლილია, გულუხვია, ხელი გაწვდილი აქვს
 ...Für Notleidende hat er stets seine offene Hand.
 გაჭირვებულისათვის იგი ყოველთვის ხელგამლილია (ხელი აქვს გაწვდილი, გულუხვია).
- 546** = **eine geschickte Hand haben** – geschickt arbeiten – მარჯვეა, მარჯვე ხელი აქვს, მოხერხებულია
 ...Alle wollen von der neuen Verkäuferin bedient werden, denn sie hat eine geschickte Hand.
 ყველას უნდა, რომ ახალი გამყიდველი მოემსახუროს, რადგან ის მარჯვედ მუშაობს.
- 547** = **Hand aufs Herz!** – sag (sagt) die Wahrheit! Seid (sei) mal ganz ehrlich! – გულზე ხელი დაიდევ და ისე თქვი, სიმართლე თქვი
 ...Ihr wisst, Jungens, dass gestern nacht in diesen Laden eingebrochen wurde und wir den oder die Täter suchen. Wir hoffen, dass wir von euch ein paar Hinweise bekommen. Deshalb jetzt mal Hand aufs Herz! Seid ihr gestern abend hier auf dem Hof gewesen?
 თქვენ იცით ახალგაზრდებო, რომ გუშინ საღამოს ამ მაღაზიაში ვიღაც შემოიჭრა. ჩვენ დამნაშავეს ვეძებთ და იმედი გვაქვს თქვენგან რაღაც მითითებას მივიღებთ. (თქვენ რაღაცას მიგვანიშნებთ). ამიტომ გულზე ხელი დაიდევ და თქვით – იყავით გუშინ საღამოს ეზოში?
- 548** = **Hand und Fuß haben** – etw. hat Hand und Fuß – etw. ist wohl überlegt, etw. ist gründlich durchdacht – თავი და ბოლო აქვს, ჭკვიანურია, გონივრულია, ლოგიკურია
 ...Er war froh, daß man nun endlich eine klare Tat vor sich sah, das Hand und Fuß hatte.
 (Feuchtwanger - Erfolg)
 მას ესმოდა, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა საქმე, რომელსაც ახრი ჰქონდა.
 ...Was der Bürger Girardin zur Neuordnung der Armee vorgebracht hatte ... hatte Hand und Fuß gehabt.
 (Feuchtwanger – Narrenweisheit)
 ის რაც მოქალაქე ჟირარდმა ჯარის რეორგანიზაციის შესახებ თქვა... სავსებით გონივრული (დასაბუთებული) იყო.
- 549** = **weder Hand noch Fuß haben** – keinen Sinn haben, nicht richtig durchdacht sein – თავი და ბოლო არ გააჩნია, დაუსაბუთებელია, არალოგიკურია
 ...Sein Referat war zwar sehr umfangreich, es hatte aber weder Hand noch Fuß.
 მისი რეფერატი საკმაოდ ვრცელი იყო, მაგრამ თავი და ბოლო აკლდა (დაუსაბუთებელია, სარწმუნო მტკიცებულება აკლია).
- 550** = **freie Hand geben (lassen)** – jmdm. erlauben, freilich zu handeln – მოქმედების თავისუფლება მისცე
 ...Wollen Sie mir freie Hand lassen, Prinz?
 (Lessing – Emilie Galotti)
მომანიჭებთ მოქმედების თავისუფლებას, პრინცო?
 ...Er fragte den Kurfürsten, ob er ihm in dieser Sache freie Hand lassen wollte.
 (Kleist – Mich. Kohlhaas.)
 მან ჰკითხა კურფიურსტს, ამ საქმეში თავისუფლად მოქმედების ნებას (მოქმედების თავისუფლებას) მაძლევ თუ არაო.
- 551** = **jmdm. (bei etw.) an die (zur) Hand gehen** – jmdm. bei einer Arbeit Hand reichen, helfen, bei der Arbeit unterstützen – ხელს შეაწევს (ხელს წაუკრავს)
 ...Wenn du dem Christian noch mal zur Hand gehst, dann hau' ich dir alle Knochen kaputt.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

მე შენ ნეკნებს ჩაგიმტვრევ, თუ კიდევ ერთხელ ხელს შეაწვევ (ხელს წაუკრავე)
კრისტიანს მუშაობაში.

552 = von der Hand in den Mund leben – 1. sofort verbrauchen, was man verdient, nichts sparen - მთელ თავის მონაგარს სმა-ჭამაში ფანტავს, უყაირათოა. 2. nur gerade das Notwendigste zum Leben haben- გაჭირვებით გააქვს თავი, ვაინაჩრობით ცხოვრობს, ვაი-ვაგლახით ირჩენს თავს

...Konrad hatte während Lamberts Abwesenheit ... von der Hand in den Mund gelebt ...

(Spielhagen – Deutsche Pioniere)

ლამბერტის არყოფნის დროს კონრადი ... მთელ თავის მონაგარს სმა-ჭამაში ფანტავდა.

...Freilich wunderten wir uns, dass Freund Knopp überhaupt etwas habe kaufen können, denn er lebte auch nur wie wir von der Hand in den Mund.

(F. Rehbein – Gesinde und Gesindel)

ჩვენ, მართალია, გვიკვირდა, რომ ჩვენს კნოპს შეეძლო საერთოდ რაიმეს შექმნა, რადგან მას ჩვენსავით ძლივს გაჰქონდა თავი (ვინაიდან ის ჩვენსავით ვაინაჩრობით ცხოვრობდა, ვაი-ვაგლახით ირჩენდა თავს)

553 = die / seine Hand/ seine Hände von jmdm. abziehen / nehmen / wenden – jmdm. Schutz versagen, jmdn. nicht mehr schützen – ხელს აიღებს, უარს იტყვის, მიატოვებს, ხელს აიღებს პატრონობაზე

... Da Kurt gegen den Willen seiner Eltern geheiratet hatte, zog der Vater seine Hand von ihm ab.

რადგან კურტი მშობლების ნების გარეშე დაქორწინდა, მამამ მასზე ხელი აიღო (მამა მას აღარ პატრონობს).

554 = die / seine Hand (mit) ihm Spiel haben – bei etw. aktiv, aber nicht offensichtlich beteiligt sein - ვისიმე ხელი ურევია / ჩანს რამეში, ეტყობა რასმე

...Es war augenscheinlich: irgend jemand mußte die Hand im Spiel haben – irgends jemand, der ihm überrollten.

(Kellermann – Der 9. November)

აშკარა იყო: ვიღაცის ხელი ერია ამაში – ვიღაცის, რომელიც არ იყო მისი კეთილმოსურნე.

555 = für jmdn. (etw.) die / seine Hand ins Feuer legen – sich (D.) für jmdn. / etw. die Hand abhacken lassen – თავდებად დაუდგება

...Und wenn es doch Schanz ist? Paul hat ihn gebracht. Paul hat die Hand ins Feuer für ihn gelegt.

(A. Seghers – Die Saboteure)

და თუ ეს მაინც შანცია? პაულმა მოიყვანა იგი. პაული დაუდგება მას თავდებად.

556 = Hand an jmdn. legen – gegen jmdn. auftreten – ხელი აღმართო, ხელი მოუღერო

...Egmont ist Ritter des goldenen Vlieses; wer darf Hand an ihn legen?

(Goethe - Egmont)

ეგმონტი ოქროს საწმისის ორდენის რაინდია; ვინ გაბედავს ხელი აღმართოს მასზე (ხელი მოუღეროს მას)?

557 = Hand an sich legen – Selbstmord begehen, sich (D), das Leben nehmen – წუთისოფელს გამოესაღმო, თავი მოიკლა

... (General) der Gneisenau wollte in den ersten Augenblicken der Verzweiflung Hand an sich legen.

(Bredel – Sharnhorst, Gneisen ...)

სასოწარკვეთილების პირველ წუთებში (გენერალს) გნაიზენაუს თავის მოკვლა უნდოდა.

558 = **die letzte Hand an etw. (an) legen** – einer Sache den letzten Schliff geben, etw. vollenden, abschließen, völlig fertigmachen – მოათავო, საბოლოოდ დახვეწო, საბოლოო სახე მისცე

...Ein ... Bedienter legte in einem Winkel des Zimmers die letzte Hand an den Teetisch.

(Th. Mann – Königliche Hoheheit)

ოთახის კუთხეში ერთ-ერთი მსახური ამთავრებდა ჩაისათვის სუფრის გაშლას.

„...Wie weit ist denn Claudia mit ihrem Roman?“ – „Na ja, eigentlich ist das Manuskript fertig, aber ihr kennt sie ja. Sie will erst noch mal (die) letzte Hand anlegen, ehe sie es abliefert.“

რა ქნა კლაუდიამ მისი რომანი? – ხო, ხელნაწერი კაცმა რომ თქვას უკვე მზადაა, მაგრამ თქვენ ხომ იცნობთ მას (კლაუდიას.) ვიდრე საბოლოო სახეს არ მისცემს (საბოლოოდ არ დახვეწს), რომანს არ ჩააბარებს.

559 = **etw. von der Hand weisen (oder nicht weisen)** – es lässt sich nicht von der Hand weisen – es lässt sich nicht leugnen – თავი აარიდო, თავიდან მოიცილო გვერდი აუარო, აიცილო

„...Oh, ja, man darf zweifeln, ob er die Sache von der Hand weisen würde,“ sagte der Senator mit Bitterkeit.

(Th. Mann – Buddenbrooks)

„საეჭვოა, რომ მან თავიდან მოცილოს ეს საქმე (თავი აარიდოს, გვერდი აუაროს ამ საქმეს).“ თქვა მწარედ სენატორმა.

...Es lässt sich nicht von der Hand weisen, dass die Fortschritte der Technik viele Nachteile für die Gesundheit der Menschen mit sich bringen.

ვერ უარყოფ (თავს ვერ აარიდებ, გვერდს ვერ აუვლი) იმ ფაქტს, რომ პროგრესს ტექნიკაში თან ახლავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის არასასურველი მხარეები.

560 **Hände – alle Hände voll zu tun haben** – viel zu tun haben – საქმეში ყელამდეა ჩაფლული, თავის მოსაფხანადაც არ სცაღია

...An diesem ersten Tag nach langer Abwesenheit hatte er alle Hände voll zu tun.

(Kellermann – Totentanz)

დიდი ხნის არყოფნის შემდეგ პირველ დღეს მას თავის მოსაფხანადაც არ ეცაღა (საქმეში ყელამდე იყო ჩაფლული).

561 = **jmdm. etw. in die Hände spielen** – jmdm. etwas (durch jmdm. etw. was für ihn wichtig ist, zuspielden) zukommen lassen – იღუმალ(შეუმჩნევლად) შეაპარო

„Wir diktieren ihr ein Billetdoux und spielen es dann dem Major in die Hände.“

(Schiller – Kabale und Liebe)

ჩვენ ვუკარნახებთ მას (ქალს) სატრფიალო ბარათს და შემდეგ ამ წერილს იღუმალ (შეუმჩნევლად) შევაპარებთ მაიორს.

562 = **die Hände in den Schoss legen** – sich ausruhen, einmal nichts tun – sich untätig erhalten – გულხელდაკრევით ყოფნა, ხელები გულზე დაიკრიფო, უქმად იყო

„Aber was nennen Sie ruhig sein? Die Hände in den Schoß legen?“

(Lessing – Emilia Galotti)

მაინც რას უწოდებთ თქვენ დამშვიდებით ყოფნას, გულხელდაკრევილი ვისხდეთ?

563 = **es ist mit Händen zu greifen** – es ist klar, es ist klar, es ist leicht zu begreifen – სავსებით აშკარაა

...So dann war es mit Händen zu greifen, dass der Platz in dem Häuschen für ihn und seine Dienerschaft nicht mehr ausreichte.

(W. Bode – Goethes Leben)

ამას გარდა სავსებით აშკარა იყო, რომ პატარა სახლში მისთვის და მის მსახურთათვის ადგილი აღარ კმაროდა.

- 564 = **jmdn. auf Händen tragen** – jmdn. dem man zugetan ist, sehr verwöhnen, alles für ihn tun – ხელის გულზე ატარო
 ...Und wenn sie (Margarethe von Parma) uns unsere Rechte und Freiheiten aufrecht erhält, so wollen wir sie auf den Händen tragen.
 (Goethe - Egmont)
 ... და თუ ის (მარგარიტა პარმელი) ხელშეუხებლად შეგვინარჩუნებს ჩვენს უფლებებსა და პრივილეგიებს, მზად ვიქნებით ხელის გულზე ვატაროთ იგი.
- 565 = **seine Hände in Unschuld waschen** – beteuern, dass man an einer Sache nicht beteiligt war, u. darum nicht zur Verantwortung gezogen werden kann, dass man mit bestimmten Vorgängen nichts zu tun hat – ხელები დამიბანია
 „Ich wasche meine Hände in Unschuld: ich habe dies nicht gesagt. Es steht wörtlich so in meinen Manuskripten,„
 (G. Weerth. – Schnapphahnski)
 „ხელები დამიბანია (საყვლო ამიბერტყია, ჰერანგი დამიბერტყია), მე ეს არ მითქვამს, ასეა სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ჩემს ხელნაწერებში“.
- 566 **HANDWERK** – **jmdm. ins Handwerk pfuschen** (fam) – etwas tun, was ein anderer (der es gelernt hat) besser machen kann – სხვის საქმეში ჩაერიო, საქმე გაუფუჭო
 ...Lass mich das machen und pfusch mir nicht ins Handwerk.
 დამანებე (მაცალე) გავაკეთო. საქმეში ნუ მერევი (საქმეს ნუ მიფუჭებ).
 ...Es bedurfte nur eines Winks: ”Pfusch, mir nicht ins Handwerk; und den anderen zum Abzug zu zwingen.“
 (Becher - Abschied)
 საკმარისი იყო ერთს გადაკვრიოთ ეთქვა მეორისათვის: „სხვის საქმეში ნუ ერევი (საქმეს ნუ მიფუჭებ),“ რომ მეორეს უკან დაეხია და გამორეზოდა.
- 567 = **jmdm. das Handwerk legen** (fam) – unerlaubte oder schädliche Handlungen unmöglich machen – ხრიკებს ბოლო მოუღო, უვნებელი გახადო, მოქმედება აღკვეთო
 ...Sie (M-me Levasseur) mußte dem Burschen ein für allemal das Handwerk legen.
 (Feuchtwanger – Narrenweisheit)
 მას (მადამ ლევასერს) უნდა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო ამ ყმაწვილის ხრიკებისათვის (უვნებელი გაეხადა ის).
- 568 **HANDUMDREHEN** – **im Handumdrehen** (fam) – sehr schnell überraschend schnell – ელვის სისწრაფით, ერთი ხელის მოსმით, თვალის დახამხამებაში (ძალიან სწრაფად)
 ...Er war im Handumdrehen mit Arbeit fertig.
ეს ქალი ოდესღაც ოჯახური განხეთქილების მიზეზი გახდა, დღეს კი სიკვდილს მისთვის სამუდამო ნათელი დაეყენებინა.

...Ja, es hatte nur gefehlt, daß seine Person zum Gespött werde ... damit allem die Krone aufgesetzt wurde.

(Th. Mann - Buddenbrooks)

ესღა აკლდა, რომ ქვეყნის სასაცილო გამხდარიყო ... ეს დააგვირგვინებდა ყველაფერს.

...Nur gar die Erkenntnis, daß ich nicht einmal in diesem Punkte auf Permender verlassen konnte! Das hat allem die Krone aufgesetzt.

(Th. Mann-Buddenbrooks)

იმის შეგრძნებამ, რომ აქაც არ შემეძლო პერმანდერზე დანდობა, ყველაფერს ხელი მოუთავა.

...Seit Wochen kommt er unpünktlich zum Dienst, und heute verlangt er eine Lohnerhöhung – das setzt doch wirklich allem die Krone auf.

იგი კვირაობით იგვიანებს სამსახურში, დღეს კი მოვიდა და ხელფასის მომატებას ითხოვს. ეს უკვე მეტისმეტია (ყველაფერს აჭარბებს).

- 820 **KRUMM – etwas krumm nehmen / krummnehmen** (fam) – etwas Übel nehmen – გეწყინოს

...Du darfst es nicht krummnehmen, wenn ich dich auf einen Fehler aufmerksam mache.

საწყენად ნუ მიიღებ (არ გეწყინოს), თუ შენს ერთ შეცდომაზე გაგამახვილებინებ ყურადღებას.

„Zudem ist er vor einem Naturell, daß man ihm nichts krumm nimmt.“

(Bredel – Der Sonderführer)

„ამასთანავე ის ისეთი ბუნებისაა, რომ რაც არ უნდა გააკეთოს, მისგან არაფერი გეწყინება.“

- 821 **KÜCHE – in des Teufels Küche kommen / geraten** (fam) – in eine schlimme oder unangenehme Lage kommen – ეშმაკის კერძი გახდა, ხათაბალაში გაერია, მგლის ხახაში ჩაჰყო ხელი

...Ich werde es mir noch sehr überlegen, ob ich das tue. Ich habe keine Lust, in des Teufels Küche zu kommen.

ერთი კარგად მოვიფიქრებ, გავაკეთო თუ არა ეს. არ მინდა ეშმაკის კერძი გავხდე (ხათაბალაში გავერიო, მგლის ხახაში ჩავეყო ხელი).

- 822 **KUCKUCK – geh zum Kuckuck (scher dich zum Kuckuck oder hol dich der Kuckuck)** (fam) – mach, dass du wegstommst! – თავიდან მომწყდი! მომშორდი! თავი დამანებე! მომეშვი! აახვიე!
 ... Scher dich mit deinen dauernden Wünschen zum Kuckuck! Ich muss jetzt arbeiten und habe keine Zeit!
 ... თავიდან მომწყდი (თავი დამანებე, მომშორდი) შენი დაუმთავრებელი სურვილებით. დრო არ მაქვს ახლა. უნდა ვიმუშავო.
- 823 = **das weiß der Kuckuck** (fam) – das möchte ich wissen, das weiß niemand – ეშმაკა იცის, ეშმაკი უწყის
 ...Wer diesen anonymen Brief geschrieben hat, das weiß der Kuckuck.
ეშმაკა იცის (ეშმაკი უწყის) ვინ დაწერა ეს ანონიმური წერილი.
- 824 = **das Geld ist zum Kuckuck** (fam) – das Geld ist verloren – ფული ქარს გაატანა
 ...Durch seinen Leichtsinn war das ganze Geld bald zum Kuckuck.
 მისი ქარაფშუტობით (მისი თავქარიანობით) მთელი ფული ქარს გაატანა.
- 825 **KUH – der Kuh das Kalb abfragen** – zu viel fragen – შეკითხვებით სული აართვა (გული გაუწყალა, გული დაუწვრილა)
 „Wahrhaftig, Weio,“ sagte der Rittmeister, „du fragst heute der Kuh das Kalb ab.“
 (R. Fallada – Wolf unter Wölfen)
 „ჭეშმარიტად, ვეიო,“ თქვა როტმისტრმა, „დღეს შენი შეკითხვებით სულს გვართმევ (გულს გვიწყალავ, გულს გვიწვრილავ).“
- 826 **KUHHAUT – das geht auf (in) keine Kuhhaut / Unverschämtheit** – das ist nicht mehr zu überbieten – das ist aber wirklich unerhört! – das übersteigt alles – ენა ვერ იტყვის, ენა და პირი ვერ ჩამოთვლის, ენა და პირი ვერ გამოთქვამს
 „Was Sie schon alles für mich getan haben, Becker, das geht nicht in eine Kuhhaut!“
 (Seghers – Die Toten bleiben jung)
 „რამდენი რამ გაგიკეთებია ჩემთვის, ბეკერ, ამას ენა ვერ იტყვის.“
 ...Der Chef hatte eine sehr große Geduld mit ihm; denn was er falsch gemacht hat, geht schon auf keine Kuhhaut mehr.
 შეფმა მას კარგად მოუთმინა, რადგანაც რა შეცდომებიც მან დაუშვა, ამას ენა და პირი ვერ გამოთქვამს.
- 827 **KUR – jmdm. die Kur schneiden** – jmdm. Hof machen, Cour machen, schneiden – ეარშიყება, ეკურკურება
 ...Wally kam zu dem Schluß, daß Bruno es nicht ungern sah, wenn Henriesson ihr die Kur schnitt.
 (F. Weiskopf – Inmitten des Stroms)
 ვალი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბრუნოს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ ჰენდრიკსონი ეარშიყებოდა (ეკურკურებოდა) მას.
- 828 **KURZ – jmdn. kurz halten** – jmdn. in der Hand halten – ხელში გყავდეს, ლაგამი ამოსდო, სადავე მოუჭირო
 ...Diesen leichtsinnigen Kerl muss man kurz halten.
 ეს ცერცეცა ემაწვილი ხელში უნდა გყავდეს (ამ ცერცეცა ემაწვილს ლაგამი უნდა ამოსდო, სადავე მოუჭირო).
- 829 = **über kurz oder lang oder über lang oder kurz** – in Kürze, in kürzer Zeit – მოკლე დროში, მოკლე ხანში, მალე, ადრე თუ გვიან
 ...Über kurz oder lang wird es sich ja zeigen, wer recht hatte.
მოკლე დროში (მოკლე ხანში) გამოჩნდება, ვინ იყო მართალი.
- 830 = **kurz und gut** – schließlich – საბოლოოდ, დასასრულს
 ...Kurz und gut nach diesem überraschenden Ergebnis wurde ihm gekündigt.
ბოლოს და ბოლოს ეს საკვირველი (გასაკვირი, განსაცვიფრებელი) შედეგი მას აცნობეს.
- 831 = **alles kurz und klein schlagen** (fam) – alles zerstören – ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გაანადგურა
 ...In seiner Wut schlug er alles kurz und klein.

... გაბრაზებულ გულზე მან ყველაფერი ნამსხვრევებად აქცია (ერთი ხელის მოსმით გაანადგურა).

- 832** = **zu kurz kommen** (fam) – benachteiligt werden – არ ყოფნის, შემოაკლდა
...Wir wollen den Gewinn gleichmäßig verteilen, damit niemand zu kurz kommt.
ჩვენ მოგებას თანაბრად გავიყოფთ, რომ ყველას ეყოს.
...Er ist mit seinem Gelde zu kurz gekommen.

მას ფული არ ეყო.

- 833** = **kurz angebunden sein** (fam- abweisend sein, wortkarg sein–სიტყვაძუნწია, უცხვირპირია
Ich fragte den Beamten nach den Zügen. Er war aber sehr kurz angebunden und verwies mich auf den Fahrplan.

სადგურის მოხელეს მატარებლების მომოსვლის შესახებ შევეკითხე.იგი ერთი სიტყვაძუნწი(უცხვირპირი)ვინმე გამოდგა და განრიგისკენ მიმითითა.

- 834** **KÜRZEREN – den Kürzeren ziehen** (fam) – auf Grund einer ungleichen Ausgangslage bei einer Auseinandersetzung, einem Streit o.ä. der Unterlegene sein – წაგებული რჩება
... In einem Streit mit großen Herren zog ein armer Reitknecht unter allen Umständen den Kürzeren...

(Feuchtwanger - Narrenweisheit)

... დიდკაცებთან დავაში საწყალი მეჯინიბე ყოველთვის წაგებული რჩებოდა (დამარცხებული გამოდიოდა).

L

- 835 LACHEN - er hat gut lachen** (fam) - ihm geht es gut – კარგადაა, არაფერი ენაღველება, რა ენაღველება
 ...Während wir hier arbeiten müssen, geht er auf Reisen. Er hat gut lachen.
 მაშინ, როცა ჩვენ აქ ვმუშაობთ, იგი სამოგზაუროდ მიდის. რა ენაღველება?!...
- 836 = er hat nichts zu lachen** (fam) – ihm geht es schlecht – ვერ აქვს სასაცილოდ საქმე
 ... Der Mann hat bestimmt nichts zu lachen. Er selbst ist arbeitslos, und seine Frau ist schwer krank.
 ამ კაცს ნამდვილად ვერ აქვს სასაცილოდ საქმე. თვითონ უმუშევარია, ცოლი კი მძიმედ ავად ჰყავს.
- 837 LACK – fertig ist der Lack** (fam) – die Sache ist erledigt oder fertig – საქმე გაჩარხულია, მოკვარახტინებულია
 ...Du brauchst für den Besuch doch keine großen Vorbereitungen zu treffen. Bereite ein nettes Abendessen, danach geben wir einen guten Wein, und fertig ist der Lack.
 არ გჭირდება სტუმრის დასახვედრად დიდი სამზადისი. მოამზადე სასიამოვნო ვახშამი, ჩვენ მოვიტანთ კარგ ღვინოს და საქმე მოკვარახტინდება.
- 838 LADEN – schwer geladen haben** (fam) – zuviel Alkohol getrunken haben – ლაზათიანად შეზარხოშებულია
 ...Sieh nur, wie er schwankt. Ich glaube, er hat wieder schwer geladen.
 შეხედე ერთი, როგორ ბარბაცებს. მე მგონია, კარგა ლაზათიანად შეზარხოშებულია.
- 839 = ich werde den Laden schon schmeißen** (stärker fam) – ich werde die Sache erfolgreich durchführen – საქმეს წარმატებით გავართმევ თავს, საქმეს კარგად მოვაგვარებ
 ...Mach dir keine Sorgen. Ich werde in deiner Abwesenheit den Laden schon schmeißen.
 ნუ წუხარ. შენი არყოფნისას (ვიდრე შენ არ იქნები) მე საქმეს რიგიანად (კარგად) მოვაგვარებ. (საქმეს წარმატებით გავართმევ თავს).
- 840 LANG – da kannst du lange warten** – ich denke nicht daran – არც მიფიქრია, დიდხანს მოგიწევს ლოდინი ვიდრე ... დამელოდოს ვიდრე
 ...Warum sollte ich ihr ein Bild von mir schenken? Da kann sie lange warten.
 რატომ უნდა ვაჩუქო მას ჩემი სურათი? დიდხანს მოუწევს ლოდინი, ვიდრე ამას გავაკეთებ (დამელოდოს მანამდე).
- 841 = ein langes Gesicht machen** (fam) – enttäuscht sein, unzufrieden sein – ცხვირი ჩამოუშვა
 ...Als die Totoergebnisse bekannt gegeben wurden, machte er ein langes Gesicht, denn er hatte fest mit einem Gewinn gerechnet.
 როცა ტოტალიზატორის შედეგები ცნობილი გახდა, მან ცხვირი ჩამოუშვა, რადგან მოგებაში მყარად იყო დარწმუნებული. (მტკიცედ სჯეროდა მოგების, მოგების იმედი ჰქონდა).
- 842 = einen langen Hals machen** (fam) – etwas neugierig oder verlangend anschauen, nur mit Mühe etwas sehen können – კისერი წაიგრძელო
 ...Der Filmstar war von Reportern so umlagert, dass die anderen Besucher einen langen Hals machen mussten, um ihn überhaupt sehen zu können.
 კინოვარსკვლავი ისე იყო რეპორტიორებისგან გარშემორტყმული, რომ სხვებს კისერი უნდა წაეგრძელებინათ, მისი დანახვა რომ შეეძლებოდათ.
- 843 LÄNGE – sich in die Länge ziehen** – länger dauern, als zu erwarten war – გაჭიანურებულია, გაწელილია
 ... Der Herr Bürgermeister, in seinem berühmten roten Rock, hielt eine Rede, die sich etwas in die Länge zog ...

(Heine - Ideen)

თავის განთქმულ წითელ მუნდირში გამოწყობილმა ბატონმა ქალაქის თავმა წარმოსთქვა, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებული სიტყვა.

- ...Ich hätte nicht geglaubt, dass sich die Bauarbeiten so in die Länge ziehen würden.
 არ ვიფიქრებდი, რომ მშენებლობა ასე გაჭიანურდებოდა.
- 844 LANZE – eine Lanze brechen, einlegen** (für jmdn., für etwas) – für jmdn. (für etwas) eintreten, einsetzen – ხმალში გამოიწვიო, გამოექომაგო
 ...Woldemar, großer Toltoischwärmer, wollte für den russischen Grafen eine Lanze brechen.
 (Fontane – Der Stechlin)
 ვოლდემარი, ტოლსტოის დიდი თაყვანისმცემელი, მზად იყო რუსი გრაფის გულისათვის ხმალში გამოექვდა ვინც არ უნდა ყოფილიყო.
- 845 LAPPEN – durch die Lappen gehen** (fam) – jmdm. entgehen – ხელიდან დაუსხლტდა
 ... Er war kurze Zeit krank, dadurch ist ihm leider ein gutes Geschäft durch die Lappen gegangen.
 იგი ცოტა ხნით ავად იყო, რის გამოც მას სამწუხაროდ, კარგი საქმე დაუსხლტდა ხელიდან.
- 846 LAST – jmdm. zur Last fallen, werden** – jmdm. zusätzliche Arbeit, Mühe oder Kosten bereiten – ტვირთად დააწვე
 ... Es ... flechte, daß sie doch Mitleid haben sollte mit ihm, er würde ihr nicht lange zur Last fallen.
 (H. H. Ewers - Alraune)
 ... ემუდარებოდა, რომ შეებრალებიან იგი ... არწმუნებდა, რომ დიდი ხნით ტვირთად არ დააწვებოდა (არ მოაბეზრებდა თავს).
- 847 = jmdm. etw. zur Last legen** – jmdn. beschuldigen, für etwas verantwortlich machen – დანაშაულად ჩაუთვალო, ბრალი დასდო
 ...Ihm wurde zum Last gelegt, er habe Gelder und Lebensmittel für die Familien der Verhafteten gesammelt und verteilt.
 (Bredel – Die Kommenden)
 მას დანაშაულად უთვლიდნენ (ბრალად სდებდნენ), რომ დაპატიმრებულთა ოჯახებისათვის აგროვებდა და ანაწილებდა ფულსა და სანოვაცეს.
- 848 LATERNE – etwas mit der Laterne suchen** (fam) – etwas mühsam suchen – ფარნით ეძებო ვერ ნახავ, შოვნა ძალიან ჭირს
 ...Gute Arbeitskräfte muss man heutzutage mit der Laterne suchen.
 კარგი სამუშაო ძალები დღეისთვის ფარნით რომ ეძებო ვერ ნახავ. (ფარნით უნდა ეძებო, ძალიან ჭირს)
- 849 LAUF – freien Lauf lassen** – etwas nicht zurückhalten, hemmen oder zügeln – თავშეუკავებლად მოიქცა, ნებაზე მიუშვა
 Vor seinen Freunden ließ Don Alfonso seinem ohnmächtigen Zorn freien Lauf.
 (Feuchtwanger – Die Jüdin von Toledo)
 მეგობრების წინაშე დონ ალფონსომ მოურიდებლად, თავშეუკავებლად გადმონათხია უძლური მრისხანება.
 ...Er ließ den Dingen freien Lauf.
 ამბების დინება მან ნებაზე მიუშვა.
- 850 LAUFPASS – jmdm. den Laufpass geben** (fam) – jmdn. fortschicken, eine Verbindung einseitig lösen, sich von jmdm. trennen – კინწი ჰკრა, უგანა, მოიქნია, გააგდო
 ...Ich kann wirklich nicht verstehen, wie du mit diesem groben Kerl auskommen kannst. Wenn ich ehrlich sein soll, ich an deiner Stelle hätte ihm schon längst den Laufpass gegeben.
 მართლა არ მესმის, როგორ ძლებ ამ უხემ ტიპთან. გულწრფელად რომ გითხრა, შენს ადგილზე მე იგი დიდი ხნის მოქნეული მეყოლებოდა (შენს ადგილზე მე მას კინწს ვკრავდი, გავაგადებდი)
- 851 LAUS – ihm ist eine Laus über die Leber gelaufen** (fam) – er ist verärgert – რა ბზიკმა უკბინა, რამ შეაწუხა, რამ დააყენა ცუდ გუნებაზე, რა დაემართა
 ... Was ist denn mit dir Los? Dir ist wohl eine Laus über die Leber gelaufen?
რა ბზიკმა გიკბინა? რა დაგემართა?

- 852 = **jmdm. eine Laus in den Pelz setzen** – jmdm. durch etw. Verdruß bereiten – jmdm. Schwierigkeiten machen – საზრუნავი გაუზინა, უსიამოვნება მიაყენა
 ...Mit diesem Antrag hat die Opposition der Regierung eine Laus in den Pelz gesetzt.
 ...ამ განაცხადით ოპოზიციამ მთავრობას დიდი საზრუნავი გაუზინა (უსიამოვნება შეუქმნა).
- 853 **LEBEN – in den Tag hinein leben** – leben, ohne sich über die Zukunft Gedanken zu machen – უდარდელად ცხოვრობს, ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს არ იწუხებს, ბედს მინდობილი ცხოვრობს
 ...Sie leben einfach in den Tag hinein und meinen, so müßte immer so bleiben.
ისინი ბედს მინდობილი ცხოვრობდნენ (ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს არ იწუხებენ) და ჰგონიათ, რომ ყოველთვის ყველაფერი ასე იქნება.
- 854 = **Leben ins Haus (fam) oder in die Bude (stark fam) bringen**-Munterheit und Frohsinn ins Haus bringen oder um sich verbreiten –სიცოცხლეს და ხალისს აფრქვევს გარშემო
 Zuerst ging alles sehr steif zu, und wir freuten uns alle, als Hans kam und Leben ins Haus brachte.
 ჯერ ყველაფერი მდორედ მიდიოდა, და ყველას გაგვიხარდა, როცა ჰანსი მოვიდა და სიცოცხლე და ხალისი შემოიტანა.
- 855 **LEBENS LICHT – jmdm. das Lebenslicht ausblasen** –jmdm.töten– მზე დაუბნელა, წუთისოფელს გამოასაღმა
 ...Daß ausgerechnet ich dem Burschen nach Kiew verhelte, der ein halb Jahr später Lychow das Lebenslicht ausblasen soll.
 (A. Zweig – Einsetzung eines Königs)
 იმ ყმაწვილს, რომელმაც ნახევარი წლის შემდეგ მზე დაუბნელა ლიხოვს (სიცოცხლის ლამპარი ჩაუქრო, წუთისოფელს გამოასაღმა, საიქიოს გაისტუმრა ლიხოვი), რატომღაც სწორედ მე შევეუწყვე ხელი კიევში შეეღწია.
- 856 **LEBER – frisch (frank) und frei von der Leber weg reden (fam)** – ohne Bedenken reden – გულახდილად (პირდაპირ) საუბრობს
 „Und nun,“ sagte der Richter zum Angeklagten, „schildern Sie und mal den Vorgang frei von der Leber weg.“
 „ახლა კი,“ უთხრა მოსამართლემ ბრალდებულს, „გულახდილად (პირდაპირ,) აგვიღწერეთ საქმის ვითარება (მომხდარი, პროცესი).“
 „...darum sage ich auch frank und frei von der Leber weg, was ich denke.“
 (Bredel- Der Sonderführer)
 „ამიტომ ვამბობ გულახდილად (პირდაპირ) იმას, რასაც ვფიქრობ.“
- 857 **LEDER – es geht einem ans Leder** – jmds. Leben ist in Gefahr – სიცოცხლე საფრთხეშია, ვაი მის ტყავს
 „Der hat geglaubt, es ginge ihm ans Leder.“
 (Bredel – Der Sonderführer)
 იგი ფიქრობდა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია (ვაი ჩემს ტყავს).
- 858 = **jmdm. das Leder, das Fell gerben** – jmdn. verprügeln-გველივით ააჭრელებს, მიაღბილებს, გვერდებს დაუზელს, ძვალს რბილად გადაუქცივს
 ...Nachdem die Bauern ihm für seine Spitzbübereien tüchtig das Leder gegerbt hatten, ließ er sich im Dorfe nicht mehr sehen.
 მას შემდეგ, რაც გლეხებმა იგი თაღლითობისთვის გველივით ააჭრელებს (მიაღბილებს,მას გვერდები დაუზილეს, დაუნაყეს, ძვალი რბილად გადაუქციეს, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიბრტყე მისცეს), ის სოფელში აღარ გამოჩენილა.
- 859 **LEER – leer ausgehen** – nichts bekommen, während andere etwas erhalten – ხელმოცარული დარჩა, არ შეხვდა, არ მოუწია
 ...Obwohl ich mehrere Tombolalose genommen hatte, ging ich leer aus.

- მიუხედავად იმისა, რომ ლატარეა ავიღე, ხელმოცარული დავრჩი (არაფერი მომიწია).
- 860 LEIB – mit Leib und Seele** – mit Begeisterung – მთელი სულისკვეთებით, მონდომებით, მთელი სულით და გულით
 ...Als Schüler war er ziemlich faul, jetzt im Beruf ist er mit Leib und Seele bei der Sache.
 როგორც მოწაფე საკმაოდ ზარმაცი იყო, მაგრამ ახლა პროფესიულ საქმიანობას იგი მთელი სულისკვეთებით ეკიდება.
- 861 = jmdm. auf den Leib rücken, zu Leibe gehen** – jmdm. zu nahe (auf den Leib) rücken – თავს დაესხა, შეავიწროვა, უკან აეკიდა, აედევნა, გული გაუწყალა, ხელში შეიკლა (იხ. Pelz № 1076)
 ...Nachdem man ihm so lange nicht auf den Leib gerückt war, hatte Nicolas geglaubt, die Geschichte werde ausgehen, wie ein herabgebranntes Taglicht.
 რადგან ამდენ ხანს არავინ დასხმია თავს, ნიკოლასს ეგონა, ეს ამბავი დაღვენილი ქონის სანთელივით თავისთავად ჩაქრებოდა.
 ...Der Mörder hatte sich darauf verlassen, dass man ihm nicht zu Leibe gehe.
 (Feuchtwanger – Narrenweisheit)
 მკვლელს იმის იმედი ჰქონდა, რომ არავინ ახლებდა (მოჰკიდებდა) ხელს.
 ...
 ...Rücke mir nicht auf den Leib. Ich werde dir dein Buch bald zurückgeben.
ნუ გამიწყალე გული (ნუ შემიკალი ხელში), მალე დაგიბრუნებ შენს წიგნს.
- 862 = etwas am eigenen Leibe verspüren** (fam) – selber eine schlechte Erfahrung machen – საკუთარ თავზე გამოცადო
 ...Jetzt hat er einmal am eigenen Leibe verspürt, was es heißt, in Stich gelassen zu werden.
 ახლა ნახა, თავის თავზე რომ გამოცადა, რას ნიშნავს, ბედის ანაბარა მიტოვებული რომ დარჩები.
- 863 LEIER – immer die alte Leier** – häufig wiederholte, immer vorgebrachte Äußerung, Klage – ძველი ლათაიებია, ძველი ჰანგებია, მოძველებული ამბავია
 ... Niemand wollte ihn mehr anhören, weil es immer die alte Leier war, die alle längst satt halten.
 მისი მოსმენა აღარავის უნდოდა, რადგან ეს ძველი ლათაიები (ძველი ჰანგები) იყო, რომელიც ყველას დიდი ხანია მობეზრებული ჰქონდა.
- 864 LEIM – auf den Leim gehen (kriechen)** (fam) – auf etwas hereinfliegen – ანკესზე წამოვგო
 „Schade, ewig schade, daß er diesen verbrecherischen Hochstaplern auf den Leim ging.“
 (Kellermann – Totentanz)
 „სამწუხაროა, უსაზღვროდ სამწუხარო, რომ ის წამოვგო ამ ბოროტი ავანტიურისტების ანკესზე.“
- 865 = aus dem Leim gehen** – entzweigen; (figürlich) zerbrechen – ჩაიშალა, შაიფუშა, დაიმსხვრა, დაინგრა
 Die ganze Sache ist aus dem Leim gegangen.
 მთელი საქმე ჩაიშალა (ჩაიფუშა).
 Meine Freundschaft mit ihm ist aus dem Leim gegangen.
 ჩემი და მისი მეგობრობა დაიმსხვრა (დაინგრა).
- 866 LEISTEN – alle über einen Leisten schlagen** – alle gleich behandeln- ერთ ყალიბში გაატარო, ერთი ადლით გაზომო (იხ. Hut№671, Kamm№.693, Topf №1594)
 ... Wir waren auf einmal alle über einen Leisten geschlagen.
 (A. Seghers – Die Rückkehr)
 უეცრივ ყველანი ერთ ყალიბში გავვატარეს (ერთ დარჯაკში გავვატარეს, ერთ ბერაში გამოვვიყვანეს, ერთ ტაფაში, ერთ მავრაშაში მოვვაქციეს, ერთი ადლით გავგზომეს).
- 867 = das kann ich mir leisten** – das kann ich mir erlauben – თავს ნებას მივცემ
 ...Wollen wir uns am Wochenende eine Flasche Wein leisten?

- კვირის ბოლოს თავს ერთი ბოთლი ღვინის (დალევის) ნება ხომ არ მივცემ?
- 868 LEITUNG - eine lange Leitung haben** (fam) – etwas schwer begreifen – ძნელად ითვისებს
 ...Fritz muss man alles dreimal erklären, ehe er etwas begreift. Der hat wirklich eine lange Leitung.
 ფრიცს ყველაფერი სამჯერ უნდა აუხსნა, ვიდრე რაიმეს მიხვდება, იგი ნამდვილად ძნელად ათვისებდა.
- 869 LESEN – etwas zwischen den Zeilen lesen können** – den tiefen Sinn einer Sache verstehen, was der Schreiber gemeint hat, obwohl er es nicht besonders ausgedrückt hat – დაფარულის აზრს ჩაწვდევ, ჩანაფიქრი ამოიკითხო (გამოიცნო)
 Es klingt ganz harmlos, was er schreibt. Man muss jedoch zwischen den Zeilen lesen können.
 თითქოს სრულიად უწყინარია, რასაც ის წერს. მაგრამ უნდა ჩაწვდევ დაფარულ აზრს (უნდა ამოიკითხო, გამოიცნო ნაგულისხმევი, ჩანაფიქრი).
- 870 LETZT – zu guter Letzt** – zum Schluss, um Ende – საბოლოოდ, ბოლოს და ბოლოს
Zu guter Letzt blieb alles so, wie es war.
საბოლოოდ ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო.
- 871 LEVITEN – jmdm. die Leviten lesen** (fam) – jmdm. einen Verweis erleiten – დატუქსა, ჭკუა დაარიგა
 „...Natürlich werde ich dem Burschen die Leviten lesen“ ... , brummte der Landphysikus.
 (W. Raabe – Die Leute aus dem Walde)
 „რასაკვირველია, ამ ყმაწვილს დავტუქსავ, (ჭკუას დავარიგებ)“ – წაიბურღუნა სოფლის მეურნალმა.
- 872 LICHT – ein schlechtes Licht auf jmdn. (etwas) werfen** – oder kein gutes Licht auf jmdn. (etwas) werfen – in schlechten Ruf kommen – კარგს არაფერს ამბობს, კარგზე არ მეტყველებს, სახელს უფუჭებს
 ...Ihr Verhalten wirft ein schlechtes Licht auf ihren Charakter.
 მისი ქცევა მის კარგ ხასიათზე არ მეტყველებს (მის ხასიათზე კარგს არაფერს ამბობს).
- 873 = sein Licht unter den Scheffel stellen** (biblisch) - zu bescheiden sein – ტალანტი ჩაიხშო, ნიჭი დამარხო/ ჩაიხშო
 „Du hast recht,“ sagte Oskar, „Ich sollte, mein Licht nicht unter den Scheffel stellen.“
 (Feuchtwanger – Die Brüder Lautensack)
 „შენ მართალი ხარ,“ თქვა ოსკარმა, „არ უნდა ჩამეხშო ნიჭი.“
- 874 = sich (etwas) ins rechte Licht rücken oder setzen oder stellen** – die Vorzüge eines Menschen (einer Sache) aufzeigen – საქმე სწორად გააშუქა, საქმის ნამდვილი ვითარება წარმოადგინა
 „Jedenfalls werde ich ihm heute noch ... die Dinge ins rechte Licht rücken.“
 (W. Raabe – Der Schütterump)
 „ყოველ შემთხვევაში მე დღესვე წარმოვუდგენ (გავუშუქებ) მას საქმის ნამდვილ ვითარებას.“
- 875 = sich (etwas) in ein falsches Licht (in ein schiefes Licht) rücken (setzen, stellen)** – sich (etwas) schlechter machen, als es wirklich ist; falsche Vermutungen aufkommen lassen საქმე დამახინჯებულად წარმოადგინა, მცდარად ასახა
 ...Er stellte die Sache in ein ganz schiefes Licht.
 მან ეს საქმე სრულიად დამახინჯებულად (მცდარად) წარმოადგინა
- 876 = sein Licht leuchten lassen** (fam) – sein Wissen, Können zeigen, seine Klugkeit zeigen, zur Geltung bringen – თავი გამოიჩინო
 ...Durch wichtige Bemerkungen ließ sie auf der gestrigen Gesellschaft wieder ihr Licht leuchten.
 თავისი გონებამახვილური შენიშვნებით გუშინდელ საზოგადოებაში მან კვლავ გამოიჩინა თავი.

- 877 = **jmdn. hinters Licht führen** (fam) – jmdn. Übertölpeln – jmdn. täuschen, jmdn. betrügen – გააცურებს, მშრალზე დატოვებს, სატყუარაზე წამოაგებს (იხ. Löffel № 898 Narr№993 Ohr№1052 Schnippchen№1320)
 ...Gib dir keine Mühe, mich kannst du so schnell nicht hinters Licht führen.
 ნუ ცდილობ, ვერ შეძლებ შენ ჩემს გაცურებას (სატყუარაზე წამოაგებას, მშრალზე დატოვებას).
- 878 = **jmdm. geht ein Licht auf** – jmdm. wird etwas bewusst – jmd. begreift endlich – თვალი აეხილა, ნათელი გახდა
 ...Der Polizeischreiber schlug sich vor die Stirn wie jemand, dem ein Licht aufgeht.
 (W. Raabe – Die Leute aus dem Walde)
 პოლიციის საქმის მწარმოებელმა იმ ადამიანივით შემოიკრა შუბლში ხელი, რომელსაც უეცრივ აეხილა თვალი (რომლისთვისაც ყველაფერი ნათელი გახდა).
- 879 = **ans Licht bringen (ziehen, zerren, holen)** – (etw. Verheimliches) an die Öffentlichkeit bringen – საჯაროდ გამოიტანა მზის სინათლეზე, ყველაფერი გამოამხეურა
 ...Er hatte sich vorgenommen, (die) Sache ans Licht zu bringen
 მან მიზნად დაისახა ამ საქმის გახსნა (მზის სინათლეზე საჯაროდ გამოტანა, გამომხეურება).
- 880 = **ans Licht kommen** (von etw. Verheimlichem, Verborgenen) bekannt werden- offenbar werden – გამომჟღავნდება, თავს იჩენს
 ...Früh oder spät kommt die Wahrheit ans Licht.
 (Kleist – Mich. Kohlh.)
 ადრე თუ გვიან სიმართლე გამომჟღავნდება (თავს იჩენს).
- 881 = **ein Licht sein, eine Leuchte sein** – kein Licht sein – nicht gerade ein großes Licht sein / kein großes Licht sein – nicht sehr intelligent sein – არაფრით არაა გამორჩეული, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, დიდი ვერაფერი შვილია
 ...Es ist ein lieber Mann, ein guter Hausfreund, aber ein Licht ist er nicht.
 (Th. Mann – Buddenbrooks)
 საყვარელი ადამიანია, ოჯახის კეთილი მეგობარია, მაგრამ არაფრით არაა გამორჩეული (ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, დიდი ვერაფერი შვილია).
 ...In seinem Fach ist er eine Leuchte.
 თავის დარგში იგი მნათობია.
- 882 = **bei Lichte besehen** – genauer betrachtet – საქმის გულდასმით შესწავლისას ...
 ...Bei Lichte besehen, sind ihm ja die mildernden Umstände nicht abzusprechen.
 (Th. Mann – Buddenbrooks)
საქმის გულდასმით შესწავლისას არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მას ახლავს დანაშაულის შემარბილებელი გარემოებები.
- 883 = **sich selbst im Lichte stehen** – sich selbst schaden – თავის თავს ვნებს, თავის თავს ჩრდილში აყენებს
 ...Durch ihre Bescheidenheit steht sie sich selbst im Lichte.
 ... თავისი თავმდაბლობით იგი თავის თავს ვნებს (თავის თავს ჩრდილში აყენებს).
- 884 = **ein Licht in etw. bringen** -eine Angelegenheit aufklären– ნათელს მოჰყენს
 ... Er ist so brav. Er findet leicht einen Ausweg. Er bringt immer ein Licht in der beliebigen Situation.
 ის ძალიან ყოჩაღია. იგი ადვილად პოულობს გამოსავალს. ყოველთვის ნებისმიერ სიტუაციას ნათელს ჰყენს (ნებისმიერ სიტუაციაში ერკვევა).
- 885 **LIED – er weiß ein Lied davon zu singen** (fam) – er spricht aus Erfahrung – ამის შესახებ ბევრის თქმა შეუძლია, მასაც გამოუცდია, მას ჰკითხეთ
 ...Hat sie auch dich jetzt um Geld gebeten? ... Na, ich weiß seit langem ein Lied davon zu singen.

შენც გთხოვს მან ფული? ეს მეც გამომივლიდა.

...In die Welt hinausgestoßen zu sein, nackt und bloß ... Ich weiß auch ein Lied davon zu singen.

იყო უცხო მხარეს მარტოდმარტო, შიშველი და მშვიერ-მწყურვალნი ... ამის შესახებ მეც ბევრის თქმა შემიძლია (მეც გამომივლიდა, ეს მე მკითხეთ, მე ვიცი, რას ნიშნავს ეს).

886 **LIEGEN – mir liegt viel (nichts) daran** – das ist sehr wichtig für mich – მნიშვნელობას ვანიჭებ, მნიშვნელობა აქვს

Sie (Johanna) war erbittert über sich, daß ihr an der Anteilnahme gerade dieses Mannes lag.
(Feuchtwanger - Erfolg)

მას (იოჰანას) გული მოსდიოდა თავის თავზე, რომ მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა (რომ იგი მნიშვნელობას ანიჭებდა) სწორედ ამ ადამიანის თანაგრძნობას).

887 = **es liegt klar auf der Hand** – es ist klar – დღესავით ნათელია, აშკარაა, თქმაც არ უნდა

...Es liegt doch klar auf der Hand, dass zum Erfolg auch eine ganze Menge Glück gehört.

ეს ხომ დღესავით ნათელია, რომ წარმატებისთვის იღბალიცაა საჭირო. (წარმატება გარკვეულწილად იღბალზედაცაა დამოკიდებული).

888 = **es liegt ihm nicht (etw. liegt jmdm. nicht)** – es entspricht nicht seinen Neigungen, seinem Talent – არ შეეფერება, არ უხდება, გული არ მისდის

...Frau ... Neubert klagte: „Mir liegt schwere Lektüre nicht. Ich will nichts Trauriges lesen.“

(Becher - Abschied)

ფრაუ ნოიბერტი ჩიოდა: „გული არ მიმდის მძიმე შინაარსის წიგნების კითხვაზე, არავითარი სამწუხარო ამბების წაკითხვა არ მინდა.“

...Tanzen liegt ihm nicht, denn er ist völlig unmusikalisch.

... ცეკვა მას არ უხდება (ცეკვა მისი საქმე არაა), რადგან სრულიად არამუსიკალურია.

889 = **es liegt nicht an mir** – es ist nicht meine Schuld – ჩემი ბრალი არაა, მე არაფერ შუაში ვარ

...Es liegt doch nicht an mir, dass du heute wieder zu spät zum Dienst kommst.

ჩემი ბრალი ხომ არაა (მე რა შუაში ვარ), რომ შენ დღეს კვლავ გვიან მოდიხარ სამსახურში.

890 = **jmdn. links liegen lassen** – jmdn. ignorieren, jmdn. nicht beachten – არად ჩააგდო, ძალდადაც არ ჩააგდო, არაფრად ჩააგდო

„...Und den Teetjen lassen wir links liegen ... , bis er es selbst merkt.“

(A. Zweig – Das Beil von Wandsbek)

„ხოლო ტეეტიენს არად ჩავაგდებთ (ძალდადაც არ ჩავაგდებთ), ვიდრე თვითონ არ მისვდება საქმის ვითარებას.“

891 = **etwas(jmd.) kommt mir sehr gelegen** – etw. (jmd) kommt mir gerade rechten Zeit – სულზე მომისწრო, დროულად დამეხმარა

...Bis zur Abfahrt habe ich noch sehr viele zu tun, darum kommt mir deine Hilfe sehr gelegen.

გამეზავრებამდე ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საქმე მაქვს, ამიტომ შენ სულზე მომისწარი (შენი დახმარება დროულია)

892 **LIPPE – nicht über die Lippen bringen** – nicht wagen ein Wort zu sagen – sich nicht zwingen etw. zu sagen – (რადაცის სათქმელად) ენას ვერ იბრუნებს, სათქმელად პირს ვერ აღებს, ენას ვერ ატრიალებს

...Sie (Tony) sagte nicht mehr „nein,“ aber sie vermochte auch das „Ja“ nicht über die Lippen zu bringen.

(Th. Mann – Buddenbrooks)

ის (ტონი) აღარ ამბობდა „არას,“ მაგრამ ვერც „ჰოს“ სათქმელად იბრუნებდა ენას. („ჰოს“ სათქმელადაც ვერ აღებდა პირს, ვერ მოეტრიალებინა ენა“).

- 893 **LOCH – jmdn. ins Loch bringen** - in Gefängnis (in schwere Situation bringen) – ვირის აბანოში ჩააგდო, ხათაბალაში გაახვიო
 ... Er provoziert schon wieder! Er will noch einen ins Loch bringen.
 (H. Mann – Der Untertan)
 ... ის ისევ ეწევა პროვოკაციას! მას უნდა, კიდევ ვინმე ჩააგდოს ვირის აბანოში.
- 894 = **auf, aus dem letzten Loch pfeifen** (fam) – vor dem Ende stehen, vor dem keine Kraft mehr haben oder krank sein – სულს დაფავს, სინსილა გამოელთა (გაუწყდა)
 ...Der Bettler war ganz hohlwangig, und man sah ihm an, dass er auf dem letzten Loch piff.
 მათხოვარს ყბა ყბაში ჰქონდა გამძვრალი და ყველა ხედავდა, რომ სულს დაფავდა. (სინსილა გამოელეული ჰქონდა)
 Sie (Frau Permaneder) ... küßt ihren Bruder auf beide Wangen und sagt: „Wir Buddenbrooks pfeifen noch nicht aus dem letzten Loch, wer das glaubt, der irrt im höchsten Grade!“
 (Th. Mann – Buddenbrooks)
 იგი (ფრაუ პერმანედერი) კოცნის ძმას ორივე ღოყაზე და ეუბნება: „ჩვენ ბუდენბროკებს ჯერ კიდევ სინსილა (საფანელი) არ გამოგულევიდა (ჩვენ ბუდენბროკები ჯერ სულს არ ვდაფავთ). ვისაც ეს ჰგონია – ძალიან ცდება.“
- 895 = **jmdm. ein Loch in den Bauch reden** – zu viel reden mit jmdm. der (die) keine Lust hat zu zuhören – ილაჯი გაუწყვიტა, გული გაუწყვიტა ლაპარაკით
 ...Diese Frau kann einem ein Loch in den Bauch reden.
 ამ ქალს შეუძლია ლაპარაკით ადამიანს ილაჯი გაუწყვიტოს (გული გაუწყვიტოს).
- 896 = **jmdm. ein Loch in den Bauch fragen** – jmdm. mit seinen Fragen lästig werden, immer mehr Fragen stellen, weil man etwas ganz genau wissen will – ილაჯი გაუწყვიტა, გული გაუწყვიტა შეკითხვებით
 ...Sie fragten den redseligen Berliner ein Loch in den Bauch.
 ... ენაწყლიან (საუბრის მოყვარულ) ბერლინელს შეკითხვებით გული გაუწყვიტეს (ილაჯი გაუწყვიტეს).
- 897 **LOCKERLASSEN – nicht lockerlassen** (fam) – nicht nachgeben – შენი არ მოიშალო, არ მოეშვა, გადაეკიდო
 ...Wegen seiner überhöhten Forderungen wurde er schon mehrmals abgewiesen, aber er lässt nicht locker.
 მისი გადაჭარბებული მოთხოვნების გამო იგი ბევრჯერ იქნა უარყოფილი (მას ბევრჯერ მოუხსნეს უფლებამოსილება), მაგრამ იგი თავისას არ იშლის.
 ...Will er etwas von dir, so lässt er nicht locker, bevor du seinen Wunsch erfüllt hast.
 თუ რამე მოინდომა შენგან, არ მოგეშვება (გადაგეკიდება), სანამ არ შეუსრულებ გულის წადილს.
- 898 **LÖFFEL – über den Löffel barbieren** (umg) – jmdn. betrügen – გააცურებს, მშრალზე დატოვებს, რიყეზე დატოვებს, სატყუარას მიუგდებს (იხ. Licht № 877, Narr № 993, Ohr № 1052, Schnippchen № 1320)
 Als man erfuhr, daß der Fürst von Talleyrand als Vertreter Frankreichs, nach Wien gereist sei, sagte der Großvater: „Gebt acht, der alte Fuchs wird sie alle über den Löffel barbieren.“
 (G. Parthey – Das Haus in der Brüderstraße)
 როდესაც ცნობილი გახდა, რომ ტალეირანი ვენაში გაემგზავრა საფრანგეთის წარმომადგენლად, ბაბუამ თქვა: „აი, ნახავთ, ბებერი მელა იქ ყველას გააცურებს.“
- 899 = **die Weisheit (auch nicht) mit Löffeln gegessen, gefressen haben** – (ugs; iron.etw..bes. Intelligenz, Klugheit (nicht gerade) in sehr hohem Maße besitzen. - ჭკუის კოლოფია
 ...Bild dir nur nicht ein, als hättest du die Weisheit mit Löffeln gefressen.
 (Becher - Abschied)
 ნუ გგონია, რომ შენ ჭკუის კოლოფი ხარ.

- 900 LORBEEREN – Lorbeeren ernten** – Anerkennung bekommen – დაფნის გვირგვინი ერგო, აღიარება ჰპოვა
 ...Mit seiner wissenschaftlichen Arbeit hat er viele Lorbeeren geerntet.
 მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით ბევრჯერ ჰპოვა აღიარება.
- 901 = auf (seinen) Lorbeeren ruhen (ausruhen)** – nach einem Erfolg untätig bleiben – ძველი დიდება და პატივი შერჩა და მიღწეულით კმაყოფილია
 ...Er war früher als Sänger berühmt gewesen und ruhte jetzt im Alter auf seinen Lorbeeren.
 (Hauff - Othello)
 ის წინათ სახელოვანი მომღერალი იყო და ახლა მოხუცებულობაში ძველი დიდება და პატივი შერჩენოდა და მიღწეულით კმაყოფილდებოდა.
- 902 LOS – mit ihm ist nicht viel los** (fam) – er kann nicht viel, er ist schwächlich, er taugt nicht viel – დიდი ვერაფერი შვილია, არაფრის მაქნისია
 ...Ich musste den Neuen wieder entlassen. Mit ihm war nicht viel los.
 მე ახალმოსული კვლავ დავითხოვე. იგი დიდი ვერაფერი შვილია. (არაფრის მაქნისია).
- 903 = dort ist (nicht) viel los** (fam) – dort ist (nicht) viel Leben und Treiben, dort ist es (nicht) interessant – დიდი არაფერი ხდება, მაინცდამაინც ისეთი არაფერია, დიდს არაფერს წარმოადგენს
 ...Auf der diesjährigen Industrieausstellung war (nicht) viel los.
 ამ წლის ინდუსტრიული გამოფენა დიდს ვერაფერს წარმოადგენს (დიდს არაფერს გუთავაზობს).
- 904 = er hat das Große Los gezogen** (das große Los ziehen) – er hat viel Glück gehabt – ბედმა გაუღიმა, გაუმართლდა, ბედი კარზე მოადგა, მოგება ერგო
 ...Willi hat eine gute Frau. Er hat mit ihr das Große Los gezogen.
 ვილის კარგი მეუღლე ჰყავს. მას ნამდვილად გაუმართლდა.
 „Hast du das große Los gezogen, Gustav?“ „Nein!, Oder, wenn du willst, doch. Mein Bruder hat mir ein kleines Vermögen hinterlassen.“
 (Bredel – Die Väter)
 „გუსტავ, ლატარეაში ხომ არ გერგო მთავარი მოგება (ხომ არ გამდიდრებულხარ, ბედი ხომ არ მოგადგა კარზე, ბედმა ხომ არ გაგიღიმა?)“
 „არა, თუმცა შეიძლება ასეც იყოს, ჩემმა ძმამ პატარა ქონება დამიტოვა.“
- 905 LOT – die Sache ist im Lote** – die Sache ist sicher, wieder in Ordnung, gesundheitlich auf der Höhe sein – საქმე დამკაშია მისული, ყველაფერი მოწესრიგებულია (მათ შორის ჯანმრთელობის საქმეც)
 ...Er konnte sich jetzt beruhigen, da die Sache im Lote war.
 ახლა შეეძლო მას დამშვიდებულიყო, რადგან საქმე დამკაში იყო მისული (მთლიანად იყო მოწესრიგებული).
- 906 LÖWE – der Löwe, der Held des Tages sein** – დღის გმირად იქცე
 ... Als er nach dem Kriege als Ordenträger in sein kleines Heimatdorf zurückkehrte, war er der Löwe des Tages.
 როცა ომის შემდეგ იგი ორდენოსანი დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს, დღის გმირად იქცა (ყურადღების ცენტრში მოექცა).
- 907 LUFT – es liegt etwas in der Luft** (fam) – es scheint sich etwas zu ereignen – ჰაერში რაღაც სუნი ტრიალებს, რაღაც უნდა მოხდეს
 ...Wir hielten uns nicht lange in der politischen Versammlung auf, denn wir hatten von Anfang an das Gefühl, dass etwas in der Luft lag.
 ჩვენ დიდხანს არ გავჩერებულვართ პოლიტიკურ კრებაზე, რადგან ჩვენ თავიდანვე ვგრძნობდით, რომ ჰაერში რაღაც სხვა სუნი ტრიალებდა.
- 908 = er ist Luft für mich** (fam) – ich beachte ihn überhaupt nicht – არაფრად ვთვლი, არაფრად ვაგდებ, ჩემთვის არაფერს წარმოადგენს
 ... Seitdem er verschiedentlich versucht hat, mich bei anderen lächerlich zu machen, ist er Luft für mich.

მას შემდეგ რაც იგი სხვადასხვაგვარად (ყოველნაირად) შეეცადა სხვისი თანდასწრებით ჩემს სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენებას, იგი ჩემთვის აღარაფერს აღარ წარმოადგენს.

909 = **Luft machen** (seiner Empörung, seinen Ärger, Verdruss u. drgl.) – Laut sagen, was einem Probleme u. Ärger macht - პირი მოხადო (რაც გრძნობას)
...Diesem Polizisten gegenüber wenigstens hatte Frau Berndt ihrer Empörung Luft gemacht.
(Feuchtwanger – Erfolg)

ამ პოლიციელის მიმართ ხომ მაინც მოხადა ფრაუ ბერნდტმა პირი თავის დაგუბებულ აღშფოთებას.

910 = **jmdn. an die Luft setzen** (Tür) (fam) – jmdn. herauswerfen – გარეთ გააგდო, კარში გაუძახო (იხ. Stuhl № 1551; Tempel №1574; Tür №1631)
...Aber das sage ich Ihnen, Castorp; wenn Sie hier Szenen aufführen und ein Geschrei erheben ... so setze ich Sie an die Luft.

(Th. Mann – Der Zauberberg)

„აი რას გეტყვით, კასტორპ; თუ თქვენ აქ სცენებს მოგვიწყობთ და ყვირილს ატყებთ ... გაგაგდებთ გარეთ (გარეთ მივაბრძანებთ, გარეთ გისვრით).“

Ich setze den Frechdachs kurzerhand an die (frische) Luft.

მაგ თავხედს დაუყონებლივ გარეთ მივაბრძანებ.

Tom ist ein Politiker und weiß, was er will. Von wem wurde Christian an die Luft gesetzt?

(Th. Mann - Buddenbrooks)

ტომი ნამდვილი პოლიტიკოსია და იცის, რაც უნდა. ვინ გაუძახა ქრისტიანს კარში?

911 = **in die Luft gehen** (fam) – wütend werden – განრისხდა, გაბრაზდა, ცოფები ყარა

...Als er von den Schandtaten seines Sohnes hörte, ging er in die Luft.

როცა მან თავისი ვაჟიშვილის სამარცხვინო საქმეები შეიტყო, განრისხდა (სიბრაზისაგან ცოფები ყარა).

912 **LUFTSCHLOSS – Luftschlösser bauen** – Pläne machen, die sich nicht verwirklichen lassen – ოცნების კოშკებს აგებს, გეგმებს აწვობს

...Sie baut sich Luftschlösser und weiß nicht, dass ihr bittere Enttäuschung bevorstehen.

იგი ოცნების კოშკებს აგებს და არ იცის, რომ იმედის გაცრუება ელის.

913 **LÜGE – jmdn. Lügen strafen** – beweisen, daß jmd. gelogen od. etw. Falsches behauptet hat – სიცრუეში ამხილო

„Sprich, dass du schuldlos bist, leugne es, daß der Feind in deinem Herzen ist, und straf mich Lügen.“

(Schiller – Die Jungfrau von Orlean)

„თქვი, რომ უდანაშაულო ხარ, უარყავი, რომ მტერს შენს გულში გაუჩენია ბინა და მამხილე სიცრუეში!“

914 **LUNTE – Lunte riechen** – Gefahr im voraus bemerken , Verdacht schöpfen – საფრთხე იგრძნო, ეჭვი გაუჩნდა (იხ. Braten №146)

...Entweder hat er selbst Lunte gerochen, oder jemand hat ihm einen Floh ins Ohr gesetzt.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

მან ან თვითონ იგრძნო საფრთხე, ან ვიღაცა სხვამ აღუძრა ეჭვი.

915 **LUPE – etwas (jmdn.) scharf unter die Lupe nehmen** (fam) – etwas (jmdn.) genau betrachten und streng beurteilen – ლუპში გაატარო, მკაცრი კონტროლის ქვეშ იქონიო, ლუპით შეხედავენ.

...Alle Beamten werden vor ihrer Anstellung gründlich unter die Lupe genommen.

ყველა მოხელეს დანიშვნამდე მკაცრი კონტროლის ქვეშ გაატარებენ, მკაცრ კონტროლს ჩაუტარებენ.

916 **LUSTIG – sich über jmdn. lustig machen** – sich über jmdn. mokieren, jmdn. verulken – მასხრად აიგდო, დასცინო

„Wie häßlich!“ – rief sie (Charlotte) ... „Sie machen sich über mich lustig, Herr Gauleiter.“

(Kellermann – Totentanz)

„რა საზიზღრობაა!“ წამოიძახა მან (შარლოტამ) ... „თქვენ მასხრად მიგდებთ,
ბატონო გაუღაიტერ.“

M

- 917 **MACHEN – das lässt sich machen** – das ist möglich – შეიძლება მოხერხდეს, შესაძლებელია გამოვიდეს, გამოვა
...Ich möchte für Sonntag eine Flugkarte, ist das noch möglich? – Ja, das lässt sich machen.
თუ შეიძლება, კვირისთვის ავიაბილეთი მინდა შეეუკვეთო? – კი, შეიძლება მოხერხდეს.
- 918 = **sich nichts (nicht viel, wenig) darausmachen** – etwas nicht (nicht sehr gern) mögen – არ გიყვარდეს, არ გხიბლავდეს, არად მიაჩნია, არაფრად აგდებს, არ დაეძებს, ფეხებზე ჰკიდია
...Korpulente Menschen machen sich nicht viele aus Sport.
ბრვე აგებულების ადამიანებს დიდად არ ხიბლავთ სპორტი (არ უყვართ სპორტი).
„... Heimlich wird über ihn gewitzelt, der er scheint es nicht zu bemerken oder sich nichts daraus zu machen.“
(Bredel – Fünzig Tage)
მას ჩუმ-ჩუმად დასცინიან, მაგრამ იგი ამას ვითომც ვერ ამჩნევს ან არაფრად აგდებს (არ დაეძებს, ფეხებზე ჰკიდია).
- 919 = **das macht sich sehr gut (fam)** – das sieht sehr gut aus, das passt sehr gut – შეეფერება, უხდება
...Die zarte Vase macht sich auf dem Chippendaletisch sehr gut.
ეს ნაზი ლარნაკი ამ მაგიდას ძალიან უხდება.
- 920 **MACHTWORT – mit jmdm. ein Machtwort sprechen** – energisch mit jmdm. sprechen – მაგრად ელაპარაკო, მკაცრად, (კარგა ლაზათიანად) ელაპარაკო
...Willst du nicht mit dem Dienstmädchen wegen der Unsauberkeit ein Machtwort sprechen?
არ გინდა დამლაგებელს ამ უსუფთაობის გამო ერთი კარგა ლაზათიანად (მაგრად) ელაპარაკო?
- 921 **MÄDCHEN – er ist Mädchen für alles (fam)** – er kann oder muss alle Arbeiten tun – ყველაფერი ეხერხება, ყველაფერი ასდის ხელზე
...In seinem Büro ist er das reinste Mädchen für alles.
თავის ბიუროში იგი ყველაფერს თვითონ აწესრიგებს.
- 922 **MAGEN – jmd. (etwas) liegt mir schwer im Magen (fam)** - 1. jmdn. nicht leiden können – გულზე არ მესატება, ვერ ვიტანს 2. Etwas macht mir große Sorgen, ärgert mich – მადარდებს, გულზე მაწევს
...Wegen seines dreisten Benehmens liegt er mir schon seit langem schwer im Magen.
მისი თავხედური ქცევის გამო მას დიდი ხანია ველარ ვიტან (გულზე არ მესატება).
...Die unangenehme Nachricht liegt mir doch schwer im Magen.
ეს უსიამოვნო ამბავი გულზე მაწევს (ძალიან მადარდებს).
- 923 **MANN – seinen Mann stehen** – eine schwierige Arbeit oder Situation meistern, gute Arbeit tun – მძიმე სამუშაოს(სიტუაციას) დასძლიო, თავი გაართვა, მედგრად დახვედ, მოიგერიო
...Obwohl die Soldaten seit Tagen kaum zur Ruhe gekommen waren, stand die Kompanie in den schweren Kampf ihren Mann.
მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებმა რამდენიმე დღის შემდეგ ძლივს ნახეს მოსვენება, ასეულმა ძნელ ბრძოლაში კარგად მოიგერია (ძნელ ბრძოლას თავი გაართვა, ბრძოლა დასძლია, მაგრად დაუხვდა).
- 924 = **etwas (seine Ware) an den Mann bringen (fam)** – Seine Ware verkaufen – გაასაღა
„...Es war gar nicht einfach, mein Projekt an den Mann zu bringen.“
(Feuchtwanger – Die Füchse im Weinberg)
„არც თუ ისე ადვილი იყო გამესაღებინა (მეიძულებინა მივლოთ) ჩემი პროექტი.“

- 925 = **seinen Mann finden** – einen unbetrügenden Gegner finden – ბადალი ჰპოვა, ღირსეული მოწინააღმდეგე შეხვდა
 ...Georg war kein ungeübter Fechter, aber hier hatte er seinen Mann gefunden.
 (Hauff - Lichtenstein)
 გეორგი არ იყო გაუწვრთნელი მოფარიკავე, მაგრამ აქ ბადალი (ღირსეული მოწინააღმდეგე) შეხვდა.
- 926 = **ein Mann von echten Schrot und Korn** – ein verständnisvoller, echter, mitfühlender Mensch sein – ნამდვილი ადამიანია, კაცური კაცია, სხვა ყაიდისაა (იხ.Schrot№1338)
 ...Das war ein Mann von echtem Schrot und Korn.
 ეს იყო ნამდვილი ადამიანი (ყოველმხრივ ღირსეული ადამიანი, კაცური კაცი).
 ...Da ist Ihr Vetter ein anderer Kerl, von anderem Schrot und Korn.
 (Th. Mann – Der Zauberberg)
 - აი, თქვენი ბიძაშვილი სულ სხვა ადამიანია, სხვა ყაიდისაა.
- 927 = **Manns genug sein** (etwas zu tun) – die Entschlusskraft, Energie besitzen, etwas Nötiges zu tun – ვაჟკაცობა გეყოს, მხნეობა გეყოს, ძალა გეყოს (შეასრულო რაღაც)
 ...Ich hatte ihm Rache geschworen, und ich war Manns genug, sie auszuführen.
 (Hauff – Der Mann...)
 მე ფიცი დავდე შური მეძია მასზე და იმდენი ვაჟკაცობა გამოვიჩინე, რომ ეს შევასრულე კიდევ.
- 928 **MANTEL – den Mantel nach dem Winde hängen / kehren / drehen** – sich immer zum eigenen Vorteil der herrschenden Meinung anpassen – კაცი იმის მაყარია, ვისი კვამლიც (ერდოც) მაღალია, ცხოვრებას ფეხს უწყობს
 „...Wie sich die Zeiten ändern, so müssen wir uns selbst ändern. Ein gescheiter Mann hängt den Mantel nach dem Winde,“ – sagte Herr Preiß.
 (Weerth – Humoristische Skizzen)
 „უამთა ვითარებასთან ერთად ჩვენც უნდა ვიცვლებოდეთ. ჭკვიანი კაცი იმის მაყარია, ვისი კვამლიც (ერდოც) მაღალია,“ – თქვა ბ-მა ბრაისმა.
- 929 **MARK – durch Mark und Bein gehen** – durchdringend sein, durch und durch gehen (Bein = Knochen) – ძვალსა და რბილში გაატარა, ტანში დაუარა
 ...Ein niederträchtiges, kurzes, heiseres Gelächter drang mir durch Mark und Bein.
 (Kellermann – Die Geisterseher.)
 საზიზღარმა, მოკლე და ღრინჭიანმა სიცილმა გამიარა ტანში (ძვალსა და რბილში გაატარა, ფეხის ფრჩხილებამდე დამიარა).
- 930 **MARSCH – jmdm. den Marsch blasen** – jmdm. scharf zurechtweisen, jmdn. tadeln – შეახურა, შეჯორა, გათათხა (იხ. Kopf № 791; Nase №1005)
 ...Er wird dem Oskar den Marsch blasen.
 (Feuchtwanger – Die Brüder Lautensack)
 მას უნდოდა კარგად გაეთათხა (გაეჯორა, შეეხურებინა).
- 931 **MATTHÄI – Matthäi am letzten** – Mattäi (biblisch) eigtl – am Ende des Mattäus-evangeliums – jmd. ist finanziel am Ende – აღსასრულის დღე დაუდგა, სამარე გაეთხრება, წირვა გამოუვა
 „...Ich will dir mal was sagen, Karl: die Herren glauben, jetzt sei für Frankreich Matthäi am letzten. Aber das haben sie vor Verden auch gedacht.“
 (A. Zweig - Die Einsetzung eines Königs)
 „...აი, რას გეტყვი, კარლ: ამ ვაჟბატონებს ჰგონიათ, რომ საფრანგეთს აღსასრულის დღე დაუდგა (სამარე გაეთხარა, წირვა გამოუვიდა). მაგრამ ისინი ვერდენთანაც ასე ფიქრობდნენ.“
- 932 **MAUL – Maul und Nase aufsperrn** – fassungslos erstaunt sein – პირდაღებული უყურებს, პირლია უმზერს
 ...Die Leute sperren Maul und Nase auf, wenn er vorbeiging.

- ხალხი პირდაღებული შეჰყურებდა (პირდაფხენილი შეჰყურებდა, პირღია ჟმზერდა), როდესაც იგი ჩაივლიდა.
- 933** = **jmdm. ums Maul gehen** - jmdm. Honig ums Maul schmieren (vulg.) – sagen, was jemand gern hört; jmdm. schmeicheln – თავი მოუქონო, მოთაფლო
 ...Um möglichst schnell in eine höhere Stelle aufzurücken, ließ er keine Gelegenheit vorübergehen, seinem Vorgesetzten ums Maul zu gehen oder Honig ums Maul zu schmieren.
 იმის გამო, რომ რაც შეიძლება სწრაფად ასულიყო უფრო მაღალ თანამდებობაზე, იგი არცერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან თავი მოუქონა (მოეთაფლა) მისი უფროსისათვის.
- 934** = **das Maul halten** – schweigen, nicht viel reden – ენა გააჩერე, ენას კბილი დააჭირე, ენა ჩაივლე, ენა დააყენე, ენა დაიმოკლე, ხმა ჩაიკმდე (იხ. Mund№965)
 ...Willst du dein Maul halten? Willst das Violoncello am Hirnkasten wissen?
 (Schiller – Kabale und Liebe)
 გააჩერებ თუ არა მაგ ენას? გინდა ამით თავი გაგახეთქო?
- 935** = **es jmdm. Maul sauber halten** – jmdn. ohne etwas verlassen – ხახამშრალი დაგტოვებენ, ლუკმას პირში არავინ ჩაგიდებს
 ...Aber man wird dir's Maul sauber halten.
 (Schiller – Kabale und Liebe)
 მაგრამ ლუკმას პირში არ ჩაგიდებენ.
- 936** = **das Maul hängen lassen** (derb;)- ein mürrisches, verdrießliches Gesicht machen, weil man unzufrieden od. beleidigt ist – ცხვირი ჩამოუშვა
 ...Warum lässt du das Maul hängen?
რა ცხვირი ჩამოგიშვია (რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის)?
- 937** = **das Maul voll nehmen** – übertreiben und sich mit etwas wichtig tun – სხაპასხუპით, სულმოუთქმელად
 ... Da hatte Fernand das Maul voll genommen, wie innig er seinen närrischen Philosophen verehere ...
 (Feuchtwanger – Narrenweisheit)
 ... ფერდინანდმა ჯერ სულმოუთქმელად (სხაპასხუპით) ქება-დიდება შეასხა თავის ახირებულ ფილოსოფოსს ...
- 938** = **sich (D) das Maul verbrennen (auch Mund)** – unbedacht etw. sagen, was böse Folgen haben kann – წამოცდება, წამოროშავს, წამოაყრანტალებს რამეს
 „...Verbrenne dir nur nicht noch einmal das Maul,“ bellte der alte Gandarm.
 (Erpenbeck - Heimkehr)
 „ფრთხილად იყავი, შენმა გრძელმა ენამ კიდევ არ ჩაგაგდოს ცუდ დღეში (არაფერი წამოაყრანტალო),“ დაიღრიალა მოხუცმა ჟანდარმმა.
 ...Ich fürchte, mir den Mund wieder zu verbrennen.
 მეშინია კიდევ არაფერი წამოვროშო.
- 939** **MAULAFFE – Maulaffen feilhalten** (stärker fam.) – untätig zusehen (Das dem Plattdeutschen: dat Mul apen halten = das Maul offenhalten – vor Stauenen oder Neugier):
 უსაქმოდ პირდაღებული იდგე, ბუზებს ითვლიდე, ბუზებს ყლაპავდე (დგას უსაქმოდ პირდაღებული, ბუზებს ითვლის, ბუზებს ყლაპავს)
 ...Was stehst du herum und hältst Maulaffen feil!
 რა დგახარ პირდაღებული?
 „...Komm heraus, ... was sitztest du so still, du Tor, und hältst Maulaffen feil?“
 (W. Raabe – Chronik der Sperlingstraße)
- „გამოდი აქეთ ..., რა ზიხარ მანდ გატვრენილი, შე სულელო, დაგიღია პირი (ყლაპავ ბუზებს, ბუზებს ითვლი)?“
- 940** **MAUS – davon beißt eine Maus keinen Faden ab** - daran ist nicht zu rütteln - მოხდეს, რაც მოსახდენია, არაფერი გაეწყობა, არავითარი დათმობა, აღარაფერი შეიცვლება

“Tun Sie, was Sie nicht lassen können ... Was geschehen soll, das wird doch geschehen, davon beißt keine Maus mehr einen Faden ab.

(P. Heyse – Erzählungen)

„გააკეთეთ, რისი გაკეთებაც მიგაჩნიათ საჭიროდ ... მოხდეს, რაც მოსახდენია (აქ არაფერი გაეწეობა, არავითარი დათმობა, ვერაფერს ვერ შეცვლი).“

- 941 **MAUSIG - sich mausig machen** – sich wichtig machen – ყოყმობს, ზეცას თავს აჭერს, ყოყლოჩინობას იწვევს, საყველოში იწვევა
„...Und nun werden die Schlicke und Legien sich noch mehr mausig machen.“

(Bredel – Verwandte und Bekannte)

„ახლა კი ეს შლიკები და ლეგიენები კიდევ უფრო აიწვევიან საყველოში (მიაჭერენ ზეცას თავს, გაყოყმონდებიან, დაიწვევენ ყოყლოჩინობას).“

- 942 **MEILE – drei Meilen gegen den Wind riechen** (stark fam.) – schon von weitem riechen – შორიდან იყნოსა

...Hier gibt es einen guten Braten, man riecht ihn schon drei Meilen gegen den Wind.

აქ რაღაც კარგი შემწვარი კერძია. სამი მილიდან შეიძლება მისი ყნოსვა.

- 943 **MEIN – mein und dein verwechseln oder nicht unterscheiden können** – es mit fremdem Besitz nicht so genau nehmen, sich etwas aneignen – ჩემს და შენს ვერ არჩევს, ჩემი და შენი ეშლება

...Er ist ein tüchtiger Arbeiter, aber leider kann er mein und dein nicht unterscheiden oder verwechselt er ab und zu mein und dein.

იგი კარგი მუშაკია, მაგრამ სამწუხაროდ ჩემს და შენს ვერ არჩევს, ჩემი და შენი ეშლება ზოგჯერ.

- 944 **MESSER – jmdm. das Messer an die Kehle setzen** (fam) – jmdm. mit dem Ruin drohen - დანა ყელთან მიაბჯინო, თავზე ხანჯლით დაადგე (განადგურებით დაემუქრო)

...Nur weil man ihm das Messer an die Kehle setzte, gab er nach.

მან დასთმო მხოლოდ იმიტომ, რომ დანა მიაბჯინეს ყელთან (ხანჯლით დაადგნენ თავზე).

- 945 = **das Messer steht jmdm. an der Kehle** – jmd. ist in schwerer finanziellen Lage – დანა ყელთან აქვს მიბჯენილი (მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს)

...Herr von Maiboom braucht Geld, er braucht sofort eine größere Summe ... Das Messer steht ihm an der Kehle.

(Th. Mann – Buddenbrooks)

ბატონ ფონ მაიბოომს სჭირდება ფული, დაუყონებლივ სჭირდება მოზრდილი თანხა ... დანა ყელთან აქვს მიბჯენილი.

- 946 **MIENE – eine Miene aufsetzen, machen** - in einer bestimmten Situation bestimmte Gefühle zeigen, ausdrückendes Aussehen des Gesichts machen - გამოძეგველება მიიღო, სახე დაიყენო, სახე იცვალა

...Der Portier setzte eine eisige Miene auf ... und sagte im dienstlichen Tone: „Sie wünschen?“

(Kellermann – Der 9. November)

მეკარემ ცივი გამომეტყველება მიიღო (მეკარეს სახე ეცვალა) და ოფიციალური კილოთი თქვა: „რა გნებავთ?“

- 947 = **eine Miene verziehen** (keine Miene verziehen) – sich eine Gefühlsregung anmerken (nicht zeigen) – სახე დაიგრძელა, სახეზე ნირი შეეცვალა, წარბი შეიჭმუხნა (ან პიროქით)

...Wenn ein Dienstbote nur eine Miene verzog, so setzte sie (Franziska) ihn vor die Tür.

(Kellermann – Die Stadt Anatol)

...როგორც კი შინამოსამსახურე სახეს შეიჭმუხნიდა (სახეს დაიგრძელებდა), იგი (ფრანცისკა) მას სახლიდან გააგდებდა ხოლმე.

...Obgleich er über die ungerechten Vorwürfe empört war, verzog er keine Miene.

მიუხედავად იმისა, რომ აღშფოთებული იყო უსამართლო საყვედურებით, მას წარბიც არ შეუხრია (მას სახის ნირი არ შესცვლია).

948 = **gute Miene zum bösen Spiel machen** – sich mit seinem Schicksal oder seiner Lage abfinden, wohl oder übel geschehen lassen – იხტიბარს არ იტეხს (იხ.Spiel№1443)
...Da er gegen die Mitwirkenden jener Nacht rechtlich nicht vorgehen konnte, zog er es vor, gute Miene zum bösen Spiel zu machen...

(F. Rehbein – Gesinde und Gesindel)

ღამის ინციდენტის მონაწილეების პასუხისგებაში მიცემის საშუალებას მოკლებული, იგი იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

... Obwohl er sich in dieser Gesellschaft gar nicht wohl fühlte, machte er gute Miene zum bösen Spiel.

თუმცა იგი ამ საზოგადოებაში თავს სრულიად არ გრძნობდა კარგად, იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

949 **MIR – mir nichts, dir nichts** – ohne Umstände – ყოველგვარი ბოდიშის გარეშე, უცერემონიოდ

...Sie kam mir nichts, dir nichts ins Zimmer, anstatt vorher anzuklopfen.

იგი ყოველგვარი ბოდიშის გარეშე (უცერემონიოდ) შემოვიდა ოთახში, ნაცვლად იმისა, რომ ჯერ დაეკაკუნებინა.

950 **MITSPIELEN – jmdm. übel mitspielen** – jmdm. großen Schaden zufügen – მწარედ ეხუმრა, ზარალი მიაყენა, დააზარალა, მოატყუა

...Sie waren seit Jahren unzertrennliche Freunde, aber nachdem ihm von Seiten seines besten Freundes verschiedentlich über mitgespielt worden war, trennte er sich von ihm.

ისინი წლების განმავლობაში განუყრელი მეგობრები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც იგი თავის საუკეთესო მეგობრის მხრიდან ყოველმხრივ მოტყუებული და დაზარალებული შეიქმნა, ის მას ჩამოსცილდა.

951 **MOKIEREN – sich über jmdn. mokieren** – sich lustig machen, sich abfällig oder spöttisch äußern – დასციინის, მასხრად იგღებს

(იხ.Arm№26, Besten№100, Schindluder№1266, Schippe№1267)

... Ihm war, als betrachteten alle Passanten ihn und Cäcilie besonders neugierig und mokierten sich insgeheim über sie ...

(Bredel – Verwandte und Bekannte)

... მას ეჩვენებოდა, თითქოს ყველა გამვლელი მას და ცეცილიას განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და გულში მასხრად იგღებდა.

952 **MOND – die Uhr geht nach dem Mond** (stärker fam.) – die Uhr geht ungenau – საათი მთვარეზე მუშაობს, გარბის, არასწორ დროს უჩვენებს

...Ich hatte keine Ahnung, wie spät es war, denn meine Uhr ging nach dem Mond.

აზრზე არ ვიყავი, რა დრო იყო, რადგან ჩემი საათი არასწორ დროს უჩვენებდა, (გარბოდა).

953 **MORES – jmdn. Mores lehren** (fam.) – jmdn. Anstand oder gute Sitten lehren (lat. mores = Sitten) – ჭკუა ასწავლო, ჭკუაზე მოიყვანო, მოარჯულო

...Diese Oberflächlichkeit geht entschieden zu weit, dich werde ich Mores lehren.

ეს თავქარიანობა (ქარაფშუტობა) საზღვრებს ცდება, მე მოგიყვან შენ ჭკუაზე (გასწავლი ჭკუას, მოგარჯულებ)

954 **MOST – wissen, wo Barthel den Most holt** (fam.) – fundig sein, die geheimen Schliche kennen, alle Kniffe kennen – ხრიკს იცნობდე

...Ihn kann nichts in Verlegenheit bringen, denn er weiß immer, wo Barthel den Most holt:

მას ვერაფერი დააბნევს, მან ყოველთვის იცის, როგორ გამოძვრეს, (ყველა ხრიკს იცნობს თავის დაძვრენის)

955 **MÜCKE – aus einer Mücke einen Elefanten machen** (fam) – Maßlos übertreiben – რწყილი დააწვინო და აქლემი აშობინო, რწყილი სპილოდ გადააქციო, ნათქვამი გააზვიადო

...Es gibt Menschen, die gern aus einer Mücke einen Elefanten machen.

არიან ადამიანები, რომელნიც რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენ

(ყველაფერს აზვიადებენ)

...Diese unwichtige Sache ist doch kein Grund zur Aufregung. Man darf doch nicht gleich aus einer Mücke einen Elefanten machen.

ეს უმნიშვნელო საქმე აღელვების არავითარ საფუძველს არ იძლევა, ხომ არ შეიძლება, უცებ რწყილი სპილოდ აქციო (უცებ რწყილს სპილოდ ნუ აქცევ).

956 **MUMM – keinen rechten Mumm haben** (fam) – keinen Mut, keine Lust, kein Zutrauen haben – გული არ მიგიწევდეს, არ გეხალისებოდეს

...Der Plan reizt mich, ich habe aber nicht den rechten Mumm dazu.

გეგმა მხიბლავს, მაგრამ რაღაც გული არ მიმიწევს.

957 **MUND – der Mund steht jmdm. nicht** (nie) – ist nicht einen Augenblick still – jmd. redet ununterbrochen / sehr viel – ენას არ აჩერებს, ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს

...Ihre Gesellschaft ist nicht auszuhalten, denn ihr Mund steht nie still.

მის საზოგადოებაში ყოფნა აუტანელია, რადგან იგი ენას არ აჩერებს.

958 = **den Mund aufmachen / auf tun** – reden, etw. sagen, zu sprechen beginnen – კრინტს დაძრავს, ხმას ამოიღებს, დაილაპარაკებს

„... Ich habe ja noch nicht den Mund aufgetan.“ – sagt Batzke.

(H. Fallada - Wer einmal aus dem Blechnapf frißt)

„მე ხომ ჯერ კრინტიც არ დამიძრავს“ – თქვა ბაცკემ.

959 = **den Mund / das Maul aufreißen** (wie ein Scheunentor) (salopp) –schreien, Grobheiten sagen; aufschneiden, prahlen- ყვირის, ღრიალებს, უკმეხად (უხეშად) ლაპარაკობს; ტრაბახობს, იკვებხნის, ბაქიაობს

...Von dem habe ich noch nie ein normales, oder gar ein freundliches Wort gehört. Er reißt immer den Mund auf. (MDtl)

მისგან ნორმალური და მითუმეტეს, თავაზიანი სიტყვა არასოდეს მსმენია. იგი სულ ყვირის (სულ ღრიალებს).

...Was hat er schon geleistet! Aber den Mund reißt er auf wie ein Scheunentor. (MDtl)

ნეტავ რა დამსახურება აქვს, ასე რომ ტრაბახობს

960 = **den Mund / das Maul über jmdn. aufreißen** – über jmdn. schlecht reden, jmdn. beschimpfen – ძვირი თქვა, აუგად მოიხსენია

... Es ist schlimm, wenn man eine Nachbarin hat, die über jeden Mitbewohner den Mund aufreißt.

ცუდია, როცა ისეთი მეზობელი გყავს, ყველა მცხოვრებს აუგად რომ იხსენიებს (ყველა მცხოვრებზე ძვირს რომ ამბობს).

961 = **den Mund / Mund und Nase / Mund und Augen aufreißen, aufsperrn** (salopp) – höchst erstaunt blicken – პირი დაადო (გაოცებისაგან)

...Als er mich so unerwartet sah, riss er den Mund auf.

ასე მოულოდნელად რომ დამინახა, გაოცებისაგან პირი დაადო.

962 = **einen losen Mund / ein loses Maul haben** (salopp) - oft freche Dinge sagen – ენაწაგდებულია, ზედმეტს ლაზღანდარებს

...Leider ist dieser Junge schlecht erzogen. Er hat einen losen Mund.

სამწუხაროდ ეს ყმაწვილი ცუდად არის აღზრდილი, ძალიან ენაწაგდებულია (ზედმეტად ლაზღანდარობს)

963 = **einen großen Mund** (fam) / **ein großes Maul** (vulg) **haben** (salopp) – prahlerisch reden, übertreiben, Vorlaut sein – გაუთავებლად ტრაბახობს, ყველაფერს აზვიადებს, ყვირის

... Der Abend gestern war eigentlich sehr nett, nur Fritz hat wie immer einen großen Mund gehabt.

კაცმა რომ თქვას, გუშინდელი საღამო ძალიან სასიამოვნო იყო, მხოლოდ ფრიცმა ჩვეულებისამებრ გაუთავებლად იტრაბახა.

... Man kann nicht vernünftig mit ihr reden, sie hat immer einen großen Mund.

მასთან ნორმალური ლაპარაკი არ შეიძლება, ყველაფერზე ყვირის.

964 = **nicht auf den Mund gefallen sein** – redegewandt, schlagfertig sein – სიტყვა არ შემოაკლდება, მახვილი ენა აქვს, კარგად უჭრის ენა, ენამჭკვერია, ენამოსწრებულია
„...Sie sollen sich eine schalldichte Telefonzelle anschaffen,“ sagte ich zu Frau Zalewski. Aber sie war nicht auf den Mund gefallen. „Wieso?“ fragt sie zurück. „Haben Sie soviel zu verbergen.“

(E.M. Remarque – Drei Kameraden)

„ბგერაგაუმტარი სატელეფონო ჯისური უნდა შეგეძინათ“ – ვუთხარი ქალბატონ ცალევსკის. მაგრამ ისიც ენამოსწრებული ქალი იყო. „როგორ?“ – მკითხა. „განა ასე ბევრი რამე გაქვთ დასამალი?“
...Er war durchaus nicht auf den Mund gefallen.

(Th. Mann – Der Weg zum Friedhof)

მას სიტყვა არ შემოაკლდებოდა (კარგად უჭრიდა ენა, იგი ენამჭკვერი, ენამოსწრებული იყო).

965 = **den Mund halten** – nicht reden, still sein – ენას კბილი დააჭირო, ენა დაიმოკლო, ხმა ჩაიკმიდო, არაფერი თქვა, ენა დააყენო
...Halten Sie den Mund! – ენას კბილი დააჭირო! (ენა ჩაიგდო, ენა გააჩერე, ენა დაიმოკლე და ა.შ.)

...Kannst du nicht den Mund halten?

არ შეგიძლია ენას კბილი დააჭირო?

966 = **reinen Mund halten** (fam) – oder das Maul oder die Schnauze (vulg) – halten – schweigen – კრინტი არ დაძრა, არაფერი წამოგცდეს
„Ich kann doch darauf rechnen, daß Sie reinen Mund halten? Wenn mein Vater von der Sache erführe, so gäbe es ein Unglück.“

(Th. Mann – Buddenbrooks)

„ხომ შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ ნამუსს შემინახავთ (არაფერი წამოგცდებათ, კრინტს არ დაძრავთ). მამაჩემმა რომ ეს ამბავი გაიგოს, უბედურება დატრიალდება.“

967 = **von Mund zu Mund** – durch Weitererzählen vorbereitet werden – პირიდან პირში გადადის, ვრცელდება
...Dergleichen Nachrichten wanderten schnell von Mund zu Mund, mit den entsprechenden Kommenten.

(Bredel – Die Enkel)

ასეთი ხასიათის ცნობები სწრაფად გადადიოდნენ პირიდან პირში სათანადო ახსნა-განმარტებით.

968 = **jmdm. den Mund** (fam), **das Maul** (vulg.) **stopfen** – jmdn. zum Schweigen bringen, zwingen (mit Gewalt, durch Bestechung) – პირში ბურთს ჩასჩრის, პირს აუკრავს, პირზე კლიტეს დაადებს, ხმას არ ამოაღებინებს, გააჩუმებს.
...Fleck kaufte eine Tüte Himbeerbonbons, um dem Bübchen das Maul zu stopfen.

(Becher - Abschied)

ფეკმა იყიდა ჟოლოს კანფეტის პაკეტი, რომ პატარა ბიჭისთვის კლიტე დაედო პირზე (ბურთი ჩაეჩარა პირში, პირი აუკრა).

...Er kann nichts gegen mich sagen, ich werde ihm den Mund stopfen.

ის ჩემს საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყვის, გავაჩუმებ.

969 = **kein Blatt vor den Mund** (fam), **vors Maul** (salopp) **nehmen** – rückhaltlos, unbekümmert seine Meinung sagen – პირში ეტყვის, მიახლის, პირდაპირ, მოურიდებლად ეტყვის
...Er ist dadurch bekannt, dass er kein Blatt vor den Mund nimmt.

ის იმითაა ცნობილი, რომ ყველას მოურიდებლად(პირდაპირ) ეუბნება, რასაც ფიქრობს.

970 = **an jmds. Mund(e) / Lippen hängen** – jmdm. gespannt, sehr aufmerksam zuhören – გულისყურით უსმენს, სულგანაბული უსმენს, თითოეულ სიტყვას იჭერს

- ...Die Majorsfrau, die halbwüchsige Tochter, der kleine Junge – alles hing an seinem Munde.
(Seghers – Die Toten bleiben jung)
- მაიორის ცოლი, მოზარდი ქალიშვილი, პატარა ბიჭი – ყველა მის თითოეულ სიტყვას იჭერდა (ყველა მას სულგანაბული უსმენდა).
- 971 = **wie aus einem Munde** – einstimmig – ერთხმად, ყველას მონაწილეობით, უკლებლივ, ერთად
„... Aber sind wir nicht trotz allem reizende Leute?“ „Das seid ihr,“ sagten wir alles wie aus einem Mund.
(H. Böll – Irisches Tagebuch)
- „განა, მიუხედავად ყველაფრისა, შესანიშნავი ადამიანები არა ვართ?“ – „რა თქმა უნდა,“ წამოვიძახეთ ყველამ ერთად.
- 972 = **jmdm. das Wort aus dem Mund(e) nehmen** (fam) – Aussprechen, was ein anderer gerade sagen will – jmdm. ins Wort fallen – jmdn. unterbrechen – სათქმელი დაასწრო (სათქმელს დაასწრებს), პირიდან სიტყვა ააცალო (პირიდან სიტყვას ართმევს, აცლის)
„Wir müssen die Produktion umstellen,“ – „Richtig, Sie nahmen mir das Wort aus dem Munde!“ (MDtl)
წარმოება უნდა გარდავექმნათ! – სწორია! თქვენ დამასწართ სათქმელი.
...Sie erzählen geschäftig, einer nahm dem anderen das Wort aus dem Mund.
(L. Feuchtwanger – Erfolg)
- ისინი საქმიანად ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს პირიდან სიტყვას ართმევდნენ.
- 973 = **sich etwas vom (am) Munde absparen** (fam) – sich etwas unter großem Verzicht leisten, aufs äußerste beim Essen sparen – საჭმელზე დანახოვით შეიძინა ..კუჭს მოაკლო, პირს მოაკლო, ბევრ რაღაცაზე მოუწია უარის თქმა
.Unser Nachbar hat sich den neuen Fernsehapparat buchstäblich vom Munde abgespart – ჩვენმა მეზობელმა ახალი ტელევიზორი საჭმელზე დანახოვით შეიძინა.
- 974 = **jmdm. muss man jedes Wort vom Munde abkaufen** – jmd. spricht ungerne, ist wortkarg-სიტყვას ვერ ათქმევინებ, სიტყვაძუნწია, სიტყვაძვირია
...Er ist ein sehr verschlossener Mensch, man muss ihm jedes Wort vom Munde abkaufen.
ის ძალზე გულჩათხრობილი ადამიანია, სიტყვას ვერ ათქმევინებ (სიტყვა-ძუნწია.)
- 975 = **kalt und warm aus einem Munde blasen**-ganz und gar nicht gewillt sein, das tun,was der andere von einem erwartet oder verlangt- პირში ერთს ეუბნება , პირს უკან მეორეს
...Auf die Worte dieser Frau gebe ich nichts, die bläst kalt und warm aus einem Munde.
ამ ქალის სიტყვებს არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან პირში ერთს მეუბნება, პირს უკან კი მეორეს.
- 976 = **sich (Dat.) den Mund verbrennen** – unbedacht etw. sagen, was böse Folgen haben kann – წამოგცდეს, წამოაყრანტალო, წამოროშო (წამოროშავს რაიმეს, რასაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს)
...Er dachte: Sonst bin ich still wie ein Mäuschen, und plötzlich verbrenne ich mir den Mund.
(A. Seghers – Der Mann ...)
- მან გაიფიქრა: ჩვეულებრივ გატვრენილი ვარ, აქ კი მოულოდნელად წამოვაყრანტალე (წამომცდა).
- 977 = **jmdm. Honig um den Mund / um den Bart schmieren** – jmdm. geschickt schmeicheln – მოთაფლო (მოთაფლავს), თავი მოუქონო (თავს მოუქონავს)
...Wenn die ihm Honig um den Mund schmierst, erfüllt er dir jeden Wunsch.
თუ მოთაფლავ, ყველა სურვილს შეგისრულებს.
- 978 = **jmdm. das Wort im Munde umdrehen** (fam) – das Gegenteil von dem, was einer gesagt hat, weitererzählen; die Worte absichtlich falsch deuten – სიტყვა დაამახინჯო, სიტყვა გააყალბო (სიტყვას დაამახინჯებს, არასწორად გადმოსცემს, გააყალბებს)
...Ich habe keine Lust zum Reden mehr, jedes Wort wird mir im Munde umgedreht.

- ლაპარაკის არავითარი ხალისი აღარა მაქვს, თითოეულ ჩემს სიტყვას ამხინ-
ჯებენ (აყალბებენ).
- 979 = **jmdm. den Mund wässerig machen** – jmds. Verlangen erregen – **jmdm. läuft das Wasser im Munde zusammen** – jmd. hat (bekommt) Appetit auf etw. – პირში ნერწყვი მოადგა, ნერწყვს ყლაპავს, პირზე ნერწყვი ადგება
...Der Agent verstand es ausgezeichnet, den Leuten den Mund wässerig zu machen
(Fr. Rehbein – Gesinde und Gesindel)
აგენტმა ისე მშვენივრად იცოდა მოყოლა, რომ ხალხი ნერწყვს ყლაპავდა
(ხალხს ნერწყვი ადგებოდა პირზე).
...Grech lief das Wasser im Munde zusammen, als er die Früchte sah.
(H. Böll – Adam)
- გრეხს პირში ნერწყვი მოუვიდა, როცა ხალხი დაინახა.
- 980 = **jmdm. nach dem Munde sprechen, reden** – so reden, wie jmd. es gern hören möchte -
jmdm. zu Gefallen reden – კვირს უკრავს, პირში ეფერება, ემლიქვნელება,
ეპირფერება
„Grünlich schwänzelte um meine Eltern herum und sprach ihnen in schamloser Weise nach dem Munde.“
(Th. Mann – Buddenbrooks)
„ერიუნლიხი ჩემს მშობლებს ეპირფერებოდა და ყველაფერზე კვირს უკრავდა.“
„Redet er immer nach dem Mund, also läßt er sich auch von mir bestechen.“
(B. Brecht - Geschichten von Herrn Keuner)
- რადგან სულ პირში შეფერება, მაშასადამე, შეიძლება მოვისყიდო კიდევაც.
- 981 **MÜNZE – jmdm. mit gleicher Münze heimzahlen** – jmdm. etw. auf die gleiche üble Art vergelten – სამაგიერო გადაუხადო, სამაგიერო მიუზღო
...Fossaloux hätte ihm (d'Ouverard) gern mit gleicher Münze heimgezahlt.
(G. Harkental – Das Hochgericht)
- ფოსალუს ძალიან უნდოდა სამაგიერო მიეხლა (გადაეხადა) დაუფრარისათვის.
- 982 = **etw. für bare Münze nehmen** – an der Ernsthaftigkeit von jmds. Äußerung törichterweise nicht zweifeln – ხალხს ჭეშმარიტებად მიიჩნის
...Frau Beate ... war ärgerlich geworden ...
„Du mußt nicht alles für bare Münze nehmen, was Gleichen sagt,“ rügte sie Christa.
(Kellermann – Totentanz)
- ფრაუ ბეატეს გული მოუვიდა. „ყველაფერს, რასაც გლაიხენი ამბობს, ხალხს ჭეშმარიტებად კი ნუ მიიჩნევ,“ უსაყვედურა მან ქრისტას.
- 983 **MUTTER – bei Mutter Grün übernachten** (fam) – im Freien übernachten – ღია ცის ქვეშ ღამე გაათხო, ქუჩაში ღამე ათხო
...Der Landstreicher war es gewohnt, bei Mutter Grün zu übernachten.
მაწანწალა მიჩვეული იყო ღია ცის ქვეშ ღამის თენებას.
- 984 **MUTTERMILCH – etwas mit der Muttermilch eingesogen haben** – sich mit etwas schon von Kindheit an beschäftigen – დედის რძესავით შეითვისა, ბავშვობიდანვე, ოდითგანვე ერკვევა
...Sein Vater war Dirigent und seine Mutter eine berühmte Sängerin, so hat er die Musik so zusagen schon mit der Muttermilch eingesogen.
მამამისი დირიჟორი იყო, დედა კი ცნობილი მომღერალია, ასე რომ მან მუსიკა ასე ვთქვათ, დედის რძესავით შეითვისა (მუსიკაში ბავშვობიდანვე ერკვევა) .
- 985 **MÜTZE – etwas (eins) auf die Mütze bekommen** (fam) – einen Verweis oder eine Rüge erhalten – მითითება, საყვედური დაიმსახურო
...Wegen seiner vorlauten Bemerkungen bekam der Lehrling vom Meister öfter eins auf die Mütze.

მისი ხმაურიანი შენიშვნების გამო შეგირდმა ბევრჯერ დაიმსახურა ოსტატის საყვედური.

N

- 986 **NACHSAGEN – das lasse ich mir nicht nachsagen** – ich Sorge dafür, dass man das nicht von mir sagt oder denkt – ჩემზე არ ვათქმევინებ, არ ვაფიქრებინებ
 „... Dass ich geizig sei, lasse ich mir nicht nachsagen,“ rief er seinen Kollegen zu und lud alle zum Bier ein.
 „ძუნწიარ ჩემზე არ ვათქმევინებ“ - გასძახა მან თავის კოლეგებს და ყველანი ღულზე მიიპატიჟა.
- 987 **NACHSEHEN – das Nachsehen haben** – nichts mehr, nur noch das Schlechtere bekommen - ხახამშრალი დარჩა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა
 „Um sechs Uhr ist Menage, und wenn ich nicht pünktlich bin, habe ich das Nachsehen.“
 (F. Weiskopf – Inmitten des Stroms)
 „ექვს საათზე ვახშმის გაცემაა და, თუ დროზე არ მივედი, დავრჩები ხახამშრალი (პირში ჩალაგამოვლებული).“
- 988 **NACKEN – jmdm. den Nacken beugen** – jmdn. gefügig machen – დათმობაზე წაიყვანა, დაიმორჩილა
 „... Er hatte es sich zur Aufgabe gemacht, seinen widerspenstigen Untergebenen den Nacken zu beugen.“
 მან ამოცანად დაისახა, თავისი ჭირვეული ქვეშევრდომები დაემორჩილებინა.
- 989 = **jmdm. im Nacken sitzen** – jmdn. verfolgen - კვალდაკვალ მიჰყვება, კუდში მისდევს
 ...Es war eine Flucht auf Leben und Tod, denn die Feinde saßen ihm im Nacken.
 ეს იყო გაქცევა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, რადგან მტრები მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ (კუდში მისდევდნენ).
- 990 = **jmdm. den Nacken steifen** (auch den Rücken, das Rückgrat steifen) – jmdn. zum Widerstand, zum Durchhalten ermutigen – გულს უმაგრებს, წელს უმაგრებს, ამხნევებს
 ...Die Festigkeit der Drei steifte auch den anderen Lehrern den Nacken.
 (O. Ernst – Asmus Semper)
 ამ სამეულის სიმტკიცე გულს უმაგრებდა (ამხნევებდა) სხვა მასწავლებლებსაც.
- 991 **NAGEL – den Nagel auf den Kopf treffen** (fam) - genau das Richtige sagen – კაკალ გულში მოახვედრა, შიგ მიზანში მოახვედრა, მოარტყა
 ...Mit dieser Bemerkung hast du den Nagel auf den Kopf getroffen.
 ამ შენიშვნით შენ მიზანში მოარტყე (კაკალ გულში მოახვედრე).
- 992 **NAME – das Ding oder Kind beim rechten oder richtigen Namen nennen** (fam) – über etwas offen sprechen – საგნებს (ყველაფერს) თავისი სახელი დაერქვას, აშკარად ილაპარაკო
 ...Was andere von mir denken, ist mir gleich. Ich bin es gewohnt, das Ding oder Kind beim rechten Namen zu nennen.
 ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობენ სხვები ჩემზე. მე მიჩვეული ვარ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას (აშკარად ვილაპარაკო).
- 993 **NARR – jmdn. zum Narren halten** (fam) – sich über jmdn. lustig machen, ohne dass er es merkt – გააბითურებს, გააცურებს, დასცინებს (იხ.Licht№ 877 Löffel№ 898 Ohr№1052 Schnippchen№ 1320)
 ...Nur die Dummen glauben, andere zum Narren halten zu können.
 მხოლოდ სულელებს ჰგონიათ რომ შეძლებენ სხვების გაბითურებას, გასულელებას.
 „Ihr wollte mich wohl beide zum Narren halten?“
 (Becher - Abschied)
- 994 = **einen Narren an jmdm. gefressen haben** – jmdn. besonders gern mögen – ვინმეზე მზე და მთვარე ამოგდიოდეს, სიყვარულისგან გონება გეკარგებოდეს

...Der Mann fuhr sie an, sie habe an dem fremden Kinde einen Narren gefressen.

(Seghers – Die Schule...)

ქმარმა ის ძალიან დატუქსა იმის გამო, რომ სხვის ბავშვზე მზე და მოვარე ამოსდიოდა (სხვისი ბავშვის სიყვარულით გონება დაკარგა).

995 **NASE – die (seine) Nase hoch tragen** – eingebildet (hochnäsige, hochmütig) sein – ცხვირს მაღლა სწევს, ცხვირს იბზეკს, კუდაბზიკაა (იხ. Nase№996)

...Du hast keinen Grund, die Nase hoch zu tragen. Du hast ja noch nichts geleistet.

სულაც არ გაქვს საფუძველი, ცხვირს რომ მაღლა სწევდე. შენ ხომ ჯერ არაფრისთვის არ მიგიღწევია.

996 = **die Nase (über jmdn./ etw.) rümpfen** – jmdn. (etwas) verachten, mit etw. auf überhebliche Weise unzufrieden sein, verächtlich auf etw. herabblicken – ცხვირს (ტუნს) იბზეკს (უკმაყოფილებას, უკადრისობას გამოხატავს)

...Bevor man über andere die Nase rümpft, sollte man sich selbst erst kritisch betrachten.

ვიდრე სხვაზე ცხვირს აიბზეკებ (ცხვირს იბზეკებ, სხვაზე უკმაყოფილებას გამოხატავ), შენს საკუთარ თავს უნდა მიუდგე კრიტიკულად.

997 = **eine feine Nase für etwas haben** (fam) – etwas merken – ყველაფერს ამჩნევს, კარგი ალღო აქვს, საქმეში ჩახედულია

...Er hat eine feine Nase für Geschäfte, die einen guten Gewinn abwerfen.

ის კარგადაა ისეთ საქმეში ჩახედული, რომელსაც კარგი მოგება მოაქვს.

998 = **von etwas die Nase (fam) oder die Schnauze (vulg) (gestrichen) voll haben** – einer Sache überdrüssig sein, von einer Sache (reichlich) genug haben, etwas satt haben – ყელში ამოუვიდა, მობეზრდა, მოყირჭდა, გულს უწვრილებს

...Vergnügen ist etwas schönes, aber wenn es zuviel wird, hat man sehr bald die Nase voll.

სიამოვნება კარგი რამეა, მაგრამ ზედმეტი კაცს მოყირჭდება (ყელში ამოუვა).

„...Nun höre schon auf,“ sagt Frau Pinneberg ärgerlich. „Von deinen Grundungen habe ich wirklich die Nase voll.“

(H. Fallada – Kleiner Mann – was nun?)

„გეყოფა ახლა,“ ამბობს ფრაუ პინებერგი გაბრაზებით. „ეგ შენი წამოწყებები მართლაც ყელში ამომივიდა.“

999 = **die Nase in alles (fam) oder in jeden Dreck (stark fam) stecken** – sich für Dinge interessieren, die einen nichts angehen: sich in alles einmischen – ყველაფერში ცხვირს ჩაყოფს, ცხვირს წაყოფს, ყველაფერში ჩაერევა, ჩაეჩრება

...Wie oft wurde ihm schon verboten, seine Nase in Dinge zu stecken, die ihn nichts angehen.

რამდენჯერ აუკრძალეს მას ცხვირი არ ჩაეყოფ ისეთ საკითხებში, რაც მას არ ეხებოდა.

1000 = **jmdm. eine Nase drehen** - (eine (lange) Nase machen) – jmdn. (überlisten und dann) verspotten – მასხრად აიგდებს, გაამასხარავენს

...Ihm macht es Spaß, den Menschen eine Nase zu drehen.

მას ადამიანების გამასხარავენა სიამოვნებას ანიჭებს.

1001 = **nicht weiter als seine Nase sehen** / nicht über seine / die eigene Nase hinaussehen – einen engen Horizont haben, nicht weit sehen / denken, kurzsichtig, beschränkt sein – ცხვირს იქით ვერ იხედება (ვიწრო თვალსაწიერი (ჰორიზონტი) აქვს, გონებაშეზღუდულია, დიდი (ფართო) გაქანების პატრონი არაა, დიდი გაქანების თავი არ აქვს, დონე არ ჰყოფნის)

...Zum Leiter taugt er nicht. Er sieht ja nicht weiter als seine Nase.

ხელმძღვანელად ვერ ივარგებს, ის ხომ ცხვირს იქით ვერ იხედება (დიდი გაქანების თავი (დონე) არ აქვს).

1002 = **auf der Nase liegen** (fam) - krank sein, im Bett liegen – ავადაა, ლოგინში წევს

...Er liegt seit einigen Tagen auf der Nase, deshalb kann er heute nicht kommen.

რამდენიმე დღეა იგი ავადაა (ლოგინშია), იმიტომ ვერ მოვა დღეს.

1003 = **jmdn. an der Nase herumführen** (herumziehen) – jmdn. hereinlegen, irreführen – მოატყუებს, შეცდომაში შეიყვანს, გააცურებს, თავგზას აუბნებს (იხ. Dunst№227, vormachen№1705, Wind № 1781
...Heute noch konnte sie sich totlachen, wie sie diese berühmten Professoren und Ärzte an der Nase herumgeführt hatte.

(B. Kellermann – Die Stadt Anatol)

... დღესაც კი სიცილით კედებოდა იმაზე, თუ როგორ გააცურა ეს სახელგანთქმული პროფესორები და ექიმები.

1004 = **jmdm. auf der Nase herumtanzen** (herumspielen) – mit jmdm. ohne Rücksicht auf jmdn. tun, was man will – კაცს თავზე აზის, არაფრად აგდებს, თავის ჭკუაზე ატრიალებს

Tante Emma die Kinder in den Ferien anvertrauen? Die tanzen ihr auf der Nase herum.

დეიდა ემას ვანდოთ ბავშვები არდადეგებზე? კი მაგრამ, ისინი ხომ მას თავზე ასხედან. (ისინი მას თავის ჭკუაზე ატრიალებენ).

1005 = **jmdm. eins auf die Nase geben** – jmdm. zurechtweisen, tadeln, rügen – დატყქსავს, გაუჯავრდება, გაუწყობა

...Wer ihm nicht gehorcht, dem gibt er eins auf die Nase.

ვინც მას არ უგონებს (არ უჯერებს), იმას ტყქსავს.

1006 = **die Nase hängen lassen** –traurig und niedergeschlagen sein -ცხვირი ჩამოუშვია, სახე ჩამოსტირის, ყურები ჩამოუშვია

...Warum lässt du die Nase hängen?

რა ჩამოგიშვია ცხვირი? (რას ჩამოგტირის სახე, რას ჩამოგტირის თავპირი? რას ჩამოგიყრია ყურები? რა ჩლაში ჩამჯდარხარ?)

1007 = **jmdm. etw. vor der Nase wegschnappen** / wegnehmen – etw. in dem Moment rasch wegnehmen, wenn der andere gerade zugreifen will – ცხვირწინ აართმევს, ააცლის, თვალსა და ხელს შუა ააცლის

...Eine große Lieferung Roggen nach Holland sei ihnen verlorengegangen; Stunk und Hagenstrom hatten sie ihnen vor der Nase weggeschnappt.

(Th. Mann – Buddenbrooks)

მათ ჰოლანდიაში გასაგზავნი ჭკავის დიდი პარტია დაკარგეს. შტუნკმა და ჰაგენშტრომმა ცხვირწინ აართვეს.

1008 = **mit langer / einer langen Nase abziehen** – als Verlierender, Überlisteter, Enttäuschter weggehen – პირში ჩალაგამოვლებული დარჩე, წაგებული, მოტყუებული, იმედგა-ცრუებული დარჩე

Wegen dieser Intrige bekam unsere Firma den Antrag nicht und konnte mit langer Nase abziehen.

(MDtl)

ამ ინტრიგების გამო ჩვენმა ფირმამ დაკვეთა ვეღარ მიიღო და პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

1009 = **jmdm. etwas unter die Nase reiben** (fam) – jmdm. Vorhaltungen wegen etwas machen – ცხვირში ამოჰკრა, ცხვირში ამოუყვანო, საყვედურებით აავსო

...Die Frau hatte ihm einen wütenden Brief geschrieben. Darin rieb sie ihm unter die Nase, daß er immer noch nicht zu Hause war.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

ცოლმა მისწერა მას მრისხანე წერილი და საყვედურებით აავსო, რომ აქამდე სახლში არ დაბრუნდა.

1010 **NATTER** – **eine Natter am Busen nähren** – jmdm. vertrauen u. Gutes tun, der einem später schadet – გველის წიწილი შეიკედლა, გველის წიწილას ძუძუ აწოვა. (იხ. Schlange № 1282)

„Thomas,“ sagte sie (Tony) ..., „Was die Severin betrifft, so scheint es mir, daß die selige Mutter eine Natter an ihrem Busen genährt hat?“

(Th. Mann – Buddenbrooks)

„თომას,“ თქვა მან (ტონიმ), „რაც შეეხება ამ ზევერინს, მე მგონია, რომ განსვენებულმა დედაჩვენმა გველის წიწილი შეიკვდლა (გველის წიწილას ძუძუ აწვლვ).“

1011 NERV – jmdm. auf die Nerven gehen, fallen – jmdn. nervös machen, jmdm. lästig werden – ნერვებზე მოქმედებს, ნერვებს მიშლის

...Die alte Frau geht mir mit ihrem Geschwätz auf die Nerven.

ეს მოხუცი ქალი თავის ლაქლაქით (ყბედობით) ნერვებს მიშლის.

1012 NESSEL – sich in die Nesseln setzen (fam) – sich in die unangenehme Lage bringen – ნახტომი შეეგეშალოს, უსიამოვნება შეგემთხვეს, ხიფათს გადაეყარო

...Mit dem Reichstagsprozess haben sie (die Faschisten) sich in die Nesseln gesetzt.

(H. Zinner – Der Teufelskreis)

... რაიხსტაგის პროცესში ფაშისტებს ნახტომი შეეშალოთ (ბევრი უსიამოვნება შეემთხვათ).

...Fremde Menschen sollte man nicht in seiner Wohnung aufnehmen, man kann sich damit allzu leicht in die Nasseln setzen.

უცხო ადამიანები არ უნდა მიეღო თავის ბინაში, ასე ძალიან ადვილად შეიძლება კაცი ხიფათს გადაეყარო (უსიამოვნება შეგემთხვეს).

1013 NETT – das kann ja nett werden! (ironisch) - wir müssen uns auf unangenehme Dinge gefasst machen - აი, თუ გინდა კარგი ...

...Heute abend geben wir eine große Gesellschaft. Die Schneiderin hat mein Kleid nicht fertig, und das Mädchen ist krank. Das kann ja nett werden!

დღეს საღამოს დიდ წვეულებას ვმართავთ. (საზოგადოება იყრის ჩვენთან თავს.) ჩემს მკერავს კაბა არ აქვს მზად. მოსამსახურე გოგო ავადაა. აი, თუ გინდა კარგი.

1014 NEUN – ach du grüne Neune! (stärker fam) – ist das ein Überraschung! – აი სიურპრიზი!

...Richards Frau hat Zwillinge bekommen! Ach du grüne Neune!

რიჩარდის ცოლმა ტყუილები გააჩინა. აი სიურპრიზი თუ გინდა!

1015 NICHTS – mir nichts, dir nichts – von jmdm. Augenblick auf den anderen – არც აცივებს, არც აცხელეს, ანგარიშგაუწველად, ვითომც არაფერიო

...Mir nichts dir nichts verschwand er.

ვითომც არაფერიო (თვალის დახამსამებაში) გაუჩინარდა იგი.

...Otzhausen wollte nicht fassen, daß man einen Soldatenfriedhof so mir nichts dir nichts abbauen und aus den Kreuzen Feuerholz machen konnte.

(Bredel – Der Sonderführer)

ოცჰაუზენს ვერ გაეგო, როგორ მოხდა, რომ ასე არც აცივებს, არც აცხელეს (ანგარიშგაუწველად), ჯარისკაცების სასაფლაო მოსპეს და ჯვრები შეშად აქციეს.

1016 = für nichts und wieder nichts - völlig umsonst, vergebens – სულ ტყუილუბრალოდ, არაფრის გულისთვის

...Wir gaben uns alle Mühe, aber die Arbeit war für nichts und wieder nichts.

რა არ ვეცადეთ, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ გარჯა იყო.

...Jetzt hatte dieser Hundssfott Nicolas ihren armen Schwiegersohn für nichts und wieder nichts um die Ecke gebracht.

(Feuchtwanger – Narrenweisheit)

ახლა გამოდის, რომ ამ არამზადა ნიკოლასმა სულ ტყუილუბრალოდ გამოასაღმა იმისი საწყალი სიძე წუთისოფელს.

1017 = es bleibt mir weiter nichts übrig – ich habe keine andere Wahl – ისღა დამრჩენია, სხვა გამოსავალი არ არსებობს

... Wenn du die Prüfung bestehen willst, wird dir nichts anderes übrigbleiben, als fleißig zu lernen.

თუ გინდა რომ გამოცდა ჩააბარო, ისღა დამრჩენია (სხვა გამოსავალი არაა) ბეჯითად უნდა ისწავლო.

1018 NIERE – es geht einem an die Nieren – etw. belastet jmdn. psychisch – გულვიძლი აერია, გულში მოხვდა
...Den Teetjens ging es nahe genug an die Nieren.

(A. Zweig – Das Beil von Wandsbek)

ტექტიენებს ამან გულვიძლი აურია (ტექტიენებს ეს გულში მოხვდათ).

1019 NIMMERWIEDERSEHEN – auf Nimmerwiedersehen verschwinden (fam) – უკანმოუხედავად წახვიდე, სამუდამოდ გაუჩინარდე
Der Hotelgast verschwand auf Nimmerwiedersehen, ohne seine Rechnung bezahlt zu haben.
სასტუმროს მობინადრე უკანმოუხედავად ისე გაუჩინარდა, ანგარიშიც არ გაუსწორებია.

1020 NOT – seine liebe Not haben – viel Mühe und Arbeit mit jmdm. (mit etw.) haben – ჯაფა ადგია, ჯაფა აქვს

...Die arme Frau hatte mit ihren fünf Kindern ihre liebe Not.

საცოდავ ქალს თავისი ხუთი შვილით დიდი ჯაფა ადგია.

1021 = Not an Mann, wenn Not am Mann ist – im Notfall – უკიდურეს შემთხვევაში, თუ მუშახელის ნაკლებობაა

...Wenn Not an Mann ist, müssen bei der Ernte sogar die Kinder mithelfen.

უკიდურეს შემთხვევაში, მოსავლის აღებისას ბავშვებიც უნდა მოიშველიო.

1022 = mit Mühe und Not (mit knapper Not) – mit großen Schwierigkeiten – დიდი ძალისხმევით, ძლივს

...Mit Mühe und Not wurden alle Hausbewohner bei dem Brand gerettet.

ხანძრის დროს სახლის მობინადრეების გადარჩენას დიდი ძალისხმევა

დასჭირდა (ძლივს გადაარჩინეს მობინადრეები).

1023 NOTIZ – Notiz nehmen von – etwas notieren, beachten – ანგარიში გაუწიო, მხედველობაში მიიღო

...Wer nimmt Notiz davon?

(Schiller – Kabale und Liebe)

ვინ რას დაგიდევს? (ვინ უწევს ამას ანგარიშს?)

1024 NULL – für null und richtig erklären – ungültig erklären – ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული გამოაცხადო

...Gutmütig tröstend erklärte der Arzt den Fall für null und richtig ...

(Th. Mann – Mario und der Zauberer)

ექიმმა გულთბილად ანუგეშა და მომხდარი ამბავი ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულად გამოაცხადა.

1025 NUMMER – auf Nummer Sicher (fam) – im, ins Gefängnis – ციხეში

„... Ihr Sohn war ein Taugenichts, und die meiste Zeit seines Lebens verbrachte er auf Nummer Sicher.“

მისი ვაჟი დიდ უქნარა ვინმე იყო და თავისი ცხოვრების უმეტესი დრო ციხეში გაატარა.

1026 NUSS – harte Nüsse zu knacken haben (fam) – schwierige Probleme zu lösen oder geben haben – vor großen Schwierigkeiten stehen – თავსატეხი აქვს, ოფლს აწურვინებს, თავსატეხს გაუჩინს

...Ein Wissenschaftler hat oft Recht harte Nüsse zu knacken.

მეცნიერს ძალიან ხშირად თავსატეხი აქვს.

Dr. Böringhausen ... gab den Mitgliedern des Untersuchungsausschusses härtere Nüße zu knacken.

(Bredel – Die Enkel.)

დოქტორ ბერინგჰაუსენმა საგამომძიებლო კომისიის წევრებს უფრო მეტი თავსატეხი გაუჩინა (მეტი ოფლი აწურვინა).

O

- 1027 OBEN - jmdn. von oben herab ansehen** – Hochmutig auf jmdn. herabsehen – sich jmdm. gegenüber so benehmen, als sei man mehr wert – ზემოდან დაჰყურებს, მედიდურობს ...Es ist ihre Art, neue Kolleginnen von oben herab anzusehen.
 ეს მისი ჩვევაა, ახალ კოლეგებზე ზემოდან ცქერა.
- 1028 OBENAUF – wieder obenauf sein** (fam) – die Krankheit oder die Schwierigkeit überwunden haben – გამოძვრე (ავადმყოფობიდან), გაჭირვებას თავი დააღწიო, დასძლიო, კვლავ ფეხზე დადგე
 ...Nach der langen Krankheit fuhr er zur Kur, und nun ist er wieder obenauf.
 დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ იგი სამკურნალო კურორტზე გაემგზავრა. ეხლა კი თავი დააღწია ავადმყოფობას (დასძლია ავადმყოფობა, გამოძვრა ავადმყოფობიდან, კვლავ ფეხზე დადგა).
- 1029 = immer obenauf sein** (fam) – immer gute Laune haben – სულ კარგ განწყობილებაზეა, მხნეობას არ კარგავს
 ...Mein Freund ist ein feiner Mensch. Wenn es ihm noch so schlecht geht, ist er immer obenauf.
 ჩემი მეგობარი საუცხოო ადამიანია. მაშინაც კი, როცა კარგად არ არის, მხნეობას არ კარგავს (კარგ განწყობილებაზეა).
- 1030 OBERHAND – die Oberhand gewinnen** (bekommen, erhalten) – sich als der Stärkere erweisen, sich gegen etw. (jmdn.) durchsetzen – სძლია, ლელო გაიტანა
 ...Sie richten sich einzig und allein nach einem Gefühl, das bei ihnen gerade die Oberhand gewinnt.
 ისინი მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ გრძნობის გავლენით, რომელიც ამ მომენტში იმარჯვებს (სძლევს ყველაფერს).
 ...Die Friedenkräfte müssen die Oberhand gewinnen.
 მშვიდობის ძალებმა უნდა მოახერხონ ლელოს გატანა.
- 1031 OBENHIN – etwas nur so obenhin tun** – etwas flüchtig, oberflächlich, nebenan tun – სხვათაშორის, ზერეულად აკეთებს
 ... Einen genauen Eindruck habe ich von dem Buch nicht, denn ich habe es nur so obenhin angesehen.
 ზუსტი წარმოდგენა ამ წიგნზე არ მაქვს, რადგან მას ისე სხვათაშორის გადავხედე (ზერეულად დავათვალიერე).
- 1032 OBERSTES – das Oberste zuunterst kehren** – an der Spitze Stehende (ganz unten richten) – sich um etwas nicht kümmern, sich aus etwas nichts machen, etw. umgekehrt machen – თავდაყირა აყენებს, ყირამალა ატრიალებს
 ...Ausdrücklich hatte Jean-Jacques erklärt, man dürfe an dem Bestehenden nichts ohne Notwendigkeit ändern ... Sie aber, die Deputierten, kehrten ... ohne Not das Oberste zuunterst.
 (Feuchtwanger – Narrenweisheit)
 ... ჟან-ჟაკი გარკვევით მიუთითებდა, რომ აუცილებლობის გარეშე არაფერი არ უნდა შეიცვალოს..., ისინი კი, ეს დეპუტატები, ყველაფერს თავდაყირა აყენებენ (ყირამალა ატრიალებენ).
- 1033 OFFEN – ein offenes Haus haben** (führen) – viele Gäste haben – სახლის კარი ყველასათვის ღიაა, ბევრი სტუმრიანობაა
 ...Über uns wohnte ein berühmter Schauspieler. Er hatte immer ein offenes Haus, und die letzten Gäste gingen oft lange nach Mitternacht.
 ... ჩვენს ზემოთ ერთი ცნობილი მსახიობი ცხოვრობდა. მისი სახლი ყველასათვის ღია იყო და ბოლო სტუმრები ხშირად შუაღამის შემდეგ მიდიოდნენ.

- 1034** = **ein offenes Ohr haben** – sich für die Sorgen und Nöte anderer interessieren und hilfsbereit sein – გულ-ყურს ათხოვებს, სხვის გასაჭირს იზიარებს, გულისხმიერებას იჩენს
 ...Der Pfarrer des kleinen Ortes hatte für jeden Ratsuchenden ein offenes Ohr.
 პატარა დასახლების მღვდელი რჩევა-დარიგების ყველა მსურველს ყურს ათხოვებდა (ყველას გასაჭირს იზიარებდა).
- 1035** = **mit offenen Augen ins Unglück rennen** – ins Unglück laufen, obwohl man es eigentlich erkennen müsste – ფათერაკს ეძებს, ხათაბალას აწყდება
 ...Anstatt sie vor dem Schwinder zu warnen, ließen sie sie mit offenen Augen ins Unglück rennen.
 ... იმის მაგიერ რომ იგი ყალთაბანდისგან დაეცვათ, დაუშვეს, რომ ფათერაკს გადაყროდა (ხათაბალა ენახა).
- 1036** = **offene Türen einrennen** – gegen Widerstände kämpfen, die gar nicht vorhanden sind – ღია კარის მტკვრევაა, უაზრო გარჯაა
 ...Gib doch deinen Widerstand auf. Merkst du denn nicht, dass du offene Türen einrennst.
 თავი დაანებე წინააღმდეგობის გაწევას. ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ ღია კარს ამტკვრევ.
- 1037** **OHNE – er (es) ist nicht ganz ohne** (fam) – er (es) ist nicht so, wie es den Anschein hat; - er (es) kann unangenehm werden – სიმართლეს არაა მოკლებული, მტკნარი სიცრუე როდია
 ...Was er gesagt hat, ist nicht ganz ohne.
 რაც მან თქვა, მთლად სიმართლეს არაა (როდია) მოკლებული (მტკნარი სიცრუე როდია).
- 1038** **OHR – ein williges Ohr haben** (für etwas) - jmdm. ein williges Ohr leihen – gutwillig, bereitwillig etw. machen – კეთილგანწყობით ყურადღებას აქცევს (ათხოვებს), მოწყალებით ყურს ათხოვებს
 ...Ich sehe es kommen, daß der Gerichtshof für Doktor Hagenströms Plaidoyer ein sehr viel willigeres Ohr haben wird ... als für dasjenige des Rechtsanwalt.
 (Th. Mann – Buddenbrooks)
 მე წინასწარ ვიცი, რომ სასამართლო გაცილებით მეტი კეთილგანწყობით ყურადღებას ათხოვებს დ-რ ჰაგენშტრომის საბრალდებო სიტყვას, ვიდრე დამცველების.
- 1039** = **bis über die Ohren / über beide Ohren verliebt sein** – sehr verliebt sein – დამწვარია, თავდავიწყებით უყვარს, ყურებამდგა შეყვარებული
 ...Ich war bis über beide Ohren verliebt? – Sie sprach langsam.
 (Toelke - Er ging allein)
 მე თავდავიწყებით ვიყავი შეყვარებული. იგი ნელა ლაპარაკობდა.
- 1040** = **jmdn. einen Floh ins Ohr setzen** – jmdm. etw. sagen, was dem Betreffenden keine Ruhe lässt – ყურში ჩააწვეთა, ეჭვი აღუძრა, ააჩემა (იხ. Floh №357)
 ...Hättest du doch bloß von dem billigen Pelzmantel nichts gesagt. Damit hast du der Gerda wirklich einen Floh ins Ohr gesetzt.
 (MDtl)
 ნეტა იაფფასიან ქურქზე არაფერი გეთქვა. ამით ხომ ჰერდას ეჭვი აღუძარი. (მოსვენება დაუკარგე.)
- 1041** = **zum einen Ohr hinein, zum andern (wieder) hinaus (gehen)** – gehört, aber sofort wieder vergessen, nicht beachtet werden – ერთ ყურში შეუშვებს და მეორეში გამოუშვებს
 ...Es hat keinen Sinn, mit ihm zu hören. Es geht zum einen Ohr hinein und zum anderen wieder hinaus.
 მასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. ერთ ყურში შეუშვებს და მეორეში გამოუშვებს.

1042 = **ein taubes Ohr bei jmdm. finden** - auf taube Ohren bei jmdm. stoßen – kein Verständnis/ keine Hilfsbereitschaft bei jmdm. finden – ყურს არ ათხოვებს, წაუყრუებს, ყურს არ დაუგდებს

...Mit Ihrer Bitte um Spenden werden Sie überall nur **taube Ohren finden**.

თქვენს თხოვნას შემოწირულობის გაღების შესახებ არავინ ყურს არ ათხოვებს.

1043 = **auf dem Ohr liegen** – nichts tun, faulenzten – ზარმაცია, უსაქმურია, ყურთბალიშზე წევს, გულ-ხელდაკრეფილია

...Er **liegt** den ganzen Tag **auf dem Ohr**, lässt aber seine Frau arbeiten.

მთელ დღეს უსაქმურობაში ატარებს, თავის ცოლს კი ამუშავებს.

1044 = **(nur) mit halbem (einem halben Ohr zuhören / hinhören)** – ohne rechte große Aufmerksamkeit zuhören – ცალი ყურით უსმენს, უყურადღებოდ უსმენს

...Der König hörte nur mit halbem Ohr zu.

(Feuchtwanger – Die Jüdin von Toledo)

მეფე მხოლოდ ცალი ყურით უსმენდა.

1045 = **noch nass (grün) nicht trocken hinter den Ohren sein** - noch die Eierschalen hinter den Ohren haben – noch jung, unreif sein – ჯერ პირზე რძე არ შემრობია, ტუჩებზე დედის რძე (ხსენი) არ შემრობია, უმწიფარია, ძალიან ახალგაზრდაა.

...Mit 16 Jahren willst du dich schon an der Politik beteiligen? Du bist ja noch nicht trocken hinter den Ohren.

(MDtl).

16 წლისა უკვე აპირებ პოლიტიკაში გარეუას? კი მაგრამ, ჯერ ხომ პირზე რძე არ შეგშრობია? (ჯერ ხომ ძალიან ახალგაზრდა ხარ)

1046 = **die Ohren spitzen** - spitze, lange Ohren machen – angestrengt zuhören, lauschen; aufmerksam zuhören - ყურებს დაცქვეტს, სმენას გაამახვილებს.

...Kinder **spitzen** besonders **die Ohren** bei dem, was sie nicht zuhören brauchen.

ბავშვებმა მაინცდამაინც იმაზე დაცქვეტეს ყურები, რისი გაგონებაც მათთვის აუცილებელი არ იყო.

1047 = **tauben Ohren predigen** - Menschen Ermahnungen geben, die sie nicht hören wollen - კედელს ცერცვი შეაყარო, მგლის თავზე სახარება იკითხო, ამოდ ჭკუა დაარიგო

...Du wirst ihn nicht überzeugen; du **predigst tauben Ohren**.

შენ მას ვერ დააჯერებ (ვერ დაარწმუნებ) –ეს იგივეა კედელს ცერცვი შეაყარე. (ეს მგლის თავზე სახარების კითხვაა).

...Er verstand, dass er wieder **tauben Ohren predigte**.

ის მიხვდა, რომ კვლავ ამოდ ცდილობდა ჭკუის დარიგებას.

1048 = **seinen Ohren nicht trauen (wollen)** – etw. so Überraschendes hören, dass man es kaum glauben kann – ყურებს არ უჯერებს

... Er **traute seinen Ohren nicht**, als man unter den Siegern des Wettbewerbs seinen Namen verkündigte.

ყურებს არ დაუჯერდა, როცა მისი გვარი კონკურსის

გამარჯვებულთა შორის გამოაცხადეს.

1049 = **die Wände haben Ohren** – man wird belauscht – კედლებსაც ყურები აქვს, ვიღაც ჩუმად ყურს უგდებს

...Bitte aller größte Vorsicht bei den Gespräch. Die Wände haben Ohren.

(MDtl)

გეთაყვა, საუბრისას დიდი სიფრთხილე გვმართებს. აქ კედლებსაც კი ყურები აქვს.

1050 = **sich etwas hinter die Ohren schreiben** (fam) – sich etwas gut merken – კარგად დაიმახსოვრო, თავში მაგრად ჩაიჭედო

“...das möge er sich hinter die Ohren schreiben.”

“...ეს მან თავში მაგრად ჩაიჭედოს!”

1051 = **ich bin ganz Ohr** – ich höre genau zu – სმენად იქცე, ყური დაუგლო

...Du wolltest mir doch etwas erzählen. Bitte, **ich bin ganz Ohr**.

ხომ გინდოდა რაღაცის მოყოლა. მე ყურს გიგდებ. სმენად ვარ ქცეული.

1052 = **jmdn. über Ohr hauen** – jmdn. hereinlegen, betrügen – ეშმაკურად მოატყუებს, გააცურებს, რაღაცას წაგლეჯს, ოინებს მოუწყობს (იხ. Licht № 877, Löffel № 898, Narr № 993, Ohr № 1052, Schnippchen № 1320)

...Er hat mich auch diesmal übers Ohr gehauen.

მან ამჯერადაც ეშმაკურად მომაცტყუა.

„Der Marquis haut uns nicht übers Ohr“, versuchte Madame Levasseur Francois zu besänftigen

(. Feuchtwanger- Narrenweisheit)

„მარკიზი ვერაფერს წაგვგლეჯს (ვერ გაგვაცურებს)“, ცდილობდა მადამ ლევასერი ფრანსუას დამშვიდებას.

Er wird nicht klug, immer wieder lässt er sich übers Ohr hauen.

იგი აღარ ჭკვიანდება. სულ რაღაც ოინებს აწყობს (ეშმაკურად იქცევა).

1053 = **jmdm. eins / eine hinter die Ohren geben** – jmdm. eine Ohrfeige geben - სილას გააწნავს, გაარტყამს, სახეში უთავაზებს

...Er gab ihm für die Beleidigung eins hinter die Ohren.

მან მას შეურაცხყოფისათვის სილა გააწნა.

1054 = **jmdm. sein Ohr leihen** – jmdm. Gehör schenken, jmdn. anhören – ყურს ათხოვებს, ყურს დაუგდებს

...Willst du mir endlich dein Ohr leihen?

ბოლოს და ბოლოს დამიგდებ ყურს?

1055 = **etwas klingt schlecht in die Ohren** – unangenehme Worte hören, die schrill klingende Töne vor sich geben – ყურს ჭრის

...Diese Anrede klingt mir schlecht in die Ohren!

(Th. Mann – Buddenbrooks)

...ეს მომართვა ყურს მჭრის!

1056 = **jmdm. zu Ohren kommen** – jmdm. bekannt werden – ვიღაცის ყურამდე მიაღწევს
...Dies war der Tatbestand, der mit ungeheurer Schnelligkeit in der Stadt bekannt wurde und sogar dem Schuldirektor zu Ohren kam.

(Th. Mann – Buddenbrooks)

ეს იყო ფაქტი, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს და თვით ღირექტორის ყურამდე მიაღწია.

1057 = **es faustdick hinter den Ohren haben** – gerissen, raffiniert, schlau durchtrieben sein – გაქექილია, გაქნილია, გაიძვერაა, ჭკუას არ წააგებს, სურვილი ჰკლავს სულ მეტი გაიგოს და იცოდეს

...Er hätte doch wissen müssen, dass seine Stine es faustdick hinter den Ohren hatte.

(A. Zweig – Das Beil von Wandsbek)

...მას ხომ უნდა სცოდნოდა, რომ მისი სტინე ჭკუას არ წააგებდა (გაქნილი ადამიანი იყო).

Stille Wasser waren oft tief. Mancher hatte es faustdick hinter den Ohren.

(Th. Mann-Buddenbrooks)

იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობსო, - ირწმუნებოდნენ ისინი. ბევრს ჭკლავდა სურვილი მისი ამბავი როგორმე გაეგო და მეტი სცოდნოდა.

1058 = **sich die Ohren zuhalten / zustopfen** – nicht hören wollen – ყურებში თითს დაიცობს

...Sie schrie so gellend, dass ich mir die Ohren zuhalten musste.

ისეთი გამკივანი ხმით ყვიროდა, რომ იძულებული ვიყავი ყურებში თითი დამეცო.

1059 = **jmdm. mit etw. in den Ohren liegen** – jmdn. ständig mit Bitten belästigen – (ვინმეს) თხოვნით გულის გაუწყალებს, თხოვნით შეაწუხებს, თავს მოაბეზრებს, ყურებს გამოუჭედავს
... Wilhelm meinte, man könnte jetzt an den Plan denken, mit dem ihm die Liese längst in den Ohren lag.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

ვილჰელმის აზრით, მას შეეძლო ახლა ეფიქრა იმ გეგმებზე, რომლის შესახებ ლაპარაკითაც ლიზამ მას ყურები გამოუჭედა.

1060 = **sich die Nacht um die Ohren schlagen** (fam) – in der Nacht kaum oder gar nicht zum Schlafen kommen – მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ღამე თეთრად გაათენა
... Als meine Mutter schwer krank war, habe ich mir manche Nacht um die Ohren geschlagen.

როცა დედაჩემი მძიმედ ავად იყო, რამდენიმე ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

1061 **ÖL – Öl ins Feuer gießen** - die Leidenschaften entfachen, etw. noch schlimmer machen – ცეცხლზე ნავთი დაასხა

... Seine Worte gossen Öl ins Feuer.

მისმა სიტყვებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა (ცეცხლში ანთებული მუგუზლები გააჩაღდა, მოუმატა)

1062 = **Öl auf die Wogen gießen** – die Erregung besänftigen – სიტუაცია განმუხტა, პირი მობანა

... Die Arbeiter waren über die verlangerte Arbeitszeit sehr erregt und drohten mit einem Streik. Mit einer zugesicherten Lohnerhöhung goss die Betriebsleitung Öl auf die Wogen.

მუშები გაზრდილი სამუშაო დროთი ძალიან აღშფოთებულნი იყვნენ და გაფიცვით იმუქრებოდნენ. გასამრჯელოს მომატების დაპირებით საწარმოს ხელმძღვანელმა სიტუაცია განმუხტა.

1063 **ÖLGÖTZE – wie ein Ölgötze dastehen** – unbewegt teilnahms u. verständnislos stehen, sitzen – გაშეშებულია, გახევებულია, გაქვავებულია

... Er legte ihr (der Frau) seine Riesenhand auf die Schulter und sagte: “Stehen Sie doch nicht da wie ein Ölgötze.”

(Raabe – Die Leute aus dem Walde)

მან თავისი გოლიათური ხელი მხარზე დაადო ქალს და უთხრა: “ნუ დგეხართ გაშეშებული (გაქვავებული, გახევებული).”

1064 **OPFER – jmdm. zum Opfer fallen** – durch jmdn. etw. umkommen, vernichtet werden, das Opfer einer Person od. Sache werden – მსხვერპლი გახდა, მსხვერპლი შეიქმნა

... Diese Christa war ja harmlos, um zu ahnen, dass sie einer Verleumdung der katholischen Kirche zum Opfer fiel.

(Kellermann – Totentanz)

კრისტა მეტისმეტად მიაბიტი იყო და ვერ ხვდებოდა, რომ კათოლიკური ეკლესიის ცილისწამების მსხვერპლი შეიქმნა.

P

- 1065 PALME – jmdn. auf die Palme bringen** (fam) – jmdn. erzürnen, jmdn. aufbringen, jmdn. in Wut bringen – გააბრაზო, განარისხო (იხ. Harnisch №572, Häuschen № 581)
 ...Steuererhöhungen können selbst den friedlichsten Bürger auf die Palme bringen.
 ...გადასახადების მომატებამ თვით ყველაზე უწყინარი მოქალაქეც შეიძლება განარისხო.
- 1066 PANTOFFEL – er steht unterm Pantoffel** (fam) – er macht alles, was seine Frau will, von seiner Frau beherrscht werden – ცოლის კალთაზე გამობმული, კაბის ქობაზე გამოკერებული
 ...Mit seinen Kollegen verfährt er so grob, und zu Hause steht er unterm Pantoffel.
 თავის კოლეგებს უხეშად ექცევა, სახლში კი ცოლის კალთაზე გამობმული (ყველაფერში ცოლს უჯერებს).
- 1067 = jmdn. unter dem Pantoffel haben** – jmdn. beherrschen, alles selbst entscheiden – ლეჩაქის ყურეზე გამობმული, კაბის ქობაზე გამოკერებული
 ...Die junge Dame hatte ihren frommen Gemahl total unter dem Pantoffel.
 (G. Weerth – Schnapphahnski)
 ახალგაზრდა მანდილოსანს თავისი თვინიერი მეუღლე მაგრად ჰყავდა ლეჩაქის ყურეზე გამობმული, (კაბის ქობაზე გამოკერებული).
- 1068 PAPPE – etwas (jmd.) ist nicht von Pappe** (fam) – etw. (jmd.) ist kräftig, stark, nicht schlecht – მაგარია
 ...Wir bekommen einen Kaffee vorgesetzt, der nicht von Pappe war.
 ჩვენ ძალიან „მაგარი“ ყავა მოგვართვეს.
- 1069 PAPPENSTIEL – diese Arbeit ist kein Pappenstein** (fam) – diese Arbeit ist keine Kleinigkeit – ეს უბრალო რამ არ არის, სახუმარო რამ არ არის
 ...Wer kein großer Köhner auf dem Gebiet ist, sollte sich an diese Arbeit nicht heranwagen. Sie ist kein Pappenstein.
 თუ საქმის კარგი მცოდნე არ ხარ (თუ საკითხში კარგად ვერ ერკვევი), არ უნდა მოკიდო ხელი (არ უნდა გაბედო ხელის ხლება). ეს სახუმარო საქმე როდია.
- 1070 = seine Pappenheimer kennen** – eine oder mehrere Personen gut kennen u. wissen, wie sie sich verhalten – ვიცი რა ბიჭიცაა ...
 ...An dem Benehmen der Schüler merkte der Lehrer, dass etwas vorgefallen war, denn er kannte seine Pappenheimer.
 მასწავლებელმა შეატყო მოსწავლეებს, რომ რაღაც მოხდა, რადგან ის კარგად იცნობდა თავის „ბიჭებს“, იცოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე.
- 1071 PASSEN – das passt mir nicht (in den Kram)** (fam) – ich mag das nicht, das ist mir nicht angenehm, das kommt mir ungelegen – არ მაწყობს
 ...Das ich heute noch Überstunden machen soll, passt mir überhaupt nicht (in den Kram).
 დღეს რომ ზედმეტი საათები უნდა ვიმუშაო, საერთოდ არ მაწყობს.
- 1072 PATSCHE – in der Patsche sitzen, stehen** (fam) – Unannehmlichkeiten, Schwierigkeiten haben – უბედურ დღეში ჩავარდე, ხათაბალაში გაება, გაეხვიო, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდე.
 ...Pacovsky zog Menschen, der in einer Patsche staken ... geradezu magnetisch an.
 (F. Weiskopf – Inmitten des Stroms)
 ბაცოვსკი პირდაპირ ანდამური ძალით იზიდავდა უბედურ დღეში ჩავარდნილ (ხათაბალაში გაბმულ, ხათაბალაში გახვეულ) ადამიანებს.
 ...Ich habe vergessen, für ihn ein Geschenk zu besorgen. Jetzt sitze ich schon in der Patsche.
 ... დამავიწყდა მისთვის საჩუქრის ყიდვა და ახლა უხერხულ მდგომარეობაში ვარ.
- 1073 PAUKE – mit Pauken und Trompeten durchfahren** (fam) – bei einer Wahl oder Prüfung hoffnungslos durchfahren – ვაი-უეშით ჩაიარა

...Wir hoffen, dass er die Prüfung diesmal besteht. Das erstmal war er mit Pauken und Trompeten durchgefahren.

იმედი გვაქვს, რომ იგი ამჯერად მაინც ჩააბარებს გამოცდას. პირველად მან ვაი-ვუშით (ძლივს) ჩააბარა გამოცდა. (პირველმა გამოცდამ მთელი ვაი-ვუშით ჩაიარა).

1074 PECH – Pech haben (fam) – Unglück haben – ბედმა უმტყუნა, იღბალი არ შეხვდა, არ გაუმართლა

...Sie verbrachte ihren Urlaub an der See, jedoch hatte sie großes Pech mit dem Wetter, denn es regnete fast täglich.

მან შვებულება ზღვაზე გაატარა, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან თითქმის მთელი დღე წვიმდა.

1075 = wie Pech und Schwefel aneinander hängen oder zusammenhalten (fam) –

Unzertrennlich sein, fast zusammenhalten – განუყრელად ერთად არიან, ერთმანეთს არიან გადაჯაჭვულნი, ერთმანეთს არ სცილდებიან, მხარდამხარ დგანან

...Auch im größten Unglück hingen die beiden Freunde wie Pech und Schwefel.

ყველაზე დიდ უბედურებაშიც კი ორივე მეგობარი განუყრელად ერთად არიან, ერთმანეთს უდგანან მხარდამხარ.

1076 PELLE, PELZ – jmdm. auf die Pelle (auf den Pelz) rücken (stark. fam) – 1. jmdm. zu

nahe (auf den Leib) rücken – კუდში დევნა დაუწყო, აედევნა, აეკიდა 2. jmdn. mit einer unangenehmen Bitte dauernd belästigen - არ მოეშვა, სული ამოართვა, გული გაუწყალა, შეავიწროვა, გადაეკიდა (იხ. Leib № 861)

...Bleib doch auf deinem Platz sitzen und rücke mir nicht dauernd auf die Pelle und Pelz.

იჯექი შენს ადგილზე და ნუ დამსდევ მუდამ კუდში.

...Ich bin schon zwei Stationen eher aus der Straßenbahn ausgestiegen, weil mir so ein unangenehmer Kerl immer mehr auf den Leib gerückt ist.

ტრამვაიში ვიდაც არასასიამოვნო ტიპი ამეკიდა და ორი გაჩერებით ადრე ჩამოვედი.

...Die Distanz wurde immer kleiner, immer näher rückte der Graf auf das Ritters Pelz.

(G. Weerth – Schnapphahnski)

მანძილი სულ უფრო მცირდებოდა, გრაფი სულ უფრო უახლოვდებოდა (ავიწროვებდა) რაინდს.

1077 PENATEN – zu den Penaten zurückkehren – nach Hause zurückkehren – კერას დაუბრუნდა, შინ დაბრუნდა

„Sie können nun zu Ihren Penaten zurückkehren ...“

(H. Mann – Der Untertan)

„ახლა კი შეგიძლიათ თქვენს კერას დაუბრუნდეთ (შინ დაბრუნდეთ).“

1078 PERLE – es wird ihm keine Perle aus der Knone fallen (fam) – es wird nichts von seinem

Ansehen, seinen Ruf einbüßen – არაფერი უჭირს, ჩინ-მედლებს არ ჩამოართმევნ

... Er soll diese unangenehme Arbeit nur selbst machen, es wird ihm keine Perle aus der Knone fallen.

ეს უსიამოვნო საქმე თვითონ უნდა გააკეთოს. არავინ ჩამოართმევს ჩინ-მედლებს (არაფერი უჭირს, არაფერი მოუვა).

1079 = Perlen vor die Säue werfen (biblisch) – ნუ მისცემთ წმიდას ძაღლებს და ნურც

თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს (მათ. 7, 6) – etwas Wertvolles an Unwürdigen geben – აზრი არ აქვს, მაინც ვერ მიხვდება

... Sie ist völlig unmusikalisch. Mit ihr ins Konzert zu gehen, hieße Perlen vor die Säue werfen.

მას სრულიად არ აქვს მუსიკალური ნიჭი. მასთან ერთად კონცერტზე წასვლას აზრი არ აქვს, მაინც ვერ მიხვდება.

1080 PETTO – etwas in Petto haben – etwas in Bereitschaft haben, etwas tun wollen – მარაგად

გქონდეს.

...Bei Gelegenheit eine Stelle aus einem Dichter zu zitieren, einige philosophische Behauptungen in Petto zu haben, hielt ich für unumgänglich notwendig.

(Hauff – Memoiren des Satans)

აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნდა სათანადო შემთხვევაში რომელიმე პოეტის ნაწარმოებიდან მომდევნო ადგილის რამდენიმე ფილოსოფიური დებულება მქონოდა მარაგად.

1081 PFAHL – in seinen vier Pfählen – unter vier Wänden – ოთხ კედელს შუა ჩაკეტილი
...Die Welt wird eine andere, wenn man nicht mehr für sich allein in seinen vier Wänden ist.

(Raabe – Chronik der Sperlingstraße)

ქვეყანა სულ სხვანაირი ეჩვენება ადამიანს, თუ ის არაა თავისთვის მარტოდ-მარტო ოთხ კედელს შუა ჩაკეტილი.

1082 PFAND – ein Pfand hinterlegen – etwas als Sicherheit, als Bürgschaft für eine Forderung geben – გირაოდ დატოვება

...Hier (in dieser Küche) gab es Bestecke... ohne Pfand, während man in jenen Küchen eine Mark als Pfand hinterlegen musste.

(Kellermann – Der 9. November)

აქ (ამ სასადილოში) სადილის ჭურჭელს უგირაოდ იძლეოდნენ იმ დროს, როდესაც სხვა სასადილოებში ამისთვის საჭირო იყო ერთი მარკის დატოვება გირაოდ.

1083 PFANNE – jmdn. in die Pfanne hauen (salopp) – jmdn. scharf zurechtweisen, hart kritisieren; jmds. Widerstandskraft brechen, jmdn. vernichten, erledigen – მაგრად გაჯვრო, ნაცარ-ტუტად, ბურნუთად აქციო, გააცამტვერო, გვერდები ჩაუნაყო(იხ.Schlitten №1297, Tracht №1599).

„...Ich würde Sie in die Pfanne hauen, Sie hinterlistiger Idiot, wenn das nicht verboten wäre.“

(Th. Mann - Tristan)

„აკრძალული რომ არ ყოფილიყო, ძვალს რბილად გიქცევდით (გველივით ატატრელებდით) თქვენ, პირმოთნე სულელი.“

1084 PFEFFER – er soll bleiben, wo der Pfeffer wächst (fam) – er soll nur fortbleiben, er soll nicht kommen – ბრძანდებოდეს, დარჩეს სადაც არის

...Ich lege keinen Wert auf seinen Besuch. Er soll bleiben, wo der Pfeffer wächst.

სულაც არ მენადვლება მისი სტუმრობა (დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ მის მოსვლას), ბრძანდებოდეს სადაც არის.

1085 PFEIFE – nach jmds. Pfeife tanzen (fam) – jmdm. widerspruchslos gehorchen – სხვის დუღუკზე ცეკვავს, სხვის ჭკუაზე დადის

...Er ist ein Tyran, alle müssen nach seiner Pfeife tanzen.

იგი ტირანია, უნდა რომ ყველა მის დუღუკზე ცეკვავდეს (თავის ჭკუაზე ატაროს).

1086 PFEIFEN – daher also der Wind! (fam) – das ist also Grund – აი, რაშია თურმე საქმე, აი, საით უბერავს თურმე ქარი

...Entgegen seiner sonstigen Gewohnheit ist Alfred seit einiger Zeit sehr sparsam. Wie ich hörte, will er in Kürze heiraten. Daher pfeift also der Wind!

აღფრედი ბოლო დროს მისი ჩვეულების საპირისპიროდ ძალიან მომჭირნე გახდა. როგორც გავიგე, ცოტა ხანში ქორწინდება. აი, რაში ყოფილა თურმე საქმე!!!

1087 = er muss tanzen, wenn sie pfeift (fam) – er muss tun, was sie will – მის დაკრულზე უნდა იცეკვოს, რასაც მოისურვებს, უნდა აუსრულოს

...Seine Frau hat fortwährend Wünsche, und er muss tanzen, wenn sie pfeift.

მის ცოლს განუწყვეტლივ რაღაცის სურვილები აქვს და იგიც ყველა სურვილს უსრულებს.

1088 = auf jmdn. (etwas) pfeifen (fam) – auf jmdn. (etw.) keinen Wert legen oder verzichten – ხელი ჩაიქნის, დიდად არ ინადვლო

მამამისს მისთვის, კაცმა რომ თქვას, პრაქტიკული პროფესია უნდოდა. ნეტავ რა აზრისაა? (როგორ შეხედავს იგი ამ საკითხს), რომ გოგონა სწავლას აპირებს?

1507 STERBEN – nicht leben und nicht sterben können – sich sehr krank (oder) elend fühlen – არც მორჩა და არც მოკვდა, ცოცხალ-მკვდარივითაა

...Die seekranken Passagiere hingen an der Reling und konnten nicht leben und nicht sterben. ზღვის ავადმყოფობის გულმიყრილი მგზავრები მოაჯირებზე იყვნენ ჩამოკიდებული და ცოცხალ-მკვდარივით გამოიყურებოდნენ.

1508 STEUER – Steuern eintreiben / erheben – jmdn. zwingen bestimmten Teil des Lohns, des Einkommens zu(be)zahlen, der an den Staat abgeführt werden muss – გადასახადები აკრიფო

... In allen Dörfern Frankreichs wurden vor Ausbruch der Revolution die Steuern mit größter Strenge eingetrieben.

ვიდრე რევოლუცია იფეთქებდა, საფრანგეთის ყველა სოფელში გადასახადების აკრეფა დიდი სიმკაცრით წარმოებდა.

„...Ich arbeite an einem Memorandum, welches beweist, dass du das Recht hast, diese Steuern zu erheben.“

მე ვამზადებ მოხსენებით ბარათს, რომელშიც ვამტკიცებ, რომ შენ ამ გადასახადების აკრეფის უფლება გაქვს.

1509 STICH – jmdn. im Stich lassen – jmdn. verlassen, sein Versprechen nicht halten – ბედის ანაბარა მიატოვა, უღალატა

...Es sollte mich aber sehr wundern, wenn die (die Mutter) so ruhig abgezogen wäre und ihre Tochter im Stich gelassen hätte.

(Lessing – Emilia Galotti)

მე ძალიან გამიკვირდებოდა, რომ დედა გულდამწვიდებით მოშორებოდა იქაურობას და თავისი ქალიშვილი ბედის ანაბარა დაეტოვებინა.

...Der Senator es nicht hätte verantworten können, sie in dieser Stunde im Stich zu lassen.

(Th. Mann – Buddenbrooks)

სენატორი აქ იყო, მას ვერ გაეებდა თავისი და ამ წუთებში ბედის ანაბარა მიეტოვებინა.

„Oh, du lässest mich im Stich, Edgar?“ sagte Doktor Mantelsack betrübt. „Du willst mir die Verse vom Goldenen Zeitalter nicht sprechen?“

(Th. Mann – Buddenbrooks)

„ო, მღალატობ, ედგარ?“ გული დასწყდა დოქტორ მანტელზაკს, - „მაშ შენ „ოქროს ხანას“ ზეპირად არ მეტყვი?“

1510 = etwas hält Stich – jmd. muss Stich halten - გამოცდას უძლებს, კრიტიკას უძლებს, აკმაყოფილებს ყველაზე მაღალ მოთხოვნას

... Ich wette, wenn ich Ihnen Bettler nun vornehme, dass auch dieser abenso wenig Stich halten wird.

(Lessing – Minna von Barnhelm)

სანადგოს დავებ, რომ თუ თქვენს მათხოვრობას გავჩხრეკ, ესეც ვერ უძლებს გამოცდას.

1511 = jmdm. einen Stich versetzen – jmdm. etwas Unangenehmes, etwas Kränkendes sagen – წყენა მიაყენა

...Mit den spöttlichen Bemerkungen über ihren ungeratenen Sohn versetzen die Nachbarn der Mutter jedesmal einen Stich.

მეზობლები დედას თავის შეუსმენელ ვაჟიშვილზე ცინიკური შენიშვნებით ყოველთვის წყენას (უსიამოვნებას) აყენებდნენ.

1512 = einen Stich haben (starke fam) – nicht einmal im Kopf sein – ცოტა ვერაა, სრულ ჭკუაზე ვერაა, ცოტა აკლია

...Seit dem Tode ihres Mannes halte sie sich sehr verändert und die Nachbarn munkelten, sie hätte wohl einen Stich.

- ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი ძალიან შეიცვალა და მეზობლები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, რომ იგი ვერაა სრულ ჭკუაზე.
- 1513 STICHLATT – jmdm. zum Stichblatt dienen – zur Zielscheibe dienen – სამიზნეა**
 ...Er diente den dummen Scherzen dieses Menschen zum Stichblatt.
 ის ამ ადამიანის ბრიყვეული ხუმრობის სამიზნე იყო.
- 1514 STIEFEL – einen Stiefel vertragen (fam) – viel (Alkohol trinken können) – მაგრად სვამს, სასმელს იტანს, ხარივით სვამს**
 ... Mit meinem Onkel darfst du nicht um die Wette trinken, der verträgt einen ziemlichen Stiefel.
 ბიძაჩემთან სმაში სანადგეოს ნუ დადებ (ბიძაჩემს სმაში ნუ შეეჯიბრები) – იგი მაგრად სვამს (ხარივით სვამს).
- 1515 STIEL – etwas mit Stumpf und Stiel ausrotten – etwas restlos vernichten – ძირფესვიანად აღმოფხვრა, ძირფესვიანად მოსპო**
 ... Durch ein neues Vernichtungsmittel soll man das Unkraut auf den Gartenwegen mit Stumpf und Stiel ausrotten können.
 ახალი გამანადგურებელი საშუალებით ძირფესვიანად შეიძლება იქნას აღმოფხვრილი სარეველა ბალახები ბაღის გზებზე.
- 1516 STIELAUGEN – Stielaugen machen (fam) – gierig blicken, neidvoll schauen – ხარბი თვალებით იცქირება, შურით იცქირება**
 ...Als ich meiner Freundin das neue Kleid zeigte, machte sie aber Stielaugen.
 როცა მეგობარს ახალი კაბა ვაჩვენე, მას ხარბი თვალები გაუხდა.
- 1517 STIER – den Stier beiden Hornern packen (fassen) – eine Sache mutig anpacken – ჯიქურ ეკვეთა საქმეს, საქმე მოგოჯა, დაღოჯა**
 ...Er merkte sofort, worin die Hauptursache der Mißstände lag, und beschloss, ohne Umschweife den Stier bei den Hörnern zu fassen.
 იგი უმალ მიხვდა, რა იყო ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზი და გადაწყვიტა პირდაპირ, ჯიქურ ეკვეთოს საქმეს (გადაწყვიტა საქმე მოგოჯა, დაღოჯა).
 ... Die Aufgabe ist nicht so schwer, wie sie aussieht. Du musst nur den Stier bei den Hörnern packen.
 დავალება, როგორც ჩანს, ისე ძნელი არაა. შენ მხოლოდ ჯიქურ უნდა ეკვეთო საქმეს (საქმე მოგოჯო, დაღოჯო).
- 1518 STILLSCHWEIGEN – sich in Stillschweigen hüllen – Schweigen bewahren, vereinbaren – დუმს, გარინდებულისა, კრინტს არ ძრავს**
 ...Er hüllt sich in Stillschweigen.
 იგი დუმით არის მოცული (იგი კრინტსაც არ ძრავს).
- 1519 STIMMEN – etwas stimmt an der Sache nicht – etwas ist nicht in Ordnung – საქმე რაღაც ვერ არის რიგზე (დამში ვერ მოდის)**
 „Ich glaube, hier stimmt etwas nicht,“ – füsterte er schnell.
 (J. Petersen - Reisende)
 „მე მგონია აქ რაღაცა რიგზე არ არის,“ წაიხურჩულა მან სწრაფად.
- 1520 STIRN – jmds. Stirn bewölkt / verdüstert / verfinstert / umwölkt sich – jmds. Gesicht nimmt einen finsternen Ausdruck an – შუბლს შეიკრავს (მოიღუშება, გაბრაზდება)**
 ...Bei der frechen Antwort des Sohnes bewölkte sich seine Stirn.
 ვაჟიშვილის თავხედურ პასუხზე მან შუბლი შეიკრა.
- 1521 = jmds. Stirn glättet sich – jmds. Gesicht bekommt einen ruhigeren / freundlichen Ausdruck – შუბლს გახსნის, (კარგ გუნებაზე დადგება)**
 ...Er ist dauernd verdrießlich. Nur selten glättet sich seine Stirn.
 ის ერთთავად მოღუშულია. მხოლოდ იშვიათად თუ გახსნის შუბლს.
- 1522 = jmdm. die Stirn bieten – jmdm. trotzen, offen Widerstand leisten – ურჩობა გამოიჩინო, წინააღმდეგობა გაუწიო**
 ...Vater ist nicht stark genug, ihnen die Stirn zu bieten.
 (H. und S. Schumacher – Sommerinsel)

- მამა არც ისე ძლიერია, რომ მათ აშკარად წინააღმდეგობა გაუწიოს (ურჩობა გამოიხიბოს).
- 1523** = **die Stirn runzeln** / falten, furchen – einen nachdenklichen, unmutigen Gesichtsausdruck annehmen – შუბლი შეიჭმუნო
 ...Warum runzelst du über meine Worte die Stirn?
 ჩემს სიტყვებზე შუბლს რატომ იჭმუნის?
- 1524** = **die Stirn zu etw. haben** (besitzen) – Dreistigkeit, Frechtheit zu etw. haben – თავხედობა ჰყოფნის
 ...Er hat die Stirn, zu behaupten, ich hätte ihn damit nicht beauftragt.
თავხედობა ჰყოფნის ამტკიცოს, რომ მე ეს საქმე მისთვის არ დამივალებია.
- 1525** = **jmdm. etw. an der Stirn ansehen** / von der Stirn ablesen – jmds. Gedanken erraten – სახეზე ამოკითხავს, სახეზე შეატყობს
 ...Er ist dagegen, das kann man ihm an der Stirn ansehen.
 ის წინააღმდეგია, ამის ამოკითხვა მის სახეზე შეიძლება. (სახეზე შეატყობ).
- 1526** = **etw. steht jmdm. auf / an der Stirn geschrieben** – etw. ist an jmdm. sichtbar – შუბლზე აწერია, შუბლზე (სახეზე) ეტყობა
 ...Die Lüge steht dir auf der Stirn geschrieben.
 ტყუილი შუბლზე გაწერია.
- 1527** **STOCK** – **über Stock und Stein** – über alle Hindernisse des Erdbodens hinweg – თავპირის მტვრევით, თავკუდმოგლეჯით
 ...Er eilte über Stock und Stein dem Hause zu, das am Ende des Dorfes stand.
 ... იგი კისრისტეხით (თავპირის მტვრევით, თავკუდმოგლეჯილი) გარბოდა სახლისაკენ, რომელიც სოფლის ბოლოში იდგა.
- 1528** **STOCKEN** – **zum Stocken bringen** – stocken, der normale Ablauf der Lage für kurze Zeit unterbrechen – შეაჩერებს, შეაფერხებს
 ...Dem Fluß entlang dichter, kalter ... Nebel, der das Leben im Hafen zum Socken brachte.
 (Bredel – Verwandte und Bekannte)
 მდინარეს ასდიოდა ხშირი, ცივი ბურუსი, რომელმაც ნავსადგურში ცხოვრება შეაჩერა (შეაფერხა).
- 1529** = **ins Stocken geraten** – ins Stocken kommen, etw. ist in der Bewegung od. im normalen Ablauf für kurze Zeit unterbrochen – შეწყდა, შეჩერდა
 ...Die Arbeit in Fabians „Büro Aufbau“ war völlig ins Stocken geraten.
 (Kellermann – Totentanz)
 ფაბიანის „სამშენებლო ბიუროში“ მუშაობა მთლიანად შეჩერდა (შეწყდა).
- 1530** **STRAFE** – **eine Strafe verbüßen** – vom Gefängnis frei sein – სასჯელი მოიხადა
 ... Nachdem der achtzehnjährige Täter die Strafe verbüßt hatte, ging er zu seiner Familie zurück.
 ... მოიხადა რა სასჯელი, თვრამეტის წლის დამნაშავე თავის ოჯახს დაუბრუნდა.
- 1531** = **eine Strafe verhängen** (über Akk.) – bestrafen – სასჯელი დაადო
 ...Nachdem die Repräsentanten des Volkes den früheren König einstimmig schuldig befunden hatten, berieten sie über die Frage, welche Strafe sie über ihn verhängen sollten.
 (Feuchtwanger - Narrenweisheit)
 იმის შემდეგ, რაც ხალხის წარმომადგენლებმა ყოფილი მეფე ერთხმად სცნეს დამნაშავედ, მათ დაიწყეს მსჯელობა იმაზე, თუ რა სასჯელი დაედოთ მისთვის.
- 1532** **STRANG** – **an einem Strang ziehen (am gleichen Strang ziehen)** – das gleiche Ziel verfolgen – ერთსულოვნად მოქმედებს
 ...und wenn es in den Konferenzen etwas Gutes und Neues durchzusetzen galt, zogen diese Triumvirn an einem Strang.
 ...და თუ კონფერენციებზე საქმე რაიმე კარგის და ახლის გატარებაზე მიდგებოდა, ეს ტრიუმვირნი ერთსულოვნად მოქმედებდა.

- ...Ein glückliches Ehepaar wird stets am gleichen Strang ziehen.
ბედნიერი ცოლ-ქმარი ყოველთვის ერთსულოვნად მოქმედებს.
- 1533 = über die Stränge schlagen** (hauen) (fam) – übermütig, leichtsinnig sein – წრეს (საზღვარს) გადადის, საზღვარს აჭარბებს
„Nicht immer entsprachen wir deinen guten Absichten, schlagen oft über die Stränge.“
(H. Wille – Feuer im Wind)
„ჩვენ ყოველთვის როდი ვუჯერებდით შენს კეთილ რჩევა-დარიგებას და ხშირად წრეს (საზღვარს) გადავდიოდით.“
Seine Eltern haben große Sorgen mit ihm, weil er von Zeit zu Zeit über die Stränge schlägt.
მშობლები ძალიან წუხან მის გამო, რადგან იგი დროგამოშვებით წრეს გადადის (საზღვარს აჭარბებს).
- 1534 STRASSE – sein Geld auf die Straße werfen** – sein Geld vergeuden, nutzlos ausgeben – ფულს ტყუილ-უბრალოდ ხარჯავს (აქეთ-იქით, უაზროდ ფანტავს, ქუჩაში ყრის)
...Wenn du keine Lust mehr zum Studium hast, dann wirst du sofort einen Beruf ergreifen. Ich werfe mein Geld doch nicht auf die Straße.
თუ აღარ გაქვს სწავლის სურვილი, ახლავე რაიმე პროფესიას მოჰკიდე ხელი. ფულს ტყუილ-უბრალოდ ვერ დავხარჯავ (ქუჩაში ვერ გადავყრი).
- 1535 STRECKEN – jmdn. zu Boden strecken** – jmdn. besiegen – jmdn. erschießen – მიწასთან გაასწორა, მიწაზე დაამხო
...Mit einem kräftigen Schlag streckte er seinen Gegner zu Boden.
მან ძლიერი დარტყმით თავის მეტოქე მიწასთან გაასწორა (მიწაზე დაამხო).
- 1536 STREICH – jmdm. einen Streich spielen** – jmdm. einen Schabernack (Possen) spielen, mit jmdm. einen derben Scherz machen – ოინებს უკეთებს, ფანდებს უგებს, მზაკვრულ ოინებს უწყობს, უმოწყალოდ ათამაშებს
...Aber so geht es den Empfindsamen. Die Liebe spielt ihnen immer die schlimmsten Streiche.
(Lessing – Emilia Galotti)
მაგრამ ასეთია მგრძნობიარე ადამიანების ბედი, სიყვარული მათ ყოველთვის ბოროტ ოინებს უკეთებს (უმოწყალოდ ათამაშებს).
...Der Prinz de Conde liebte es, dem Vater (Fernands) Streiche zu spielen.
(Feuchtwanger - Narrenweisheit)
პრინც კონდეს უყვარდა ფერნანდის მამისათვის მზაკვრობათა მოწყობა (ფანდების დაგება, მზაკვრული ოინების მოწყობა).
- 1537 STREITAXT – die Streitaxt begraben** – Kriegsbeil begraben – sich versöhnen, die Flinte ins Korn werfen – ხმლები ქარქაშში ჩააგოდო...
...Jetzt hieß es aber einlenken, die Streitaxt begraben.
(A. Zweig – Die Einsetzung eines Königs)
ახლა საჭირო იყო შერიგება, ხმლების ჩაგება ქარქაშში.
- 1538 STRICH – einen Strich unter etwas machen** – etwas beenden, etwas abschließen – წერტილი დაუსვა (დაამთავრა), ხაზი გაუსვა
...Nachdem seine Mutter ihm heftige Vorhaltungen gemacht hatte, hat er fest versprochen, unter sein bisheriges Leben einen Strich zu machen und neu anzufangen.
მას შემდეგ, რაც დედისგან მკაცრი საყვედურები მიიღო, მან პირობა დადო, ადრინდელ ცხოვრებისთვის წერტილი დაესვა, ყველაფერი თავიდან დაეწყო.
- 1539 = keinen strich tun** (fam) – nichts tun, nicht arbeiten – ერთი ხაზიც ვერ გააკეთა, ვერ მოიცალა
...Ich hatte so viel anders zu erledigen, dass ich heute noch, keinen Strich an meiner Arbeit tun konnte.
იმდენი სხვა საქმე მქონდა მოსაგვარებელი, რომ ჩემი საქმისათვის ვერ მოვიცალე (ერთი ხაზიც ვერ გავაკეთე).

- 1540** = **jmdm. einen Strich durch die Rechnung machen** (fam) – jmds. Pläne zunichte machen, jmds. Pläne, Absichten durchkreuzen, jmdm. etwas verderben, unmöglich machen – ვარაუდი ჩაეშალა, გეგმა ჩაეფუშა
 ...Wir wollten die Verlobung unserer Tochter im Garten feiern – aber ein plötzliches Gewitter hat uns einen Strich durch die Rechnung gemacht.
 ჩვენ გგსურდა ჩვენი ქალიშვილის ნიშნობა ბაღში აგველნიშნა – მაგრამ მოულოდნელმა ავდარმა ჩვენი ვარაუდი ჩაგვიშალა (გეგმები ჩაგვიფუშა).
- 1541** = **jmdm. auf dem Strich haben** – feindlich jmdm. gegenüber sein – გადამტკერებულია, გადაკიდებულია
 Er hatte den Vater auf dem Strich und wollte daher auch mit den Söhnen nichts zu tun haben.
 იგი მამაზე იყო გადამტკერებული (გადაკიდებული) და ამიტომ არც მის ვაჟებთან უნდოდა რაიმე საერთო ჰქონოდა.
- 1542** = **auf den Strich gehen** (stark fam) – auf Männerfang gehen, der Prostitution auf der Straße nachgehen – ქუჩაშია გასული
 ...Ein anständiges Mädchen geht nicht auf den Strich.
 წესიერი გოგო კაცებს არ დასდევს (კაცების გამოჭერაზე არ მიდის).
- 1543** = **etw. geht jmdm. gegen (wider) den Stein** - jmdm. zu wider sein, nicht passen, mißfallen – გული არ მისდის, გული ეთანადრება, ხელს არ აძლევს
 „...Ich möchte dir nicht zureden,“ sagte er, „etwas zu tun, was dir gegen den Streich geht.“
 (Feuchtwanger – Die Brüder Lautensack)
 „არ მინდა გირჩიო ისეთი რამის გაკეთება,“ თქვა მან, „რაზედაც გული არ მიგდის (გული ეეთანადრება, რაც ხელს არ გაძლევს).“
- 1544** = **nach Strich und Faden** (fam) – tüchtig – კარგა ლაზათიანად
 ... Als er mit der zerissenen Hose nach Hause kam, hat der Vater ihn nach Strich und Faden verprügelt.
 როცა იგი დახეული შარვლით დაბრუნდა სახლში, მამამ იგი კარგა ლაზათიანად დატუქსა.
- 1545** **STRICK** – **jmdm. einen Strick drehen** (fam) – jmdn. hereinlegen, jmdm. schaden – ვინმეს დასახრჩობი თოკი დაგრისო, ვინმეს გაფუჭება, წახდენა ჩაიფიქრო
 „Am meisten sollte nicht wundern, wenn ich dir nicht einen Strick daraus drehen könnte, Meierchen!“ dachte der Förster.
 (H. Fallada – Wolf unter Wölfen)
 „ყველაზე უფრო ის გამოიკვირდება, თუ ამ საქმეში ვერ შევძლებ შენი დასახრჩობი თოკის დაგრეხას (შენს დაშუბვას, გაფუჭებას, წახდენას), ჩემო მაიერ,“ ფიქრობდა მეტყვევე.
 ...Sein Nachbar versuchte, ihm aus seiner politischen Einstellung einen Strick zu drehen.
 მეზობელი ცდილობდა მისთვის პოლიტიკური პოზიციის გამო დასახრჩობი თოკის დაგრეხას (მისი წახდენისთვის რაღაც ხრიკის ჩაფიქრებას).
- 1546** **STRIPPE** – **an der Strippe hängen** (fam) – (eifr. ausgiebig) telefonieren – ყურმილზეა ჩამოკიდებული
 ...Sie hängt den ganzen Tag an der Strippe und quatscht mit ihren Freundinnen.
 იგი მთელი დღე ყურმილზეა ჩამოკიდებული და მეგობარ გოგონებს ემუსაიფება.
- 1547** **STROH** – **Stroh im Kopf haben** (fam) – dumm sein – ჩალა აქვს თავში, ჩერჩეტია, ცარიელი თავი აქვს
 ...Ihr Tanzstundenpartner sah zwar gut aus, hatte aber nur Stroh im Kopf.
 მისი პარტნიორი ცეკვაში საკმაოდ კარგი შესახედაობის ყმაწვილია, მაგრამ ჩერჩეტია (ჩალა აქვს თავში, ცარიელი თავი აქვს).
- 1548** = **leeres Stroh dreschen** (fam) – nutzloses reden – oder tun – წყალს ნაყავს, ბეხოს ანიავებს, ჩხირკედელაობს
 ...Er kann stundenlang (leeres) Stroh dreschen.

- მას საათობით შეუძლია წყლის ნაყვა (ჩხირკედლაობა, საათობით ბეჩოს ანიავებდეს).
- ...Die Debatte verlief erfolglos; es wurde nur leeres Stroh gedroschen.
- დებატები უშედეგოდ ჩამთავრდა; ყველაფერი მხოლოდ წყლის ნაყვა იყო.
- 1549 STROHHALM – sich an einen Strohhalm klammern** – Vertrauen auf die Geringste, fast hoffnungslose Möglichkeit haben – იმედს ჩასჭიდებია, წყალწაღებულებით ხავსს ეკიდება
- ...Es war nur noch ein Funken Leben in der Todkranken, aber die Angehörigen klammerten sich an die Hoffnung auf Genesung wie an einem Strohhalm.
- მომაკვდავს ოდნავ შერჩენოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი, მაგრამ ნათესავეები იმედს ისევ ჩასჭიდებოდნენ (იმედს ისე ჩასჭიდებოდნენ, როგორც წყალწაღებული ხავსს).
- 1550 STÜCK – große Stücke auf jmdn. halten** (fam) – jmdn. sehr schätzen – დიდი წარმოდგენისა იყო (ვინმეზე), აფასებდე
- „...Ja, Morten. Ich halte große Stücke auf Sie. Ich habe Sie sehr gern.“
(Th. Mann – Buddenbrooks)
- „...მე ძალიან დიდი წარმოდგენისა ვარ თქვენზე, მარტინ, თქვენ მე ძალიან მიყვარხართ.“
- 1551 STUHL – jmdm. den Stuhl vor die Tür setzen** (fam) – jmdn. aus dem Haus weisen, jmdn. hinauswerfen – სახლის კარი გამოუხურა, კალთა მიაბერტყა, კარში გაუძახა (იხ.Luft № 910 ,Tempel №1574, Tür № 1631)
- ...Man konnte ihm doch nicht ohne weiteres den Stuhl vor die Tür setzen?
(Kellermann - Totentanz)
- ხომ არ შეიძლებოდა მისთვის უბრალოდ სახლის კარის შეკვრა (კარის გამოხურვა, კალთის მიბერტყვა)?
- 1552 SÜNDE – eine Sünde begehen** – versünden – ცოდვა მიუძღვის
- ...Agnes sagte: Wenn sie eine Sünde begangen habe, dann nur die, dass sie auf der Welt sei.
(Feuchtwanger – Die häßliche Herzogin)
- აგნესამ თქვა, თუ რაიმე ცოდვა მიმიძღვის, ეს მხოლოდ ისაა, რომ ამ ქვეყნად გაეჩნდიო.
- 1553 SÜNDENBOCK – Sündenbock sein** – jmd. auf den man seine Schuld abwälzt, dem man die Schuld an etwas zuschiebt – განტყვეობის ვაცია, ჯოხი მასზე ტყდება
- ...Geschah etwas im Haus, so musste er stets der Sündenbock sein.
- ... რაც უნდა მომხდარიყო სახლში, ჯოხი იმაზე ტყდებოდა (ის იყო განტყვეობის ვაცია).
- 1554 SUPPE – jmdm. die Suppe versalzen** (fam) – jmdm. den Spaß verderben, jmdm. die Freude an einer Sache nehmen – ხალისი წაგვერთვა, ხასიათი გაგვიძლამა, გუნება გაგვიფუჭა
- ... Wir beabsichtigten, unserem Lehrer zum Schulabschluss eine Freude zu machen, aber dadurch, dass verschiedene Klassenkameraden es ablehnten, dazu beizutragen, war uns allen die Suppe versalzen.
- ჩვენ განზრახული გვქონდა სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით მასწავლებლისათვის სასიხარულო სიურპრიზი მოგვეწყო, მაგრამ იმის გამო, რომ სხვადასხვა თანაკლასელმა უარი თქვა ამაში თავისი წვლილი შეეტანა, ჩვენ ყველას წაგვერთვა ხალისი.
- 1555 = die Suppe auslöffeln und aussessen, einbrocken** – (die man sich eingebrockt hat) (fam) – sich mit den (selbstverschuldeten) Unannehmlichkeiten abfinden – მის მიერ მოკლული ძაღლი თვითონვე გადაათრია, მისი აწეწილი საქმე თვითონვე გამოასწორა
- „Da er die Suppe, die er sich einbrockte, ausgelöffelt hat, so wollen wir weiter nichts mehr darüber sagen.“

(W.Raabe – Die Leute aus dem Walde)

„რადგან მან მის მიერ მოკლული ძაღლი თვითონვე გადაათრია (მის მიერ აწეწილი საქმე თვითონვე გამოასწორა), ამიტომ ამაზე ნურაფერს ვიტყვით.“

1556 SZENE – jmdm. eine Szene machen (fam) – jmdm.(heftige) Vorwürfe machen – სცენებს უწყობს

...Als ihr Mann betrunken nach Hause kam, machte sie ihm eine heftige Szene.

როცა მისი ქმარი ნასვამი ბრუნდებოდა სახლში, იგი (ქალი) მას ღაზათიან სცენებს უწყობდა.

1557 SÜßHOLZ – Süßholz raspeln – jmdm. in auffalender Weise schmeicheln, schöntun – ელოლიავენა, შაქრად დნება, ფესქვეშ ეგება

„Laßt mich in Ruh! Soll ich die Augen verdrehen und Süßholz raspeln? Gespreizt und geziert Menuett tanzen?“

(J. Luk – Schuberts Lebensbild)

„დამეხსენით! იქნებ მომთხოვოთ სასოებით თვალეზაპყრობილი შაქრად დავდნე (ფესქვეშ გავეგო, ველოლიავო)? პრანჭვა-გრეხით მენუეტი ვიცეკვო?“

T

- 1558 TAG – etwas an den Tag bringen (legen)** – etwas bisher Verborgenes zeigen – ნათელი მოჰყვინა, გამოამჟღავნა, გამოაშკარავა, გამოთქვა
 ...Eine Revision brachte seine Verfehlungen an den Tag.
 რევიზიამ მისი დანაკლისი გამოაშკარავა.
 ... Er legte Unruhe und Verlegenheit an den Tag, sobald das Gespräch sich dem Verstorbenen zuwandte.
 (Th. Mann - Buddenbrooks)
 ის მოუსვენრობას და შეშფოთებას ამჟღავნებდა, როგორც კი ლაპარაკი გარდაცვლილზე ჩამოვარდებოდა.
 ...Er sprach mit dem Konsul über Geschäfte und Politik, wobei er ernste und tüchtige Grundsätze an den Tag legte.
 (Th. Mann-Buddenbrooks)
 იგი (გრიუნლიძი) კონსულს პოლიტიკაზე და სავაჭრო საქმეებზე ელაპარაკებოდა. სერიოზულ და საქმიან შენიშვნებს გამოთქვამდა.
- 1559 = in den Tag hineinleben** – leben, ohne sich über die Zukunft Gedanken zu machen – ერთი დღით (დღევანდელი) დღით ცხოვრობს, ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობს
 ...Dieser Otto, diese Dora, diese ganze Gesellschaft, die in den Tag hineinlebte – nun bald würde sie (Ruth) sie nicht mehr sehen.
 (B. Kellermann – Der 9. November)
 ...ამ ოტოს, ამ დორას, მთელამ საზოგადოებას, რომელიც დღევანდელი დღით ცხოვრობდა, (ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობდა), მალე იგი (რუთი) ვეღარ ნახავს.
- 1560 = auf seinen alten Tage** – im Alter – ასაკში, ხანდაზმულობაში
 ...Auf seinen alten Tage gewöhnte er sich noch das Rauchen an.
 ხანდაზმულ ასაკში იგი კვლავ მოწევას შეეჩვია.
- 1661 = sich einen guten Tag machen** – die Zeit mit angenehmen Dingen ausfüllen, sich etwas zugute tun – ცხოვრება გაილამაზო, სასიამოვნო რაღაცეებით შეივსო ცხოვრება, ლამაზი დღეები მოიწყო, კარგი დრო გაატარო
 ...Während unseres Urlaubs haben wir uns manchen guten Tag gemacht.
 ჩვენ შვებულების დროს კარგი (ლამაზი) დღეები მოვიწყვეთ (ცხოვრება კარგი დღეებით გავილამაზეთ, კარგი დრო გავატარეთ).
- 1562 = den Tag totschiagen (dem lieben Gott die Tage stehlen)** (fam) – Faulenzen, untätig sein, den Tag nutzlos verbringen – უქმად არის, დროს მოცალეობაში ატარებს, გულხელდაკრეფილია, დროს კლავს (იხ. totschiagen №1598)
 ... Wenn man etwas erreichen will, muss man arbeiten und darf nicht dem lieben Gott die Tage stehlen.
 თუ გინდა, რომ რაიმეს მიაღწიო, უნდა იმუშაო, არ შეიძლება ასე უქმად ყოფნა, (გულხელდაკრეფილი ყოფნა).
- 1563 TAGESLICHT – ans Tageslicht kommen** – bekannt werden, entdeckt werden – გამჟღავნდება, ნათელი მოეფინება, გამოაშკარავდება
 ...Dieser Schwindel wird früher oder später ans Tageslicht kommen.
 ეს ტყუილი (სიცრუე) ადრე თუ გვიან გამჟღავნდება (გამოაშკარავდება).
- 1564 TAMTAM – Tamtam machen** (fam) – viel Lärm (um etwas) machen, viel Reklame machen – რეკლამას იკეთებს
 ...Ein Kaufmann muss oftmals viel Tamtam machen, um seine Ware zu verkaufen.
 ვაჭარი ხშირად უნდა იკეთებდეს რეკლამას, მისი საქონელი რომ გაყიდოს.
- 1565 TANZBEIN – das Tanzbein schwingen** (fam) – tanzen – ცეკვაში ჩაება, ცეკვა-თამაში გამართა
 ...Auf dem Betriebsausflug wurde tüchtig das Tanzbein geschwungen.
 საწარმოს ექსკურსიის დროს ლაზათიანი ცეკვა-თამაში გაიმართა.

...Unsere Unterhaltung wurde immer fröhlich, und bei einer flotten Rumba beschlossen auch wir, das Tanzbein zu schwingen.

(Putlitz – Unterwegs nach Deutschland)

ჩვენი საუბარი სულ უფრო და უფრო მხიარულ ხასიათს იღებდა და ხალისიანი რუმბას ხმის გაგონებაზე გადავწყვიტეთ გვეცეკვა (ცეკვაში ჩავბმულიყავით).

- 1566 TAPET – etwas aufs Tapet bringen** (fam) – etwas zur Sprache bringen – საუბარი დაიწყო, ლაპარაკი ჩამოაგდო, განსახილველად გაიტანა, მსჯელობის საგნად აქცია
...Dann brachte sie etwas Neues aufs Tapet.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

შემდეგ მან რაღაც ახალ საქმეზე დაიწყო საუბარი (ჩამოაგდო ლაპარაკი).
...Ich werde diese Angelegenheit bei der nächsten Sitzung aufs Tapet bringen.

ამ საკითხს მე მომდევნო თათბირზე გამოვიტან განსახილველად.

- 1567 TARANTEL – er sprang auf, wie von der Tarantel gestochen** (fam) – er sprang plötzlich (erschreckt) auf – გველნაკბენივით (თოფნაკრავივით) წამოხტა
...Als wir ihm den Unfall mitteilten, sprang er auf, wie von der Tarantel gestochen.
როცა მას უბედური შემთხვევის შესახებ ვაცნობეთ, იგი გველნაკბენივით (თოფნაკრავივით) წამოხტა.

- 1568 TASCHE – tief in die Tasche greifen** (fam) – viel bezahlen, viel spenden – ჯიბეზე გაიკრა ხელი, ძალიან გაიხარჯა
...Wer einem Erpresser in die Hände gefallen ist, kann noch so tief in die Tasche greifen, er wird sich nur selten von ihm frei machen können.
ვინც გამომძალველს ჩაუყარდა ხელში, ჯიბეზეც გაიკრას ხელი, იგი იშვიათად თუ დაიძვრენს თავს მისგან.

- 1569 = jmdn. in der Tasche haben** – jmdn. in der Hand halten – ხელში ჰყავს ჩაჭერილი
...Der schlaue Kerl hatte dem Ünglücklichen sein Geheimnis entlockt, um ihn dadurch in der Tasche zu haben.
იმ ეშმაკმა ტიპმა უბედურს საიდუმლოება დასტყუა, რათა ამით ხელში ჩაეჭირა (ხელში ჰყოლოდა).

- 1570 = jmdm. auf der Tasche liegen** (fam) – von jmds. Geld leben, jmdm. Kosten verursachen – თავს არჩენინებს, მის კისერზეა, სხვის ხარჯზე ცხოვრობს
...Er liegt seinem Vater immer noch auf der Tasche.
ის ჯერ კიდევ მამის ხარჯზე ცხოვრობს (მამამისის კისერზეა, მამას არჩენინებს თავს).

- 1571 = die Hand auf der (auf die Tasche halten) haben** – geizig sein – ხელი ჯიბეზე აქვს აფარებული, ძუნწია, ჯიბეს მაგრად აჭერს ხელს, გროშს ვერ გააგდებინებ
...Von ihm wirst du kein Geld kriegen, seine Frau hält die Hand auf der Tasche.
მისგან ფულს არც ელოდო, მისი ცოლი აჭერს ჯიბეს ხელს (გროშსაც კი ვერ გააგდებინებ).

- 1572 = jmdn. in die Tasche stecken** (fam) – jmdm. überlegen sein – ჯიბეში ჩაისვამს, თითს მოაკაკვინებს
...Infolge seiner Kenntnisse steckte er alle Mitbewerber in die Tasche.
მისი ცოდნით იგი ყველა კონკურსანტს (ყველა კუნკურსში მონაწილეს) ჯიბეში ჩაისვამს (თითს მოაკაკვინებს).
...Er trank und ass und war sich schmunzeind bewußt, dass er alle sieben Weisen der Welt in die Tasche stecken konnte.

(Feuchtwanger – Narrenweisheit)

ის ჭამდა, სვამდა, თავისთვის იცინოდა და დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიოს შეიძივე ბრძენს ჯიბეში ჩაისვამდა (თითს მოაკაკვინებდა).

- 1573 **TAUB – tauben Ohren predigen** – jmdn. vergebens ermahnen – კედელს ცერცვი შეაყარე, მგლის თავზე სახარების კითხვაა, ყურიც არ ათხოვა, ტყუილად ეჩიინა
 ...Ich habe ihm mehrmals gesagt, er soll es eine Arbeit gewissenhaft machen, aber ich predigte nur tauben Ohren.
 მე მას რამდენჯერ ვუთხარი, რომ მისი საქმე კეთილსინდისიერად გაეკეთებინა, მაგრამ ყურიც არ მათხოვა.
- 1574 **TEMPEL – jmdn. zum Tempel hinauswerfen** (jagen, schmeißen) (stärker fam) – jmdn. aus dem Hause weisen – სახლიდან გააგდო, კარისკენ მიუთითა (იხ..Luft №910,Stuhl №1551, Tür№1631)
 ...Wenn er sich etwas Derartiges nochmals zuschulden kommen lässt, werde ich ihn zum Tempel hinauswerfen.
 თუ იგი ასეთ დანაშაულში კიდევ გაებმება, მე მას სახლიდან გავაგდებ (კარისკენ მივუთითებ).
- 1575 **TEUER – das kommt ihm teuer zu stehen** – das hat schlechte Folgen für ihn – ძვირი დაუჯდება (მძიმე შედეგი მოსდევს)
 ...Sein Leichtsinng wird ihm noch teuer zu stehen kommen.
 მისი ქარაფშუტობა მას ძვირი დაუჯდება.
- 1576 **TEUFEL – ich frage den Teufel danach** (fam) – es interessiert mich überhaupt nicht – ფეხებზე მკიდია, სულ ერთია, არ დავეძებ
 ...Er fragte den Teufel danach, was dieser Mensch von ihm dachte.
მას ფეხებზე ეკიდა (იძისთვის სულ ერთი იყო, ის არ დავეძებდა), თუ რა აზრის იყო მასზე ეს ადამიანი.
- 1577 = **in (des) Teufels Küche kommen / geraten** – in die aller größten Schwierigkeiten geraten, große Unannehmlichkeiten bekommen, in eine äußerst schwierige Lage geraten – ეშმაკის კერძია
 ...Man kommt leicht mit solchen Sachen in Teufels Küche.
 (F. Wolf - Menetekel)
 ასეთ საქმეებში თუ გაერიე, ადვილად შეიძლება ეშმაკის კერძი გახდეს.
- 1578 = **er hat den Teufel im Leib** (fam) – er ist unbeherrscht, er ist temperamentvoll – სულში ეშმაკი უზის, სულში ეშმაკი უძვრება
 ...Er machte einen äußerst ruhigen Eindruck, aber manchmal hat er den Teufel im Leib.
 ზედმიწევნით მშვიდი გამომეტყველება უჭირავს, მაგრამ ზოგჯერ თითქოს ეშმაკი უძვრება სულში (ეშმაკი უზის სულში).
- 1579 = **bist du des Teufels?** (fam) – was fällt dir ein? – ეშმაკს ხომ არ აუტანიხარ? წერას ხომ არ აუტანიხარ?
 ...Bist du des Teufels, so etwas zu tun?
ეშმაკს ხომ არ აუტანიხარ, ასეთ რამეს რომ აკეთებ?
- 1580 = **der Teufel ist los** (fam) – es gibt einen großen Streit – ეშმაკმა აიწყვიტა, დიდი აყალ-მაყალი იყო
 ...Auf der letzten Versammlung war der Teufel los.
 ბოლო კრებაზე ეშმაკმა აიწყვიტა (დიდი აყალ-მაყალი იყო).
- 1581 = **den Teufel an die Wand malen** – ein Unglück dadurch herausbeschwören, dass man darüber spricht – ნუ დაგვხზავით! ნუ გვადგამთ ყბას! ნუ დაგვაბედებ ცუდს!
 „... Man muss den Teufel nicht an die Wand malen,“ sagte Röder. „Wie sollen sie denn gerade auf unsere Wohnung verfallen? Sie habe dich nicht reinigen sehen, sonst wären sie schon hier ...“
 (Seghers – Das siebte Kreuz)
 „... ნუ დაგვხზავით! (ნუ გვადგამთ ყბას)!“ თქვა რედერმა, „რატომ უნდა მიიტანონ ეჭვი სწორედ ჩვენს ბინაზე? აქ შემოსული მათ (პოლიციელებს) არ დაუნახიხარ, თორემ უკვე აქ იქნებოდნენ...“
- 1582 **THEATER – es ist nur Theater** – es ist nicht ernst gemeint – ეს სპექტაკლია

- ...Er erzählt allen Menschen von dem großen Unglück, das ihn betroffen hat. Aber, glaube mir, es ist nur Theater.
 იგი ყველა ადამიანს უყვება დიდ უბედურებაზე, რომელიც მას დაატყდა თავს. მაგრამ, დამიჯერე, ეს სპექტაკლია (ეს არ შეესაბამება სინამდვილეს).
- 1583** = **ein Theater machen** (fam) – viel Aufhebens machen, sich aufregen, viel Aufregung verursachen, viel Vorwürfe machen – მითქმა-მოთქმა ატყდა, ხმაური ატყდა, დიდი ამბავი იყო
 ...Ich weiß, du bist erregt, aber mach nicht so ein Theater.
 ვიცი, აღელვებული ხარ, მაგრამ არ გინდა ხმაურის ატყვება (არ გინდა ამდენი ამბავი, ამდენი მითქმა-მოთქმა).
- 1584** **TIER – ein hohes Tier** (fam) – eine wichtige, angesehene Person – მნიშვნელოვანი ფიგურაა, დიდი ვინაა, დიდი კაცია
 ...Der Herr, mit dem ich dich nachher bekannt machen werde, ist ein hohes Tier hier im Ort.
 კაცი, რომელსაც მე შენ გაგაცნობ, მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ამ მხარეში (დიდი კაცია ამ მხარეში).
- 1585** **TINTE – in der Tinte sitzen** (fam) – in einer unangenehmen Lage sein – ხათაბალაშია გაბმული
 ...Da er mir mein Geld nicht pünktlich zurückzahlte, sitze ich jetzt selbst in der Tinte.
 რადგან მან ჩემი ფული დროულად ვერ გადმომიგზავნა, ახლა თვითონ ხათაბალაში ვარ გაბმული (გავები ხათაბალაში).
- 1586** = **in die Tinte geraten** – in eine unangenehme Lage geraten – ხიფათში ჩავარდა, ხათაბალაში გაება
 ...Durch seinen Leichtsinn war er wieder in die Tinte geraten.
 თავისი ქარაფშუტობის წყალობით იგი კვლავ ჩავარდა ხიფათში (გაება ხათაბალაში).
- 1587** **TIPPTOPP – Tipptopp sein** – sehr gut, tadellos, ausgezeichnet (engl. tip-top „Höhepunkt,“ „Spitze der Spitze“) – უმწიკველია, უნაკლოა
 „Sind wir Buddenbrooks Leute, denach außen hin „tipptopp“ sein wollen ... und zwischen unseren vier Wänden dafür Demütigungen hinunterwürgen?“
 (Th. Mann – Buddenbrooks)
 „განა ჩვენ, ბუდენბროკები, იმათ რიცხვს ვეკუთვნივთ, რომელნიც ცდილობენ ხალხს თავი უმწიკველი ადამიანებად მოაჩვენონ ... და საკუთარ ოთხ კედელში კი დამცირებას უსიტყვოდ იტანენ?“
- 1588** **TISCH – unter den Tisch fallen** (fam) – unbeachtet oder unberücksichtigt bleiben – მაუდქვეშ ამოდებს, არ გაითვალისწინებს
 ... Da Untertanen waren sicher, daß ihre Eingaben und Beschwerden nicht unter den Tisch fielen.
 (Th. Mann – Friedrich II)
 ქვეშევრდომები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი განცხადებები და საჩივრები არ იქნებოდა მაუდქვეშ ამოდებული.
 ...Bei der letzten Wahl fielen die Stimmen der kleinen Parteien unter den Tisch.
 უკანასკნელ არჩევნებზე პატარა პარტიების ხმები მაუდქვეშ ამოიღო (არ იქნა გათვალისწინებული).
- 1589** = **reinen Tisch machen** (fam) – eine Lage klären, etwas erledigen, eine Sache in Ordnung bringen – პირწმინდად მოსპო, მიწის პირიდან აღგავა, მტვრად აქცია, აღგავა იგი მიწისაგან პირისა
 „Ich war damals im ...Franzosenland, wo das Volk der Adelswirtschaft müde geworden war und reinen Tisch machte.“
 (W. Raape – Die Sperlingstraße)
 „მე მაშინ საფრანგეთში ვიყავი, სადაც ხალხმა, თავადაზნაურობის თვითნებობით დაღლილმა, პირწმინდად მოსპო ისინი (აღგავა ისინი მიწის პირიდან, აღგავა ისინი მიწისაგან პირისა, მტვრად აქცია ისინი.“

- 1590** = **vom grünen Tisch aus** – ganz theoretisch, bürokratisch, ohne Kenntnis der wirklichen Sachlage – ბიუროკრატიულად
Der Genosse bekam einen Verweis, weil er die Sache vom grünen Tisch aus behandelt hatte.
ამხანაგმა საყვედური იმისთვის მიიღო, რომ ამ საქმეს ბიუროკრატიულად მიუღდა.
- 1591** = **zu Tisch gehen** – sich um den Tisch setzen – am Essen teilnehmen – სუფრას მიუსხდნენ, მაგიდას შემოუსხდნენ
...Um neun Uhr ging man zu Tisch.
(Th. Mann – Buddenbrooks)
ცხრა საათზე სუფრას მიუსხდნენ (მაგიდას შემოუსხდნენ).
- 1592** = **unter jmds. Tisch die Beine stecken** – sich von jmdm. ernähren lassen, von jmdm.versorgt werden – სხვის ხარჯზე ცხოვრობს, სხვის კმაყოფაზეა, სხვის პურს ჭამს
...Dieser Tisch ist, soviel mir bewusst, mein Tisch und es sitzt daran, wenn ich es erlaube aber benehmt euch so, wie es jedem ziemt, der seine Füße unter meinen Tisch steckt..
ეს მაგიდა, როგორც მე ვიცი, ჩემია და მასზე ზის ის, ვისაც მე ნებას ვაძლევ. ამიტომ მოიქეცით ისე, როგორც ეს ჩემს ხარჯზე მცხოვრებთ შეეფერებათ.
Sie hat ja nicht für sich selbst gesorgt, sondern die Füße immer unter einen fremden Tisch gesteckt.
მას ხომ არასოდეს უზრუნვია თავის თავზე, იგი ხომ ყოველთვის სხვის კმაყოფაზე ცხოვრებასაა მიჩვეული.
- 1593** **TOLL – Toll und voll** – unempfindlich, verwirrt (weil man besoffen ist) – გაღეშილია
...Er war toll und voll.
იგი გაღეშილი იყო.
- 1594** **TOPF – alles in einen Topf (kamm) werfen** (fam) – alles gleich behandeln – ერთ მაფრაში მოაქცია, ერთ ტაფაზე მოაქცია, ერთი ჯოხით გაღევენა (იხ.Kamm№693)
...Anstatt jeden Mangel in der Arbeit der Genossen einzeln zu besprechen und die Ursachen desselben aufzudecken, warf er alles in einen Topf.
იმის მაგიერ, რომ ამხანაგების მუშაობის თითოეულ ნაკლზე ცალ-ცალკე ელაპარაკა და მიზეზი გამოერკვია, მან ყველაფერი ერთ მაფრაში მოაქცია (ერთ ტაფაზე მოაქცია).
...Du musst schon Unterschiede machen. Du kannst nicht einfach alles in einen Topf werfen.
შენ უკვე უნდა შეძლო განსხვავების გაკეთება. ყველას ასე უბრალოდ, ერთ მაფრაში ხომ ვერ მოაქცევ.
- 1595** **TOT – auf den toten Punkt kommen** – zum Stillstand kommen – ერთ წერტილზე გაიყინა, უძრავია
...Wie nicht anders zu erwarten war, endeten die Verhandlungen wieder auf den toten Punkt.
როგორც მოსალოდნელი იყო, მოლაპარაკებები კვლავ ერთ ადგილზე გაიყინა.
- 1596** = **eine Sache aufs tote Gleis schieben** (fam) – eine Angelegenheit nicht weiter bearbeiten – უვადოდ გადაიდო
...In dieser Angelegenheit ist ein Ende noch nicht abzusehen. Sie ist zunächst einmal aufs tote Gleis geschoben worden.
ამ საქმეს ჯერ არ უჩანს ბოლო. იგი ჯერ უვადოდ იქნა გადაადგმული.
- 1597** **TOTGEBOREN – ein totegeborenes Kind** (fam) – eine aussichtslose Sache – იმედის პირი არ უჩანს, არაპერსპექტიულია
... Ich weiß nicht, warum du dir soviel Mühe machst. Die ganze Sache ist doch ein totegeborenes Kind.
არ ვიცი, რატომ წვალობ ამდენს. მთელ ამ საქმეს ხომ იმედის პირი არ უჩანს (ეს საქმე არაპერსპექტიულია).

- 1598 TOTSCHLAGEN - die Zeit totschiagen** (fam) – die Zeit nutzlos verbringen – დროს უქმად ატარებს, დროს კლავს (იხ.Tag №1562)
 ...Du sollst endlich anfangen, für dein Fortkommen zu arbeiten, und nicht immer nur die Zeit totschiagen.
 ბოლო-ბოლო უნდა დაიწყო შენს წინსვლაზე მუშაობა, ყოველთვის ასე უქმად ხომ ვერ გაატარებ დროს (დროის მოკვლაზე ხომ არ იფიქრებ, ასე უსაქმური ხომ არ იქნები).
- 1599 TRACHT – jmdm. eine Tracht verabreichen** – jmdn. verprügeln – გაჯორა, გაკიცხა, ვირის აბანოში გაატარა (იხ.Pfanne №1083, Schlitten №1297)
 ...Die Umstehenden verabreichen dem Taschendieb eine Trachtprügel.
 გარშემომყოფებმა ჯიბის ქურდი კარგად გაჯორეს (გაამათრახეს, გაკიცხეს, ვირის აბანოში გაატარეს).
- 1600 TRAGEN – jmdn. auf Händen tragen** – jmdn. sehr verehren, jmdn. sehr lieben – ხელის გულზე ატარებს
 ...Fritz versprach seiner Braut, sie immer auf Händen zu tragen.
 ფრიცი თავის საცოლეს დაპირდა, რომ ყოველთვის ხელის გულზე ატარებდა...
- 1601 TRAN – im Tran sein** (fam) – betrunken, schläfrig sein – ნასვამია, ბურანშია
 ...Du scheinst in der letzten Nacht einen ausgedehnten Bummel gemacht zu haben. Du bist ja jetzt noch im Tran.
 ... ჩანს, წუხელ დამეს გაგიგრძელდათ დროსტარება. ახლაც ბურანში (ნასვამი) ხარ.
- 1602 TRARA – Trara machen** (fam) – viel Aufhebens, viel Geschrei machen – ალიაქოთი ატეხა, ვიშ-ვიში მორთო
 ...Mach nicht solches Trara deswegen! Das ist die ganze Sache nicht wert.
 ნუ ატეხ ამაზე ალიაქოთს! არ ღირს ეს საქმე ამდენად.
- 1603 TRAUEN – jmdm. nicht über den Weg trauen** – mißtrauisch gegen jmdn. sein – არ ენდობიან
 ...Er macht zwar keinen schlechten Eindruck, trotzdem traue ich ihm nicht über den Weg.
 ის თითქოს არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, მაგრამ მას მაინც ვერ ვენდობი.
- 1604 TRAUERSPIEL – es ist Trauerspiel mit ihm** (fam) – er ist ein ganz unfähiger Mensch – უნიჭოა, ულაზათოა, მოუხერხებელია
 ...Was für eine Arbeit wir ihm geben, er ist nicht in der Lage, sie auszuführen. Es ist ein Trauerspiel mit ihm.
 რა სამუშაოც არ მივეციოთ მას, ვერ შესძლო მისი შესრულება. იგი ერთი უნიჭო (ულაზათო) ვინმეა.
- 1605 TRÄUMEN – das hätte ich mir nicht träumen lassen** (fam) – das hätte ich nie gedacht oder geglaubt – ვერ ვიფიქრებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, სიზმარშიც კი ვერ ვნახავდი
Das hätte ich mir nicht träumen lassen, dass die Veranstaltung so stark besucht werden würde.
ვერ ვიფიქრებდი (ვერც კი წარმოვიდგენდი), რომ ღონისძიებას ამდენი სტუმარი (დამსწრე) ეყოლებოდა.
- 1606 TREFFEN – ich habe es dort getroffen** – ich habe mit den dortigen Verhältnissen Glück gehabt – ძალიან გაგვიმართლდა
 ...Wir hatten es an unserem Urlaubsort in jeder Beziehung gut getroffen.
 ჩვენ ჩვენი შეგებულების ადგილით, ყველა მხრივ, ძალიან გაგვიმართლდა.
- 1607 = es trifft sich gut** – die Gelegenheit ist günstig – ძალიან ხელსაყრელი შემთხვევაა, კარგი გამართლებაა
 ...Es trifft sich gut, dass du heute zu Hause bleibst, da kannst du mir bei meiner Arbeit helfen.
ეს ძალიან ხელსაყრელი შემთხვევაა (კარგი გამართლებაა), დღეს რომ სახლში რჩები, ჩემს საქმეში მომიხმარები.

- 1608** = **deine Worte treffen mich schwer** – deine Worte machen mich sehr unglücklich, traurig – შენი სიტყვები გულში (გულზე) მხვედა, სევდას მაყენებს, გულს მტკენს
...Deine Worte treffen mich schwer, da ich mir alle Mühe gegeben habe, die Angelegenheit zu einem guten Ende zu bringen.
შენი სიტყვები გულში მხვედა (გულს მტკენს, მასევლიანებს, ნაღვლიან გუნებაზე მაყენებს). რადგან მე ყოველი ღონით შევეცადე, ეს საქმე კარგად დამემთავრებინა.
- 1609** = **sich getroffen fühlen** – etwas auf sich beziehen – შეს თავზე მიიღო
...Ich war überrascht, dass es sich von meiner Bemerkung so getroffen fühlte.
გამიკვირდა, რომ მან ჩემი შენიშვნა თავის თავზე მიიღო.
- 1610** **TREIBEN – er treibt es zu bunt** (fam) – er ist unverschämt, rücksichtslos – თავს ანგარიშს ვეღარ უწევს, უსირცხვილოდ იქცევა
...Wenn er betrunken nach Hause kam, trieb es immer bunt.
როცა იგი სახლში ნასვამი მოდიოდა, თავს ანგარიშს ვეღარ უწევდა (უსირცხვილოდ იქცეოდა).
- 1611** = **aufs Äußerste treiben** – jmdn. durch sein Verhalten o.ä. in einen extremen Seelenzustand versetzen, dazu bringen, etw. Bestimmtes (Unkontrolliertes) zu tun – უკიდურესობამდე მიიყვანა
...Haben Sie Erbarmen mit sich selbst. Treiben Sie mich nicht aufs Äußerste.
(Th. Mann - Buddenbrooks)
თავი გეცოდებოდეთ, მამაჩემო! უკიდურესობამდე ნუ მიმიყვანთ!
- 1612** **TRETEN – in jmds. Fuß(s) tapfen treten** – jmdm. nachfolgen, jmdn. nachahmen, jmdm. nacheifern – ფეხს უწეობს, გვერდში მარჯვედ უდგას
...Es ist ziemlich selten, dass Söhne großer Männer in die Fuß(s) tapfen ihrer Väter treten.
ეს საკმაოდ იშვიათია, რომ დიდი კაცების ვაჟები თავიანთ მამებს ფეხს უწეობდნენ (მამებს ბაძავდნენ, მამების საქმეების მიმდევრები იყვნენ).
- 1613** = **jmdm. in den Weg treten** – jmdm. Schwierigkeiten machen – გზაზე ეღობება
...Ich denke gar nicht daran, dir bei deinen Bemühungen in den Weg zu treten.
სულაც არ ვფიქრობ იმაზე, რომ შენ შენს წამოწყებებში (გეგმებში) გზაზე (წინ) გადაგეღობო, (ხელი შეგიშალო).
- 1614** = **jmdm. unter die Augen treten** – sich vor jmdm. sehen lassen, zu jmdm. kommen – თვალს (არ) ენახება, (ვინმეს) შორიახლოს (არ) ჩნდება
... Seitdem er mich in so übler verleumdet hat, wagt er es nicht mehr, mir unter die Augen zu treten.
მას შემდეგ, რაც მან ასე საზიზღრად ცილი დამწამა, ვეღარ ბედავს, თვალს დამენახოს (ჩემს შორიახლოს გამომჩნდეს).
- 1615** **TRINKSPRUCH – einen Trinkspruch ausbringen** – einen Toast ausbringen – სადღევრძელო წარმოსთქვა
...und dann brachte Dr. Kley einen Trinkspruch aus.
(A. Zweig – Das Beil von Wandsbek)
...ამის შემდეგ კი დოქტ. კლაიმ წარმოსთქვა სადღევრძელო.
- 1616** **TROCKEN – da bleibt kein Auge trocken** (fam) – jedem kommen Tränen in die Augen – ცრემლები მოადგა თვალებში
... Die junge Schauspielerin gestaltete die Rolle des „Gretchen“ so acht, dass kein Auge trocken blieb.
ახალგაზრდა მსახიობმა ისე განასახიერა „გრეტხენის“ როლი, რომ ყველას ცრემლი მოადგა თვალებში.
- 1617** = **auf dem Trockenem sitzen** (fam) – in (Geld) Verlegenheit sein – მშრალზე დარჩა, რიყეზე დარჩა
„...Rechne ferner die Einrichtungsrente ab fürs laufende Quartal, dann sitzen wir eigentlich schon auf dem Trockenem.“
(A. Zweig – Das Beil von Wandsbek)

- „აბა, გამოქვითე მიმდინარე კვარტლის ავეჯის ქირა და ჩვენ, კაცმა რომ თქვას, მშრალზე (რიყეზე) ვრჩებით.“
- 1618 TROST – nicht ganz bei Troste sein** (fam) – nicht normal im Kopfe sein, nicht bei Sinnen sei – მწვერები ააფრინა, ჭკუაზე არაა
 „Kredit? Kredit auch noch? Sind Sie eigentlich bei Troste?“
 (Th. Mann – Buddenbroocks)
 „სესხი? კიდევ სესხიც? მითხარით, ჭკუაზე ხართ?“
 „Mann, bist du denn nicht bei Trosten?“
 (Marchwitza – Die Kumjaks)
- „შენ რა, მწვერები ააფრინე?“
- 1619 TRÜBE – im Trüben fischen** (fam) – eine unklare Lage für sich ausnutzen, unklare Zustände zum eigenen Vorteil ausnutzen – ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირო (არეულ ვითარებაში საქმე შენს სასარგებლოდ მოატრიალო, წამხდარი საქმე შენს სასარგებლოდ გამოიყენო)
 ...Ich soll im Trüben fischen? Einen Menschen brutal ausbeuten?
 (Th. Mann – Buddenbroocks)
ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირო? კაცს ტყავი გაეადრო?
 ... In unruhigen Zeiten ist es für viele Menschen leicht, im Trüben zu fischen und so zu Geld zu kommen.
 არეულ დროში ბევრისთვის ადვილია, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა და ამ გზით ფულის შოვნა.
- 1620 TRÜBSAL – Trübsal blasen** – betrübt sein und seinem Kummer nachhängen, ohne etwas anderes tun zu können – სევდამ (ნაღველმა) შეიპყრო, ნაღველი შემოაწვა, ნაღველი მოერია
 ...Außerdem läßt er (Paul) in letzter Zeit ...die Ohren hängen und bläst Trübsal.
 (Bredel – Die Enkel)
 ამას გარდა მან (პაულმა) უკანასკნელ ხანებში ... ყურები ჩამოყარა და სევდამ შეიპყრო (ნაღველმა შეიპყრო, ნაღველი შემოაწვა, ნაღველი მოერია).
- 1621 TRUMPF – einen Trumpf in der Hand haben** (fam) – die Möglichkeit haben, eine Sache entscheidend zu beeinflussen – კოზირი უჭირავს ხელში
 ...Wir brauchen unsere Sache noch nicht als verloren zu betrachten, denn wir haben noch einen Trumpf in der Hand.
 არ უნდა ჩავთვალოთ ჩვენი საქმე დაკარგულად, რადგან ჩვენ ჯერ კოზირი გვიჭირავს ხელში.
- 1622 = jmdm. zeigen, was Trumpf ist** (fam) – jmdm. zeigen, wie sich die Sache verhält – საქმის ვითარებაში ჩაახედო, კოზირი გაუხსნა
 ...Ich glaube, ich muss ihm mal zeigen, was Trumpf ist, sonst ist er zu sehr von der Richtigkeit seiner Annahme überzeugt.
 მე ვფიქრობ, მე მას კოზირი უნდა გავუხსნა (მე იგი საქმის ვითარებაში ჩავახედო), თორემ იგი ზედმეტად არის დარწმუნებული მისი თვალსაზრისის სისწორეში.
- 1623 = seine Trümpfe aus der Hand geben** (fam) – seine Vorteile einem andern überlassen – კოზირი ხელიდან გაუშვა
 ...Sein Mißerfolg beruht darauf, dass er seine Trümpfe zu schnell aus der Hand gibt.
 მისი წარუმატებლობა ემყარება იმას, რომ მან მისი კოზირი ძალიან სწრაფად გაუშვა ხელიდან.
- 1624 = einen Trumpf ausspielen** – ნაცად ხერხს მიმართა, უკანასკნელი თულფი (კოზირი) ჩამოვიდა
 ...Er spielte seinen letzten Trumpf aus.
 იგი თავის უკანასკნელ თულფს (კოზირს) ჩამოვიდა.
 ...Er hüstete bedeutsam, bevor er seinen Trumpf ausspielte.
 (F. Weiskopf – Inmitten des Stroms).

მან მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა, ვიდრე თავის ნაცად ხერხს მიმართავდა.

1625 TUCH – aus betuchter Familie sein – aus wohlhabender Familie stammen – შექლებული ოჯახიდანაა

...Mein Gastgeber sagte von meinen bekannten vornehmen Damen, dass sie von einer betuchter Familie seien.

ჩემი მასპინძელი ჩემს ნაცნობ პატივცემულ ქალბატონებზე ამბობდა, რომ ისინი შექლებული ოჯახიდან არიან.

1626 TÜPFELCHEN – das Tüpfelchen auf dem i – alles bis aufs I –Tüpfelchen genau machen – sehr sorgfältig arbeiten – ზედმიწევნით ზუსტად, ბოლომდე

...Die Arbeit war bis aufs i Tüpfelchen genau gemacht.

სამუშაო ზედმიწევნით ზუსტად იყო შესრულებული.

...Setzen Sie das Tüpfelchen aufs i.

თქვით ბოლომდე (აღიარეთ ბოლომდე).

1627 TÜR – etwas steht vor der Tür – nach dem Kalender bald eintreten, gefeiert, begangen werden können – კარზეა მომდგარი, კარზე გვიკაკუნებს

...Die schöne Herbsttage sind vorbei und der Winter steht vor der Tür.

შემოდგომის მშვენიერი დღეები გავიდა, ზამთარი კი კარზეა მომდგარი (კარზე გვიკაკუნებს).

1628 = einer Sache Tür und Tor öffnen – einer Sache berechtigten Grund geben – ფართოდ უხსნის გზას, ფართო გასაქანს აძლევს

...Diese verschwommene Bestimmung öffnet der willkürlichen Auslegung Tür und Tor.

ეს ბუნდოვანი დადგენილება ფართოდ უხსნის გზას (ფართო გასაქანს აძლევს) ყოველგვარ თვითნებურ ინტერპრეტაციას.

...Wenn wir dieser Verleumdung nicht energisch entgentreten, würde sie Gerüchen und Vermutungen Tür und Tor öffnen.

თუ ჩვენ ამ ცილისწამებას ენერგიულად არ აღვუდგებით წინ, იგი ფართოდ გასაქანს მისცემს ჭორებსა და ვარაუდებს.

1629 = jmdm. zwischen Tür und Angel abfertigen – jmdn. nicht in die Wohnung lassen – სახლში არ შეუშვა, კარის ზღურბლზე გააჩერა

...Er bot mir gar keinen Platz an, sondern fertigte mich zwischen Tür und Angel ab.

მან სკამიც კი არ შემომთავაზა, კარის ზღურბლზე გამაჩერა.

1630 = mit der Tür ins Haus fallen – etwas unvermittelt oder unvorbereitet vorbringen, direkt aufs Ziellos gehen – ძალით სახლში შეჭრა, არც აცივა, არც აცხელა

...Was ist für einen Grossen den zu klein? – Gewiss, gewiss, erstürzte mit der Tür ins Haus.

Man pocht doch, hört doch erst, wenn man als Freund sich naht.

(Lessing – Emilia Galotti).

დიდ კაცთათვის, ძალზე წვრილმანი არის კი რამე? რა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა. სახლში პირდაპირ შეჭრა. მეგობარი კი, როცა მოვა, პირველად კარზე დაგიკაკუნებს.

1631 = jmdn. vor die Tür setzen – jmdm. die Tür weisen, jmdn. hinauswerfen – კარში გაუძახა, კარში გააგლო (იხ. Luft №910, Stuhl №1551, Tempel №1574)

...Man hatte erwartet, Mann und Frau würden die Schwägerin vor die Tür setzen, aber auch das geschah nicht.

(Seghers – Die Toten bleiben jung)

... მოელოდნენ, რომ ცოლ-ქმარი მუელს კარში გააგლებდა, მაგრამ არც ეს მოხდა.

1632 = vor seiner eigenen Tür kehren (fam) – sich um seine eigene Dinge kümmern – შენს საქმეს მიხედო

...Statt über andere zu reden, sollte sie lieber vor ihrer eigenen Tür kehren.

სხვებზე ლაპარაკს, ჯობს საკუთარ საქმეებს მიხედო.

U

- 1633 U – sich kein X für ein U vormachen lassen (fam) – sich nicht täuschen lassen –** თვალი არ აგიხვიონ, შეცდომაში არ შეგიყვანონ, თავი არ გააბითურებო
 ...Es ist ein schlauer Bursche. Er läßt sich kein X für U vormachen.
 იგი ეშმაკი ბიჭია. თავს არ მოგატყუილებინებს (თვალს ვერ აუხვევს შეცდომაში ვერ შეიყვან).
- 1634 ÜBEL – übel angeschrieben sein – in schlechtem Ruf stehen –** ცუდი სახელით სარგებლობდა
 ...Infolge seines Betrugens ist er bei seinen Lehrern übel angeschrieben.
 მისი ტყუილების გამო მასწავლებლებში ცუდი სახელით სარგებლობს (მასწავლებლებში ცუდი სახელი აქვს).
- 1635 ÜBRIG – für jmdn. etwas (nichts) übrig haben – jmdn. (nicht) gern mögen –** გამორჩეული ჰყავს, სიმპათიას გრძნობს (არ გრძნობს სიმპათიას, გული არ უწევს).
 „Du weißt, ich habe schon immer was für den Hans übrig gehabt.“
 (Seghers – Die Toten bleiben jung)
 „შენ ხომ იცი, რომ მე ჰანსისადმი მუდამ სიმპათიას ვგრძნობდი (ჰანსი სხვებში გამორჩეული მყავდა).“
 ...Für Kunst und Literatur hatte er nicht viel übrig.
 (Bredel – Die Söhne)
 ხელოვნებისა და ლიტერატურისაკენ მას მაინც და მაინც გული არ უწევდა (ხელოვნება და ლიტერატურა მას ნაკლებად აინტერესებდა).
- 1636 UMSCHMEISSEN – einen Plan umschmeißen (stärker fam) - (umstoßen, umwerfen) -** einen Plan ändern – გეგმა გადააკეთა
 ...Weil er nicht mehr mitmachen wollte, mußten wir den ganzen Plan umschmeißen.
 რადგანაც მას ჩვენთან აღარ უნდოდა თანამშრომლობა, იძულებულნი გახდით მთელი გეგმა შეგვეცვალა (გეგმა გადაგვეკეთებინა).
- 1637 UMWERFEN – der Brief wirft ihn um (fam) – der Brief erschüttert ihn –** შეადრწუნა, კინაღამ წააქცია
 ...Ich habe nicht gedacht, dass ihn der Brief so umwerfen würde.
 არ ვიფიქრებდი, რომ წერილი მას ასე შეადრწუნებდა.
- 1638 = drei Glas Bier werfen mich nicht um (fam) – von drei Glas Bier werde ich nicht** betrunken – სამი ჭიქა ლუდი არ წამაქცევს (ვერ მომერევა)
 ...Ein Glas Bier kann ich noch trinken, das wird mich nicht umwerfen.
 ერთ ჭიქა ლუდს კი დავლევ, იგი ვერ მომერევა.
- 1639 UNGESCHMINKT – jmdm. die ungeschminkte Wahrheit sagen – jmdm. offen sagen,** was man denkt – სიმართლე პირში უთხრა, შეუღამაზებელი სიმართლე უთხრა
 Sehr viele Menschen haben es nicht gern, wenn man ihnen die ungeschminkte Wahrheit sagt.
 ბევრ ადამიანს არ უყვარს, როცა მათ სიმართლეს პირში ეუბნებიან (როცა სიმართლეს შეუღამაზებლად ეუბნებიან).
- 1640 UNGESCHOREN – jmdn. ungeschoren lassen (fam) – jmdn. nicht beihiligen –** ხელს არ ახლებს, ზიანს არ მიაყენებს
 ...Frau und Tochter beschworen ihn, er solle ihn (den Nachbarn) ungeschoren lassen.
 (Bredel – Die Söhne)
 ცოლი და ქალიშვილი ეხვეწებოდნენ, რომ მეზობლისათვის ხელი არ ეხლო (ზიანი არ მიეყენებინა).
- 1641 UNGLÄUBIG – er ist ein ungläubiger Thomas – er ist ein Mensch, der an allem zweifelt –** ურწმუნო თომასა
 ... Er glaubt nichts, ohne sich selbst überzeugt zu haben. Er ist ein richtiger ungläubiger Thomas.

- მას არაფერი არ სჯერა, ვიდრე თვითონ არ დარწმუნდება. ღვი ნამდვილი ურწმუნო თომბა.
- 1642 UNGUT – nichts für ungut!** – Nehmen Sie es sich übel – ცუდად ნუ მიიღებთ!
 ...Nichts für ungut! Aber ich konnte wirklich nicht früher kommen.
ცუდად ნუ მიიღებთ! მე მართლა ვერ შევძელი უფრო ადრე მოსვლა.
- 1643 UNMENSCH – kein Unmensch sein** – mit sich reden lassen, zugänglich sein – ცუდი ადამიანი არაა, საერთო ენას გამოიხატავს
 ... Sein Chef ist zwar kein Unmensch, aber von einer Erhöhung der Gehälter will er nichts hören.
 მისი უფროსი ისე ცუდი ადამიანი არაა (საერთო ენას გამოიხატავს კაცვი), მაგრამ ხელფასის მომატებაზე არაფრის გაგონება არ სურს.
- 1644 UNMÖGLICH – jmdn. unmöglich machen** – jmdn. bei anderen Leuten schlechtmachen (blamieren) – თავი შეირცხვინა, სახელი გაიტეხა, ხალხში არ გამოესვლება
 ...Er hat sich durch sein Benehmen unmöglich gemacht.
 მან თავისი საქციელით თავი შეირცხვინა (სახელი გაიტეხა, მას ხალხში არ გამოესვლება).
- 1645 UNRECHT – in unrechte Hände kommen** – an den Fälschen kommen – სხვის ხელში მოხვდა, არასწორი მისამართით მოხვდა
 ...Es kann unangenehme Folgen haben, wenn ein Brief in unrechte Hände kommt.
 თუ წერილი სხვის ხელში მოხვდება, ამას უსიამოვნება მოჰყვება.
- 1646 UNSCHULD – seine Hände in Unschuld waschen** (bibl.) – mit einer schlechten Angelegenheiten nichts zu tun haben wollen – ხელები დამიბანია, ამ საქმიდან ხელები დამიბანია
 ...Ich habe mit der Sache nichts zu tun. Ich wasche meine Hände in Unschuld.
